რობერტ ოდიკაძე

ცხინვალის ქართული პრესის ისტორია

გამომცემლობა „საარი“
თბილისი 2023

წიგნი მიზნად ისახავს ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ქართული პრესის ისტორიის შესწავლას ქართულ-ოსური ეთნოკონფლიქტის ურთულესი ვითარების ფონზე.

განხილული თემა მოიცავს ჩვენი რეგიონის ქართული პრესის ისტორიის ერთ კონკრეტულ, მძიმე მონაკვეთს - XX საუკუნის 80-90-იანი წლებიდან დღემდე. კერძოდ, იმ პერიოდის გამომზეურებას, რამაც დასაბამი მისცა ადგილებზე ქართველ და ოს ხალხთა ურთიერთობის გამწვავებას, რომელსაც ეთნოკონფლიქტი მოჰყვა. შედეგად, იარაღის მუქარით წინაპართა სამკვიდროდან ათასობით ქართველი აიყარა და საკუთარ სამშობლოში დევნილად იქცა.

ცხინვალის რეგიონის მოწინავე ინტელიგენციის ერთობლივი მონდომებითა და მიზანმიმართული შემართებით, 1933 წლის 8 ივნისს დღის სინათლე იხილა ქართულენოვანმა გაზეთმა. მიუხედავად იმისა, რომ „საბჭოთა ოსეთი“ კომპარტიის რუპორი იყო, ქართული პრესა ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იდგა ადგილობრივი საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების წარმოსაჩენად.

საგულისხმოა ცხინვალიდან დევნილ ჟურნალისტთა მიზანსწრაფვა პროფესიული სიყვარულისა და დაუოკებელი საკუთარი კულტურული მემკვიდრეობისადმი. დევნილობის ჟამს, მისასალმებელია მათი ძალისხმევით გორში მასობრივ ინფორმაციის საშუალებათა დაფუძნება-ამოქმედება.

წიგნი საინტერესო უნდა იყოს როგორც ლიტერატურათმცოდნეთა, ისე ჰუმანიტარული და ჟურნალისტური პროფილის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის.

წიგნი იბეჭდება საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობის რეკომენდაციით და ეძღვნება ცხინვალის ქართულენოვანი გაზეთის დაარსების 90 წლისთავს.


რედაქტორი: **პროფესორი სოსო სიგუა**

მხატვარი: **ლევან მჭედლიძე**

ტექნიკური
რედაქტორი: შალვა მურადამშვილი
კომპიუტერული
უზრუნველყოფა: თინა კვაღინიძე

გამომცემლობა „საარი“, 2023
ISBN 978-9941509-18-6

ცხინვალის გაზეთი 90 წლისაა!



1978 წლის სექტემბერში, ახდა ცხინვალელ ქართველ და ოს ჟურნალისტთა დიდი ხნის ოცნება, საოლქო გაზეთების ორივე რედაქციამ, ცხინვალის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანების მიმდებარედ, მოსკოვის ქუჩაზე (№5) ახალმოსახლეობა იზეიმა. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული სამშენებლო ობიექტის გეგმაზომიერად წარმართვა, ქართული გაზეთის ლეგენდარული რედაქტორის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის არჩილ მამისაშვილის მუდმივი ყურადღების არეალში იყო.

ქართულენოვანი საოლქო გაზეთის რედაქცია, მეორე სართულზე, შემდეგი განრიგით განთავსდა: რედაქტორი, რედაქტორის ორი მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი, სამდივნო; შვიდი განყოფილება - პარტიული ცხოვრება, პროპაგანდა, საბჭოთა მშენებლობა, მრეწველობა და ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა, კულტურა, მშრომელთა წერილები; სტილისტ-მთარგმნელები; მბეჭდავ-მემანქანეები; პირველ სართულზე - ფოტოკორესპონდენტი და ტელეტაიპი.

რედაქციების განკარგულებაში იყო სათანადო დგამ-ავეჯითა და ინვენტარით აღჭურვილი სააქტო დარბაზი, ნათელ სარდაფში - კეთილმოწყობილი სასადილო.

ზღურბლზე სათქმელი

ისტორიულ ზენა ქართლში, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის ამ თვალმარგალიტ კუთხეში, დღეს რუსეთის მიერ რომაა ოკუპირებული, ოდითგანვე ზეობდა სიტყვა ქართული. როგორც ცნობილია, კლასიკოსმა ქართველმა მწერალმა მიხეილ ჯავახიშვილმა არ იცოდა ქართული ენა. შემთხვევით არ იყო, რომ მას წინამძღვრიანთკარის სასწავლებლის პედაგოგმა დავითაშვილმა ურჩია: „თუ გინდა მშვენიერი ქართული ისწავლო, წადი თამარაშენში ან ქურთაში. იქ ყველაზე საუცხოოდ ლაპარაკობენ, გლეხებიც კი ლიტერატურულ ენას დაუფლებიან. სხვა არა იყოს რა, ვანო მაჩაბელი იქაა დაბადებული. შექსპირი მიუწვდომლად აქვს ნათარგმნი...“

გასული საუკუნის დასალიერს, საქართველოში აბობოქრებული ეროვნული მოძრაობის ფონზე, ცხინვალის რეგიონში თანმდევი გაუსაძლისი კატაკლიზმებით, - საკუთარ სამშობლოში ქართველ (და არა მარტო) დევნილთა მწარე ხვედრით დაგვირგვინდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ტერმინი - „ზღურბლზე სათქმელი,“ რომელიც სალიტერატურო ენაში ქართული ჟურნალისტიკის მაესტრომ, ნოდარ ტაბიძემ დაამკვიდრა, სწორედ ამიტომ გამოვიყენეთ. სულმნათი პროფესორის თქმით, „გაცილებით ტევად და მეტყველად მეჩვენება, ვიდრე „წინასიტყვაობა“ ან „წინათქმა.“ იგი ბუნებრივად გულისხმობს სიკეთის განფენას...“

თანამედროვე შემოქმედებითი ინტელიგენციისთვის ნაკლებად ცნობილია თვალსაჩინო პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის, ია ეკალაძის წვლილი ქართულ ჟურნალისტიკაში. მას „დედა ოსი ჰყოლია. ყმაწვილი ოსურ გარემოში აღზრდილა და საუკეთესოდ ფლობდა ოსურ ენას... როცა ოსური გაზეთის „ნავაგ ცარდის“ („ახალი ცხოვრება“ - რ. ო.) გამოცემის იდეა დაიბადა, ია ეკალაძე მხარში ამოუდგა ინიციატივას.

ამდენად, ია ეკალაძის მოსაზრებები ქართულ-ოსურ ურთ-

იერთობებზე ფრიად მისასალმებელია. წერილში „პირუთვნელი ტოლერანტი" კარგად ჩანს, თუ რაოდენ პრინციპული და ობიექტური იყო იგი, როცა საქმე საქართველოს მთლიანობას ეხებოდა.

„...ოსეთს სრული უფლება აქვს ეძიოს თავისი ტერიტორიული სახელმწიფოებრიობა. მაგრამ როცა საქართველოს მიწა-წყალზე, ქართველი ხალხის წინააღმდეგ ამხედრებს ჩვენში სამადლოდ ჩამოსახლებულ ოსებს, მათი ინტელიგენციის ერთი ნაწილი, ეს კი არამც თუ უმადურობაა, დიდი უსამართლობაც არის..."

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, ცხინვალში ფართოდ აღინიშნა მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, დანიელ ჭონქაძის დაბადების 150 წლისთავი, რომელმაც სათანადო გამოხმაურება ჰპოვა ქართულენოვანი გაზეთის ფურცლებზე. დაიბეჭდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ რაფიელ შამელაშვილის - „დანიელ ჭონქაძე და ოსური ენისა და ლიტერატურის საკითხები." როგორც წერილში ვეცნობით, დანიელ ჭონქაძემ დიდი როლი შეასრულა ქართულ-ოსური კულტურული ურთიერთობის ისტორიაში. მისი სახელი მუდამ დაუვიწყარი იქნება ამ ორი მოძმე ერის ცხოვრებაში.

ოსური ენის შესწავლის ისტორიაში დანიელ ჭონქაძე დღემდე ცნობილი იყო როგორც ოსური ანდაზების შემკრები. „1868 წელს გამოვიდა წიგნი „ოსური ტექსტები," შეკრებილი დანიელ ჭონქაძისა და ვასილ ცორაევის მიერ. გამოცემული აკადემიკოს ალექსანდრე შიფნერისა." აქ ცალკე თავად გამოყოფილია „ოსური ანდაზები." დანიელ ჭონქაძეს შეუკრებია სულ 123 ანდაზა, რომელთაც ზემოდ ხსენებულ წიგნში 14 გვერდი ეკავა. ამ წიგნის გამოცემას იმ დროისათვის ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ჯერ კიდევ არ იყო ოსური ენის ბუნება და თვისება გამორკვეული და მისი მეცნიერული შესწავლა ის იყო იწყებოდა. როგორც აკადემიკოსი გიორგი

ახვლედიანი აღნიშნავს, „დანიელ ჭონქაძემ ოსური ლიტერატურული ენის შექმნის საქმეში დიდი როლი ითამაშა.“

დანიელ ჭონქაძის კალამს ეკუთვნის ოსურ ენაზე საეკლესიო წიგნების გადმოთარგმნა და მეცნიერებათა აკადემიის დავალებით შეუდგა რუსულ-ოსური ლექსიკონის შექმნას, რომლის დამთავრება, სამწუხაროდ, მან ვერ შეძლო გარდაცვალების გამო. მხოლოდ სამ ასომდე მივიდა.

ოსური ენის მასწავლებელმა კარგად იცოდა ოსური ენის გრამატიკა. მან თავისი შეგნებული ცხოვრება ოსურ ენაზე მუშაობას შესწირა: ანდაზების გარდა, კრებდა თქმულებებს, ზღაპრებს. ამასთან, სწავლობდა ოსთა ყოფა-ცხოვრებას.

ამაგდარი შემოქმედის ღვაწლს ოსი ხალხი ჯეროვნად აფასებს, რომელმაც ღვიძლ ძმასავით შეიყვარა იგი და ხელთუქმნელი ძეგლი აუგო. ამის მაგალითად გვესახება ოსი მკვლევარი მანდილოსნის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ოლღა თედეევას მონოგრაფიულ ასპექტში შესწავლილი დანიელ ჭონქაძის მოღვაწეობის ოსური სფერო. მან 1979 წელს გამოსცა მნიშვნელოვანი წიგნი ქართულ ენაზე - „დანიელ ჭონქაძე როგორც ოსოლოგი.“ ამ უაღრესად საყურადღებო ნაშრომში „პირველადაა შესწავლილი ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დ. ჭონქაძის ღვაწლი ოსი ხალხის ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეკრებისა და დამუშავების საქმეში; გაანალიზებულია კოსტა ხეთაგუროვის ერისადმი მოჭირნახულე ქართველის მიერ ოსურად თარგმნილი ტექსტების ისტორია...

ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ივანე მაჩაბელთან. დიდი თერგდალეული მას არაერთხელ სტუმრობდა მშობლიურ თამარაშენში. დიდი ლიახვის ხეობის მკვიდრის, ელისო მაჩაბლის თქმით, სასიქადულო მამულიშვილს თამარაშენელები აღფრთოვანებით ეგებებოდნენ. „ხალხის გულწრფელი სიხარულითა და ბუნების უზადო სინატიფით მოჯადოებული ილია გადაეხვია ზაალ მაჩაბელს

და ესღა აღმოხდა: „ეს ბუნება უნიჭოს ნიჭს შესძენს და უხმოს აამღერებსო.“

„როგორ ითარგმნა „მეფე ლირი“ - ამ სათაურით, „ლიტერატურული ცხინვალი“ დროულად გამოეხმაურა (1997, III) დიდი ილიას დაბადებიდან 160 წლისთავს. საგაზეთო კორესპონდენციაში რეალურად წარმოჩინდა ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის დაახლოება და შემოქმედებითი თანამშრომლობის დასაწყისი. წერილი, სასიქადულო მამულიშვილის ასი წლისთავის საიუბილეოდ გამოცემული წიგნის მიხედვით მომზადდა.

როგორც ცნობილია, ივანე მაჩაბელი ილია ჭავჭავაძემ პეტერბურგში ყოფნისას გაიცნო. ეს იყო 1873 წელი, როცა ილია ბანკის საორგანიზაციო საქმეების გამო იმყოფებოდა ამ ქალაქში. ვინაიდან მას წესდებას არ უმტკიცებდნენ, იგი დიდხანს დარჩა იქ და იპოვა თავისუფალი დრო „მეფე ლირის“ თარგმნისათვის. აღსანიშნავია, რომ შექსპირი ილიას საყვარელი მწერალი იყო, თანაც ილიას ბავშვობიდანვე იზიდავდა თეატრი და სანახაობანი. ჯერ კიდევ მაშინ, როცა 22 წლის ჭაბუკი ავადმყოფობის გამო პეტერბურგიდან თბილისში დაბრუნდა, მან ყოფილი პირველი გიმნაზიის დარბაზში, სადაც ერთ დროს გიორგი ერისთავმა პირველი ქართული წარმოდგენა გამართა, დადგა ცოცხალი სურათები „მეფე ლირიდან.“ მათში მონაწილეობა მიუღიათ თბილისის წარჩინებული ოჯახის წევრებს, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალსა და ვაჟს - სოფიოსა და დავითს. „მეფე ლირი“ თვითონ ილიას უთამაშია.

ამრიგად, როგორც კი საშუალება მიეცა ილიას, იგი უმალ შეუდგა „მეფე ლირის“ თარგმანს, თან ინგლისურს სწავლობდა. როგორც ზემოდ ითქვა, ამ დროს გაიცნო მან ახალგაზრდა სტუდენტი ივანე მაჩაბელი. იოსებ გრიშაშვილი აღნიშნავს, რომ „ივანე მაჩაბელს, როგორც ინგლისურის მცოდნეს, უეჭველია დიდი დახმარების გაწევა შეეძლო ილიასათვის. მათ შორის გაიბა თანამშრომლობის ძაფი და „მეფე ლირი“ საბოლოოდ გადაითარგმნა ორივეს საერთო ძალ-ღონით, მაგრამ

ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ ტექსტის ანალიზის მიხედვით „მეფე ლირის“ საბოლოო რედაქცია ილიას ეკუთვნის. ეს შესანიშნავი ტრაგედია ნათარგმნია ილიასებური ფოლადის სტრიქონებით, ხშირად მძიმე, მაგრამ რიტმული და საზრიანი სტრიქონებით. ივანე მაჩაბლის თარგმნილი შექსპირი კი ყველა ამ ღირსებასთან ერთად, ელასტიურია და არქაული სიტყვებისაგან დაცლილი.“

არისტო ქუთათელაძე კი გვაწვდის ცნობას იმის შესახებ, თუ როგორი ენთუზიაზმით შეუდგნენ „მეფე ლირის“ თარგმნას ილია და ივანე მაჩაბელი. ერთ მხარეს ილია მჯდარა, მეორე მხარეს - ივანე. ივანე სწერდა - ილია ჰკარნახობდა. როცა რომელიმე ადგილის თარგმნა გაუძნელდებოდა, ილია წამოდგებოდა და მივიდოდა ფანჯარასთან, რომელიც ფარდით იყო ჩამობნელებული. იქ შუბლს მოისრესდა და შესაფერისი სიტყვით გახარებული, მიმართავდა ივანეს: „დასწერე.“ სეით იაშვილის თქმით, ილია ამ ჩამობნელებულ ფანჯარას „მუხის კუთხეს“ უწოდებდა.

ილია რომ მეტად კმაყოფილი იყო თარგმანით, ეს ჩანს მის მიერ პეტერბურგიდან 1873 წლის 19 დეკემბერს მეუღლისადმი მიწერილ წერილში: „იმ დღეს გიორგი შერვაშიძესთან ვიყავ, - აი, მთავრის შვილი რომ არის. ამას წინად თვითონ მოვიდა და მთხოვა შექსპირის ტრაგედია კოროლი ლირი, რომელიც ინგლისურიდან ქართულად გადავთარგმნეთ, წაგვიკითხეო. წავედი წასაკითხავად; კარგა ბლომა ხალხი იყო და ძალიან მოიწონეს. ასე იფიქრე, ქალებმა იტირეს და კაცები სულ აფერუმს იძახდნენ. მართლა და თარგმანი მშვენიერი რამ გამოვიდა, ასეთი კარგი, რომ წამკითხველი მთარგმნელებს გვილოცავდნენ. ქალაქში რომ ჩამოვალ, გვინდა წარმოვადგინოთ. სცენაზე მშვენიერი რამ იქნება. ვერ წარმოიდგენ, რარიგად კარგად გამოვიდა ქართულს ენაზედ. არც ერთი რუსული თარგმანი ქართულს არ შეედრება. აი, ღვთის მადლით, როცა მშვიდობით მოვალ, მოვიტან და კარდანახში წაგიკითხავ და თუ არ გატი-

რო, ცუდი კაცი ვიყო. შენ ხომ იცი, რომ ჩემი ნაჯღაბნის ქება მე თვითონ არ მიყვარს, მაგრამ ეს ასეთი თარგმანია, რომ არ ვაქო, ცოდვა იქნება. აქაური ყმაწვილ-კაცობა მაგ თარგმანისთვის გაგიჟებულია და აღტაცებაში მოსული.“

ვალერიან გუნიას სიტყვით, როცა ერთხელ მსახიობმა ლირში სიტყვები დაამახინჯა, მაჩაბელს უთქვამს: „როგორ შეიძლება ერთი წიხლით ძირს დაანთხიო ილაჯგასაწყვეტი და სათუთი შრომა კაცისა, მერე რა დიდი კაცისა - ილია ჭავჭავაძის თარგმანი, რომელსაც მთელი ქართველობა გულის ფანცქალით მოელოდაო.“

გრიგოლ ყიფშიძის თქმით, „მეფე ლირი“ იმავე წლებში სცენაზედ უთამაშიათ და ილიას შეუსრულებია კენტის როლი. კ. ყიფიანის სიტყვით, ილიას მოუნდომებია „მეფე ლირის“ დიდ სცენაზე დადგმა ისე, რომ როლები უნდა შეესრულებინათ მხოლოდ მწერლებს: ილია ჭავჭავაძეს, ივანე მაჩაბელს, მამია გურიელს, ნინო ორბელიანს, დავით ერისთავს, დიმიტრი ყიფიანს და სხვებს.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში შექსპირი ადრეც ითარგმნა, ილიასა და ივანე მაჩაბლის თარგმანს, ვერც ერთი ვერ შეედრებოდა. 1874 წლის 8 მარტს „დროება“ წერდა: „უფ. ილია ჭავჭავაძეს და ივანე მაჩაბელს“ გაუთავებიათ „მეფე ლირის“ თარგმანი. ამ ტრაგედიის პირველი მოქმედება დაბეჭდილია „კრებულის“ მეათე წიგნში და როცა დანარჩენი მოქმედებებიც დაიბეჭდება, ქართული ლიტერატურა ერთს მშვენივრად ნათარგმნს ძვირფას თხზულებას შეიძენს.“

ილიას დამოკიდებულება მაჩაბლისადმი ჩანს ვასილ მაჩაბლისადმი მიწერილ წერილებში. ერთგან იგი წერს: „საყვარელო ძმაო ვასო! მოგართვი შენგან დაბარებული „ივერია.“ აბა შენ იცი, როგორ დაგეხმარება, იწერები, ვანოს უნდა გავუგზავნოო. თუ გიყვარდე, იმის ადრესი მომწერე და მე თვითონ გავუგზავნი პირდაპირ რედაქციის მხრით.

ვანოს წიგნების შესახებ იწერები. ვიდრე შენ ამას მოიწე-

რებოდი, ჩვენმა ავალოვმა დიდი ქება მითხრა მაგ წიგნებისა. რა კარგი იქნება, რომ ეგ წიგნები დამაბეჭდვინო, თუ შესაძლებელია და თუ ვანო ნებას მოგცემს. მისწერე შენად და ჩემად მოგვეშველოს როგორმე. ჭკვიანი ბიჭი და ამასთანავე, კარგი კალმის პატრონი - ჩვენთვის ვანო დიდი ნუგეში იქნება. ჰსთხოვე და არამც თუ ჰსთხოვე, შეეხვეწე ჩემს მაგიერ, რომ სტატიები გამოგვიგზავნოს. „მეფე ლირი“ დავბეჭდეთ. გამოგიგზავნი ამ დღეებში. ვანოს ადრესს რომ მივიღებ, იმასაც გავუგზავნი. ცოტა კორექტურის შეცდომებით დაიბეჭდა, მაგრამ არა უშავს რა.“ ვარაუდით წერილი დაწერილი უნდა იყოს 1877 წელს, როდესაც ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით გამოვიდა ჟურნალი „ივერია.“ ვანო მაჩაბელი იმჟამად საფრანგეთში იმყოფებოდა.

მართლაც საამაყოა ივანე მაჩაბლის ღვაწლი ქართული ჟურნალისტიკისა და პუბლიცისტიკის ისტორიაში. „ილია თავიდანვე დიდ იმედებს ამყარებდა ვანო მაჩაბელზე, რაც ნათლად ჩანს მის მიერ ვანოს ძმასთან, ვასოსთან მიწერილ ბარათში. აკი თანარედაქტორად მიიწვია კიდეც 1881 წელს (სერგეი მესხის ნაცვლად).



„ქართული ჟურნალისტიკის გადია“

1880 წელს „დროებისა“ და „ივერიის“ რედაქციების შეერთების შემდეგ, ივ. მაჩაბელი სათავეში უდგება ბიბლიოგრაფიის განყოფილებას. იგი თავიდანვე ენერგიულად იღებს ახალი განყოფილების მართვის სადავეებს ხელში.

დაუცხრომელი პუბლიცისტისა და კრიტიკოსის, იპოლიტე ვართაგავას თქმით, ვანოს ქართული ენა უაღრესად მდიდარი, ზუსტი, დახვეწილი და მხატვრულია. ამიტომაც, შემთხვევით არ იყო, რომ 1883 წლის 8 მაისს, მძიმე ავადმყოფობის გამო, სერგეი მესხმა „დროების“ ხელმძღვანელობა ივანე მაჩაბელს გადააბარა. იგი გაზეთს 1885 წლამდე რედაქტორობდა.

„მართალია, ივ. მაჩაბელი დიდხანს არ ყოფილა ქართული გაზეთის რედაქტორად, მხოლოდ ორი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა „დროებას,“ მაგრამ, მიუხედავად ამისა, ივ. მაჩაბლის ეს ხანმოკლე მოღვაწეობაც მოწმობს, რომ ის XIX საუკუნის საზოგადო მოღვაწეთა შორის თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენდა.“

საქართველოს ბულბულად წოდებულმა აკაკი წერეთელმა, თავის უკიდეგანო შემოქმედებაში, სადაც სამაჩაბლოს თემატიკაცაა ასახული, უკვდავყო ქართული პოეზია, ქართული ენა და ამით უკვდავების გვირგვინიც დაიმკვიდრა.

პოეზიისა და ქართული ხელოვნების დიდოსტატს ახლო ურთიერთობა აკავშირებდა შექსპირის ნოვატორულ მთარგმნელთან ივანე მაჩაბელთან. „თამარაშენისკენ მარტო აკაკი და ვანო გაემგზავრნენ. რაც უფრო ქართლის სიღრმეში შედიოდნენ, აკაკი მით უფრო მოხიბლული რჩებოდა, წარმოიდგინე, ჩვენს იმერეთს არაფრით ჩამოუვარდებაო, - ამბობდა. იგი „განსაკუთრებით თამარაშენის მიდამოებს მოუხიბლავს და ამის შემდეგ ხშირი სტუმარი იყო ხოლმე ივანე მაჩაბლისა.“

თამარაშნელი გენიოსის შემოქმედება საქართველოს სიყვარულით დამაშვრალი პოეტის იოსებ გრიშაშვილის ყურადღების ცენტრშია. იგი გაოცებულია ვანოს ნამუშევრებით და აღფრთოვანებული დასძენს: „შესანიშნავი მონოლოგია, შესანიშნავი თარგმანი! ხანდახან გაოცებას ეძლევი ხოლმე: საიდან ჩამოვარდა ეს კაცი? რომელ გრიგალს გადმოჰყვა, ვინ ჩააგონა ენის საიდუმლოება და ქართული სიტყვის შეგრძნების ძალა?“ იქვე იმასაც მიუთითებს, რომ „XIX საუკუნის

დიდი მოღვაწე ივანე მაჩაბელი ახალი ქართული ენის ერთ-ერთი ფუძემდებელია, იმ ახალი ქართულისა, რომელსაც ჩვენი ძველები ბუნებრივ, „სასაუბრო ენას“ უწოდებდნენ.

„სულიკო,“ „ორეული“ და სხვა აუარებელი ახალი, მანამდე უცნობი სიტყვა, რომელთა შესწავლაზე ამჟამად ვმუშაობ, განა პირველად ივანე მაჩაბელმა არ შემოიტანა ჩვენს ლიტერატურაში?.. მაჩაბელს ქართული ენის ბუნების განსაცვიფრებელი ალღო ჰქონდა, მან იცოდა სინონიმების იშვიათი მოძებნა და თავთავის ალაგას მოთავსება. მას ახასიათებდა სათარგმნელ ტექსტში ჩაწვდომის უნარი. მშვენივრად თქვა ივანე მაჩაბელზე სახალხო პოეტმა იოსებ დავითაშვილმა: „ქართული ენა გაჩარხა ნაჯიჯგნი სხვა და სხვისაო.“ მოწიწებული სიტყვებით ამკობს იოსებ გრიშაშვილი სწორუპოვარ მთარგმნელს, - „შექსპირის ვარსკვლავებმა ღრმად ჩაიხედეს ივანე მაჩაბლის შემოქმედების ტბაში და ორეულის სხივთა ანარეკლი ჩვენს მშობლიურ ჰორიზონტზე ბრწყინვალედ ათინათდა.“

ცხინვალის რეგიონის ქართული პრესა, ცხრა ათეულ წელზე მეტია, მკითხველის სამსჯავროზე გამოდის. პარტიის საოლქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს ორგანო „საბჭოთა ოსეთის“ პირველი ნომერი დაუკავშირდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გასაბჭოების მეცამეტე წლისთავს. და, რა გასაკვირია, რომ საოლქო გაზეთი, დღიდან დაარსებისა, კომპარტიის შეუცვლელი რუპორი იყო.

წიგნი მოიცავს ყოფილ საოლქო გაზეთ „საბჭოთა ოსეთს,“ დევნილობისას გორში დაფუძნებულ ცხინვალის რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ „შიდა ქართლს,“ ცხინვალის რეგიონის მწერალთა გაზეთ „ლიტერატურულ ცხინვალს“ და ცხინვალში გამომავალ ქართულენოვანი გაზეთის სამართალმემკვიდრე - „ცხინვალის მაცნეს,“ XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე. რაც შეეხება „საბჭოთა ოსეთს,“ მის შესახებ მოგვეპოვება სხვადასხვა დროს შესწავლილი და გამოქვეყნებული მასალები: ყოფილი საოლქო გაზეთის რე-

დაქტორის მოადგილის, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტის ოთარ ესიაშვილის მიერ მომზადებული საიუბილეო ბუკლეტი „საბჭოთა ოსეთი“ – 50,“ რომელიც ძირითადად ზოგადი, ინფორმაციული ხასიათისაა. ჟურნალისტ ალექსანდრე მღებრიშვილის სადისერტაციო ნაშრომში „ომამდელი პერიოდის ცხინვალის ქართული გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“ (1933-1940)“ - საგნობრივად, მეცნიერულადაა გააზრებული გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ კონკრეტული მონაკვეთი.

აღნიშნული ნაშრომი პირველი ცდაა ცხინვალის რეგიონის ქართული პრესის ისტორიისა, კერძოდ, მისი ერთი მონაკვეთის (XX საუკუნის 90-იანი წლებიდან - დღემდე) სიღრმისეული, მეცნიერული გააზრებისა დიდი, პატარა ლიახვის, ფრონესა და ქსნის ხეობების მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-კულტურული ვითარების ფონზე. თემის აქტუალობას განაპირობებს ქართულ მასმედიაში მიმდინარე დემოკრატიზაციის, თავისუფალი პრესის დამკვიდრების პროცესები. მასში ხაზგასმულია, რომ ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ მწვავედ დგას ეროვნული პრობლემა. ამ საკითხმა განსაკუთრებით წინ წამოიწია ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში, რაც ეროვნებათშორისი დაპირისპირებებით ვლინდება. ეს კონფლიქტები ჩვენში, გარეშე ძალთა წაქეზებითა და მხარდაჭერით ხორციელდება გარკვეული პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ამგვარად წარმოიშვა საქართველოში ოსური და აფხაზური სეპარატისტული მოძრაობები, რომელთაგან მიყენებულ ჭრილობებს ივერთ სამკვიდრო დიდხანს ვერ მოიშუშებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენს პრესას დიდი სიფრთხილე მართებს, რათა დაინტერესებულ პოლიტიკურ ძალთა ანკესზე არ წამოეგოს და ეროვნებათშორისი კონფლიქტების გასაღვივებლად საბაბი არ მისცეს შინაურ თუ გარეულ მტრებს.

რეალურ წყაროებზე დაყრდნობითა და პრესაში გამოქვეყნებული მასალების შეჯერების საფუძველზე, წიგნში განხილულია, გასული საუკუნის მიწურულს საქართველოს თუ რა

უბედურება მოუტანა საზოგადოების ეროვნული შეუწყნარებლობის იდეის პროპაგანდამ პრესის ფურცლებზე. ეს თვალნათლივ წარმოჩინდა ოსური და აფხაზური სეპარატისტული მოძრაობების ნიადაგზე. ამის ერთ-ერთი მაგალითია, თუნდაც, აფხაზური წერილი, სადაც დამცირებული და შეგინებულია ქართველი კაცის ეროვნული ღირსება, რასაც აფხაზთა და ქართველთა კონფლიქტი მოჰყვა. შემდეგ კი სისხლისმღვრელი შეტაკებები ერთწლიან ომში გადაიზარდა და უდანაშაულო ადამიანთა უმოწყალო ხოცვა-ჟლეტითა და გენოციდით დაგვირგვინდა.

აღნიშნული წერილი ჯერ სოფელ ლიხნის აფხაზთა შეკრებაზე წაიკითხეს, მერე ეს სულისშემძვრელი პასკვილი ქართველთა მოძულე აფხაზმა სეპარატისტებმა ოპერატიულად დაბეჭდეს პარტიის გუდაუთის რაიკომისა და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის ორგანოს გაზეთ „ბზიფის“ ფურცლებზე. ამ შავრაზმელი გაზეთის 1989 წლის 4 აპრილის ნომერში დაიბეჭდა ასევე ოსური სეპარატიზმის იდეური ბელადის - ალან ჩოჩიევის ანტიქართული სულისკვეთებით გაჟღენთილი წერილი მაამებლური სათაურით „ძვირფასო აფხაზო ძმებო!“

მართალია, ზემოაღნიშნული პუბლიკაციები სამართლიანად დაგმეს ქართული პრესის ფურცლებზე (იხ. გ. ფანჯიკიძე, აუცილებელია ჭეშმარიტებამ გაიმარჯვოს, გაზ. „ლიტერატურული საქართველო,“ 26.05.1989 წ.), მაგრამ შავბნელი ჩანაფიქრი მაინც განხორციელდა.

ასე რომ, წიგნში ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება ცხინვალის ქართული რეგიონული პრესის ისტორიის იმ პერიოდის შესწავლას და დღის სინათლეზე გამოტანას, რამაც დასაბამი მისცა ადგილებზე ორ მოძმე-მონათესავე - ქართველ და ოს ხალხთა ურთიერთობის გამწვავებას.

გორში დაფუძნებული ცხინვალის დევნილი გაზეთები „შიდა ქართლი“ და „ლიტერატურული ცხინვალი“ მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართულ პრესაში. „რაც მტრობას დაუნგრევია, სი-

ყვარულს უშენებია!," „სიმართლის გამარჯვებასა, მთაზე არწივი ჰყიოდეს!" - აი, „შიდა ქართლელთა" და „ლიტერატურულ ცხინვალელთა" მთავარი და უცილობელი სამოქმედო ორიენტირი.

თუ „შიდა ქართლი" ცხინვალში გამომავალ ერთადერთ ქართულენოვან გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" სამართალმემკვიდრედ ითვლება, წიგნში ახალი კუთხითაა წარმოჩენილი „ლიტერატურული ცხინვალი." სიახლე ისაა, რომ იგი პირველი მერცხალია, პირველი ქართული ლიტერატურული მრავალგვერდიანი გაზეთია ჩვენი რეგიონის მწერალთა და, საერთოდ, სამაჩაბლოელ შემოქმედ ინტელიგენტთა ცხოვრებაში.

წინა პლანზეა წამოწეული პერიფერიულ პრესაში პროფესიული ჟურნალისტიკის ჩამოყალიბება-დამკვიდრების პროცესები. განსაკუთრებითაა გამოკვეთილი რედაქტორის პროფესიული სულისკვეთება გაზეთის იდეურ-მხატვრულ დონეზე.

ცხინვალში გამომავალი ქართული გაზეთის რედაქტორების მრავალმხრივ შემოქმედებაზე მსჯელობისას, პრიორიტეტს ვანიჭებთ არჩილ მამისაშვილის ჟურნალისტურ მოღვაწეობას, რომელიც სამი ათწლეულის მანძილზე უნარიანად ხელმძღვანელობდა საოლქო ქართულ გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" რედაქციას.

ჩვენი კვლევისას, დაზუსტდა და გამოიკვეთა თანამედროვე საზოგადოების დიდი უმრავლესობისათვის ჯერაც უცნობი ცხინვალის ხელნაწერი ჟურნალები: ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის - „ლიახვი" („ძიება"), ცხინვალის №1 ქართული საშუალო სკოლის - „აისი" და ცხინვალის №4 ქართული საშუალო სკოლის - „რიჟრაჟი."

მიუხედავად მრავალთემიანობისა, ნაშრომი ერთიან მთლიანობაშია წარმოდგენილი. მასში იგრძნობა თხრობის დინამიურობა, ამა თუ იმ ეპიზოდებისა და მოვლენების სიახლოვე, ურთიერთკავშირი. საოლქო ქართული გაზეთი „საბჭოთა ოსეთი," რეგიონული დევნილი გაზეთები „შიდა ქართლი," „ლი-


ტერატურული ცხინვალი," „ცხინვალის მაცნე" და ხელნაწერი ჟურნალები: „ლიახვი," „აისი," „რიჟრაჟი" ერთ მთლიან სიუჟეტურ ასპექტშია განხილული. ყოველივე ეს კი უფრო დამაჯერებელს ხდის კვლევას, დოკუმენტურად ამდიდრებს რეგიონულ პრესას. აქვე, დეტალურადაა განხილული ცხინვალის პირველი ქართული ნაბეჭდი გაზეთის მხატვრული გაფორმების ტექნიკა - მაშინდელი პოლიგრაფიული უზრუნველყოფის, ე.წ. „ბრტყელი ბეჭდვის" მეთოდის გათვალისწინებით.

ნაშრომში გამოყენებულია ფოტორეპროდუქცია - ცხინვალის პოლიგრაფიულ-საწარმოო გაერთიანებიდან მოძიებული გაზეთის ბეჭდვის „ვიზუალური მასალები," ასევე - პირველი რედაქტორების სახეები. ყოველივე ეს კი უფრო დამაჯერებელს ხდის კვლევას, დოკუმენტურად ამდიდრებს წინამდებარე ნაშრომს.

წიგნი ოთხი თავისა და სამი ქვეთავისაგან შედგება. მასში ცალ-ცალკეა განხილული „ცხინვალის დევნილი პრესის წინამძღვრები - ქართული გაზეთი „საბჭოთა ოსეთი," ხელნაწერი ჟურნალები: „ლიახვი," „აისი," „რიჟრაჟი"; „პირველი დევნილი გაზეთი „შიდა ქართლი;" „მწერალთა გაზეთი „ლიტერატურული ცხინვალი" და „იუბილარი გაზეთი „ცხინვალის მაცნე."

წიგნს თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის, მეცნიერული ნაშრომების, გამოცემების ნუსხა.

ჟურნალ-გაზეთები არის სარკე საზოგადოების რთული ცხოვრებისა, მისი გონიერების, ზნეობითის მოძრაობისა. მასში სჩანს და ისახება ყოველდღიურობის აზრის მიდენ-მოდენა.



თავი I

ცხინვალის დევნილი პრესის წინამძღვრები – ქართული გაზეთი «საბჭოთა ოსეთი»

დღეს, როგორც არასდროს, ცხინვალის რეგიონის პუბლიცისტური მემკვიდრეობის შესწავლა, რეალურად გააზრება და მეცნიერულ დონეზე აყვანა, მისი მნიშვნელოვანი როლის განსაზღვრა თანამედროვე ქართულ ჟურნალისტიკათმცოდნეობაში მეტად აქტუალურია. ამას განაპირობებს დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში შექმნილი მძიმე სოციალურ-პოლიტიკური ვითარება და ქართულ მასმედიაში მიმდინარე დემოკრატიზაციის, თავისუფალი პრესის დამკვიდრების, „დეცენტრალიზაციის“ უცილობელი პროცესები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება რეგიონული პრესის ისტორიის იმ პერიოდის შესწავლას და გამომზეურებას, რამაც დასაბამი მისცა ადგილებზე ქართველ და ოს ხალხთა ურთიერთობის გამწვავებას. შედეგად, იარაღის მუქარით წინაპართა სამკვიდროდან ათასობით ქართველი აიყარა და საკუთარ სამშობლოში დევნილად იქცა.

საყურადღებოა ცხინვალიდან დევნილ ჟურნალისტთა პროფესიული სიყვარული და დაუოკებელი ინტერესი საკუთარი კულტურული მემკვიდრეობისადმი.

დევნილობის ურთულეს ჟამს, საგულისხმოა მათი მიზანსწრაფვით ქართლის მეთაურ ქალაქში მასობრივ ინფორმაციათა დაფუძნება-ამოქმედება. პროფესიული კადრების აღზრდის მიზნით, ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ქ. გორში) ჟურნალისტიკის ფაკულტეტი შექმნა. ისტორიული შიდა ქართლის შემადგენელი ნაწილი ცხინვალის რეგიონი - დიდი, პატარა ლიახვისა და ფრონეს ხეობების ქართული მიწა-წყალი, რომელსაც ასე თავგამოდებით ჩემულობენ ე.წ. მესამე ძალის თანადგომითა და დახმარებით ინსპირირებული ოსი სეპარატისტები, ოდითგანვე ივერიელთა სამკვიდრო იყო, არის და იქნება.

სწორედ რუსეთის რეაქციულმა ძალებმა დაგეგმეს და მოამზადეს სისხლიანი დაპირისპირება შიდა ქართლში, რომელიც შემდგომ ცხინვალის რეგიონში ქართულ-ოსური კონფლიქტის სახელწოდებით „მოინათლა.“ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ხუხულასავით დაინგრა „მძლეთამძლე“ სსრ კავშირი და მრავალტანჯული საქართველო დამოუკიდებლობის გოლგოთას შეუდგა. იმ დროს რუსეთის რეაქციულმა ძალებმა არ დააყოვნეს და ახალგაზრდა რესპუბლიკას ზურგში მახვილი ჩასცეს, „რისთვისაც გამოიყენეს კომუნისტების მმართველობის პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი ავტონომიური გაერთიანება და მრავალეროვან ქართულ მიწაზე წარმოშვეს ეთნოკონფლიქტები. უფრო მეტიც, თუ აქ დაბრკოლებები შეექმნებოდათ რუსეთის იმპერიულ ძალებს, ქართველი ხალხის წინააღმდეგ ინტერფრონტის მოწყობა ჰქონდათ განზრახული.

როცა გამოიკვეთა ქართველი ხალხის მისწრაფება დამოუკიდებელი ცხოვრებისაკენ, ოსი სეპარატისტები გაიძახოდნენ: ჩვენ რუსეთის შემადგენლობაში გვსურს დარჩენაო. აქ

გაურკვეველი არაფერია. რეაქციონერები ერთმანეთს ძალიან კარგად მოერგნენ. რუსეთის იმპერიული ძალები ფიქრობდნენ, ოსი სეპარატისტული ძალების გამოყენებით, შური ეძიათ ქართულ-ეროვნულ მოძრაობაზე.“

ჯერ კიდევ XIX საუკუნის დასაწყისში, გაზეთი „დროება“ წერდა მაჩაბლებთან იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილების სტუმრობას. ისინი მოუწოდებდნენ მაჩაბლებს თავიანთი ქვეშევრდომი ოსები რუსების წინააღმდეგ აემხედრებინათ. იქვე იმასაც აღნიშნავდა, რომ „იულონს, ამბობენ, გაგიჟებით უყვარდა სამაჩაბლო - ცხინვალის ხეობა და როცა რუსეთში გააგზავნეს, ხშირად იგონებდა ამ სააქაო სამოთხეს... ერთ-ერთი თავადიშვილი რუსეთიდან საქართველოში რომ ბრუნდებოდა, იულონმა შეავედრა - ცხინვალის ხეობას რომ დახედო ზღუდრის სერიდან, მე მომიგონე, რომ ეგების ჩემმა სულმა აქ იგრძნოსო.“



წიგნის - „სიძველეები ლიახვის ხეობაში“ - ავტორს, პროფესორ იოსებ მეგრელიძეს მეგობრულ-კოლეგიალური ურთიერთობა აკავშირებდა ოს პროფესორებთან ვასო აბაევთან და ლუდვიგ ჩიბიროვთან.

ცხინვალის რეგიონში ქართულ-ოსური კონფლიქტის დაწყებამდე, ცნობილი ოსი მეცნიერი, პროფესორი ვასილ აბაევი ცხინვალელ ოს თანამოძმეებს აფრთხილებდა, რომ „Главный Кавказский хребет – естественная граница между Грузией и Осетией, и всякая попытка размыт эту границу повлечет за собой состояние перманентного конфликта между грузинами и осетинами... Надо прежде всего покончить в разговорами об отторжении Южной Осетии от Грузии. Ни одно грузинское правительство с этим никогда не согласится и будет право потому, что зто будет означать нарушение территориальной целостности Грузии.

Кто хочет мира между Южными осетинами и Грузинами, должен навсегда отвергнуть идею присоединения Южной Осетии с Северной. Кто хочет мира между Грузией и Россией, также должен оставить эту идею. Такова реальность.“

მსოფლიო მასშტაბის მეცნიერის შთაგონება, თუ გნებავთ, მოწოდება, ყურად არ იღეს ოსმა სეპარატისტებმა, რასაც ცხინვალის რეგიონში ურთულესი შედეგი, სისხლიანი ტრაგედია მოჰყვა.


XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის განსაზღვრით, შიდა ქართლის უძველესი სახელწოდება იყო ზენა სოფელი. მართალია მემატიანე პირდაპირ არ მიუთითებს შიდა ქართლის ჩრდილოეთ საზღვარს, მაგრამ ასეთად იგულისხმება კავკასიონის ქედი, რამდენადაც თარგამოსიანთა წილხვდომილი ქვეყნის ჩრდილოეთი საზღვარი, ლეონტი მროველის მიხედვით, კავკასიონის ქედი იყო (ქცა. 1,4).

შედარებით გვიან, XVIII საუკუნის დიდი ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი (ბატონიშვილი) თავის შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ წერს: „ტაშისკარს და ლიხის მთას ქვეითი არაგვ-ტფილ-

ისამდე სამნი ასე სასპასპეტონი: მემარცხენე მუხრანისა, მემარჯვენე ქართლისა, მეფის თანა მყოფი, ტფილისის ზევით, მტკვრის სამხრეთისა და თრიალეთი ფარვნამდე, - არიან წილი უფლოსისა მცხეთოსის ძისა; და უფლოსისაგან ეწოდება ზენა სოფელი შიდა ქართლს. და ესენი პირველი იყო ერთი სასპასპეტო, და ყოველთა და სპასპეტთა ზედამხედველი.“ ამასთან, ვახუშტის მიერ მოცემული სადროშოების აღწერიდან ჩანს, რომ მეცნიერი ბატონიშვილი ამ „ქვეყანაში“ (ქართლოსის - ქართლის ეპონიმის - წილხვდომილი ქვეყანა) მთლიანად აქცევდა არაგვის, ქსნის, ლეხურის, მეჯუდის, დიდი და პატარა ლიახვების, ფრონეების, ტანას, თეძამის, ძამას და ნაწილობრივ თერგის (ხევი) ხეობებს, რომლებიც კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთით მდებარეობენ.

ისიც აღსანიშნავია, რომ გერმანელი მეცნიერი ი. გიულდენშტედტი, რომელმაც 1772 წელს იმოგზაურა საქართველოში, შიდა ქართლის ჩრდილოეთის საზღვრად კავკასიონის ქედს თვლის. ასევე ისტორიული შიდა ქართლის უძველესი სახელწოდება - ზენა სოფელი დაფიქსირებულია ადრეფეოდალური ხანის ქართულ აგიოგრაფიულ ძეგლებსა და VII საუკუნის სომხურ გეოგრაფიაში, რომელიც ასახავს IV საუკუნის ვითარებას.

გამოჩენილმა ფილოლოგმა, ენათმეცნიერმა, ეპიგრაფიკოსმა, ფოლკლორისტმა, რუსთველოლოგმა და ლიტერატურისმცოდნემ, პროფესორმა იოსებ მეგრელიძემ ფასდაუდებელი ამაგი დასდო ცხინვალის რეგიონს. იმოგზაურა და ადგილზე აღწერა დიდი და პატარა ლიახვის, ფრონეს, ფაწისა და ჯეჯორის ხეობათა სიძველეები, სამლოცველოები, ეკლესია-მონასტრები, თავდაცვის უძველესი ნაგებობანი, ციხე-კოშკები და მათთან დაკავშირებული ხალხური სიბრძნის მარგალიტები - ლეგენდა-თქმულებები.



ნ. მესხრიკაძე, მ. ცოტნიაშვილი, ი. მეგრელიძე

როგორც წიგნის - „სიძველეები ლიახვის ხეობაში“ - მეორე ნაწილის (1997 წ.) რედაქტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი ალექსანდრე ღლონტი წინასიტყვაობაში ამბობს, - „მარი ბროსესა და ექვთიმე თაყაიშვილის შემდეგ, იოსებ მეგრელიძემ პირველად მოინახულა ეს ქართული მიწა-წყალი და დაწვრილებით აღნუსხა იქ დაცული ძეგლები, მათი ნანგრევები. გამოვლენილი მასალის ერთი ნაწილის გამოქვეყნება კიდეც მოასწრო ძვირფასი შენიშვნებით. მეორე ნაწილი, ფრაგმენტული სტატიების სახით, 17 ნაწილად ადრე გამოაქვეყნა სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში. მთლიანად გამოსაცემად მომზადებული მასალა კი, სხვა ხელნაწერებთან ერთად, დარჩა მეცნიერის არქივში, რასაც თავი მოუყარა, შეაჯერა და სრული სახით პუბლიკაციისთვის გამართა მისმა ვაჟმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა გუბაზ მეგრელიძემ. მან სამაგალითო სამსახური გაუწია არა მარტო სახელოვანი მამის ხსოვნას, არამედ, საერთოდ, მეცნიერებას.“

პროფ. ალ. ღლონტის თქმით, პირველ წიგნში გამოცემული იყო დიდი ლიახვის ხეობის სოფლებისა და დაბების აღწერილობა. აქ კი იბეჭდება პატარა ლიახვის ხეობის, ფრონეს, ფაწისა და ჯეჯორის ხეობათა დასახლებული პუნქტების მასალები.

რაც შეეხება პატარა ლიახვის ხეობას, იქიდან აღნუსხულია მჭიდროდ დასახლებული: დიცი, ქორდი, მერეთი, კარბი, კოშკა, - ამჟამად ოკუპირებული დისევი, ჭარები, ვანათი, ფრისი, ერედვი, გერი, წრუ, ჭიმასი, იკორთა; - შერთული, მარანა, ტყვიავი, ტირძნისი და სხვა ქართული ისტორიული სოფლები, რომლებიც მრავალი ჭირ-ვარამის მომსწრენი იყვნენ.

ბუნებრივია, „ამ უძველესი დასახლებული პუნქტების აღწერა მათი სიძველეების შესწავლა და გაცოცხლება მნიშვნელოვანი წვლილია მეცნიერებაში. ავტორი არ კმაყოფილდება რეგიონების მშრალი ფოტოგრაფირებით. იგი იცნობს ამ

სოფელთა შესახებ საისტორიო და გეოგრაფიულ წყაროებში, სიგელ-გუჯარებში გამოქვეყნებულ მონაცემებს და სპეციალურ ლიტერატურას. ამ მდიდარი ინფორმაციის მოშველიებით მეცნიერი აფორმებს თავის დაკვირვებას, რომლებიც უეჭველად ორიგინალური ხასიათისაა და ფართო ინტერესების შემცველია.“

მეცნიერულ დონეზეა შესწავლილი ფრონეს ხეობის ისტორიული სოფლები: წუნარი, ტბეთი, ავნევი, არკნეთი, თიღვა, ნული, ყორნისი, დოდოთი, რუსთავი, წორბისი. „გაშიფრულია წორბისში აღმოჩენილი იშვიათი ეპიგრაფიკული ძეგლი და სწორადაა წაკითხული 880 წლის ძნელად გასარჩევი ასომთავრული წარწერა, რომელიც ძველი ქართულის ერთ-ერთი უძველესი, XIX საუკუნის თარიღიანი ძეგლია. ამ წარწერის გაშიფვრა მკვლევარს დიდ სიძნელეს უქმნიდა. მან გონებამახვილურად ამოხსნა რებუსული ქარაგმები და გვიჩვენა, თუ იმ ეპოქაში რა პრობლემები იდგა ქართველთა წინაშე. ძეგლი ზუსტადაა დათარიღებული. ცნობილია, რომ აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ მოიწონა იოსებ მეგრელიძის მიერ ქარაგმიანი წარწერის ამოკითხვა და პუბლიკაცია, რასაც სანიმუშო ანალიზი უწოდა. წარწერა ავტორმა ადრეც გამოაქვეყნა საინტერესო კომენტარებით.“

ფაწისა და ჯეჯორის ხეობებში გამოკვლეულია ისტორიული ადგილები. მათ შორისაა ყორსევის, ქოთანთოს, სოხთის, ჯავისთავის, ერწოს, ქასაგინის, ნადარბაზევის, ქვაისის, ლეთის (მლეთის), კობეთის, ნაკრეფას, გულონთას, ჩასავლისა და მარიამ ჯვრის აღწერილობანი. ყურადღებას იპყრობს არაერთი ფაქტი, რომელთა შესახებ საისტორიო სიგელ-გუჯარებსა და მიმოხილვებში არაფერია მოხსენიებული.

აღნიშნულ ნაშრომამდე, ფაქტობრივად, შეუსწავლელი იყო ოკუპირებული რეგიონის სოფლები: ქოთანთო, ჯავა, ჯავისთავი, ერწო, ქვაისა და სოხთა. ქვაისის მთისწინეთი მუდამ რაჭის საერისთაოს ეკუთვნოდა. დიდ ისტორიკოსსა და

გეოგრაფს ვახუშტი ბატონიშვილს „მართებულად აქვს მითითებული, რომ იგი რაჭის ერისთავთა სამფლობელო იყო. ყოველივე ეს კარგად იყო ცნობილი, მაგრამ შემდეგ ქვაისის ზონის სოფლები ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ შემადგენლობაში შეიტანეს და ამით ისტორიული გზა გაამრუდეს. ამ გარემოებამ კი, როგორც ვიცით, დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს მთლიანობას.“

პროფესორმა იოსებ მეგრელიძემ გამოწვლილვით შეისწავლა და აღწერა ჩვენი „მხარის მიწა-წყალი და აღადგინა ისტორიული სიმართლე, მეცნიერებას შეუნახა ძვირფასი ინფორმაცია რეგიონის ქართული დასახლების, ადგილობრივი ტოპონიმებისა და ხალხური ტრადიციების შესახებ. გვიჩვენა მხარეში ოსთა ჩამოსახლების შემდეგ მომხდარი ცვლილებები.“

საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი გუბაზ მეგრელიძე მადლობას უხდის მამის სიყრმისა და მთელი ცხოვრების მანძილზე უღალატო მეგობარს, პროფესორ ალექსანდრე ღლონტს, რომელიც ცრემლმორეული, სიხარულით დათანხმდა რედაქტორობაზე და წინასიტყვაობაც რამდენიმე დღეში გადასცა. ასევე, - მამამისის მეგობრებს, პროფესორებს მიხეილ ცოტნიაშვილსა და ნოდარ მესხრიკაძეს, რომლებმაც ცალკეული სპეციფიკური საკითხების დასაზუსტებლად კონსულტაცია გაუწიეს.

მადლიერებით იხსენებს ამ წიგნში დაბეჭდილ უმრავლესი ფოტოების ავტორს მიხეილ მინდიაშვილს, რომელიც მკვლევარ-მეცნიერს მრავალი წელი უანგაროდ ეხმარებოდა მართლაც რომ საშურ საქმეში.

როგორც ცნობილია, ცხინვალში ქართულენოვანი გაზეთის გამოსვლას წინ უძღვოდა არსებული „ობიექტური ვითარება,“ კომუნისტურ-ბოლშევიკური ცენზურა. პირველი ქართული ბეჭდვური გაზეთის გამოცემა გარკვეული წინააღმდეგობებით იყო მოცული. მაშინ, როცა შეუფერხებლად გა-

მოდიოდა წლების წინ დაფუძნებული ოსურენოვანი გაზეთი „ხურზარინ“ (1924, I). როგორც ქართულ-ოსური ურთიერთობების მკვლევარი ლიტერატურასა და ჟურნალისტიკაში, პროფესორი ავთანდილ ცოტნიაშვილი შენიშნავს: „ქართული პერიოდიკა ყოველთის დაინტერესებული იყო და არის ოსი ხალხის ცხოვრებით, მისი კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების, სახალხო განათლების პრობლემებით. ასე იყო XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისშიც.“ ასე რომ, ცხინვალის ქართული პრესის ისტორიის საწყისად გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“ გვევლინება.

გაზეთის ისტორია პირველი ნომრის დასტამბვიდან, მკითხველთან პირველი შეხვედრიდან იწყება. „საბჭოთა ოსეთისთვის“ (რედაქტორის მოადგილე მამანტი კვირტია, როცა გაზეთის რედაქტორად პარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ითვლებოდა) ასეთი თარიღია 1933 წლის 8 ივნისი. მისი პირველი ნომრის გამოსვლა დაუკავშირდა ე.წ. სამხრეთ ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების მეცამეტე წლისთავს.

დღიდან გაზეთის გამოცემისა, პარტიის საოლქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს ორგანო „საბჭოთა ოსეთი“ ძმურად და მეგობრულად ამოუდგა მხარში პირველ ოსურ საოლქო გაზეთ „ხურზარინს.“

„შრომისა და ბრძოლის 13 წელი“ - ასე იწოდებოდა „საბჭოთა ოსეთის“ პირველი ნომრის მოწინავე სტატია. აქვე გამოქვეყნებულია ახალშობილი გაზეთის ერთგვარი თვითგანაწესი. დრო-ჟამისგან გაყვითლებული გაზეთის ძველი ნომრები ნათლად წარმოგვიდგენენ საკოლმეურნეო მშენებლობის პირველ წლებში სოფლად მძაფრი კლასობრივი ბრძოლის სურათებს. ყოველივე დრომოჭმული, ცხოვრებისგან უარყოფილი მოვლენები, თითოეული ახლადგაშენებული ბაღ-ვენახი, გაჭრილი არხი, მიწა-მარჩენალისგან მოწეული უხვ-ბარაქიანი მოსავალი, ფართოდ გაჩაღებული ახალი მშენებლობანი, - გაზეთს წამყვან თემად გასდევდა.



ბუკლეტში, რომელიც მოამზადა რედაქტორის მოადგილემ, საქართველოს დამსახურებულმა ჟურნალისტმა ოთარ ესიაშვილმა და მიეძღვნა საიუბილეო თარიღს - „საბჭოთა ოსეთის“ 50 წლისთავს, - ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ გაზეთი თავიდანვე აქტიურად ასრულებდა კოლექტიური ორგანიზატორის ფუნქციას.

„საბჭოთა ოსეთის“ ფურცლებზე მეგობრობის მკაფიო გამოხატულებად გვესახება ადგილობრივ ქართულ მოსახლეობაში ოსი მწერლებისა და პოეტების საუკეთესო ქმნილებათა პოპულარიზაცია. გაზეთში სისტემატურად იბეჭდებოდა ნაფი ჯუსოითის, გიორგი ძუგაევის, რევაზ ასაევის, გიორგი ბესთაუთის, კოსტა მარგიევის, ჰაჯი-მურად ძუწათის, ნინა გაგლოევას (ნიგა), დავით ჯიოევის, გაფეზის, ვალოდია გაგლოევის, მიხეილ ნართიხთის, ნიკალა გაგლოევის, ისიდორე ქოზაევის, ილია ფლიევის, ლეონიდ ხარებოვის, ჰაჯი-უმარ ალბორთის, გერსან კოდალათის, მელიტონ კაზიევის, ეკატერინე ჯიოევას, მერი ცხოვრებოვას, ალექსანდრე ფუხაევის, მელიტონ გაბულოვის, ნუგზარ ბაკაევის, რუსლან თედეევის, ალექსი ბუკულოვისა და სხვათა ნაწარმოებები.

„საბჭოთა ოსეთის“ მკითხველი, სხვადასხვა კორესპონდენ-

ციებთან ერთად, გაზეთის ფურცლებიდან ყოველთვის ინტერესით ეცნობოდა ქართველი პოეტების: გალაკტიონ ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილის, გიორგი ლეონიძის, იოსებ ნონეშვილის, მუხრან მაჭავარიანის, ჯანსულ ჩარკვიანის, მურმან ლებანიძის, ნაზი კილასონიას, ანა კალანდაძის, თეიმურაზ ჯანგულაშვილის, მარიკა ბარათაშვილის, მთვარისა კერესელიძის, ჯემალ ინჯიას... სულში ჩამწვდომ ლექსებს; პროფესორების: ალექსანდრე ღლონტის, ტიტე სარიშვილის, იოსებ მეგრელიძის, მიხეილ ჩიქოვანის, ოთარ ქაჯაიას, რაფიელ შამელაშვილის, ნოდარ მესხრიკაძის, გენადი ბურჭულაძის, შოთა ქურდაძის, ავთანდილ ცოტნიაშვილის, მიხეილ ცოტნიაშვილის, ვენერა სომხიშვილის, სერგო მოდებაძის, ვიანორ ახალაიას, თამილა გოგოლაძის ანდრო მირიანაშვილისა და სხვათა მეცნიერულ სტატიებს, რეცენზიებს.

ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის მშვენებას და სიამაყეს, პოეზიის უგვირგვინო მეფე - გალაკტიონს უყვარდა ცხინვალქალაქი, პატივს სცემდა ოს ხალხს. „ეს სიყვარული მას მაშინ ჩაესახა გულში, როცა თავის საყვარელ ტიციან ტაბიძესთან ერთად, ახალი საქართველოს მწერალთა კავშირმა ქართველ მწერალთა ერთი ჯგუფი 1932 წელს მიავლინა ცხინვალში.“



საქართველოს სახალხო პოეტი მეორედ 1952 წელს ეწვია ცხინვალს, მესამედ - 1956 წელს. თითქოს სიმბოლურია, რომ გალაკტიონი სამჯერ სტუმრობდა ცხინვალს და სამივეჯერ წლის მშვენიერ დროს - გაზაფხულზე, აპრილ-მაისში.

1952 წლის 31 მაისს, ლიახვისპირა ქალაქში ხმა დაირხა, ცხინვალში ქართველი მწერლები ჩამოდიანო. ნაშუადღევს ქალაქის ქუჩებში გამოეფინენ ცხინვალელები. ახალგაზრდობა ქალაქის შესასვლელთან, ზღუდრის გვერდასთან შეეგება საპატიო სტუმრებს. ისინიც მობრძანდნენ და მოიტანეს ქართველი და ოსი ხალხის ძმობითა და მეგობრობით ამღერებული გულის დიდი სითბო. დამხვდურნი სიყვარულით შესცქეროდნენ, ეცნობოდნენ... განსაკუთრებით გარს ერტყმოდნენ და პატივში ჰყავდათ გალაკტიონი და გიორგი ლეონიძე.

შეხვედრა მაისის მზით გაცისკროვნებულ საბჭოების სახლის ჭერმაღალ დარბაზში გაიმართა. გრძელ მაგიდას უსხედან ქართველი და ოსი პოეტები: შუაში არიან გალაკტიონ ტაბიძე და გიორგი ლეონიძე, აქეთ-იქიდან - სანდრო შანშიაშვილი, ალიო მირცხულავა, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, აკაკი ბელიაშვილი, ალექსანდრე გომიაშვილი, ოთარ ჩხეიძე, სიკო ფაშალიშვილი, ვასო გორგაძე, კალე ბობოხიძე, დავით კასრაძე, თეიმურაზ ჯანგულაშვილი, ბესო ჟღენტი, სიმონ წვერავა, ალექსანდრე ქუთათელი, ივანე ურჯუმელაშვილი; ოსი მწერლები: გიორგი ძუგაევი, გაფეზი, ილია ფლიევი, რევაზ ასაევი, ივანე ცხოვრებოვი...

ქართული მწერლობის განვითარებაზე მოხსენებით გამოვიდა სიმონ წვერავა. როცა ტრიბუნასთან მიუხმეს გალაკტიონს, ერთხმად იქუხა ტაშმა, მერე ჩაცხრა და დაწყნარდა დარბაზი. „ტრიბუნიდან პოეტმა საოცრად მბრწყინავი თვალებით გადმოხედა დარბაზს და განათდა გული.

- ჩვენს საუკუნეობრივ ძმობასა და მეგობრობას გაუმარჯოს! - მოკლედ თქვა და იმძლავრა ტაშმა. მერე დაიწყო თავისი ლექსის „სტალინის" კითხვა..."

ტრიბუნასთან ერთმანეთს ცვლიდნენ ქართველი და ოსი პოეტები. ძალუმად ხმიანობდა ლექსი... საღამო ქართული და ოსური ლექსის ერთგვარ დემონსტრირებად იქცა. ზეიმს სპეციალური გვერდები უძღვნეს საოლქო გაზეთებმა - „კომუნისტმა“ (ოსურენოვანი) და „საბჭოთა ოსეთმა.“

მაისის „იმ საღამოს ახალგაზრდა პოეტებმა გიორგი ბესთაუთიმ და მიხეილ ნართიხთიმ ლექსები უძღვნეს ქართველ პოეტებს გოგლა ლეონიძეს და იოსებ გრიშაშვილს, ხოლო საშუალო სკოლის მოსწავლემ აზა თიბილოვამ გულში ჩამწვდომად წაიკითხა საკუთარი ლექსი - „ხალხის პოეტს, გალაკტიონ ტაბიძეს.“

- გალაკტიონი იმ საღამოს ჩინებულ ხასიათზე იყო. მასთან კარგი პირადი ურთიერთობა მაკავშირებდა. ბევრი დრო ერთად გაგვიტარებია, მაგრამ იმ დღისთანა მხიარული არ მინახავს, - იგონებს ოსი პოეტი რევაზ ასაევი,- როცა ჯავის ხეობას ვესტუმრეთ, იქ უფრო მომხიბლავი იყო. სიცოცხლის ტრფიალით აღგზნებული მისი თვალები უსაზღვრო სითბოს ღვრიდა. დიდებულია, დიდებული! - ამბობდა სახალხო პოეტი ჯავის ბუნებით მოხიბლული. ეს ორი მთა ჩემს შუამთას მაგონებს. ასეა, ძამიკო, ჩვენი საქართველო, მისი ყველა კუთხე-კუნჭული ღვთის მადლითაა ცხებული. ყველგან მომხიბლავია. სხვაგან ნახავთ ასეთ სილამაზეს? ვერა!

პროფესორ ალექსანდრე ღლონტის მოგონებით, ცხინვალში, ორი დღის განმავლობაში, გალაკტიონი ყურადღების ცენტრში იყო და მას თავს ევლებოდნენ. სასტუმრო „ირისთონში“ ცალკე ოთახი გამოუყვეს, რომლის აივანიც მშვენიერ ბაღს (ცნობილი ჟურნალისტის ვასილ საბანაძის ეზო-კარმიდამო გახლდათ) გადაჰყურებდა. ბაღში ბულბულები გალობდნენ. იდგა გალაკტიონი აივანზე და ისმენდა ბუნების მგოსანთა შეჯიბრს.

- რა დამაძინებს, ძამიკო, სამოთხეში მიმიყვანეს, ამ სიმღერის მსმენელს რა დამაძინებსო, - იმეორებდა აღგზნებული და ძალიან ნასიამოვნები.

ასეა, 1952 წლის ვარდობის თვის მიწურული ცხინვალში ქართ-

ველი და ოსი მწერლების ძმობისა და მეგობრობის კიდევ ერთი ბრწყინვალე, მარად წარუშლელი შედეგია. მაშინ, საშუალო სკოლის მოსწავლემ გიორგი ბესთაუთიმ, იმ ღირსსახსოვარი შეხვედრის მეხუთე დღეს, „საბჭოთა ოსეთში“ ლექსი გამოაქვეყნა:

„სიხარულით ელვარებდა
თვით დარბაზის კედლები,
მოდიოდნენ ტაშის კვრაში
ხალხის სულის მჭედლები.

.....

გულით მიყვარს როგორც ძმები,
მზის ქალაქის მგოსნები,
მათ სიმღერებს ჩვენცა ვმღერით
მათი მოძმე ოსები.“

გალაკტიონზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია იმ საღამოს. პოეტმა რევაზ ასაევმა გაიხსენა 1958 წელს მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე ყოფნის დღეები, როცა იქ გალაკტიონს შეხვდა. პოეზიის მეფე მას ძმასავით გადაეხვია და უთხრა: „როგორ ხართ, რეზო, როგორ არიან ოსები? რა საღამო იყო?! (იგულისხმება 1952 წ. 31 მაისი) კარგი ხალხია ოსი ხალხი...“

პროფესორი აკაკი თოფურია, რომელიც წლების მანძილზე ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში იღვწოდა, წერდა: „1956 წლის გაზაფხულზე ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლობამ და სტუდენტ-ახალგაზრდობამ გალაკტიონ ტაბიძეს ტრიუმფალური შეხვედრა მოუწყო. ეს იყო ჭეშმარიტი პოეზიის აღიარების საყოველთაო-სახალხო ზეიმი. ხალხით გადაჭედილ სააქტო დარბაზში, რა თქმა უნდა, ოსი ინტელიგენცია, ოსი მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობა ჭარბობდა და ამდენად, ეს იყო ქართველი და ოსი ხალხის, ქართველი და ოსი შემოქმედებითი ინტელიგენციის ისტორიული მეგობრობის თავისებური ნათელი გამოხატულებაც.“

სახალხო პოეტის შეხვედრები ცხინვალში კარგად აქვს ასახული წიგნში ცხინვალელ ჟურნალისტსა და პუბლიცისტს გივი ლიახვისპირელს (თედეევს): „აქ მოთხრობილი, მცირე რელიქვიაა დიდი მგოსნის მოსაგონებლად. მისი გახსენება ახლა უფრო საჭიროა, რადგანაც ჯერ კიდევ აუხსნელი მიზეზების გამო შეირყა ოს-ქართველთა ძმობის საძირკველი; მას ზეციური მხურვალების ნაცვლად ამაკანკალებელი სუსხი დასდევს. ამ ყინულის გასალღობად აუცილებელია ყველა იმ საუკეთესოს გახსენება, რაც ამ ორ ხალხს შორის იყო. ისტორიულ ძმობას, მეგობრობას, ნათესაობას, ნათელ-მირონობას ვერ გააცამტვერებს, ვერ წაშლის გაბოროტებულ ვაიპატრიოტთა მისწრაფებანი, ვერც ტყვიების წვიმა, ბომბებისა და ნაღმების აფეთქება, ვერც უაზრო ომით დაღვრილი სისხლი. სიყვარულის გზა უკვდავია. გამოვადაროთ გული, ფხიზელი თვალით, ნათელი გონებით შევხედოთ ერთმანეთს, მივეფეროთ მამა-პაპათა სიყვარულით ნაშენებ ოჯახებს. ლოცვა-კურთხევა აღვუვლინოთ ღმერთს, რომ შეაჩერა მტრის ზრახვანი. მჯერა, გზას არ დაკარგავს ძმობის სანთელი, ისევ ენთება საქართველოში მცხოვრებ ყველა ეროვნების ხალხთა გზის მანათობლად. მჯერა, ეს მოგონებაც სინათლის ძალას შემატებს ქართველსა და ოსს.“

ცხინვალელი შემოქმედი ტკბილად იხსენებს 1956 წლის გაზაფხულს: - ასე მგონია გუშინ იყო, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის მეოთხე კურსელებმა გადავწყვიტეთ შევხვედროდით XX საუკუნის გენიალურ პოეტს, ცოცხალ კლასიკოსს გალაკტიონ ტაბიძეს. ამ საქმის ინიციატორმა, ჩვენმა საყვარელმა პროფესორმა ალექსანდრე ღლონტმა გვითხრა - ამ საკითხს გალაკტიონს მე შევუთანხმებო. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მან გვაცნობა - გალაკტიონი თანახმაა გვეწვიოს 20 აპრილს, თან ცნობილი კრიტიკოსი დიმიტრი ბენაშვილი

ჩამოჰყვება, მოხსენებას ის წაიკითხავსო.

იმხანად მსუბუქი მანქანები ცხინვალში ცოტა იყო. დატრიალდა ბატონი ალექსანდრე და სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს „პობედა“ სთხოვა. მე გამგზავნა დედაქალაქში ძვირფასი სტუმრის ჩამოსაყვანად...

ჯერ პატივცემულ დიმიტრი ბენაშვილთან მივედით. მან ყურმილი აიღო და დარეკა... მალე მარჯანიშვილის ქუჩაზე, წიგნის სამყაროს შენობის წინ შევჩერდით. ბინაზე ვეახელით გალაკტიონს. ცოტაც და... გალაკტიონს მძღოლის გვერდით შევთავაზეთ ადგილი. ეს ვეება კაცი თითქოს ვერ ეტეოდა ავტომობილში.

მანძილი თბილისიდან ცხინვალამდე თითქმის გალაკტიონის პოეზიის დემონსტრირების გზა იყო. პოეტი წარმოთქამდა საკუთარი ლექსების ნაწყვეტებს.

და აი, ცხინვალი, ირგვლივ ყვავილები, ყვავილები... ქალაქის სიცოცხლით სავსე ახალგაზრდობა, ინტელიგენცია სიყვარულით ეგებება მგოსანს. პედაგოგიური ინსტიტუტის დიდ დარბაზში ხალხის ტევა არა არის. პრეზიდიუმში მედიდურად ზის პოეზიის მეფე. კრიტიკოსი დიმიტრი ბენაშვილი მოკლედ მიმოიხილავს სახალხო პოეტის შემოქმედებას. შემდეგ სტუდენტთა ჯერი დგება...

„მისალმებები, ლექსები... ტრიბუნასთან მიდის გალაკტიონი, გრგვინავს დარბაზი და ირინდება. იგი კითხულობს ლექსს, რომელიც ცხინვალში წამოსვლის წინ დაწერა:

„ყველაფერი
შეიძლება მოხდეს:
მთა მთას შეხვდეს,
მზე მთის იქით მოხვდეს,
ვარდი დაჭკნეს,
როს ბულბული მოსხლტეს,
ყველაფერი
შეიძლება მოხდეს...“

გრიალებს ტაში. კვლავ შარბათს ღვრის ოქროპირი მგოსანი. ისევ ლექსი, ისევ ტაში და შეძახილები - დიდება გალაკტიონს!"

დიდი გალაკტიონი, რომელსაც „სული ჰქონდა უსპეტაკეს თოვლისა," მუდამ აფასებდა და ყურადღებით ეპყრობოდა მოძმე ოსი ხალხის შემოქმედებას. 1956 წელს, როცა სექტემბრის ლაჟვარდოვან დღეებში თბილისის სამხატვრო გალერეაში გაიხსნა ოს მხატვართა გამოფენა, პოეტმა ინტერესით დაათვალიერა ღონისძიება და თავისი შთაბეჭდილება გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" კორესპონდენტს გაუზიარა: „ვესალმები ამ გამოფენას, რომელმაც ჩემში აღძრა ახალი პოეტური მოტივი. იგი ადუღაბებს ხალხთა მეგობრობას, ამ გზით მომავალი ოსი მხატვრები წავლენ წინ, ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად."

პოეზიის მეფემ ამ მომენტს ექსპრომტად ლექსიც მიუძღვნა:

„ამ გამოფენას მე ვესალმები,
მას მოაქვს გრძნობით უხვი ალმები,
მთა მოაქანებს მშვენიერ ფერებს,
ის გვაფრთოვანებს, ის გულს გვიხარებს..."

იქვე, გალაკტიონმა საოლქო გაზეთის კორესპონდენტს გულთბილი მოკითხვა დააბარა ოს ხალხთან. მადლიერი ოსი ხალხიც ყოველთვის პატივისცემით ეპყრობოდა გალაკტიონ ტაბიძეს, რომლის სტუმრობას ცხინვალში დიდი ზეიმი მოსდევდა.

ისევ ბობოქრობს გარდასულ დღეთა მოგონებანი: „ბედნიერად ვთვლი თავს, რომ მე მესაუბრებოდა დიდი მგოსანი, რომ მისი მადლიანი ხელით მეგობრულად გადახვეული მივდიოდით 1956 წლის 21 აპრილის რიჟრაჟზე სტალინის ქუჩაზე. გულში ჩამრჩა მხოლოდ მისი ნაწყენი ტონი ერთი გარემოების გამო - გალაკტიონს ორი პერიოდი ჰქონდაო. „როგორც ერთია ქვეყანა მთელი, ისე ერთია გალაკტიონი!"

მართლაც რომ მეგობრობის ხიდი გულის გულზე გადის, რამეთუ სიყვარულსა და ძმობას საუკუნოდ შეუდუღაბებია ქართველთა და ოსთა კავშირი. ამ დუღაბის ერთ-ერთი მემკვიდრეთაგანი კი ქართული მწერლობის მშვენება და სიამაყე გალაკტიონი გახლავთ. „ამდენი სითბო, ამდენი სიყვარული ისტორიული ძმობის უამრავი მაგალითები, ქართველ-ოსთა ქორწინებები, შერეული ოჯახები. და განა ცოტაა მთელს საქართველოში? პროფესორ აკაკი თოფურიას თქმის არ იყოს - მაშ რატომ მოხდა საკვირველი, მოუხდენელი?! რატომ შეეწირა უგულობას, უაზრობას ათასობით ახალგაზრდა?! ეს რაც მოხდა, არ გამომდინარეობს ამ ორი ხალხის სულიდან, მათი სასიცოცხლო კავშირიდან. ეს გარეშე ძალების მიზანდასახული მოქმედების შედეგია, რომელსაც ღრმად უნდა ჩაუფიქრდეს ქართველიცა და ოსიც.

ეს სამარცხვინო შედეგი გვიბიძგებს მთელი ძალების მობილიზებას, ჭრილობების მოშუშებას. ისევ ურთიერთგაგებას, ისევ სიყვარულს ჩვენი ისტორიული წარსულისადმი, შეუძლია შეარიგოს ხალხი.

რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია!.. ესაა დღეს ჩვენი სამოქმედო პროგრამა...“

როგორც გალაკტიონს, ხალხის საყვარელ პოეტს იოსებ ნონეშვილსაც ხიბლავდა ლიახვის ხეობა:

„ალვის ხეები გვაცილებენ რტოთა შერხევით,
ავტომანქანა გიჟურ ქროლვით მიჰკვეცავს შარას,
გზა მიდის ტყეში, დაღრენილი გვიყურებს ხევი
და გააფთრებულ ლიახვის ხმას ძრავის ხმა ჰფარავს.

.....

ბრუტსაბძელს უკან გადავიდა მზე სხივთვალება
და დასავლეთით ჩამოჰკიდა ოქროს ფარდები,
ღამდება უკვე, ფაცხებიდან სინათლე კრთება,
გზაზე გვხვდებიან ოსი ხალხი თეთრი ჩალმებით...“



იოსებ ნონეშვილი მოსწავლეებთან

მისმა ლექსებმა პირველად დღის სინათლე „საბჭოთა ოსეთში“ იხილა. ამიტომაც იგი მადლიერებით დასძენდა: „სულითა და გულით მოგილოცავთ სახელოვან 25 წლისთავს. ჩემთვის ყველაზე ახლობელია გაზეთი „საბჭოთა ოსეთი.“ ის ჩემი ნათლიაა ლიტერატურაში... ჩემი ლექსები პირველად „საბჭოთა ოსეთის“ ფურცლებზე დაიბეჭდა, ვეცდები ვასახელო ჩემი ნათლია. გისურვებთ ახალ-ახალ წარმატებებს.“

1958 წლის 8 ივნისს, 25 წლის „საბჭოთა ოსეთს“ საიუბილეო ნომერში ასევე მიესალმა პოეტი-აკადემიკოსი იოსებ გრიშაშვილი:

„საბჭოთა ოსეთი“ ჩემი ერთ-ერთი საყვარელი გაზეთია. მე იგი გამოწერილი მაქვს და მისი მიღება ყოველთვის სიამოვნებას მანიჭებს. გაზეთის ყოველი ნომერი საქმის ცოდნითა და გემოვნებით არის შედგენილი. მისი მრავალფეროვანი შინაარსი მკითხველს საშუალებას აძლევს გაიცნოს და თვალყური ადევნოს განახლებული ჩვენი მხარის მეურნეობისა და კულტურის განვითარებას, მისი ადამიანების პატრიოტულ შრომას. მე გან-

საკუთრებით მახარებს, რომ გაზეთი დიდად ზრუნავს ქართული და ოსური ლიტერატურის განვითარებაზე, ხელს უწყობს შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების დაწინაურებას. იმედი მაქვს, რომ შემდგომში გაზეთი უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევს მწერლობასა და ხელოვნებას, ხალხის სულიერ საუნჯეს - ფოლკლორს, თავისი მზრუნველი კრიტიკული შენიშვნებით დაეხმარება კულტურის ახალგაზრდა მუშაკებს ზრდასა და დაოსტატებაში."


იოსებ გრიშაშვილი

ისე როგორც საქართველოს ყველა კუთხე, ცხინვალიც დიდად უყვარდა პოეტ-აკადემიკოს გიორგი ლეონიძეს. ცხინვალთან მის ურთიერთობაზე საინტერესოდ მოგვითხრობს მწერალი იაკინთე ლისაშვილი: „კოსტა ხეთაგუროვის იუბილეზე ერთად გავემგზავრეთ თხუთმეტი მწერალი. დელეგაციაში იყო ჩვენი გამოჩენილი, მხცოვანი მწერალი ნიკო ლორთქიფანიძე, რამდენიმე „ცისფერყანწელი," მათ შორის გიორგი, პაოლო იაშვილი და პროლეტარული მწერლობის ჯგუფი. გორიდან სტალინირში (ცხინვალში - რ. ო.) გავემგზავრეთ ღია საბარგო ავტოთი. გზაში შემოგვაღამდა. ავტოში ფეხზე ვიდექით და ქართული სიმღერებით მივქროდით წინ. პაოლო იაშვილს შავი, კალთებგაშლილი მოსასხამი ჰქონდა წამოხურული, რომელსაც ქარი ჰაერში აფრიალებდა, ხელები ცისკენ აღეპყრო, პირი ფართოდ გაეღო და მთელი გულით მღეროდა. მას რომ ვუცქერდი, ჩემს თვალწინ ნამდვილი დემონი იდგა...



ასე ჩავედით სტალინირში. იქ საღამო მოგვიწყეს, ხოლო მეორე დღეს გავემგზავრეთ აგარაკ ჯავაში. ზაფხული იყო და სანამ აქაც საღამო მოეწყობოდა, დავდიოდით ლიახვის პირას. ცხელოდა, ამიტომ ბევრმა მწერალმა ლიახვში ტალღებთან ბრძოლით გაიგრილა სხეული. სულ ბოლოს კი მე და ჩემმა ერთმა მეგობარმა მწერალმა შევცურეთ ცასავით წმინდა, ანკარა ლიახვში.

იმ ხანებში, ამერიკის მთავრობამ საკო და ვანცეტი დასაჯა სიკვდილით და ყველგან, ხალხში თუ პრესაში მათი სახელები ისმოდა. ალბათ ამ ასოციაციის გამო, გოგლამ დაიძახა: „შეხედეთ, ლიახვში საკო და ვანცეტი როგორ ბანაობენო.“

სიცილი დაგვაყარეს, მაგრამ ჩვენ ისევ განვაგრძობდით ბანაობას დიდი ხალისით. ამაზე, ჩვენმა საყვარელმა ნიკო ლორთქიფანიძემ ბევრი იცინა.“

კულბითი ერთ დროს ცხინვალის რეგიონის ძლიერი ციხე-ქალაქი ოყო. მის ტერიტორიაზე გვიანობამდე შემორჩა 12 ეკლესია და 3 ციხე. მთაზე გაშენებულ სოფელში, მაღალ გორაკზე აღმართული კულბითის ციხე ზემოდან დაჰყურებდა მთელს შიდა ქართლს. ციხის ფუძე-გორაკი, თავისი კოლოსალურობით, მნახველს დღესაც აოცებს.

დისეველი პედაგოგი გივი თუხარელი იხსენებდა: „ამ ციხის ისტორიაზე პირველი გაკვეთილი დიდი ქართველი პოეტის გიორგი ლეონიძისაგან მოვისმინე. ეს იყო 1942 წლის შემოდგომის მიწურულს. საშინელი ომი ახალი დაწყებული იყო... ომით დაშინებულ სოფელში უცხო კაცის შემოსვლა შიშსა და გაოცებას იწვევდა. ყველა უცნობში ჯაშუშს ვხედავდით, ყველას ეჭვის თვალით ვუმზერდით. ამიტომ შიშნარევმა გაოცებამ შეგვიპყრო, როცა სოფელში მსუბუქი ავტომობილი შემოსრიალდა და ციხის გორაკთან გაჩერდა. ავტომანქანიდან სამი კაცი გადმოვიდა. მათ შეშფოთებულ ბიჭებს გადმოგვხედეს და გაღიმებულებმა თავისთან მიგვიხმეს. გაგვეცნენ, მაღალი, ახოვანი კაცი, პოეტი გიორგი ლეონიძე აღმოჩნდა.“ გორაკზე ასვლისას გიორგი ლეონიძე ისე გატაცებით ლაპარაკობდა კულბითის ციხეზე, თითქოს იქ იყო დაბადებულ-გაზრდილი. „პოეტი ბევრ რამეზე გვესაუბრა, მაგრამ ჩემს ხსოვნას მხოლოდ ციხეთა სამეულის ისტორია შემორჩა:

კულბითის ციხე ერთ-ერთი იყო ქართლის დამცველ ციხეთა შორის და მას ცენტრალური ადგილი ეკავა. აქედან კარგად ჩანდა გორისა და ვანათის ციხეები. ეს სამი ციხე ქართლის დამცველ ციხეთა მთავარ სამეულს შეადგენდა.

თუ მტერი ჩრდილოეთიდან წამოვიდოდა, ვანათის ციხეზე კოცონს აანთებდნენ. ამას კულბითელი მეციხოვნეები შენიშნავდნენ და ასეთივე სიგნალს გორს გადასცემდნენ.

თუ მტერი სამხრეთიდან გამოჩნდებოდა, გორის ციხე ასეთივე ხერხით შეატყობინებდა კულბითისა და ვანათის ციხეებს. ეს საშუალებას იძლეოდა, მთელი ქართლი დარაზმულიყო მტრის დასახვედრად.“

პოეტი-აკადემიკოსი ხშირად ჩამოდიოდა ლიახვისპირა ქალაქში და ყოველი ჩამოსვლა ზეიმი იყო. შეხვედრა გადაინაცვლებდა ხოლმე რომელიმე ცხინვალელის ოჯახში, სადაც კარგახანს გრძელდებოდა სჯა-ბაასი. შეიძლება თამამად ითქვას, რომ შვილივით ეპყრობოდა ოს პოეტს რევაზ ასაევს, რომელსაც

იმ დროს საქართველოს მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობა ეკავა.

მართლაც ვრცელი და საინტერესო თემაა „გ. ლეონიძე და ცხინვალი," რომელიც სათანადო ასახვას ჰპოვებს დევნილი გაზეთის ფურცლებზე. წინაპრის აჩრდილი - ამ რუბრიკით დასტამბულ კორესპონდენციაში ჟურნალისტი, პუბლიცისტი და მეცნიერი ზაზა ცოტნიაშვილი მკითხველის ყურადღებას იპყრობს მწერალ ნოდარ შამანაძის ერთ მოგონებაზე, რომელიც დათარიღებულია 1960 წლის 14 დეკემბრით (გაზ. „სალიტერატურო გაზეთი," 1997, №1). „მასში მოთხრობილია მორიგი ფოლკლორული ექსპედიციის დამთავრების აღსანიშნავად რესტორან „თბილისში" გამართული პურობის შესახებ, რომელსაც ოსი ფოლკლორისტი ზარა აბაევაც ესწრებოდა. იგი სილამაზითა და მომხიბვლელობით თანამეინახეთა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა. ბუნებრივია, თამადობდა გოგლა, მან ადღეგრძელა მშვენიერი ოსი ქალბატონი და ხუმრობანარევი კილოთი შესთავაზა, მაკოცეო."

სუფრაზე გოგლა მშვენიერ ზარას გადაეხვია, აკოცა და ექსპრომტიც უძღვნა:

„ქართული მზით გაზრდილ ზარამ
ეშხით გული გამიბზარა,
თუმც მეორედ არ ვაკოცებ,
არ ჩამთვალოს აბეზარად."

ცხინვალის რეგიონის ურთულესი ვითარებიდან გამომდინარე, „ასეთ ურთიერთობათა გახსენება დღეს არა მხოლოდ სანიმუშოა ჩვენი თანამედროვეობისათვის, არამედ კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ კეთილგონიერ დამოკიდებულებას, რომელიც დიდმა ადამიანებმა შეინარჩუნეს, ხოლო ჩვენი მხრიდან მათი პოზიციების დათმობა შეცდომაა. ვიხელმძღვანელოთ დიდ წინაპართა გაკვეთილებით..."

იუბილარ ქართულ გაზეთს პოეტური სტრიქონებით მიესალმა რევაზ ასაევი:

„შენ დაიბადე ივნისის თვეში,
შენ, საყვარელო, ჩვენო აისო,
შენ, ამობრწყინდი, როგორც დილის მზე
და ხეობები ლხენით აივსო.
სინათლის სხივებს ხეობებს ჰფენდი,
მიგქონდა ხალხში სიტყვა მართალი,
გეგებებოდა შენ ალმაფრენით
ბარად მეზვრე და მთაში სარქალი.

.....

შენ, ოს მეომარს ცხარე ბრძოლაშიც,
ვით იარალი, მიჰქონდი თანა
და გკითხულობდა თვით რაიხსტაგთან
გამარჯვების და ზეიმის ხანად.“

ყოველწლიურად, შემოდგომაზე, ცხინვალში ფართოდ აღინიშნებოდა პოეზიის დღესასწაული. პოეზიის დღე, ძმობისა და მეგობრობის დღე; სიყვარული და ლექსი ერთია, ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი - მოწოდებად გასდევდა გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ 10 ოქტომბრის (1987 წ.) ნომერს. როგორც შესავალში ვკითხულობთ: „კარგი ტრადიცია ყოველთვის სიცოცხლისუნარიანია. კი არ იფერფლება, მივიწყებას კი არ ეძლევა, პირიქით, ძლიერდება, იფურჩქნება, თანდათან მტკიცდება და შემდგომ თაობიდან თაობას გადაეცემა. ასეთი ტრადიცია დაიმკვიდრა ცხინვალის რაიონმა - ყოველი შემოდგომით მოაწყოს პოეზიის დღესასწაული. ამ დღისთვის საგანგებოდ ემზადება მთელი რაიონი. იგი უკავშირდება დიდი ოსი პოეტი -დემოკრატის, ოსური ლიტერატურისა და ოსური ლიტერატურული ენის ფუძემდებლის, საზოგადო მოღვაწისა და განმანათლებლის კოსტა ლევანის ძე ხეთაგუროვის უკვდავ სახელს, რომელმაც მთელი სიცოცხლე თავისი ხალხის სამსხვერპლოზე მიიტანა ზვარაკად. მიუხედავად იმისა, რომ არ ფარავს, ყველაზე მეტად თავისი ჩაგრული ხალხი და თავისი აული რომ უყვარს, მაინც ვიწრო, ეროვნულ ჩარჩოებში არასდროს იფარგლება. აკი აღმოხდა გულიდანაც:

„ქვეყანა ტაძრად,
სიყვარული კი სალოცავად მაქვს
და მსოფლიო სამშობლოა,
სამშობლო ჩემი.“

მისი პოეტური სიტყვა ცის ქუხილივით ისმოდა პოეტის სიცოცხლეში. მაგრამ ჭეშმარიტ პოეზიას დროის მსახვრალი ხელი ვერაფერს აკლებს. ოქროს ბრწინვალება სამარადისოდ შერჩა კოსტას ლექსს, ყველა დროისთვის ერთნაირი სიძლიერით ჟღერს მისი ბრძნული სიტყვები:

„დადგეს მშვიდობა განახლებულ მთელ ქვეყანაში,
ზიზღით დააგდონ დანა, რომ წვეთს სისხლი ღვარული,
ო, ნუ მაყვედრით, ჩემმა ჩანგმა ადიდოს მაშინ
თავისუფლების ლაღი ყოფნა და სიყვარული.“

ცხინვალის რაიონის მშრომელთა თაოსნობა - ყოველ წელს აღენიშნათ დიდი პოეტისადმი მიძღვნილი დღესასწაული, მისასალმებელია. ეს დღე ერთგვარი დათვალიერება იყო რაიონის სულიერი და კულტურული ცხოვრების სფეროში მოპოვებული წარმატებებისა...

დაუვიწყარ დღესასწაულად იქცა ასევე 1987 წლის შემოდგომის ის ლამაზი დღე ცხინვალის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში, როცა მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ქართველი პოეტები და მწერლები.



მუხრან მაჭავარიანი ცხინვალში

შეხვედრის მიზეზი? - ბოლო წლებში რუსულ სკოლებში ქართველი ბავშვების რიცხვობრივი ზრდა. არც იყო გასაკვირი, მოზარდთა პატრონები მომავალზე ფიქრობდნენ. ადგილებზე წარმოება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა. სამსახურს ვერ იშოვიდი, თუ რუსულს კარგად არ ფლობდი. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწინაურებაც ოსურ-რუსულის ცოდნის გარეშე შეუძლებელი იყო. სწორედ ამიტომ, ქართულ უმაღლესდამთავრებულისთვის ძნელად თუ მოიძებნებოდა სამსახური. უფრო მეტიც, თანამდებობის დაკავება დიდ „მიღწევად“ ითვლებოდა.

ქართული სული ცხინვალის ქართული გაზეთის რედაქციაში, თეატრის ქართულ დასში, №1 და №4 ქართულ საშუალო სკოლებში, პედაგოგიური ინსტიტუტის ქართულ სექტორზე, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ქართულ განყოფილებაში იგრძნობოდა.

საბჭოური წესის მიხედვით, შეკონწინებულ ავტონომიურ ოლქში (1922, IV) საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად, უსათუოდ, ეროვნებით ოსი უნდა ყოფილიყო (თავიდან მხოლოდ ქართველები ინიშნებოდნენ).

ცხინვალში, ძირძველ ქართულ ქალაქში, თბილისელი ხელისუფალნი ქართველ კადრს ვერ „პოულობდნენ“ და დედაქალაქიდან გზავნიდნენ. ისინი, ცხადია, არ იცნობდნენ ქალაქის ადგილობრივ მოსახლეობას. სამსახური მხოლოდ ტრამპლინი იყო მათთვის. რამდენიმე წლის შემდეგ, მათ ახალი ცვლიდა და ა.შ. გამოგზავნილი ქართველი კადრები იყვნენ პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების მეორე მდივნები.

უფრო მეტიც, საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს სულაც არ აინტერესებდათ, ცხინვალი როგორ იკარგებოდა და იხშირებოდა ქართველებისგან, რომლებიც ბინებს ყიდდნენ და ქალაქს სცილდებოდნენ, სამაგიეროდ, ოსები მასიურად ჩამოდიოდნენ მთის სოფლებიდან და იკავებდნენ ქართველთა სამოსახლოს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ცხინვალის ცნობილ მოვლენებში ლომის წილი საქართველოს მაშინდელ ხელისუფალთაც ეკუთვნით.

ზემოდ, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე ვახსენეთ. ქართულ ჰუმანიტარულ განყოფილებას შესაშური ენერგიით, ღირსეული მანდილოსანი ნათელა კასრაძე-ვატიტაძე ხელმძღვანელობდა. ამ განყოფილებაში თანამშრომლობდნენ თამარ კვაღინიძე და ლაურა ჭავჭავაძე. სწორედ იმ მიზნით, რომ ცხინვალელ ქართველობას ერთი ომახიანი „შემოძახება" ესაჭიროებოდა, თბილისიდან მოიწვიეს პოეტური სიტყვის დიდოსტატი მუხრან მაჭავარიანი. მას თან ახლდნენ მწერალი-ისტორიკოსი ლევან სანიკიძე, მწერალი და კრიტიკოსი თამაზ წივწივაძე, მწერალი რეზო ჭეიშვილი.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სააქტო დარბაზი მოწვეულ სტუმრებს ვერ იტევდა. ჟღერდა ქართული საგალობლები. მის ფონზე მუხრანის ძარღვიანი პოეტური ლირიკა ელამუნებოდა და კიდევ უფრო ამაღლებდა პოეზიის მოყვარულთა საზეიმო განწყობას. პატრიოტული სულისკვეთების სურვილს აღძრავდნენ მისი უმშვენიერესი ლექსები: „შენ, სისხლო ჩემო, სად არ დაღვრილო...," „საშველს რომ აღარ მაძლევს ხოლმე მამულზე ფიქრი...," „დუმილი რეკავს," „ორი ცრემლიდან საქართველოს გაჰყურებს საბა...," „რა ბედენაა დიდუბის და მთაწმინდის მიწა, თუ სიკვდილია - აი, წოლა მესმის შამქორში" და ა.შ:

„ვიტყვი, –
ჯვარზე მაცვან თუნდა,
გამოადგე მამულს უნდა:
ან
სიცოცხლით,
როგორც ვაჟა!
ან
სიკვდილით,

როგორც ცხრა ძმა! –
არ არსებობს
სხვა გზა!“

მომავლის რწმენა დიდია მის პოეზიაში. სწორედ ამის გამოა ნათქვამი საქართველოსადმი:

„...არ შეიძლება
არ გიმღეროს ვინმემ იმ ძალით,
როგორც გიმღერა
დიდმა შოთამ,
დიდმა ვაჟამ,
რადგან
არასდროს არ ყოფილა შენი მიზანი –
დიდი იმდენად,
რამდენადაც
არის ამჟამად.“

საღამო გაიხსნა ფილმით, სადაც საქართველოს ისტორიის შემაძრწუნებელი სურათი აისახა. მაყურებელთა თვალწინ ცოცხლდებოდა კადრები, თუ როგორ ყრიდნენ ცეცხლმოკიდებული სახლებიდან ყიზილბაშები და ტყვეებად მიჰყავდათ ფერეიდანში აწიოკებული ქართველები. მათი რიცხვი კი 200 ათასს აღწევდა...

საღამო მიჰყავდა ჰუმანიტარული განყოფილების მეთოდისტს თამარ კვაღინიძეს.

სულში ჩამწვდომი იყო ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორის ავთანდილ ცოტნიაშვილის გამოსვლა. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მოწვეული მწერლები. ისინი ცხინვალელებს კიდევ ერთხელ შეახსენებდნენ საქართველოს ისტორიას, საუბრობდნენ ქართველი ხალხის შეუპოვარი სულის შესახებ.

შემოქმედებით საღამოზე ლევან სანიკიძემ თავის გამოსვლაში მუხრან მაჭავარიანს ქართული ლექსის ნოვატორი და ზნეობრივი სჯულმდებელი უწოდა. იგი ხომ მეორე მსოფ-

ლიო ომის შემდგომ პერიოდში მოვიდა ქართულ ლიტერატურაში. მოვიდა საკუთარი ნიჭით, საკუთარი ხმით და ახალი სიმი აჟღერდა ქართული პოეზიისა.

დარბაზში ისმოდა №1 და №4 ქართული საშუალო სკოლების მოსწავლეების: დარეჯან, ცისანა, შორენა დვალიშვილების, მზია, ნადია ჩლაიძეების, მაია დოიჯაშვილის, ხათუნა ბასიშვილისა და სხვათა გრძნობით წარმოთქმული მუხრანის ლექსები - ნათელი, გამჭვირვალე, აზრით დამუხტული, ვაჟკაცური, ომახიანი, ქართველი კაცის სატკივარით აღსავსე.

მრავალი თბილი სიტყვა ითქვა იმ საღამოს მუხრან მაჭავარიანისადმი. მისი პოეზიის თაყვანისმცემლები გულწრფელ პატივისცემას გამოხატავდნენ. მღეროდა ანსამბლი „ლიახვი...“

შთამბეჭდავად გაისმა მუხრანის პოეზიის ერთ-ერთი თაყვანისმცემელი მანდილოსნის საიდუმლონარევი ჩურჩულით სცენიდან წაკითხული პოეტისეული მშვენიერი სტრიქონები:

„გაივლის დრო და...
- გახსოვს?! -
გეტყვი დღევანდელ დღეზე;
შენ შემომხედავ,
აგევსება თვალები ცრემლით -
- აი,
ხომ ხედავ -
სასურველის
მიღწევა შევძელ...“

დღესასწაული დააგვირგვინა თავად პოეტის მკვეთრი, ომახიანი, მიზანმიმართული, გულში ჩამწვდომი ხმით წაკითხულმა საკუთარმა ლექსებმა. დარბაზი ტაშით შეხვდა ძვირფას სტუმარს. მან წაიკითხა პატრიოტული ლექსები:

„მე ისეთ ქართველს რა ვუთხრა,
რა ვუთხრა ისეთ ამხანაგს,

ვინც ვერ ახერხებს ქართულად,
წერას, კითხვას და ლაპარაკს...“

ამ მოწოდებით დაასრულა თავისი გამოსვლა დიდმა პოეტმა. იგი დამსწრეთა წინაშე წარსდგა როგორც მხატვრული სიტყვის დიდოსტატიც, რამაც კიდევ უფრო გაალამაზა ის საღამო - ჭეშმარიტი პოეზიის დღე - სასწაული.

დაუვიწყარ საღამოზე მუხრანის ლექსებს დიდი სიყვარულით კითხულობდნენ მამუკა კუსიანი, ეკა მინდიაშვილი, მაია გოჩაშვილი, ხათუნა ცოტნიაშვილი და სხვები.

სასახლეში დაწყებულმა პოეზიის საღამომ ტრადიციულად სუფრასთან გადაინაცვლა. გვიანობამდე ისმოდა ანსამბლ „ლიახვის“ წევრების - შოთა დარბუაშვილის, ვალმერ ბაბუციძის, ზაზა თედიაშვილის, გივი კახიაშვილის, ელგუჯა კეკოშვილის, მევლუდ სამადალაშვილის, დავით ელბაქიძის, ჰამლეტ გოგიძის, საამო ჰანგები...


დრო კი გასულა... ბევრი რამ შეიცვალა ცხინვალელთა ცხოვრებაში. მათ დამძიმებულ გულს მოუშუშებელი ნაიარევი დარჩა - მშობლიურ კუთხესთან იძულებით განშორებით გამოწვეული. იმ ტკივილიან დღეთა ფონზე ერთგვარი გამონათებაა მუხრან მაჭავარიანის პოეზიის ის უმშვენიერესი საღამო. თავად პოეტისა არ იყოს: „კურთხეულ იყოს ყველაფერი თავისთავადი, ადამიანის სიხარულს რაც ხალისსა მატებს!“

მას შემდეგ წლები გავიდა... ქართველ მწერლებთან ის შეხვედრა კი მარად სახსოვარი იქნება მათთვის, ვინც ამ ლამაზ სანახაობას ესწრებოდა...

„მწუხარე სულის რაინდი“ - ამ რუბრიკით გაზეთ „საბჭოთა ოსეთში“ (23.12.1987 წ.) გვერდი ეთმობა ტერენტი გრანელის დაბადებიდან 90 წლისთავს. მართლაცდა, XX საუკუნის ქართულ პოეზიაში ტერენტი გრანელს სრულიად დამოუკიდებელი და თვითმყოფადი ადგილი უჭირავს. იგი არავის არ ჰგავს და მხოლოდ საკუთარ გზას მიიკვლევს პოეზიის უკიდეგანო სარბიელზე. ყველასგან მკვეთრად გამორჩეულია არა მარტო

თემატიკითა და განწყობილებით, პოეტური აქსესუარით, არამედ სიცოცხლის საზრისის მძაფრი განცდით, ცხოვრებისადმი მოწამეობრივი დამოკიდებულებით, ბნელისა და ნათლის, სიკეთისა და ბოროტების სასონარკვეთილი გამიჯვნით.

ეს სრულებითაც არაა პესიმიზმი ჩვეულებრივი გაგებით. ცხოვრების არარაობის მისეული აღქმა და ბედის ირონიული ტრიალი, სიცოცხლეშივე სიცოცხლეზე უარის თქმა სწორედ სიცოცხლეზე უსაზღვროდ შეყვარებულ ადამიანს ძალუძს. ტერენტი გრანელი თითქოსდა ვერ ეტეოდა დედამიწაზე და ზეცაში ასვლას ლამობდა, მწუხარე სულის რაინდი შეუცნობისა და მარადიულისკენ სწრაფვაში ჩაიფერფლა.



ცხინვალის წარსული მდიდარია ხალხისა და ერის კულტურის საქმისათვის თავდადებულ შვილთა სახელებით. მოქალაქეობრივი სინდისი გვიკარნახებს, დავიწყებას არ მივცეთ მათი ხსოვნა და გავაცნოთ მომავალ თაობას, თუ როგორი მხნე ნაბიჯით მიიწევდნენ ისინი უკვლევ გზაზე.

ვ. კასრაძე

ცხინვალის ძირძველ კასრაანთუბანში დაბადებულ-გაზრდილი ვახტანგ კასრაძე, თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტობისას აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში. მისი ინტერესის არეალს წარმოადგენდა სწავლა-აღზრდისა და სოფლის მეურნეობის საკითხები. მის წერილებს ბეჭდავდა ოსური ჟურნალი „მასწავლებლის დამხ-

მარე," გაზეთები: „სახალხო განათლება," „საბჭოთა ოსეთი," „საბჭოთა მასწავლებელი." სტუდენტობის პერიოდში, ერთ-ერთ ზაფხულს, მაშინდელ სახელმწიფო დრამატულ თეატრში რეჟისორობდა „ქართულ დასს."

უმაღლესი სასწავლებლის დასრულების პარალელურად, დაამთავრა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მუსიკალური ტექნიკუმი. მშობლიურ ქალაქში დაბრუნებისთანავე, პედაგოგიურ საქმიანობას იწყებს სტალინირის (ცხინვალის - რ. ო.) ქართულ საშუალო სკოლაში ფიზიკის მასწავლებლად.

აქტიურ პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, სამ (1936-1939) წელიწადს შეთავსებით მუშაობდა საოლქო გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" რედაქტორის მოადგილის რანგში.

ლიახვისპირა ქალაქის პირველი ქართული საშუალო სკოლის ლეგენდარული დირექტორი „არაჩვეულებრივი მრავალმხრივობით გამოირჩეოდა. მისთვის წარმოუდგენელი იყო ერთი პროფესიით შემოფარგვლა. შეუდარებელი ხელმძღვანელი, ერთნაირი გატაცებით ასწავლიდა ფიზიკასა და მუსიკას. პროფესიონალი აგრონომი გზის გამკვალავია თეატრალური ხელოვნების იდუმალების წვდომისაკენ."

„უკეთესი წარმატებით" - ამ სათაურით გამოქვეყნდა გაზეთ „საბჭოთა ოსეთში" (15.03.1966 წ.) საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის ვახტანგ კასრაძის წერილი, სადაც ასახულია სკოლის ყველა კლასის მოსწავლეთა ნამუშევრების ტრადიციული გამოფენა და მხატვრული თვითმოქმედების შიდასასკოლო დათვალიერება.

როგორც ამაგდარი პედაგოგი აღნიშნავს, - პირველ და ორ მარტს მოეწყო მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა. წარმოდგენილი იყო ოთხასამდე ექსპონატი. აქ თქვენ ნახავდით რკინასა და ხეზე ნამუშევრებს, ნაქარგებსა და ნაკერებს, ნახატებსა და ნაძერწებს, მაკეტებსა და სხვადასხვა ხელსაწყო-იარაღებს. მნახველს თვალში ეცემოდა დაწყებითი კლასების მოსწავ-

ლეთა ბავშვური ფანტაზიით და გემოვნებით დამზადებული ექსპონატები. პირველი კლასებიდან - გია ჭოველიძის „პატარა ხის მაგიდა," კონა კასრაძის ხავსითა და პლასტილინით შესრულებული მაკეტი - „კურდღლების ნადიმი ტყეში," მეორე კლასებიდან - გია შაორშაძის ნაძერწი პლასტილინზე „ტარიელის შებრძოლება ვეფხვთან," გიორგი ნადირაძის „სასადილო მაგიდა," ვაჟა წერეთლის მაკეტი „ძია ვანოს ეზო." მესამეკლასელებს უფრო რთული ნამუშევრები ჰქონდათ წარმოდგენილი. მათ შორის ყურადღება მიიპყრო თენგიზ ბერუაშვილის „ჭურჭლის კარადამ" და თამაზ ჯაფარიძის „საკლასო დაფამ," ხოლო მეოთხეკლასელ ვახტანგ გოგიძის „ქარის მიმართულების მაჩვენებელმა" ყველა გააოცა.

საინტერესო ექსპონატები წარმოადგინა მეხუთეკლასელ მოსწავლეთა ჯგუფმა, მათ შორის „ორთქლის რეაქტიულძრავიანი მოქმედი ნავი." მეექვსე კლასიდან კარგად იყო შესრულებული ქეთინო კახიაშვილის „ნაკერი წინსაფარი" და ალექსანდრე კახიაშვილის „გასაშლელი მაგიდა." მეშვიდე კლასების ნამუშევრებიდან გამოირჩეოდა გ. დარსაველიძის და თ. ნალბანდოვის „წყლის სადისტილაციო ხელსაწყო."

მნახველები ინტერესით ათვალიერებდნენ ალექსანდრე კასრაძის მოქმედ დაფას „შეამოწმე შენი ცოდნა" (VIII კლასი), აგრეთვე, ბეგლარ მჭედლიძის ნამუშევარს „სხვადასხვა წინაღობის სადემონსტრაციო ხელსაწყო, გ. ჯიოევის „ელექტრომოტორს," ალექსი ინაურის „სამანქანო გირაგს."

კარგია ლილი დოიჯაშვილის „ტილოზე ნაქარგი ყვავილები" (IX კლასი), თ. მიქაბერიძის, მ. მეშვილდიშვილისა და ნ. ბურნაძის „კოლოსალური გადაცემის მაკეტი," ე. ყაულაშვილის „წყალბადის მისაღები ხელსაწყო." დამთვალიერებლები მოხიბლა ნორჩი მხატვრების ნამუშევრებმა. ბ. ბუგიანიშვილის საინტერესო ჩანახატებმა, ნ. მაღალდაძის სურათმა „გაზაფხულის მახარობლები" და დ. მეშვილდიშვილის ილუსტრაციებმა.

გამოფენა, გარდა მოსწავლეებისა, ინახულეს მოსწავლეთა

მშობლებმა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, რომლებმაც ღონისძიებას მაღალი შეფასება მისცეს.

3 მარტს დაიწყო და 6 მარტს დამთავრდა მხატვრული თვითმოქმედების შიდასასკოლო დათვალიერება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 360-მდე მოსწავლემ.

დათვალიერებამ, რომელშიც ყველა კლასი მონაწილეობდა, გამოავლინა ნორჩი პოეტები, მომღერლები, მოცეკვავენი, მხატვრული წამკითხველები, სცენის მოყვარენი, ილუზიონისტები, მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელები.

დათვალიერების პირველი საღამო მიეძღვნა დაწყებითი კლასების გამოსვლას. მაყურებლები მხურვალე ტაშით აჯილდოებდნენ ნორჩ დეკლამატორებსა და მომღერლებს: გია შაორშაძეს, კონა კასრაძეს, რუსუდან ოქროპირიძეს, ეკა გოგინოვას. აღტაცებას იწვევდა მეორეკლასელი მოსწავლეების: ბორცვაძის, კაჟაშვილის, მამისაშვილისა და ზადიშვილის შესრულებული სცენა „დავიცვათ ქართული ენის სიწმინდე," ზადიშვილის წარმოდგენილი სცენა „საჩუქარი დედას," კ. ჯავახიშვილის მიერ წაკითხული იუმორისტული ლექსი „დათას წვეულება." ლამაზად შეასრულა სიმღერები „არაგვი" და „ჩემი წიწილები" - IV კლასის გუნდმა, მოსწავლე შოთა დარბუაშვილის ლოტბარობით.

მეორე და მესამე საღამოს სცენა უფროსკლასელებს ეკავათ. კარგი იყო V-VIII კლასების მოსწავლეთა გამოსვლა. ნორჩმა დეკლამატორებმა ნ. ბურნაძემ, ე. ოქროპირიძემ, მ. ბაბუციძემ, ჯ. გოჩაშვილმა, ნ. პაპალაშვილმა მშვენივრად წაიკითხეს ლექსები.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ VI-1 და VIII-1 კლასების მოსწავლეთა მიერ შესრულებული „ფიზკულტურული პირამიდები," ნ. კაპეიკინის და ი. ცერაძის სცენა „კაკო ყაჩაღიდან," ს. მეშვილდიშვილისა და ნ. არეშიძის ცეკვა „ქართული."

ყველაზე მეტად მაყურებელი გაახარა IX-XI კლასების მოსწავლეთა გამოსვლამ. ნომრები ერთიმეორეზე უკეთესი იყო.

მოსწავლემ მ. ნასუაშვილმა წაიკითხა ი. გოგებაშვილისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი. ალ. ბეგალოვმა კარგად შეასრულა სიმღერა „ქვეყნის ულამაზესი ქალაქი."

განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად XI კლასების მოსწავლეებს. შესანიშნავი იყო ქალდე და ცარო ბურნაძეების გამოსვლა. მშვენივრად შეასრულეს ცეკვები „განდაგან" და „თუშური" ვ. კასრაძემ და მ. დევიძემ. სკეტჩებსა და სცენებში გამოირჩეოდნენ გ. პაპელიშვილი, ქ. ბურნაძე და რ. ოტიაშვილი. უნდა შევნიშნოთ, რომ რ. ოტიაშვილმა სულ ახლახან დაიწყო სცენაზე გამოსვლა და ყურადღებაც მიიქცია. თანატოლებს არც ნ. ზოზიაშვილი, გ. მწყერაძე, მ. ბეთეევი, თ. ჭაია, ზ. დარბუაშვილი და ი. ყაზახაშვილი ჩამორჩნენ. მათი შესრულებული ნომრები ტაშის გრიალში იძირებოდა.

საამაყოა, რომ ყოველწლიურად, ადრეულ გაზაფხულზე, შიდასასკოლო მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერება ცხინვალის პირველ საშუალო სკოლაში მუდამ მოწოდების სიმაღლეზე ტარდებოდა.

ღირსეული ცხინვალელი ინტელიგენტის, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის, თინა ბახტაძის თქმით, ვახტანგ კასრაძე ოცდაცამეტი წელი უნარიანად ხელმძღვანელობდა №1 ქართულ საშუალო სკოლას, რომლის შესანიშნავი ტრადიციები მან კიდევ უფრო გაამდიდრა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობა. „მე მასთან სასწავლო ნაწილის გამგედ ვმუშაობდი, ამიტომ ბევრი სასიამოვნო მოგონება მაკავშირებს. მახსენდება ის, როგორც მრავალმხრივ განვითარებული პიროვნება, რომელსაც უზომოდ უყვარდა თეატრი, მუსიკა, სიმღერა. ამასთან, ღრმად ფლობდა ზუსტ მეცნიერებებს.

იგი ფიცხი იყო, უყვარდა დისციპლინა. მახსენდება, ერთხელ, ექიმთან წავიდა, მე მთხოვა, სკოლა არ მიმეტოვებინა. დავეთანხმე, მაგრამ მარტოხელა ქალი ვიყავი და შვილები საბავშვო ბაღში უნდა წამეყვანა. ვიფიქრე, ერთ წუთს გადა-

ვირბენ და მალევე მოვბრუნდები მეთქი. მართლაც სწრაფად დავბრუნდი, მაგრამ ისიც მოტრიალებულიყო და ეზოში შევხვდით ერთმანეთს. ძალიან ეწყინა, გამიწყრა, მაგრამ გული მალევე მოუბრუნდა და შევრიგდით.

შარშან (1995 წ.) შემოდგომაზე, ცხინვალში, ლენინის ქუჩაზე მივდიოდი. №1 ქართულ საშუალო სკოლის წინ რამდენიმე მამაკაცი იდგა და დამწვარ კედლებს შეჰყურებდა. ვახტანგ კასრაძევ, აფსუს შენი სკოლა როგორ გამოიყურება! - გავიგონე. მივიხედე, ჩვენი ქალაქის მკვიდრი, ჭაღარათმიანი მამაკაცები სინანულით აქნევდნენ თავს.

მჯერა, მალე ყველაფერი კეთილად დამთავრდება და ცხინვალში ორივე ხალხი მშვიდობიანად, შეთანხმებულად იცხოვრებს.

ახლა, დაგვიანებით, მაგრამ მაინც, მინდა ყველას, ვინც პატივს სცემს დიდი საზოგადო მოღვაწის, ვახტანგ კასრაძის ხსოვნას, მივულოცო მისი დაბადების 85 წლისთავი. მომავალში ერთად, გულთბილ ვითარებაში, ცხინვალში აღგვენიშნოს მისი საიუბილეო თარიღი."

როგორც პროზაიკოსი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი ნელი ჩალაური აღნიშნავს, ვახტანგ კასრაძემ მრავალ ახალგაზრდას გაუკაფა ცხოვრების გზა. მის მიერ დამოძღვრილთა შორის არიან ისეთები, რომლებიც მეხსიერებაში სათუთად ინახავენ თავიანთი აღმზრდელისა და დიდი მეგობრის სახეს. მათ შორის იყო ცხინვალელი აწ განსვენებული გასპარ ხაჩატუროვი. იგი მრავალი წლის განმავლობაში შრომობდა ხელმძღვანელ თანამდებობაზე ვაჭრობის სფეროში, იყო ცხინვალის ქართულენოვანი საოლქო გაზეთის პასუხისმგებელი მდივანი, რედაქტორის მოადგილე. მან მრავალი, მეტად საინტერესო მასალები შეაგროვა დიდი პედაგოგის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

აღსანიშნავია გ. ხაჩატუროვის მიერ თავისი აღმზრდელის მიმართ ფრონტიდან გამოგზავნილი წერილები, რომლებიც

აღმზრდელმა უკლებლივ შეინახა და ომიდან დაბრუნებულ ავტორს გადასცა, სადაც ჩანს, ნამოწაფარსა და აღმზრდელს შორის წრფელი დამოკიდებულება. მარტო მიმართვების წაკითხვაც საკმარისია, რომ ამოიცნო ავტორის განწყობა: „ჩემო ძვირფასო ვახტანგ!“ „ჩემო აღმზრდელო და მასწავლებელო!“ „სალამი ჩემს უძვირფასეს მასწავლებელს, მშობლიურ ვახტანგს!“ „უძვირფასესო და უახლოესო მეგობარო, მასწავლებელო და აღმზრდელო!“ „ჩემო უძვირფასესო ადამიანო!..“ ეს წერილები უწყვეტი დიალოგია ორ ადამიანს შორის და უმცროსი მეგობრის სულიერი საზრდოა.

ავტორს არ ავიწყდება, რომ „ეს ის ვახტანგია, რომელთანაც ძალიან ტკბილი დღეები გამიტარებია. მთელი დღის შრომის შემდეგ, საღამოთი, ერთად გვილაპარაკია, ერთად გვიცინია და სახლამდე მიმიცილებია...“

წერილებში არაერთგან ნახსენებია გაზეთი „საბჭოთა ოსეთი,“ ცხინვალელთათვის კარგად ცნობილი ადამიანები, მათ შორის გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ ყოფილი რედაქტორი არჩილ მამისაშვილი, რომელიც ასევე ვახტანგ კასრაძის აღზრდილი და გასპარ ხაჩატუროვის მეგობარი იყო.

მადლიერი ნამოწაფარი თავის ერთ-ერთ მოგონებაში წერს: „ჩემთვის თეატრის ბილეთებს ყოველთვის ვახტანგ კასრაძე შოულობდა. მერე დიდხანს ვსაუბრობდით ნანახის გარშემო, უფრო ხშირად მის ოჯახში. არასოდეს დამავიწყდება ჩემი მასწავლებლის დედის - დეიდა სონას, ამ შესანიშნავი წარმოსადეგობის, საკმაოდ მიმზიდველი ფიზიკური გარეგნობისა და მეტად მდიდარი სულიერი სილამაზის მქონე ქალის ყოველთვის მხნე, შთამბეჭდავი გამოხედვა, შვილის მოსწავლეებთან გულთბილი, დედობრივი შეხვედრები. ომისდროინდელ შეზღუდულ ლუკმას იგი სტუმრებს გულწრფელად უზიარებდა და რამდენჯერ შემიმჩნევია, რომ მაგიდაზე, მის წინ, საკმარისი პურის ნაჭერი აღარ აღმოჩენილა, რაც მას ყოველთვის საკმარისი ჰქონდა როგორც თავისთვის, ასევე სტუმრებისთ-

ვის. ეს საკუთარ ნაკვეთში მოკრეფილი ჭანჭურის, ქლიავის, ვაშლისა და მსხლის ჩირისგან მომზადებული კომპოტები იყო. რა გემრიელად შევექცეოდით ამ კომპოტებს. სუფრაზე მოტანილ ჩირისგან კი ჩაის მივირთმევდით."

საქართველოს განათლების სისტემის მაშინდელი გამოჩენილი დირექტორის მომავალი თაობისადმი ფანატიკური ზრუნვა, რაღაც განსაკუთრებულად დამახასიათებელი თვისება იყო. ახლოს იცნობდა სკოლის მოსწავლეთა მშობლების უმრავლესობას. „ზოგს სახლში ეწვეოდა ხოლმე, იქვე გაესაუბრებოდა, ხშირად ოჯახურ მდგომარეობასაც არკვევდა. როცა რომელიმე მოსწავლეს ამა თუ იმ საგანში სწავლა უჭირდა, თავისივე კლასის ძლიერ მოსწავლეს მიუჩენდა, რომ დახმარება გაეწია. მხედველობიდან არ რჩებოდა მატერიალურად გაჭირვებული ოჯახებიც...

იგი საფუძვლიანად სწავლობდა თითოეულის ბუნებას, განსაკუთრებით ხელოვნებისკენ მიდრეკილი ბავშვები უყვარდა, ბედნიერად გრძნობდა თავს, როცა რომელიმე კარგად მღეროდა, ცეკვავდა, ან კარგად ასრულებდა როლს რომელიმე სპექტაკლში." პატივცემული პედაგოგი, მოსწავლეებს ხელს უწყობდა როგორც სწავლაში, ასევე ცხოვრების გზის გაკვალვაშიც.

აღსაზრდელებისადმი გულისხმიერების ერთ-ერთი მაგალითია 1960 წლის 17 მარტს ბატონი ვახტანგის მიერ, მოსწავლის, ნათელა დათაშვილისადმი (ამჟამად დევნილი, თბილისში) გაგზავნილი წერილი:

„ჩემო ნათელა!

დღევანდელი დღე სულ სირბილში გავატარე და ველარ მოვიგონე, რომ შენი დაბადების დღე იყო.


გიგზავნი მცირე საჩუქარს და გისურვებ მრავალ ჩვიდმეტ წელს სიცოცხლეს.

გეხვევი და გკოცნი,

შენი მასწავლებელი - ვახტანგ კასრაძე

17. III-60 წ.

საქართველოს დამსახურებული მასწავლებლისთვის გაზეთთან თანამშრომლობა საპატიო მოვალეობად ქცეულა. იგი წერს იმ დროისთვის არსებულ საჭირბოროტო საკითხებზე. უშუალოდ მშობლიური თეატრის მიერ განხორციელებულ დადგმებზე. სამ ათეულ სტატიაში გამოხატა ორიგინალური შეხედულებანი დრამატულ ხელოვნებაზე.




ცხინვალის საუკუნოვან ქართულ საშუალო სკოლას მიესალმება პოეტი ნუგზარ ცერაძე:

„მოგესალმები, ჩემო ბავშვობავ, ფერგადასულო
გულის კუნჭულში, ვით ბეჭედში, ლალად ჩასმულო,
მოგესალმები, ჩემო სკოლავ, ჩემო წარსულო,
ვახტანგ კასრაძის დალოცვილო ვაჟო, ასულო.
მოგესალმები, ჩემო სკოლავ, სკოლავ ქართულო,
ლიახვის პირზე დანგრეულო, სკოლავ ქართულო,
ასი თაობის გამომზრდელო, სკოლავ ქართულო,
ვახტანგ კასრაძის კურთხეულო, სკოლავ ქართულო.
დრომ წარიტაცა ძველი სკოლა, თაობა ძველი,
დრომ ჩამოადნო საუკუნე, ვითარც სანთელი,
ვით გაიქროლა, გაიქროლებს კვლავ ასი წელი,
სხივი დარჩება დროის გზაზე, სხივი ნათელი.

კვლავ გაჩნდებიან სხვა ვახტანგი, სხვა მაჩაბელი,
კვლავ მოვლენ მათი შვილები და შვილიშვილები,
კვლავ ჩამოდნება საუკუნე, ვითარც სანთელი,
კვლავ დალოცავენ სკოლას ქართულს დალოცვილები.
მოგესალმები, ჩემო ბავშვობავ, ფერგადასულო,
ვახტანგ კასრაძის დალოცვილო სკოლავ ქართულო,
გულის კუნჭულში, ვით ბეჭედში, ლალად ჩასმულო,
მოგესალმები, ჩემო სკოლავ, ჩემო წარსულო.“

„სამაჩაბლოში ქართლის ცრემლი“ იყო მისი საწუხარი, გაუსაძლისი ტკივილი...


მიხეილ ცოტნიაშვილი

ავბედითი ოთხმოცდაჩვიდმეტი წლის ზაფხულის მიწურულს, ამ ცოდვა-ბრალით დამძიმებულ საწუთროს განერიდა და ზეციურ მარადიულობას შეუერთდა ცნობილი მეცნიერი, მწერალი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (შემდგომ უნივერსიტეტის, ქ. გორში) ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს საერთაშორისო საზოგადოება „ცოდნის“ ცხინვალის რეგიონის თავმჯდომარე, პროფესორი მიხეილ ცოტნიაშვილი.

სწორად ბრძანებდა პოეტი:

„რამდენს ქვეყნიდან წასული კაცის
ვერ გადავიხდით უდიდეს ამაგს,
მაგრამ ის ერთი – სხვა იყო მაინც,
კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს.“

ვაი, რა მუხა წაიქცა! წაიქცა და დააკლდა მისთვის სათაყვანებელ, მრავალტანჯულ ცხინვალქალაქს, ქართველ ერს, სრულიად საქართველოს.

სულმნათი მიხეილი XX საუკუნის სამოციანი წლებიდან ცხინვალური ინტელიგენციის ერთ-ერთი გამოჩენილი, კოლორიტი პიროვნება გახლდათ. ფართო საზოგადოებაში თავისი დაუდგრომლობით, რაღაც განსაკუთრებული ტაქტით, ჩვეული გულისხმიერებით გამოირჩეოდა. ზნეკეთილ ცხინვალელს, თხემით-ტერფამდე ქართველს, მხარს უმშვენებდა ერთგული მეუღლე, სათნო კოლხი ქალბატონი როზა კვაშილავა, რომელმაც ცოტნიაშვილების საგვარეულოს ოთხი შვილი - ლეილა, ზურაბი, მაია, მამუკა შესძინა.

მთის ნაჟურივით სუფთაა და კრიალოსანივით აწყობილი ბატონი მიხეილის ნაადრევად შეწყვეტილი ცხოვრების ბიოგრაფია. დაიბადა 1935 წლის 9 მარტს ცხინვალელი მოსამსახურის - შალვა ცოტნიაშვილის ფუძეძლიერ ოჯახში. წარჩინებით დაამთავრა ცხინვალის №1 ქართული საშუალო სკოლა.

სწავლას მოწადინებულმა ახალგაზრდამ მისაღები გამოცდები ჩააბარა ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1959 წელს დაასრულა აღნიშნული უმაღლესი სასწავლებელი. ერთხანს მუშაობდა ცხინვალში გამომავალ ქართულენოვან საოლქო გაზეთის რედაქციაში პროპაგანდის განყოფილების გამგედ.

1962-1968 წლებში - საოლქო მხარეთმცოდნეობის სახელმწიფო მუზეუმის ისტორიის განყოფილებას განაგებდა. დაუზარლად იღვწოდა აღნიშნული განყოფილების ექსპონატებით განახლებისა და გამდიდრებისთვის.

1969 წლიდან - ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის კათედრის უფროსი მასწავლებელია. მან მაღალი ენთუზიაზმით განაგრძო მეცნიერული კვლევა-ძიება და თბილისის ისტორიისა და ეთნოგრაფიის სახელმწიფო ინ-

სტიტუტში წარმატებით დაიცვა დისერტაცია, მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

საგულისხმოა, რომ მიხეილ ცოტნიაშვილის საკანდიდატო დისერტაციის დაცვის პაექრობაზე აწ განსვენებულმა პროფესორმა იოსებ მეგრელიძემ მისი ნაღვაწი შეაფასა, როგორც სადოქტორო დისერტაცია. ასევე მსგავსი შეხედულებისანი იყვნენ სხვა თვალსაჩინო მეცნიერებიც.

შემდგომ, ყველა ელოდა ბატონი მიხეილისგან სიახლეს, ფართოდ გადადგმულ ნაბიჯს მეცნიერებაში. მისმა კოლეგებმა კარგად იცოდნენ, რომ მას მზად ჰქონდა სადოქტორო სადისერტაციო ნაშრომის დედანი ხელნაწერის სახით, რომელიც ჩვენი რეგიონის ცნობილი მოვლენების - ქართულ-ოსური დაპირისპირების იმ ქარ-ცეცხლიან დღეებში ცხინვალში დარჩა.

დევნილობის წლებში, მოულოდნელ გარდაცვალებამდე, მ. ცოტნიაშვილი ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე მუშაობდა და დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ლექტორ-მასწავლებელთა და სტუდენტ-ახალგაზრდობაში.

მიხეილ ცოტნიაშვილი დაუღალავად ირჯებოდა ცხინვალქალაქის ისტორიის კვლევა-შესწავლაში. აღნიშნულ თემაზე მან არაერთი სტატია თუ ნაშრომი გამოაქვეყნა ადგილობრივ თუ რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში.

მწერალსა და მეცნიერს განსაკუთრებით მოუხვეჭა სახელი წიგნმა „ცხინვალის ისტორია (ცხინვალი ფეოდალიზმის ხანაში),“ სადაც შესანიშნავად ასახა ისტორიული შიდა ქართლის ამ უძველესი ქართული ქალაქის წარსული. იგი მუდამ ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. იქ იყო, სადაც საზოგადოებას სჭირდებოდა. არ კეთდებოდა არც ერთი ეროვნული საქმე, მისი აქტიური მონაწილეობის გარეშე.

ქართულ-ოსური კონფლიქტის გამო, ცხინვალის რეგიონიდან ქართველების დევნილობის გაუსაძლის ჟამს, ლიახვისპირელი მეცნიერისა და შემოქმედის მიზანსწრაფვა მშობლიური ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ამოქმედებისაკენ იყო

მიმართული. სწორედ პროფესორების - მიხეილ ცოტნიაშვილისა და ვიანორ ახალაიას (შემდგომ, ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი) ერთობლივი ძალისხმევით, ორგანიზებულ იქნა ქ. გორში ცხინვალის დევნილი უმაღლესი სასწავლებელი, რომელმაც დროებითი თავშესაფარი გორის ეკონომიკური ინსტიტუტის (ამჟამად, სასწავლო სახელმწიფო უნივერსიტეტი) მესამე კორპუსში დაიდო.

ვინც იცის დევნილობაში ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსების ისტორია, მას ისიც ახსოვს, თუ როგორი რუდუნებით იღვწოდა ბატონი მიხეილი, რექტორ ვიანორ ახალაიასთან ერთად, პირველ ეტაპზე ჩვენი პედინსტიტუტის ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალად ჩამოყალიბებისთვის. სამწუხაროდ, არ დასცალდა...

მკვლევარ-ისტორიკოსს განუზომელი წვლილი მიუძღვის ქ. გორში, ჯერ ცხინვალის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ „შიდა ქართლის," შემდეგ კი ცხინვალის რეგიონის მწერალთა გაზეთ „ლიტერატურული ცხინვალის" დაარსებაში. ასევე, თავისი საქმით გამართლებული სიტყვა ეთქმოდა საქართველოს მწერალთა საერთო-ეროვნული კავშირის ცხინვალის რეგიონული ორგანიზაციის ამოქმედებაში.

ქედუხრელი ქართველის აწეწილი ფიქრის გორგალი მუდამ ცხინვალის ირგვლივ ტრიალებდა. როგორც ჟამთააღმწერი, აწონილი სიტყვით ქმნიდა ქართველებისგან იძულებით მიტოვებული ქალაქის ურთულესი დღევანდელობის მატიანეს, ხატავდა ისტორიის ქარტეხილებით მოტანილ რეალურ სურათებს. მისი შემოქმედებითი ნაღვაწი რუბრიკით - „თქმა მართლისა სიმართლისა" რეგულარულად იბეჭდებოდა გაზეთ „ლიტერატურული ცხინვალის" ფურცლებზე მრავლის მეტყველი სათაურით „ცხინვალის ცრემლები."

სამწუხაროდ, განუხორციელებელი დარჩა „ცხინვალის ცრემლების" წიგნად გამოცემა. თბილისში, მისი უეცარი გარ-

დაცვალების წინ, საწერ მაგიდაზე გაშლილ ხელნაწერ ფურცლებში ბოლო სიტყვები „...ამის შესახებ...“ ვერ დაასრულა, რამეთუ, აღსასრულმა უწია.

იგი დღენიადაგ ცდილობდა, სიტყვით თუ საქმით, პირადი წვლილი შეეტანა ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებაში.

მიხეილ ცოტნიაშვილი ყოველთვის უშურველად გასცემდა თავის მდიდარ გამოცდილებას კოლეგებს, ეხმარებოდა შეჭირვებულ თანამშრომლებს ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. მამულისა და მოყვასის სიყვარულმა, ირგვლივ მყოფთა მიმართ გაღებულმა სითბომ და სიკეთემ სიცოცხლეშივე აქციეს ლეგენდარულ პიროვნებად.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან, ცხინვალის რეგიონში მშვიდობიანი ცხოვრება დაირღვა და დიდი ვაჟკაცი არ იყოს, ჩამოწვა „ჯანღი რამ, კურუმად შავის ფერითა.“ ეს კი გულს უღონებდა და ადარდებდა ცხინვალის მემატიანეს.

საკუთარ სამშობლოში დევნილის ტრაგიკული ყოფიერების დამთრგუნველ დროს, მისთვის უმძიმესი დარტყმა იყო მეუღლის დაკარგვა.


„...მუსიკის ხმებში ახშობენ ტკივილს,
საოცარია ფერისცვალება,
ისევ მარტო ვარ და მეშინია
უცხო ქალაქში გარდაცვალება.“

ბოლო ხანებში ცხინვალელ ჟამთააღმწერს აკვიატებული ჰქონდა ცხინვალელი პოეტის შოთა დარბუაშვილის ამ ლექსის სტრიქონები, - მაინც რამ დააწერინა, ასე ზუსტად როგორ ჩაწვდა ჩვენს გულისტკივილსო.

სამწუხაროდ, იგი ვერ ასცდა „უცხო ქალაქში გარდაცვალებას.“ მიიბარა არა ცხინვალის ზღუდრის სასაფლაოს მიწამ, სადაც მისი წინაპრები განისვენებენ, არამედ თბილისის მუხათგვერდის სასაფლაომ.

არიან შემოქმედნი, რომლებიც გარდაცვალების შემდეგ მალე ეძლევიან დავიწყებას. ზოგის სახელი კი, პირიქით, განუზომლად იზრდება და არდავიწყების შარავანდედი მოსავს. სწორედ მათ რიცხვს ეკუთვნის მიხეილ ცოტნიაშვილი, რომელმაც ღრმა კვალი დატოვა და მისი სახელი თაობებს გასწვდება.

ცხინვალის პოლიგრაფიულ საწარმოო გაერთიანებაში იშვიათი მოვლენა იყო ქართველ შემოქმედთა წიგნების დასტამბვა. თუ იბეჭდებოდა, უმეტესად ოსურიდან ქართულად თარგმანები. ცნობილი ცხინვალელი მწერალი მერაბ ელიოზიშვილი ახალგაზრდა ოს შემოქმედთა მოთხრობების, ლექსების, ნარკვევების ქართულად ნათარგმნი კრებულის ბოლოთქმაში გულისტკივილით წერდა, რომ: „გარდა ერთეული, თითქმის ერთადერთი გეოგრაფიული სახელწოდებისა, წიგნში წარმოდგენილ ავტორთა ნაწარმოებებში ვერ ვხედავთ, ან თითქმის ვერ ვხედავთ საუკუნის მდინარეთა საკუთარ სახელებს, მთების სახელწოდებებს, სოფლების სახელწოდებებს დაბოლოს, თვით „სამხრეთ ოსეთის" ავტონომიური ოლქის ქალაქ ცხინვალის სახელწოდებას, რომ აღარ ვთქვათ შესანიშნავი, საკავშირო მნიშვნელობის საკურორტო, მინერალური წყლებით მდიდარი ჯავის რაიონის შესახებ.



მერაბ ელიოზიშვილი შვილთან და შვილიშვილთან

სად არის თუნდაც ერთი სანაქებო ლექსი ზემოდ ჩამოთვლილ მდინარეთა მშვენების - კალმახის შესახებ? არსად გაისმის მწყერის „ქვითკირო," მოლაღურის „ბიჭო გიო," ტოროლას წკრიალი, არსად ჩანს ალპურ დეკებში ყელმოღერებული მამალი, კავკასიური როჭოს ფერთა ელვარება. უღრან წიფლიანებში აბღავლებული ხარირემი, პანტის საჭმელად ავერანებული დათვის უკმაყოფილო ბუზღუნი, არჩვი, ჯიხვი, შველი, სავათი და სარსარაკი...

მწყრებზე და მწყერჩიტაზე საგანგებო ლექსისა და მოთხრობის დაწერის მომხრე არ გახლავართ, მაგრამ არც ისე შეიძლება, რომ ზემოდ ჩამოთვლილ ბუნების ნაწილებსა და ბუნების შვილთ ისე შემოვწყრეთ, რომ ამით ჩვენი საკუთარი სმენა და მხედველობა დავაზიანოთ...

დაბოლოს, ყველაზე საჭირო და სავალდებულო, ქართველი და ოსი ხალხის მეგობრობის საკითხებიც ძუნწად არის გაშუქებული ამ ახალგაზრდული წიგნის ავტორთა შემოქმედებაში..."

მიუხედავად რთული პირობებისა, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის რუსთავისა და ქვემო ქართლის ორგანიზაციაში არ ნელდება ლიტერატურული ცხოვრება. შემოდგომის (2005 წ.) იმ გაცისკროვნებულ დღეს, კიდევ ერთი ღირსსახსოვარი ღონისძიება ჩაატარეს რუსთაველმა მწერლებმა, პოეტებმა, საზოგადოების წარმომადგენლებმა, მოსწავლე-ახალგაზრდებმა - შეხვედრა მოუწყეს ცნობილ ცხინვალელ მწერალს, დრამატურგსა და სულიერ მოძღვარს მერაბ ელიოზიშვილს. მას თან ახლდნენ ოჯახის წევრები, თანამოქალაქე პოეტი და დრამატურგი მზია ხეთაგური, კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი, მეგობრები, თავისი სამრევლოს წარმომადგენლები.



გივი ჭამპურიძე, მერაბ ელიოზიშვილი, მზია ცეთაგური

შეხვედრას უძღვებოდა საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის რუსთავისა და ქვემო ქართლის ორგანიზაციის თავმჯდომარე, პოეტი მარინე ცხვედიაშვილი.

სიტყვა ეძლევა იუბილარს:

- ჩემო საყვარელო რუსთაველებო! ჩემი ცხოვრებისა და შემოქმედების ცალკეული მომენტები დაკავშირებულია ქვემო ქართლთან, როგორც საქართველოს ბევრ სხვა რეგიონთან. განაცხადიც ჩამოგიტანეთ - ნაწყვეტი რომანიდან, რომელიც ჯერ არ დაბეჭდილა. ეს ნაწარმოები ჩემთვის სულიერი საგანძურია.

იქვე, მან წაიკითხა ერთი თავი ახალი ნაწარმოებიდან.

მერაბ ელიოზიშვილს მიესალმა კომპოზიტორი ვაჟა აზარაშვილი, რომელიც ათობით წლებია მეგობრობს მწერლის ოჯახთან. მან გაიხსენა მეგობრობის ეპიზოდები და კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მარჯანიშვილის სახელობის თბილისის თეატრში დადგმული სპექტაკლი „ბერიკონი“ მუსიკალურად გააფორმა.

კომპოზიტორმა, მომღერალ მერაბ დონაძესთან ერთად,

შეასრულა მუსიკალური ნაწარმოებები. „ახალ ამპლუაში წარმოგვიდგა თვით იუბილარი მწერალი, რომელმაც შეასრულა ქართული რომანსი „ვარსკვლავიანსა ღამეს.“ შეხვედრის მიმდინარეობისას მან არაერთხელ მოხიბლა შეკრებილნი ქართული თუ რუსული რომანსების შესრულებით.

პაპას არც შვილიშვილი სულხან ცინცაძე ჩამორჩა, რომელიც გიტარით ედგა გვერდით. მუსიკალური ნაწარმოები შეასრულა რუსთაველმა ახალგაზრდა მევიოლინემ ნათია ჭილაშვილმა...

თანაქალაქელსა და თანასკოლელ შემოქმედს მიესალმნენ პოეტი და დრამატურგი მზია ხეთაგური, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი და პუბლიცისტი გივი ჭამპურიძე, - გაიხსენეს სწავლის პერიოდი, როცა იგი ვახტანგ კასრაძის სკოლაში მოწყობილ საღამოებზე ვიოლინოს ოსტატურად აჟღერებდა. მაშინ, ყველას ეგონა, რომ ელიოზიშვილების დიდებულ ოჯახს მომავალი მუსიკოსი ეზრდებოდა...

ამასთან, მის შესახებ გაიხსენეს ცნობილი ადამიანების გამონათქვამები - აკაკი ბაქრაძე: „იგი ყველგან შინაური და ახლობელი მეგობარი კაცი იყო და არის მათთან. მწყემსებთან, ნოღაითელებთან (კინოფილმ „თეთრი ქარავანის“ გადაღებისას) მკაფიოდ ჩანდა, საიდან მოდის მერაბის მოთხრობების, სცენარებისა და პიესების ენა - მდიდარი, მსუყე, მოქნილი, ძარღვიანი და მადლიანი. ეს შიდა ქართლის ქართველობის ენაა, ერთდროულად ასე დინჯად, დარბაისლურად, ნაზად და ვაჟკაცურად რომ ჟღერს. ეს განსაკუთრებით საყურადღებოა დღეს ქართული ენის ეგზომ დამჭლევების, დასახიჩრებისა და გაღატაკების ეპოქაში.“

სიტყვაში გამოსვლისას, მხატვარმა ჯემალ კუხალაშვილმა მადლობა გადაუხადა ლიახვისპირელ მწერალს, წინა წლებში გაჭირვებისას, უანგარო დახმარებისთვის და, საერთოდ, მეგობრული ურთიერთობისთვის.

„ბებერი მეზურნეების,“ „დიდი მწვანე ველის,“ „თეთრი ქარავანის“ და სხვა ნაწარმოებების ავტორს მიესალმნენ და აზრი

გამოთქვეს რუსთაველმა ჟურნალისტებმა ლია მარტიაშვილმა, თინათინ სიყმაშილმა, მსახიობმა თენგიზ ბიბილაურმა და სხვებმა.

ახალგაზრდა პოეტმა ბესიკ ზაალიშვილმა იუბილარს ექსპრომტად ლექსი მიუძღვნა:

„როგორც თქვენ, ჩემი კაცობაც
მხრებით ვატარე, მე ვ ზურგე...
წართმეულ ველზე ჯოგს ეძებს
ქარი, ბებერი მეზურნე.

.....

მტრის ჯინზე ხარებს მოდენის
მკვდრეთით აღმდგარი სოსანა.
მწამს, გამარჯვების სიხარულს
გამოიმეტებს შამქმნელი,
ამ თეთრ ქარავანს ავკიდოთ
ჩვენი შავ-ბნელი საქმენი.
ერთგულ მსახურობ ერს და ღმერთს, -
ცისკენ ხომ გაგყავს ბილიკი
(გვერდით იმიტომ გვიდგახარ)
მეც წამიყვანე აქედან,
თუ კარგ საქმეზე მიდიხარ.“

მახვილი და მძაფრი იყო გაზეთის მებრძოლი ხმა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში. ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე „საბჭოთა ოსეთი“ მტერზე გამარჯვებისთვის გაშლილ საყოველთაო-სახალხო ლაშქრობის წინა რიგებში დადგა, მგზნებარე სიტყვით აღანთებდა ადამიანებს, თავდადებული შრომისთვის განაწყობდა ზურგში დარჩენილთ. „ყველაფერი სამშობლოსთვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისთვის!“ ამ დევიზით გამოდიოდა მაშინდელი გაზეთის ყოველი ნომერი. იბეჭდებოდა ფრონტიდან გამოგზავნილი წერილები. გაზეთმა თავის ფურცლებზე მოწინებით შემოგვინახა ომში ცხინვალის საამაყო შვილთა გმირობის დაუვიწყარი სურათები.

იმ მრისხანე ჟამს, პრესის არაერთმა წარმომადგენელმა კალამი ხიშტით შეცვალა. ომის დაწყების პირველსავე დღეებიდან სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგნენ რედაქციის მუშაკები.


გ. ძიგუევი, ყ. კასრაძე, ს. ცერაძე

ომიდან აღარ დაბრუნებულან გიორგი ძიგოევი, ყარამან კასრაძე, სამსონ ცერაძე (სურათზე), გაბო ხუხაშვილი, ფაუსტი ინწკირველი, სანდრო გოჩაშვილი.

ომის პერიოდში ზურგში მაღალნაყოფიერი შრომისთვის რედაქციის ბევრი მუშაკი დაჯილდოვდა მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაცური შრომისათვის 1941-1945 წ.წ. დიდ სამამულო ომში.“

ომის დამთავრების შემდეგ, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების წლებში, კვლავ მძლავრად გაისმოდა გაზეთის დამრაზმავი სიტყვა. ჟურნალისტის ფხიზელი თვალი ყველგან წვდებოდა.

ქართველი და ოსი ხალხის ისტორიული მეგობრობა გაზეთს აქტუალურ თემებს კარნახობდა. სისტემატურად უძღვნიდა გვერდებს, მეგობრობის საკითხებს, რეგულარულად ბეჭდავდა მასალებს ოლქის მოსწავლეთა ურთიერთობაზე ქვეყნის სხვადასხვა კუთხის თანატოლებთან, - აფხაზეთის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სხვა რაიონების, აგრეთვე მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის მშრომელებთან აქტიური, კულტურული ურთიერთობის შესახებ.

დროის მოთხოვნათა შესაბამისად, „საბჭოთა ოსეთი“ ფეხდაფეხ მისდევდა მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას ყოფილ ოლქში. გაზეთის ფურცლებზე ფართოდ შუქდებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცხინვალის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის და სხვა დაწესებულებათა საქმიანობა.



მარცხნიდან (ცენტრში) ავთანდილ ცოტნიაშვილი, ნოდარ მესხრიკაძე, მიხეილ ცოტნიაშვილი, ვენერა სომხიშვილი, იოსებ მეგრელიძე

ოლქის მეცნიერების მიერ მოპოვებული წარმატებების შესახებ გაზეთის ფურცლებზე სისტემატურად გამოდიოდნენ მეცნიერებათა დოქტორები: იოსებ მეგრელიძე, ბაგრატ ტეხოვი, ნაფი ჯუსოითი, ზინაიდა გაგლოევა, რუთენ კაბისოვი, გენადი ბურჭულაძე, ლუდვიგ ჩიბიროვი, რაფიელ შამელაშვილი, გიგა მამიევი, ოთარ ქაჯაია, ზელიმ ცხოვრებოვი; მეცნიერებათა კანდიდატები და მეცნიერ-მუშაკები: ვახტანგ ცხოვრებოვი, ვენერა სომხიშვილი, სერგო მოდებაძე, ოლღა ცხოვრებოვა, ავთანდილ და მიხეილ ცოტნიაშვილები, ლიდა კასრაძე, ივანე ცხოვრებოვი, ვანო ხაბალაშვილი, ნოდარ მესხრიკაძე, კოტე ხაბალოვი და სხვები.

გაზეთ „საბჭოთა ოსეთს“ ფასდაუდებელი ამაგი დასდეს ყოფილმა რედაქტორებმა: მამანტი კვირტიამ, შალვა მაჭავარიანმა, ვლადიმერ გელაშვილმა, არჩილ მამისაშვილმა, ისაკ ჟვანიამ, ბ. გვარამიამ, რამან ლაზარაშვილმა, მიხეილ გიორგაძემ, კ. სურგულაძემ, მანუახ ბინიაშვილმა, კოტე ტრაპაიძემ.

ნიშანდობლივია, რომ ცხინვალში ჟურნალისტური აზროვნების წარმმართველად და ერთ-ერთ ფუძემდებლად არჩილ მამისაშვილი გვევლინება, რომელიც გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქციას სამ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში უნარიანად ხელმძღვანელობდა. იგი იყო მომავალი თაობის, ახალბედა ჟურნალისტების მუდამ მხარში მდგომი და აღმზრდელ-დამკვალიანებელი.

საქართველოს მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის მეათე სტამბაში დაიბეჭდა (1974 წ.) პროფესიონალი ჟურნალისტისა და პუბლიცისტის წიგნი „ტყვეები აღმოსავლეთისაკენ მიდიან.“ წიგნის დასაწყისშივე ვეცნობით სწორუპოვარი შემოქმედის მოკლე ბიოგრაფიულ ცნობებს: არჩილ მამისაშვილი ძველი ჟურნალისტების თაობიდანაა. დაიბადა 1917 წელს ქ. ცხინვალში. აქვე დაამთავრა პირველი ქართული საშუალო სკოლა. 1937-1939 წლებში სწავლობდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც ავადმყოფობის გამო ვერ დაასრულა.

უყვარდა წერა და აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ რედაქციაში. მალე იქ სამუშაოდ მიიწვიეს. დიდ სამამულო ომში წასვლამდე გაზეთის პასუხისმგებელ მდივნად მუშაობდა.

1941-1945 წლებში სამშობლოს დამცველთა რიგებშია. 1944 წელს კარპატებში, პოლონეთ-ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე, დუკლის უღელტეხილისთვის ბრძოლებში მძიმედ დაიჭრა. მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები.

დემობილიზაციის შემდეგ, ისევ გაზეთს დაუბრუნდა და 1954 წლამდე რედაქტორობდა მას. შემდეგ, ერთხანს პარტიულ სამუშაოზეა. 1962 წლიდან, დამსახურებულ პენსიაზე გასვლამდე, კვლავ გაზეთს ხელმძღვანელობს.

წიგნში „ტყვეები აღმოსავლეთისაკენ მიდიან“ ავტორი მოგვითხრობს ომის ძნელ გზებზე საკუთარი თვალით ნანახ და განცდილ ამბებს.

არჩილ მამისაშვილი გაზეთის ერთ-ერთ ძლიერ მუშაკად, ერუდირებულ რედაქტორად ითვლებოდა. მისი სახელი სამუდამოდ დაუკავშირდა ცხინვალის ქართული პერიოდული გამოცემის თითქმის ექვსი ათეული წლის ისტორიას. მან განუზომელი ამაგი დასდო საოლქო გაზეთს, როგორც ბრწყინვალე რედაქტორმა, ჩინებულმა მოქართულემ, ღირსეულმა მოქალაქემ და მამულიშვილმა.


ლეგენდარული რედაქტორის პენსიაზე გაცილება

სურათზე წარმოდგენილია ცხინვალის ქართული გაზეთის რედაქციის თანამედროვე შენობის წინ, თანამშრომელთა მრავალრიცხოვანი ამქარი, რომელმაც პენსიაზე გააცილა ამაგდარი რედაქტორი არჩილ მამისაშვილი.

სხედან (პირველ რიგში, მარჯვნიდან): დიმიტრი მაისურაძე - განყოფილების გამგე, ვასილ კაპეიკინი - გაზეთის გამომშვები, იულონ ტოლიაშვილი - განყოფილების გამგე, ვახტანგ მაისურაძე - რედაქტორის მოადგილე, გასპარ ხაჩატუროვი - პასუხისმგებელი მდივანი, არჩილ მამისაშვილი - რედაქტორი, თამარ დალაქიშვილი - რედაქტორის მეუღლე (დამსახურებული პედაგოგი), იულია ცერაძე - მბეჭდავ-მემანქანე, ციალა კახნიაშვილი - კორესპონდენტი, მარიამ ზანგალაძე - მბეჭდავ-მემანქანე, სონია კრიხელი - კორექტორი, ნინა არუთინოვა - კორექტორი, ნიკოლოზ ბერძენიშვილი - დამკაბადონებელი.

დგანან (მეორე რიგში, მარცხნიდან): ლილი დოლიძე - გაზეთის გამომშვები, ვერა გულარიძე - კორექტორი, ციალა დურგლიშვილი - კორექტორი, როზა კოჩიევა - კურიერი, ელენე ბაშარული - განყოფილების გამგე, ბელა ჯატიევა - კორექტორი, ბენიტა მახარაშვილი - კორესპონდენტი, ცირა მამისაშვილი - რედაქტორის ქალიშვილი (ექიმი), ანასტასია ხიმშიაშვილი - კორექტორი, ციალა თინიკაშვილი - პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე, დარიკო მურადოვა - განყოფილების გამგე, მზია მაისურაძე - ტელეტაიპისტი, ოთარ ესიაშვილი - რედაქტორის მოადგილე, ივანე ბაგაევი - განყოფილების გამგე, მარინე ჭამპურიძე - არქივარიუსი, ელენე ქელეხსაშვილი - ტელეტაიპისტი, თინა კვაღინიძე - კორესპონდენტი, ლეილა სუბელიანი - მთარგმნელი, ელენე მამისაშვილი - გაზეთის გამომშვები, რიმა ნადირაძე - კორექტორი.

დგანან (მესამე რიგში, მარცხნიდან): ვლადიმერ მელქოევი - კორესპონდენტი, ნელი ჩალაური - განყოფილების გამგე, მარიამ (ჟუჟუნა) კულუმბეგოვა - მბეჭდავ-მემანქანე, ივანე ბლაგოვი - ლინოტიპისტი, ვლადიმერ ტურაშვილი - ლინოტიპისტი, ვახტანგ კობერიძე - განყოფილების გამგე, ლამარა გულარაძე - კორექტორი, გენადი კახნიაშვილი - საქართველოს რადიოს ცხინვალის ზონის კორესპონდენტი, ანგელინა მახარაშვილი - კორექტორი, ვასილ საბანაძე - რედაქტორის

მოადგილე, სევერიან ჯავახიშვილი - განყოფილების გამგე, რობერტ ოდიკაძე - განყოფილების გამგე, გივი ჭამპურიძე - საქართველოს რადიოს ცხინვალის ზონის კორესპონდენტი, ლენგიორ გუსოვი - ფოტორეპორტიორი, მიხეილ შერაზადიშვილი - პასუხისმგებელი მდივანი, სოსო ჯეირანაშვილი - მხატვარ-რეტუშორი.

ვაჰ, დრონი... მას შემდეგ ჟამიანობა ჩამოწვა, სამ ათეულ წელზე მეტი გავიდა ქართველებისგან გამოხშირულ და ჩვენთვის მონატრებულ, ახლო წარსულში „სავარდო და სამაისო," ცხინვალქალაქში!



ძველი თაობიდან, რედაქციაში მონდომებული სულისკვეთებით შრომობდნენ საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკები (სურათზე მარცხნიდან) თინა ბახტაძე, დარიკო მურადოვა, ალექსანდრე თედიაშვილი (ცენტრში).

გაზეთის განვითარებაში მოკრძალებული წვლილი შეიტანეს განყოფილებათა გამგეებმა - რესპუბლიკის კულტურის დამსახურებულმა მუშაკებმა ალექსანდრე აბულაძემ, ალექსანდრე (შაშო) თედიაშვილმა, დარიკო მურადოვამ, არტემ ალიბეგაშვილმა, ტიტე ხაინდრავამ; კორესპონდენტმა ბაგრატ გაბუშ-

ვილმა, სტილისტ-მთარგმნელმა სულიკო ბურნაძემ; კორექტორებმა ვერა გულარიძემ, ნინა არუთინოვამ, გამომშვებმა ვასო კაპეიკინმა.

წლების მანძილზე ემსახურებოდნენ „საბჭოთა ოსეთს“ თენგიზ გილიგაშვილი, ამბროსი ჯღარკავა, პავლე ხაბალაშვილი, ვახტანგ ცოტნიაშვილი, გურამ ვაშაკიძე, ივანე ხაბალაშვილი, შოთა არჩვაძე, ლამარა სხირტლაძე, ილია გალდავა, მერი ცხოვრებოვა, ელისო ზარიძე, ალექსანდრა ბედოევა, თეიმურაზ მულდაროვი, გივი ჭამპურიძე, დავით ღუნაშვილი, მიხეილ გიგაური, ანზორ ფუხაევი, გივი თედეევი, გელა გელაძე და სხვები.



გაზეთის სამდივნოში მუდამ საქმიანი ფუსფუსია. მიმდინარეობს მორიგი ნომრის მაკეტის დამტკიცება – სურათზე (მარჯვნიდან): რედაქტორი არჩილ მამისაშვილი, პასუხისმგებელი მდივანი გივი თედეევი და მისი მოადგილე დიანა ჯილავდარი.

საოლქო გაზეთის „ნახევარსაუკუნოვანი იუბილის დღესასწაულზე, რაოდენ გულსატკენია, რომ ზოგიერთი მისი მუშაკი ვეღარ ინაწილებს ამ სიხარულს. რომელი ჩვენგანი დაივიწ-

ყებს დინჯ, დაკვირვებულ კალმოსნებს ვანო თედიაშვილს, რომან მიდოდაშვილს, გიორგი პაპიაშვილს, იასონ ნადირაძეს, მიხეილ ნართიკოევს, ან ჩვენს შაშოს, როგორც სიყვარულით ვეძახდით ალექსანდრე თედიაშვილს, ნოდარ ელიოზიშვილს, ალექსანდრე აბულაძეს, იოსებ ვალიევს, რედაქციის პასუხისმგებელი მდივნის მოადგილეს დიანა ჯილავდარს, ფხიზელსა და ერუდირებულ კორექტორს სონია კრიხელს.

რედაქციაში სხვადასხვა დროს მუშაობდნენ და დღეს ჩვენს შორის აღარ არიან მარიამ ჯაფარიძე, გიორგი საძაგლიშვილი, მარო ზანგალაძე, მიხეილ გაგლოშვილი და სხვები.“

საიუბილეო ბუკლეტის „საბჭოთა ოსეთი“ – 50“ ავტორი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი ოთარ ესიაშვილი კითხვას სვამს - ვინ აკეთებს გაზეთს დღეს? ვის ხელთაა ესტაფეტა? და იქვე პასუხობს: გაზეთს 1980 წლიდან ხელმძღვანელობს საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი ვახტანგ მაისურაძე, წლების განმავლობაში პრესის მუშაკის მღელვარე ცხოვრების ჭაპანს ეწევიან რედაქტორის მოადგილეები ვასილ საბანაძე, ოთარ ესიაშვილი.



გაზეთის სამდივნო

პასუხისმგებელ მდივანს გასპარ ხაჩატუროვს მხარში უდგანან მოადგილეები მიხეილ შერაზადიშვილი და ციალა თინიკაშვილი. სამდივნოს ჩანაფიქრს ხორცს ასხამენ გამომშვებები ვერა გელდიაშვილი და ელენე მამისაშვილი.



პარტიული ცხოვრების განყოფილება

რედაქციის პარტიული ცხოვრების განყოფილება ახალგაზრდა კადრებითაა დაკომპლექტებული. განყოფილების გამგეა იულონ ტოლიაშვილი (შემდგომ - რობერტ ოდიკაძე), კორესპონდენტები - ალექსანდრე ურთქმელიძე და ნიკოლოზ ოთინაშვილი.

პროპაგანდის განყოფილების გამგე ივანე ბაგაევი და კორესპონდენტი ქალდე ბურნაძე ამზადებენ მასალებს პოლიტიკური სწავლებისა და ეკონომიკური განათლების სისტემიდან, პროპაგანდას უწევენ იდეოლოგიური ფრონტის მოწინავე მუშაკთა გამოცდილებას.



პროპაგანდის განყოფილება



საბჭოთა მშენებლობის განყოფილება

უკვე რამდენიმე წელია რედაქციაში შექმნილია საბჭოთა მშენებლობის განყოფილება, რომლის გამგეა სევერიან ჯავახიშვილი, კორესპონდენტები ვერა ხეთაგუროვა, დარეჯან ზუბაშვილი.



სოფლის მეურნეობის განყოფილება

სოფლის მეურნეობის განყოფილებას მრავალი წლის მანძილზე უნარიანად ხელმძღვანელობდა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი დიმიტრი მაისურაძე, რომელიც პენსიაზე გასვლის შემდეგ კვლავ რედაქციას დაუბრუნდა და მთარგმნელობით საქმიანობას ეწევა. ამჟამად ამ განყოფილების ჭაპანს ეწევიან განყოფილების გამგე ვახტანგ კობერიძე, კორესპონდენტები გენადი კახნიაშვილი, გულიკო ბერუაშვილი, მერაბ მაისურაძე.

ოლქის მრეწველობის განვითარების საკითხებს აშუქებენ მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე ნელი ჩალაური, კორესპონდენტები მანანა გოგინაშვილი, ალექსანდრე ცოტნიაშვილი.



მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილება



კულტურის განყოფილება

წლების მანძილზე ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან კულტურის განყოფილების გამგე ელენე ბაშარული (მარცხნიდან), კორესპონდენტები ვლადიმერ მელქოევი, ბენიტა მახარაშვილი, ციალა კახნიაშვილი, თინა კვაღინიძე.

მშრომელთა წერილების განყოფილების გამგეა აკაკი დევიძე, კორესპონდენტები ბელა აბულაძე, მაკა მამისაშვილი, ზიტა მულდაროვა. წერილების აღმრიცხველად თითქმის ოთხი ათეული წელი უმწიკვლოდ მუშაობდა ეკატერინე ხაჩატუროვა.



წლების განმავლობაში ნაყოფიერად იღვწოდა საკუთარი კორესპონდენტი ახალგორის ზონიდან, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, მწერალი და პუბლიცისტი ეკატერინე ხოცუაშვილი.



მთარგმნელობით საქმიანობას ეწევიან დიმიტრი მაისურაძე, ლეილა სუბელიანი, ნუნუ დოიჯაშვილი.



მბეჭდავ-მემანქანეები

ათწლეულების მანძილზე საგაზეთო საქმეს უძღვებიან მბეჭდავ-მემანქანეები მარიამ (ჟუჟუნა) კულუმბეგოვა, მარიამ ზანგალაძე და იულია ცერაძე.



გაზეთის კორექტორები

სარედაქციო ცხოვრების წინა ხაზზე არიან კორექტორები ციალა დურგლიშვილი, რიმა ნადირაძე, ბელა ჯატიევა, ანასტასია ხიმშიაშვილი, ლამარა გულარაძე, ანგელინა მახარაშვილი, მედეა ტუღუში, მარინა კორკოტაძე.



ფოტორეპორტიორი



მხატვარ-რეტუშორი

გაზეთში სისტემატურად ქვეყნდება ოლქის მოწინავე ადამიანების პორტრეტები, სამეურნეო აღმშენებლობისა და კულტურული ცხოვრების ამსახველი სურათები, რომლებიც რედაქციის ფოტოკორესპონდენტის ლენგიორ გუსოვის დამსახურებაა.

გაზეთის ესთეტიკურ მხარეს კვალიფიციურად ემსახურება მხატვარ-რეტუშორი სოსო ჯეირანაშვილი.



ლინოტიპისტები

სტამბის ერთ დიდ, ნათელ დარბაზში ჩამწკრივებულ ლინოტიპზე არიან დასაქმებულები ასოთამწყობი მემანქანეები, მათ მონოტონურ ხმაურში სრიალით ჩამოდის ლითონის ცხელი სტრიქონები. ამ საქმეს ემსახურებიან გამოცდილი ლინოტი-

პისტები ვლადიმერ ტურაშვილი, გრიგოლ გაგლოევი, ნოდარ მზარეულიშვილი, ივანე ბლაგოვი.


ცინკოგრაფები

მასალების აწყობის პარალელურად მზადდება კლიშეები - საგაზეთო სურათები. ეს პროცესი ცინკოგრაფიაში მიმდინარეობს. აქ მთელი ყურადღებით, ენერგიულად მუშაობენ ცინკოგრაფები სოკრატ ღერკენაშვილი და ანდრო გიგოლაევი, უშანგი ჯავახიშვილი და გივი გიგოლაევი.


დამკაბადონებლები: მარცხნივ - გამომშვები

გაზეთის ტექნიკურად მომზადების წამყვანი რგოლია სამეტრანპაჟო საამქრო. მაკეტის მიხედვით ალაგებენ მასალებს გამოცდილი დამკაბადონებელ-ჩამსწორებლები ნიკოლოზ ბერძენიშვილი, თამარ ბუზალაძე, სონია ჯაფარიძე, ალექსანდრე შერაზადიშვილი, ზინა ოთინაშვილი, ნიკო დოჩიევი.



მბეჭდავები და გამომშვები

შემდეგ, გაზეთის შექმნის რთულ პროცესს აგვირგვინებენ მბეჭდავები თამაზ დეკანოზიშვილი, დიმა ძაწოევი და ვალიკო ჯაბიევი.



შალვა სართანია



მარიამ ბეკოევა-სართანია

საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი ოთარ ესიაშვილი მოწიწებით იხსენებს ასევე უძველეს პოლიგრაფისტს შალვა სართანიას, რომელმაც 1933 წლის 8 ივნისს პირველი

ნომერი დააკაბადონა. იგი მეორე მსოფლიო ომის ფრონტზე გმირულად დაეცა. მისი მეუღლე მარიამ ბეკოევა-სართანია წლების მანძილზე ასოთამწყობად მუშაობდა.



ზოია ნიკუჭაძე


მედეა ტუღუში


გულიკო ბერუაშვილი


ლია ჭიღლაძე

რედაქციის მუშაკთა პლეადას საუკეთესოდ ავსებენ რედაქტორის თანაშემწე ლია ჭიღლაძე და არქივარიუსი ზოია ნიკუჭაძე.


მზია მაისურაძე, ელენე ქელეხსაშვილი

სიახლეთა პირველი წამკითხველები არიან ტელეტაიპისტები მზია მაისურაძე და ელენე ქელეხსაშვილი.

პარტიის საოლქო კომიტეტიდან იშვიათად ხდებოდა ადგილობრივი ქართველი კადრების დაწინაურება. საჭიროებისამებრ, ქართველი კადრები ძირითადად რეგიონის ფარგლებს გარედან შემოჰყავდათ. ეს კი მათთვის ერთგვარი ტრამპლინი იყო ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში დასაწინაურებლად. ამის მაგალითად, თუნდაც, ცხინვალის ქართული გაზეთის რედაქციაც კმარა, სადაც გასული საუკუნის 80-90-იან წლებში „საბჭოთა ოსეთს“ თბილისიდან ჩამოსული კადრები ხელმძღვანელობდნენ.

1980 წლის 10 ოქტომბრიდან ცხინვალის ქართულ გაზეთს ადგილობრივი დამსახურებული ჟურნალისტი ვახტანგ მაისურაძე აწერს ხელს, როგორც რედაქტორის მოადგილე; 1981 წლის11 ივლისიდან - რედაქტორის მოვალეობის შემსრულებელი; 1983 წლის 18 მაისიდან 1985 წლის 17 მაისამდე - რედაქტორი. ასე რომ, ცხინვალელი ჟურნალისტი პარტიის საოლქო კომიტეტის ბიურომ სამი წლის შემდეგ დაამტკიცა გაზეთის რედაქტორად და მან ამ თანამდებობაზე მხოლოდ ორი წელი დაჰყო.

1985-1989 წლებში „საბჭოთა ოსეთს“ სათავეში ედგა თბილისელი შიო ლარცულიანი.

1989 წლის მარტის შუა რიცხვებში გაზეთის რედაქტორად კვლავ თბილისიდან მოვლენილი კადრი - ვასილ კასრაძე დაინიშნა. იგი „საბჭოთა ოსეთს“ სულ რაღაც შვიდი თვე რედაქტორობდა.

ამის შემდეგ, ცხინვალის ქართული გაზეთის რედაქციას თითქმის წელიწადი ხელმძღვანელობდა რედაქტორის მოადგილე ვასილ საბანაძე. იმ ხანებში გაზეთის რედაქციამ, დროის მოთხოვნათა შესაბამისად, მხარი აუბა საქართველოში ფართოდ გაშლილ ეროვნულ მოძრაობას, რაშიც ლომის წილი მიუძღვოდა რედაქტორის მოადგილეს - ვასილ საბანაძეს. ეს არ

აპატიეს პარტიის საოლქო კომიტეტში და, მიუხედავად კოლექტივის მისდამი ერთსულოვანი მხარდაჭერისა, „საბჭოთა ოსეთის“ რედაქტორად, ყველასგან მოულოდნელად, ამავე გაზეთის პასუხისმგებელი მდივანი მიხეილ შერაზადიშვილი დაინიშნა.

ხანმოკლე იყო მიხეილ შერაზადიშვილის რედაქტორობა, რადგანაც ჩვენს რეგიონში მომძლავრებული ეროვნული მოძრაობა ქართულ-ოსურ კონფლიქტში გადაიზარდა. ამას კი ქართული გაზეთის რედაქციის დახურვა მოჰყვა.

დაძაბულობის იმ ურთულეს ვითარებაში, პარტიის საოლქო კომიტეტის ზეწოლით, ცხინვალის პოლიგრაფიულ საწარმოო გაერთიანებაში შეჩერდა ქართული გაზეთის გამოშვება. „საბჭოთა ოსეთმა“ გამოცემის 57-ე წლისთავზე, 1990 წლის შემოდგომის მიწურულს არსებობა შეწყვიტა.

მაინც რა იყო გაზეთის დახურვის მიზეზი? ამ ფაქტს წინ უძღვოდა საქართველოში მომძლავრებული ეროვნული მოძრაობის ფონზე, ადგილობრივი ქართველი ჟურნალისტების გააქტიურება. კომუნისტმა ჟურნალისტებმა ცხინვალში ერთ-ერთმა პირველებმა თქვეს უარი კომპარტიის წევრობაზე და მათმა უმრავლესობამ პარტბილეთები პარტიის საქალაქო კომიტეტში უკან ჩააბარა. შემდგომ ამისა, რედაქციის საერთო კრების გადაწყვეტილებით, „საბჭოთა ოსეთი“ „ჩვენი სამკვიდროს“ სახელწოდებით შეიცვალა. საოლქო გაზეთს მოსცილდა კომუნისტურ ეპოქაში ჟურნალ-გაზეთებზე ყბადაღებული დევიზი - „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ამასთან, ეგიდიც - „საქართველოს კომუნისტური პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს ორგანო.“ ამას კი ზემდგომთა რისხვა, პარტიის საოლქო კომიტეტიდან „მეხის გავარდნა“ მოჰყვა და უკვე დასაბეჭდად გამზადებული ახალი დასახელების გაზეთი „ჩვენი სამკვიდრო“ ცხინვალის პოლიგრაფიულ საწარმოო გაერთიანებაში განუსაზღვრელი ვადით იქნა „დატყვევებული.“

ხელნაწერი ჟურნალები –

«ლიასხვი»

საქართველოში ხელნაწერი ჟურნალ-გაზეთების ტრადიცია XIX საუკუნიდან მკვიდრდება. იგი საუკეთესო საშუალებაა ერთჯერადი გამოცემის მოსამზადებლად ერთი ან ორი ეგზემპლარით. ამით კი ჟურნალის ან გაზეთის ავტორებს საშუალება ეძლევათ თავიანთი აზრი მიაწოდონ მკითხველს (გაზეთის შემთხვევაში უფრო მეტს), ზოგჯერ, მომდევნო ნომერში, მკითხველისგანაც ელოდონ გამოხმაურებას.

ფაქტია, რომ „XX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში დიდი რაოდენობით (70-ზე მეტი დასახელების) გამოდიოდა ცენზურაგაუვლელი ხელნაწერი ჟურნალები. მათი რიცხვი მნიშვნელოვნად აღემატებოდა ბეჭდვურ ორგანოებს. ეს იმით აიხსნებოდა, რომ მკაცრი ცენზურის გამო ბეჭდვურ პრესაში ძალიან ძნელი იყო თავისუფალი მსჯელობა საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ, საჭირბოროტო საკითხებზე... საზოგადოების მოწინავე, პროგრესულ წარმომადგენლებს შეეძლოთ დაუფარავად გამოეთქვათ თავიანთი აზრები ხელნაწერ ჟურნალ-გაზეთებში, რომელთა მომრავლებას ჩვენში ერთგვარად ხელს უწყობდა ქართული პერიოდული ბეჭდვური ორგანოების სიმცირეც.“

ამასთან, „ალბათ ყველასათვის ცნობილია, თუ როგორი ალმანახი მოამზადეს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში, შემდგომ გიმნაზიაში, ახალგაზრდების შესანიშნავმა ჯგუფმა ნიკოლოზ ბარათაშვილის თაოსნობით... ამ ტრადიციის გაგრძელებად გვევლინება ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დევნილობის პერიოდის ლექტორთა და სტუდენტთა საერთო სურვილით მომზადებული ხელნაწერი ჟურნალი „ძიება,“ რომელიც უკვე თავისი არსებობის მეთორმეტე წელში გადადის და მისი მომზადების პროცესის

გახსენება, მტკივნეულთან ერთად, სასიამოვნო მოგონებებსაც გვიცოცხლებს."

„ძიება" ერთგვარი გაგრძელებაა იქ, ცხინვალის უმაღლეს სასწავლებელში გამომავალ ხელნაწერ ჟურნალ „ლიახვისა." მას, სხვადასხვა დროს, უნარიანად ხელმძღვანელობდნენ ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატები კარპეზ დონაძე, ნოდარ მესხრიკაძე (შემდგომ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი), ვენერა სომხიშვილი (შემდგომ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი), წარჩინებული სტუდენტი აკაკი ტოლიაშვილი (შემდგომ პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი). სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, თუ რა ბედი ეწია ქართულ-ოსური კონფლიქტის ქარ-ცეცხლიან დღეებში ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერ ჟურნალ „ლიახვს."

«ᲐᲘᲡᲘ»

მტკიცებას არ საჭიროებს, რომ სკოლა აღზრდილით ფასდება, მასწავლებელი - მოსწავლით. ამის დასტური გახლდათ მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელიც ცხინვალის №1 ქართულ საშუალო სკოლაში საქართველოს დამსახურებულმა მასწავლებელმა ოლია კასრაძემ მოამზადა. „ღელავდა ყველა - მოსწავლე და მასწავლებელი. არაფერი იყო ასაღელვებელი და მაინც, განსაკუთრებით გახარებული იყო ოლია მასწავლებელი. პედაგოგის შინაგან მღელვარებას აღზრდილები გრძნობდნენ, თორემ გარეგნულად მაინცდამაინც არ იმჩნევდა. მისი გონება სწრაფად ფურცლავდა წარსულს. კინოკადრებივით ჩაიქროლა მათმა ბავშვობამ, ლიტერატურულ წრეში საქმიანობამ...

წერილები, ეს წერილები განსაკუთრებულია მისთვის. სითბო, უმანკო გულების ფეთქვა იგრძნობა მათში და იღვრება მადლიერებით სავსე სტრიქონების ჩქერი..."

ო. კასრაძე თავის აღზრდილებთან სიცოცხლის მჩქეფარე არტერიით არის დაკავშირებული. დაამთავრებენ სკოლას და აღმზრდელის სახე და სიყვარული წმინდა კანდელად უნთიათ გულში. რჩევას ისევ მას სთხოვენ.

ცხინვალელი დამსახურებული მასწავლებლის არქივში მრავლად ინახება ნამოწაფართა პირველი ლექსები, მოთხრობები... ალალად ნათქვამი სტრიქონები. აი, ერთი მათგანი. ეს ლექსი მეხუთე კლასში ყოფნისას დაუწერია ახლა ცნობილ პოეტს მზია ხეთაგურს:

„კლასში ნათელი შემოდის
სახემზიანი ქალისა –
ოლია მასწავლებელი,
გული რომ გაგვიხალისა...“

ამასთან, ნამოწაფრები სიამოვნებით იგონებენ სკოლაში გატარებულ ნეტარ დღეებს, ქართული ლიტერატურის წრეში აზრის აფრთიანებას; ლიტერატურულ გასამართლებებს, ხელნაწერ ჟურნალ „აისს.“

„აისი“ სკოლის ნორჩ ლიტერატორთა საქმიანობის უტყუარი მატიანეა. ლექსები, ნარკვევები, მოთხრობები, ნოველები, ჩანახატები... იმის დასტურია, თუ როგორი მონდომებით უნერგავდა ოლია მასწავლებელი მშობლიური ენის სიყვარულს. „შრომა ყოველთვის ნაყოფს იძლეოდა. ლიტერატურულ წრის წევრთა ნამუშევრები რესპუბლიკურ სასწავლო შემოქმედებით კონფერენციებზე არაერთხელ დაჯილდოებულა პირველი ხარისხის დიპლომებით. დიდი ნაყოფი კი სულიერად მდიდარი თაობაა, რომელიც დღეს ჩვენი ინტელიგენციის მშვენებას წარმოადგენს. ქართულ მწერლობასა და ჟურნალისტიკაში საკმაოდ ცნობილი სახელებია მერაბ ელიოზიშვილი, გიორგი ბესთაუთი, მზია ხეთაგური, ვახტანგ კობერიძე, ვანო ბაგაევი, ვასო კასრაძე, ქრისტო გოგიჩაშვილი, გივი ბოლოთაშვილი და კიდევ მრავალი სხვა. ოლია მასწავლებელი ამაყობს მათი ღვაწლით.“

და აი, როცა დაიწკრიალა დიდი ზეიმის ზარმა, ამაგდარი პედაგოგის ხმა კვლავ ჩაესმათ სასკოლო მერხებზე დაფრთიანებულებს. „სკოლა ხელგაშლილი შეეგება საყვარელ აღზრდილებს. ოლია მასწავლებლის მშობლიური სითბო კი ყველას გადასწვდა, მოდიოდნენ და მოდიოდნენ ნამოწაფრები. გაცისკროვნებული თვალები, ანთებული გულები ხედავდნენ ერთმანეთს, ეხვეოდნენ აღმზრდელებს და მათ სიხარულის ცრემლი ადგებოდათ თვალებზე. ყველაზე მეტხანს ოლია მასწავლებელთან ჩერდებოდნენ. ეს გასაგებიც იყო.“

ოლია კასრაძის პედაგოგიური გარჯის თითქმის ოთხი ათეული წელი ღრმა კვალს ტოვებს ცხინვალის მასწავლებელთა დიდ ოჯახში. „როცა საქმე ეხება ქართული ლიტერატურის საკითხების სწავლებას სკოლაში, იგი ამბობს საკუთარ სიტყვას როგორც პედაგოგიურ კონფერენციებზე, ისე პრესაში. განათლების სამინისტროს ათობით დიპლომი, რომლებითაც დაჯილდოებულია სკოლის ლიტერატურული წრის წევრები და მათი ხელმძღვანელი, ნაყოფიერი საქმიანობის დასტურია.“

№1 ქართულ საშუალო სკოლის იმ ღირსსახსოვარ ღონისძიებაზე პირველ სიტყვას ოლია კასრაძე იღებს: „ჩემო კარგებო, აი, ასეთი ადამიანები აღზარდა ჩვენმა ლიტერატურულმა წრემ, ჩვენმა სკოლამ. და განა მარტო დღევანდელი სტუმრები, ისინი ასობით არიან, სიყვარულით რომ ემსახურებიან საყვარელ სამშობლოს, სათანადო წვლილი რომ შეაქვთ ქართული ლიტერატურის აზრის განვითარებაში.“

სკოლის ზეიმზე მოგონებით გამოვიდა პოეტი და დრამატურგი მზია ხეთაგური: „მე ვამაყობ, რომ ეს სკოლა დავამთავრე. ვამაყობ ჩვენი სკოლელი მერაბ ელიოზიშვილით, გიორგი ბესთაუთით, აკადემიკოსებით ქრისტეფორე არეშიძით, შალვა ხიდაშელით, ტარიელ სართანიათი და სხვებით.“ მან სიყვარულის სითბო გარს შემოავლო ოლია მასწავლებელს, როცა წაიკითხა მოწაფეობაში, 1962 წელს ექსპრომტად წარმოთქმული:

„ისევ მალე გაირბენენ წლები
და ბავშვობას გავიხსენებთ, ალბათ, ჩვენაც;
გულს ყველაზე სათუთი და სიყვარული
დააჩნდება მასწავლებლის ტკბილი ენა.
ცელქობასაც გავიხსენებთ, – ხომ ვიცელქეთ!
და ოლია მასწავლებლის მეტყველ ხელებს,
შუშანიკზე და ქეთევან წამებულზე
მოყოლისას, უნებლიედ მომდგარ ცრემლებს.
და აღმზრდელის ზრუნვა, დიდ საქართველოს
წარსულსა და მომავალზე, მაწვალებდა
და გავიდნენ წლები – იგი მაინც
ჩემთვის რჩება კვლავ ოლია მასწავლებლად.“

მწერალმა და დრამატურგმა მერაბ ელიოზიშვილმა ცხინვალის პირველ საშუალო სკოლაში შეისწავლა და შეიყვარა მშობლიური ენა - ქართული, იქ ეზიარა თეატრალურ ხელოვნებასაც. „ამ კედლებს ახსოვს მისი ომახიანი ხმა და მისი დაკრული ვიოლინოს საამო ჟღერა. კვლავ ხარობენ მისი დარგული ხეები... ქართულ პროზას, ქართულ თეატრს ამშვენებს, ამდიდრებს მერაბ ელიოზიშვილის სახელი. „ბებერი მეზურნეები,“ „დიდედები და შვილიშვილები,“ „თეთრი ქარავანი,“ „ბერიკონი...“ თანამედროვე ქართული ლიტერატურის ოქროს ფონდის თვალმარგალიტია.“

«რიშრაში»

გაზეთ „ლიტერატურული ცხინვალის“ აგვისტოს (2004 წ.) ნომერში, ცხინვალის №4 ქართული საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი რომეო ბაქრაძე წერილში „სკოლა და ლიტერატურული ცხოვრება“ აღნიშნავს, რომ ვაჟთა და ქალთა სწავლების ცალ-ცალკე დაწყებითმა სკოლამ არსებობა დაიწყო 1944 წლის პირველი სექტემბრიდან, როგორც სტალინირის (ცხინვალის - რ. ო.) №4 ქალთა ქართულმა საშუალო სკოლამ.

ტრადიციულად, ისე როგორც ყველა სკოლაში, აქაც ჩამოყალიბდა მოსწავლეთა საგნობრივი წრეები, მათ შორის ლიტერატურის წრეც.

1968 წლიდან მასწავლებელ მედეა მეშვილდიშვილის ხელმძღვანელობით ლიტერატურულმა წრემ დაიწყო მეოთხედური ხელნაწერი ჟურნალის - „რიჟრაჟის“ გამოშვება, რომლის ფურცლებზეც თავსდებოდა მოსწავლეთა ლექსები, მოთხრობები, ჩანახატები, ეტიუდები, ნახატები და სხვა. ჟურნალის რედაქტორები სხვადასხვა დროს იყვნენ ირინე დოკაძე, ანა არჩვაძე და სხვები.

განსაკუთრებით საყურადღებო იყო „რიჟრაჟის“ მესამე ნომერი, რომლის გვერდებიც მთლიანად დაეთმო რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქების სკოლების მოსწავლეთა ლიტერატურულ შემოქმედებას. ამ მიზნით, ჟურნალის რედკოლეგიის გადაწყვეტილებით, დაიგზავნა ბარათები სხვადასხვა ქალაქების სკოლებში, რათა გამოეგზავნათ მოსწავლეების ლექსები, ჩანახატები, მოთხრობები, ნახატები, ფოტოები...

პასუხად აუარებელი წერილი მოდიოდა. მოსწავლეები გზავნიდნენ თავიანთ ლიტერატურულ შემოქმედებას, რის გამოც ჟურნალ „რიჟრაჟის“ ეს ნომერი საკმაოდ სქელტანიანი გამოვიდა. ამის შესახებ ჟურნალისტმა და მეცნიერმა, პროფესორმა ავთანდილ ცოტნიაშვილმა გულთბილი წერილი მოათავსა გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ ფურცლებზე.

ლიტერატურული წრის წევრებს სხვადასხვა დროს მოუწყვიათ შეხვედრა ოს მწერლებთან: მუხტარ შავლოხოვთან, რევაზ ასაევთან, დავით გაგლოევთან, ნიგასთან, გაფეზთან და სხვა მრავალთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1977 წლის ივნისში შეხვედრა იოსებ ნონეშვილთან, მორის ფოცხიშვილთან, რევაზ ინანიშვილთან, მერაბ ელიოზიშვილთან, ფრანგ მწერალ უზალისთან. იგი ჩატარდა ქალაქის აღმასკომის სხდომათა დარბაზში, სადაც მოწვეული იყო ფართო საზოგადოება, ქალაქისა და ოლქის ხელმძღვანელობა. ლიტერატურ-

ის წრის წევრებმა ფართოდ მიმოიხილეს მოწვეულ მწერალთა შემოქმედება. შემდეგ სიტყვით გამოვიდნენ სტუმრები. იოსებ ნონეშვილმა განაცხადა, რომ აქ პირველად წაიკითხავს მის ახალ ლექსს „მედეას," რომელმაც დიდი აპლოდისმენტი გამოიწვია დამსწრეთა შორის. აღნიშნულ ღონისძიებას უძღვებოდა ლიტერატურული წრის ხელმძღვანელი ნინო მელიქიძე.

მეორე ხალხმრავალი ღონისძიება მოეწყო 1979 წელს ოსი მწერლის კოსტა ხეთაგუროვის დაბადებიდან 120 წლისთავთან დაკავშირებით. ღონისძიება ფართო მასშტაბისა იყო და პიონერთა სასახლის დიდ სხდომათა დარბაზში ჩატარდა.

გასული საუკუნის 40-იან წლებში პოეტმა გიორგი ლეონიძემ თავისი შვებულება ცხინვალში, სტალინის ქუჩაზე მდებარე მიხა პეტოევის სახლში გაატარა. იქ მისი ხშირი სტუმრები მეოთხე საშუალო სკოლის ლიტერატურული წრის წევრები იყვნენ. პოეტს სიამოვნებდა მათი სტუმრობა და საინტერესო ამბებს უყვებოდა ქართველი მწერლების შესახებ.

1991 წლის იანვარში, ცხინვალში განვითარებული მოვლენების დროს დაიწვა მეოთხე ქართული საშუალო სკოლა. მასთან ერთად ფერფლად იქცა ლიტერატურული წრის მუშაობის ამსახველი მთელი მასალები და მათ შორის ხელნაწერ ჟურნალ „რიჟრაჟის" ეგზემპლარებიც.

ჟურნალისტი ვალდებულია პირადულზე მაღლა დადგეს, რადგან მას საზოგადოება უსმენს.

ერნესტ სანდი

თავი II

პირველი დევნილი გაზეთი «შიდა ქართლი»

დევნილი საკუთარ სამშობლოში (?!), სწორედ რომ მრავალჭირნახული ქართველი ერის ირონიაა, ივერიელთა ჯიშ-ჯილაგის ბედისწერაა. იმ გაუსაძლის ჟამს, როცა საქართველო პოლიტიკურმა მღელვარებამ, სახალხო მოძრაობამ, მასობრივმა საპროტესტო გამოსვლებმა, მიტინგებმა და მანიფესტაციებმა მოიცვა, რაც რუსეთის იმპერიული ძალების წინააღმდეგ ბრძოლის, ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებით, ნანატრი თავისუფლების მოპოვების სურვილითა და შეუოკებელი მისწრაფებებით იყო განპირობებული, 1991 წლის 27 ივნისს გორში, დღის სინათლე იხილა ცხინვალის პირველმა დევნილმა გაზეთმა. აკი ამიტომაც, „შიდა ქართლი," არც თუ უსაფუძვლოდ, ცხინვალში გამომავალ ერთადერთ ქართულ გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" სამართალმემკვიდრედ ითვლება, რამეთუ გორის ადმინისტრაციული შენობის ერთ ვიწრო ოთახში შეყუჟული გაზეთის რედაქცია ძირითადად კერამოშლილი ცხინვალელი ჟურნალისტებით დაკომპლექტდა.

პოლიტიკურ ქარტეხილებში ნაშობი ახალი გაზეთი, დროის მოთხოვნათა შესაბამისად, ახალი პრინციპებით, ახალი იდეოლოგიური და პოლიტიკური მიმართულებითა და ეგიდით - „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გაზეთი სამაჩაბლოსთვის" - იწყებს გამოსვლას. „შიდა ქართლის" რედაქტორად ცხინვლიდან დევნილი ჟურნალისტების მიერ გორის

ადმინისტრაციული სახლის სხდომათა დარბაზში მოწვეული საერთო კრების მონაწილეთა მიერ მიღებული დადგენილებით, მაშინდელი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის აკაკი ასათიანის ბრძანებით, გამოცდილი და პროფესიონალი ჟურნალისტი ვასილ საბანაძე დაინიშნა.

XX -XXI საუკუნეების მიჯნაზე შიდა ქართლის კონფლიქტის ზონის მიმდინარე მოვლენები მთელი სიცხადით აისახებოდა როგორც ადგილობრივ, ასევე რესპუბლიკურ პრესაში. ამასთან, საქართველოს პირველი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას პირადი მითითებით, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ არც თუ იშვიათად აქვეყნებდა დევნილ გაზეთ „შიდა ქართლში“ დაბეჭდილ აქტუალურ კორესპონდენციებს.

ქართლის მეთაურ ქალაქში ცხინვალის გაზეთის გამოშვებას გორის იმდროინდელი ადგილობრივი ხელმძღვანელობა ზარ-ზეიმით როდი შეხვდა. ისინი გზას უღობავდნენ ძნელბედობით ისედაც გატანჯულ-გაწამებულ ჟურნალისტებს და ჯიუტად ცდილობდნენ „შიდა ქართლის“ გაზეთ „გორთან“ შეერთებას. ამას ისიც ამძიმებდა, რომ თბილისში დროებით განსახლებული ცხინვალელი ჟურნალისტების ნაწილი კატეგორიულად მოითხოვდა გაზეთის მხოლოდ დედაქალაქში გამოცემას. მათ მხარში ედგა ყოფილ გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ ცხინვალში დარჩენილი ზოგიერთი თანამშრომელი. დაბოლოს, ეროვნული მოღვაწის, სრულიად საქართველოს ივანე მაჩაბლის საზოგადოების თავმჯდომარის, პროფესორ გურამ შარაძის, ღირსეული ცხინვალელი მამულიშვილის, მკვლევარი-ისტორიკოსის, პროფესორ მიხეილ ცოტნიაშვილის უშუალო თანადგომით, დახმარებითა და საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლების მხარდაჭერით მოხერხდა „შიდა ქართლის“ გორის სტამბის „ტყვეობიდან დახსნა“ და სამზეოზე გამოსვლა.

თბილისის ცნობილი მოვლენების (1991, XII – 1992, I) შემდეგ, „შიდა ქართლი“ გამოდის ეგიდით - სამაჩაბლოს გაზე-

თი; სამაჩაბლოს დამოუკიდებელი გაზეთი. შემდგომ პერიოდში - ცხინვალის რეგიონული გაზეთი (1992, IX — 1993, III); ცხინვალის რეგიონის გაზეთი (1993, IV - IX)); ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებელი გაზეთი (1993, IX — 1994, XII); ცხინვალის რეგიონის გაზეთი (1995, VII — 1999, VII); საზოგადოებრივ-პოლიტიკური დამოუკიდებელი გაზეთი (1999 VII-XII); ცხინვალის საზოგადოებრივ-პოლიტიკური დამოუკიდებელი გაზეთი (2000, I-II), ხოლო 2000 წლის თებერვლიდან - ცხინვალის რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

დროის შესაბამისად, გორში დევნილი პირველი გაზეთი სხვადასხვა დევიზით გვევლინება: „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენს ნურვინ შეგვეცილება!" „ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსთვის უძგერს გული!" „სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა!" „ეღირსებაო ლუხუმსა, ლაშარის გორზე შადგომა!" „მშვიდობის, ნდობის, თანხმობის გზით!" „მშვიდობის, შერიგების, ნდობის აღდგენის გზით!"

„შიდა ქართლს," პირველ გვერდზე, ნომრიდან ნომერს ანშლაგად გასდევს: „ცხინვალი გვიხმობს, გვეძახის;" „უკრაინამ აღიარა საქართველო;" „სამაჩაბლოს ლტოლვილებო, სოფელი გვიხმობს, მივხედოთ;" „სამაჩაბლოში დაბრუნებული თითოეული ოჯახი საქართველოსთვის მტკიცე ციხე-სიმაგრის ტოლფასია;" „ერთიანობა, ერთიანობა და კიდევ ერთიანობა;" „სამაჩაბლო - ჩვენი მთავარი საფიქრალი;" „სამაჩაბლო საფრთხეშია, ხალხო!" „სამაჩაბლოს გადარჩენა - ყველას ვალია!" „სამაჩაბლო გვიხმობს, გვეძახის!" „ახალო წელო, მშვიდობა მიეც საქართველოს!" „გადმოგვხედე სამაჩაბლოელებს, ღმერთო!" „ცხინვალის რეგიონი საქართველოს მიწა-წყალია და ამაში ვერავინ შეგვედავება, ამ რეგიონში მშვიდობისა და წესრიგის დამყარება თითოეული ჩვენგანის წმიდათა წმიდა მოვალეობაა!" „26 მაისი ქართველი ხალხის, სრულიად საქართველოს ეროვნული დღესასწაულია!" „ცხინვალი გასაჭირშია!" „ცხინვალი - ჩვენი მონატრება!" „ცხინვალი შვილებს ელოდება!"

იმ ხანებში შეჭირვებულ „შიდა ქართლს“ დახმარების ხელი უპირველესად საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ (ყოფილი მინისტრი ვალერი ვაშაკიძე) გაუწოდა. ცხინვალის დევნილი გაზეთის რედაქცია მადლიერებას გამოთქვამს: გორის ყოფილი რძის ქარხნის (დირექტორი გურამ ნოზაძე), ქ. გორისა და გორის რაიონის კონტროლის პალატის (თავმჯდომარე ზაზა ედიშერაშვილი), შიდა ქართლის ერთიანი სახელმწიფო ფონდის (უფროსი გურამ კვიწინაძე), გორის საგადასახადო ინსპექციის (უფროსი ბაგრატ გამგებელი), გორის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის „სიჭაბუკე“ (თავმჯდომარე გია ანიაშვილი) მიმართ, რომლებმაც თავის დროზე უსახსრო დევნილ გაზეთს სპონსორობა გაუწიეს.

გაზეთმა ფართოდ გააშუქა გრანდიოზული ზეიმი „ცხინვალობა,“ რომელიც 1999 წლის 12 ივნისს ჩატარდა გიორგი ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო დრამატულ თეატრში. იმ დღეს, სვეგამწარებულმა ცხინვალელებმა მეორე ღირსსახსოვარი თარიღიც იზეიმეს - ცხინვალის პირველი ქართული საშუალო სკოლის (ლეგენდარული ვახტანგ კასრაძის) 120 წლისთავი.

„მოგვნატრებიხარ, ცხინვალქალაქო!“ - ამ სათაურით იბეჭდება რ. დავითგორელის კორესპონდენცია:

ანდამატივით როგორ გვიზიდავ, როგორ გვიყვარხარ...

შორიდან გეტრფით, გეალერსებით, ცხინვალო!

როგორ მოგვნატრებიხარ, როგორ გვაკლიხარ და უშენობა გვტკივა, ჩვენო ცხინვალქალაქო!

თუმც დრო გასულა, ჟამთა სიავით ქარბორბალამ გაუსაძლისი წლები საკუთარ სამშობლოში დევნილს მხრებზე დააბერტყა, მაგრამ მაინც მძლავრობს მრავალჭირნახადი ივერიელის გენი, ქართველი კაცის უტეხი ნებისყოფა... და ანთებულ ლამპარად ანთია იმედი - შინ, მამა-პაპურ კერაზე დაბრუნებისა.

ნუმც მოგვეშალოს!!!

ცხინვალი - ძმობისა და მეგობრობის ქალაქი - დღეს კი ქა-

რთველებისგან თითქმის დაცარიელებული... დრამატული თეატრის ფასადის ფონზე, ლამაზად გაფორმებული მოსაწვევი ბარათი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გაფანტულ ცხინვალელებს მოუხმობდა: 1999 წლის 12 ივნისს, 12 საათზე, გიორგი ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართება ცხინვალელთა ტრადიციული დღესასწაული „ცხინვალობა“ დევიზით - „ჩვენ დავბრუნდებით!“

შიდა ქართლის ლტოლვილთა და განსახლების სამმართველოს ინიციატივით წელს მეორედ ჩატარდა „ცხინვალობა,“ რომლის ძირითადი მიზანი ცხინვალის პირველი ქართული საშუალო სკოლის დაარსებიდან 120 და წლების მანძილზე მისი უცვლელი დირექტორის ვახტანგ კასრაძის დაბადებიდან 90 წლისთავის აღნიშვნა იყო.

„ცხინვალობის“ მომწყობმა საინიციატივო კომისიამ, მაისის შუა რიცხვებში, შტაბ-ბინა ცხინვალის რეგიონის გაზეთ „შიდა ქართლის“ რედაქციაში დაიდო და მუშაობასაც შეუდგა.



„ცხინვალობაზე“

დაუდგრომელი, მუდამ ვერცხლისწყალივით მოძრავი ცხინვალელის, შიდა ქართლის ლტოლვილთა და განსახლების სამმართველოს უფროსის, სრულიად საქართველოს საზოგა-

დება „ცხინვალის“ თავმჯდომარის ფელიქს ქესანაშვილის თავკაცობით, „ცხინვალობის“ მომწყობმა კომისიამ დროის მოკლე მონაკვეთში ბევრის გაკეთება შეძლო. გამოფენისთვის შეგროვდა ცხინვალის პირველი საშუალო სკოლის დირექტორების, სასკოლო ცხოვრების ამსახველი, ამაგდარი მასწავლებლებისა და გამოჩენილი პირველსკოლელების ფოტოები; ცხინვალელთა მიერ გამოცემული წიგნები; ლიახვისპირელი მხატვრების ნამუშევრები და ა.შ.



გამოჩენილი პირველსკოლელი ცხინვალელები

განსაკუთრებული მუშაობა გასწიეს „შიდა ქართლელმა“ ჟურნალისტებმა. დღესასწაულის წინა დღეებში გორში გამოვიდა ცხინვალის რეგიონის გაზეთები ანშლაგით - 12 ივნისს გეპატიჟებით ზეიმზე „ცხინვალობა,“ სადაც დღის სინათლე ჰპოვა საუკუნეს გადაცილებულმა, ამჟამად გადამწვარმა პირველი საშუალო სკოლის ცხოვრების, მისი დამსახურებული დირექტორის - ვახტანგ კასრაძის, ამავე სკოლის პედაგოგებისა და იქ აღზრდილი ღირსეული ადამიანების მოღვაწეობის ამსახველმა კორესპონდენციებმა.

შაბათი, 12 ივნისი - სტუმრიანობა ქართლის მეთაურ ქალაქში...

გიორგი ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო დრამატული თეატრის ეზოში, გულღია მასპინძლებთან ერთად,

მრავლად შეკრებილან თბილისიდან, ცხინვალიდან, მცხეთიდან, რუსთავიდან, ქუთაისიდან და სხვა ადგილებიდან ჩამოსული ცხინვალელები. მათ თვალებში ერთურთის ნახვით გამოწვეული სიხარული თუ სევდა გამოსჭვივის. იქვე, გაზეთ „შიდა ქართლის“ მთავარი რედაქტორის ვასილ საბანაძის მითითებით, „ცხინვალობის“ ზეიმის სამახსოვრო ფოტოებს იღებენ ლიახვისპირა ქალაქს მონატრებულები.

თეატრის გრძელ ფოიეში ჩამწკრივებულ მაგიდებსა და სტენდებზე ცხინვალელ მხატვართა ნამუშევრების, პოეტთა, მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა მიერ გამოცემული წიგნების, სკოლის მაცნედ ქცეული ხელნაწერი ჟურნალების და ალბომების გამოფენაზე მშვიდობის მტრედებივით შემოფარფატდნენ იმ დილით, თვალში საცემი მოწოდებით დასტამბული გაზეთები „შიდა ქართლი“ და „ლიტერატურული ცხინვალი.“

ცოტაც და, ხალხით გადაჭედილ დარბაზში გორელი პოეტის ბეგლარ ნოზაძის სცენარით, გორის საპატიო მოქალაქის - მიხეილ შაფთოშვილის რეჟისორობითა და ღონისძიების წამყვანის, ენერგიული, მუდამ მშვენიერი მზია ხეთაგურის ერთობლივი ძალისხმევით, საპატარძლოსავით გვიღიმის, მშობლიური ალერსით ხელს გვიწვდის და გვიხუტებს „ცხინვალობა.“

ზეიმის მონაწილეებს მიესალმა შიდა ქართლის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული ირაკლი ბოჭორიძე.

„ცხინვალობას“ ესწრებოდნენ შიდა ქართლის მხარეში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე დავით ქობლიანიძე, საქართველოს პარლამენტის ცხინვალის რეგიონის პრობლემებზე მომუშავე დროებითი კომისიის თავმჯდომარე, ცხინვალელთა ქომაგი და მუდამ მხარში მდგომი გიორგი ლაზარაშვილი, გორის რაიონის გამგებელი გივი გაგნიძე, ცნობილი მწერალი და დრამატურგი მერაბ ელიოზიშვილი, აკადემიკოსი ტარიელ სართანია და სხვები.

ზეიმზე მობრძანდნენ ცხინვალის №1 ქართული საშუალო სკოლის ღრმად ერუდირებული დირექტორის - ვახტანგ კასრაძის მეუღლე თინა ლომიძე, მათი სახელოვანი შვილები ნოდარი, სოსო, სოფიკო, კონა და ოჯახის სხვა ახლობლები.

ზეიმის მონაწილეები აკურთხა ქაშუეთის არქიმანდრიტმა მამა სოკრატემ. იგი სამაჩაბლოდანაა (სოფ. აჩაბეთი) და დამთავრებული აქვს ცხინვალის პირველი ქართული საშუალო სკოლა.

პირველი საშუალო სკოლის ისტორია მიმოიხილა ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (ქ. გორში) რექტორმა, პროფესორმა ვიანორ ახალაიამ – ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს, რომელსაც №1 საშუალო სკოლასთან მჭიდრო, საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდა (თუ შეიძლება ითქვას, ეს იყო ინსტიტუტის საბაზისო სკოლა), ექვს ათეულ წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს, რომელიც იქ მოღვაწე პროფესორ-მასწავლებელთა და თანამშრომლების დაუღალავი შრომით იწყებოდა. ინსტიტუტი წარმოადგენდა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ცენტრს; იმ კუთხის კადრების სამჭედლოს გააჩნდა სტუდენტთა ინტელექტუალური, კულტურული და ზნეობრივი აღზრდისა და სასწავლო პროცესის მუდმივი სრულყოფის წლების მანძილზე ჩამოყალიბებული ტრადიცია.

დღესაც მადლიერებით აღნიშნავენ, რომ როცა ადგილობრივი სპეციალისტების ნაკლებობა იყო, ჩვენმა დედაქალაქმა იმთავითვე იზრუნა და თბილისიდან არაერთი პროფესორ-მასწავლებელი მიავლინა ცხინვალში. ეს იმ დროისათვის იყო უდიდესი თანადგომა, კეთილნაყოფიერი გავლენა და წვლილი ახლად დაარსებული უმაღლესი სასწავლებლის მომავლისათვის. ამის ხაზგასმა საჭიროდ იმიტომ ჩავთვალე, სწორედ ბატონი ვახტანგ კასრაძის მოწაფეები, მის მიერ ხელდასმული ლექტორ-მასწავლებლები საქმიანობენ დღეს ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში. მისმა მადლიერმა აღზრდილებმა ცხინვალის პირველ საშუალო სკოლის სახელოვანი დირექტორისა

და საზოგადო მოღვაწის იუბილე სწორედ 1995 წელს ინსტიტუტის კედლებში პირველებმა აღნიშნეს და მის ხსოვნას სამეცნიერო სესია მიეძღვნა.

ქვეყნისა და კუთხისათვის თავგანწირულ რაინდთა და, შეიძლება ითქვას, წმინდანთა კოჰორტას თავისუფლად შეიძლება მივაკუთვნოთ ვახტანგ კასრაძე, იმ კოჰორტას, „ზეცის კაცნი და ქვეყნისა ანგელოზნი“ რომ ჰქვია და რომ იგი მაღალი სულიერებით დამუხტული რაინდი იყო, ყველასათვის ნათელია.

ბატონ ვახტანგს სამაჩაბლოში არსებულ მრავალ მოვლენაზე შესტკიოდა გული და ამას ხშირად ემოციურად გამოხატავდა. მასთან მუშაობა ადვილიც იყო და რთულიც. ადვილი იმიტომ, რომ იგი პროფესიონალი, საკუთარი საქმის ერთგული და კეთილსინდისიერი პიროვნება იყო. ხოლო რთული იმიტომ, რომ არ უყვარდა დათმობაზე წასვლა, ერთნაირად მომთხოვნი იყო როგორც საკუთარი თავის, სხვების მიმართაც.

ვახტანგ კასრაძე დიდად განათლებული, განსწავლული პიროვნება გახლდათ, მხურვალედ უყვარდა თავისი ხალხი და მტკივნეულად განიცდიდა მათ სატკივარს.

თავდადებული მოძღვარის ცხოვრება არის მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვროს და იღვაწოს ნამდვილმა პატრიოტმა, ზედმეტი ხმაურის გარეშე, უპრეტენზიოდ. თუმცა ბოლოს, აღიარებისა და პატივისცემის სანაცვლოდ, მწარედ ატკინეს გული. ვერ გაუძლო ბუმბერაზმა პიროვნებამ ამ უკეთურებას იმიტომ, რომ არც არავის მეხოტბე არ გამხდარა და არც უკეთურთ შეკვრია ზავით. მუდამ ზნეობის მცველი და ქომაგი გახლდათ და საჭიროების შემთხვევაში, პირველი თვითონ იმაღლებდა ხმას ასერიგად მომძლავრებული უზნეობისა და თავგანწირული უნიჭობის წინააღმდეგ. ამდენად, დააკლდა მისი პიროვნება და მისი ფასეული სიტყვა ცხინვალს, სამაჩაბლოს, მთელს ჩვენს საზოგადოებას. ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, გარედან თავს მოხვეულ ქართულ-ოსურ კონფლიქტს და ურთიერთობას შეიძლებოდა სხვა სახე და ხასიათი მისცე-

მოდა, რადგან მას ერთნაირად სცემდნენ პატივს როგორც ქართველები, ასევე ოსები.

და კიდევ, ვინც ბატონი ვახტანგის შესანიშნავ ოჯახს იცნობს, როგორ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს: „ვერ ხელეწიფების ხალხსა კეთილსა ნაყოფისა ხსენებისა გამოღებად“ და „ნაყოფთა მათგან იცნნეთ იგი“ - თავის მეუღლესთან ერთად არაჩვეულებრივად კარგად აღზრდილი, დახვეწილი შვილები და შვილიშვილები დაუტოვა ერს, ქვეყანას!

ვახტანგ კასრაძის ღვაწლზე ისაუბრა ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტმა (ამჟამად პროფესორი), გაზეთ „შიდა ქართლის“ პასუხისმგებელმა მდივანმა ზაზა ცოტნიაშვილმა.

მოგონებებით გამოვიდნენ დევნილი უმაღლესი სასწავლებლის დოცენტი (ამჟამად პროფესორი), გაზეთ „ლიტერატურული ცხინვალის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე მამუკა ცოტნიაშვილი, დოცენტი (ამჟამად პროფესორი) მზია ზანგალაძე, პედაგოგები ცარო ყაზახაშვილი და ნაილი კირვალიძე.

ჩვენ დავბრუნდებით! - სცენიდან თანაქალაქელებს ამხნევებს პოეტი და დრამატურგი მზია ხეთაგური და იქვე სევდიანად დასძენს:

„... ძველი დიდება უნდა გველირსოს,
გაზაფხულობით კარგო ცხინვალო,
გვირგვინით დიდი თამარ მეფისა
კვლავ იზეიმო და იბრწყინვალო!
ვინ გაგიმეტა ზღუდრის საყდარო,
ან შენ, კალთაო, ნაცარგორისა,
ღმერთის წყალობით ჯერ არ წამხდარხარ,
ჰაი, რომ იცი, ვისი გორის ხარ!“

ცხინვალელებს მიესალმა, დევნილ ბავშვებს ლექსით მიმართა პოეტმა და მუსიკოსმა შოთა დარბუაშვილმა:

„სახლებს იშენებენ ლტოლვილი ბავშვები,
მიწაზე ლოგინად ქაღალდი დაუგიათ,

ქვებით გაუწყვიათ ოთახი რამდენი,
ცხინვალზე ოცნების კოშკი აუგიათ.

.....

კისერზე გვაწვება ლოდი კვლავ ლოდინით,
მშობელო კუთხევ და ედემო,
მანამდე დააგეთ ქალალდის ლოგინი,
თქვე, ბუდემოშლილო მტრედებო!"

საღამოს წამყვანი მზია ხეთაგური სცენაზე უხმობს საქართველოს პრეზიდენტის მიერ „ღირსების ორდენითა" და „ღირსების მედლით" დაჯილდოებულებს. ცხინვალის რეგიონის გაზეთ „შიდა ქართლის" მთავარ რედაქტორს ვასილ საბანაძეს, გაზეთ „ლიტერატურული ცხინვალის" მთავარ რედაქტორს რობერტ ოდიკაძეს, შიდა ქართლის ლტოლვილთა და განსახლების სამმართველოს უფროსს ფელიქს ქესანაშვილს, საქართველოს მწერალთა კავშირის ცხინვალის რეგიონული ორგანიზაციის პასუხისმგებელ მდივანს ნელი ჩალაურს, ცხინვალის სახელმწიფო პედინსტიტუტის ლექტორს მერი ელიშაყოვს.

დაჯილდოებულებმა მოკლედ უპასუხეს ღონისძიების წამყვანის მიერ დასმულ შეკითხვებს: რა განიცადეთ მთავრობის ჯილდოს მიღებისას?..



„ღირსების ორდენი" – ღირსეულთ (სურათზე მარცხნიდან): გაზეთების „ლიტერატურული ცხინვალის," „შიდა ქართლის"

და „ქართლის“ მთავარ რედაქტორებს რობერტ ოდიკაძეს, ვასილ საბანაძეს და ბეგლარ ნოზაძეს გადასცა საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარემ (მარჯვნიდან მეორე) აკაკი სიხარულიძემ.

ზეიმს თავისებური ელფერი შემატეს ივანე მაჩაბლის სახელობის ცხინვალის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობებმა, ანსამბლ „ლიახვის“ სოლისტებმა, კომპოზიტორმა და პიანისტმა მაყვალა ხორბალაძემ...

მიკროფონიდან გაისმის პატარა ცხინვალელების დავით ოდიკაძის, სოფიკო ციცილაშვილის, სალომე არსენიძის წკრიალა ხმები, - ჩვენ დავბრუნდებით, დავუბრუნდებით მშობლიურ ცხინვალს!..

„შიდა ქართლმა“ იბარტყა, გამრავლდა. გამოდის მისი პერიოდული დამატებები: სრულიად საქართველოს საზოგადოება „ცხინვალის“ გაზეთი „ცხინვალი,“ პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური და სამეცნიერო - „ცხინვალის სამრეკლო,“ საინფორმაციო - „ცხინვალის მაცნე,“ „ლიახვი,“ „მემატიანე.“

პირველი დევნილი გაზეთის პერიოდული დამატებების სახით კარგი საჩუქარი მიიღეს ქალბატონებმა - „ცხინვალელი მანდილოსანი,“ ყმაწვილებმა - „დილა მშვიდობისა,“ სტუდენტმა ახალგაზრდობამ - „ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტი...“

დამეგობრებიდან რამდენიმე ათეული წელი აკავშირებს თერჯოლელ და ცხინვალელ ჟურნალისტებს. ცხინვალში ჩვენი გაზეთის („საბჭოთა ოსეთი“) არც ერთი იუბილე თუ რაიმე ღირსშესანიშნავი თარიღი ერთმანეთის გარეშე არ აღინიშნებოდა. ასევე ცხინვალელ ჟურნალისტთა დელეგაცია (მათ შორის ამ სტრიქონების ავტორიც) არც თუ იშვიათად სტუმრობდა თერჯოლელ კოლეგებს.

ქართულ-ოსური კონფლიქტის დაწყების შემდეგ, გასაგები მიზეზების გამო, შენელდა დამეგობრებული რედაქციების ურთიერთობა. ისევ იმარჯვეს ჩვენმა კოლეგებმა და გაზეთ

„თერჯოლის“ (1997, №26) ნომერში მთელი გვერდი რუბრიკით: „ვაი, ჩვენო ქართლის ბედო!..“ ცხინვალის ტრაგიკულ მოვლენებს დაუთმეს. მასში სულის შემძვრელია რაიონულ გაზეთ „თერჯოლის“ რედაქტორის ვასილ არაბიძის თანაგრძნობის წერილი გაზეთ „შიდა ქართლის“ მთავარი რედაქტორის ვასილ საბანაძის მიმართ. იქვე, არ შეიძლება აუღელვებლად წაიკითხო პროფესიონალ ჟურნალისტ თინა ქოჩიაშვილის, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის 1980 წლის კურსდამთავრებულის ზოია თურქაძის კორესპონდენციები.

გაზეთ „თერჯოლის“ პასუხისმგებელმა მდივანმა თინა ქოჩიაშვილმა პირადად მოინახულა გორში დევნილი კოლეგები და მომავალშიც „თერჯოლელთა“ თანამშრომლობა აღუთქვა. იმერელ თანამოკალმეთა მიერ მომზადებული სპეც. გვერდი „შიდა ქართლმა“ ოპერატიულად გადმობეჭდა...

თუ წინა წლებში ცხინვალის გაზეთი გორის სტამბაში ე.წ. ბრტყელი ბეჭდვით გამოდიოდა, შემდგომ, კომპიუტერული საშუალებით ისტამბება. პირველ ხანებში ნაბეჭდი გაზეთის რაოდენობა 500 ეგზემპლარს არ აღემატებოდა, შემდგომ მისმა საერთო ტირაჟმა ათასს გადააჭარბა.

გაზეთის თემატურ რუბრიკაში („მე სამაჩაბლო ისევ მადარდებს;“ „გვახსოვდეს ცხინვალი;“ „ადგილის დედა გვიხმობს, გვეძახის;“ „რაც ხსოვნას შემოუნახავს;“ „იქ, სადაც ჭირს;“ „ეს ჩვენი კუთხის ისტორიაა;“ „ის, რაც გვაწუხებს;“ „ხვედრი დევნილისა;“ „ცხინვალი - ჩემი საბუდარი...“) მოქცეულ მასალებთან ერთად, გაზეთში ჯეროვანი ადგილი აქვს დათმობილი კულტურულ-საგანმანათლებლო, სასოფლო-სამეურნეო, პუბლიცისტურ-ლიტერატურულ და სხვა სახის კორესპონდენციებს.

„შიდა ქართლის“ ფურცლებზე წარმოჩენილია დევნილობაში ივ. მაჩაბლის სახელობის ცხინვალის სახელმწიფო დრამატული თეატრის (ქ. თბილისში) საქმიანობა. ასევე, - გორში ცხ-

ინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული სექტორის ამოქმედება, რომელმაც მალე ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სახელი დაიბრუნა, ხოლო 2000 წლის 16 ივნისს ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსი მიენიჭა.

დღის სინათლეზე გამოსვლისთანავე, პირველ დევნილ გაზეთს, ცხინვალის რეგიონის მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად, ყურადღების მიღმა არ რჩება კონფლიქტის ზონის დიდი, პატარა ლიახვისა და ფრონეს ხეობების ლიტერატურული ცხოვრება.

გაზეთის პირველი ნომრის პირველ გვერდზევე ქვეყნდება სარედაქციო მიმართვა მკითხველისადმი – დაგღალეთ ლოდინით, ჩვენო მკითხველნო. მთლიანად ვღებულობთ საყვედურებს, რომელსაც გამოთქვამდით იმის გამო, რომ თვეების მანძილზე არ გამოდიოდა სამაჩაბლოს ქართული გაზეთი. ამ საკითხს საბოლოოდ თავი მოაბა ჩვენი ქვეყნის - საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ. ჩვენთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა, რომ გაზეთი გამოდის საქართველოს უზენაესი საბჭოს ეგიდით.

სამაჩაბლოს ქართულ გაზეთს მთელი საქართველო ელოდება. შეიძლება საწყისმა ნომრებმა მთლიანად ვერ დააკმაყოფილოს მათი მოლოდინი, რადგან ჩვენი ჟურნალისტები გაფანტულნი არიან თბილისში, რუსთავში, გორში, ქარელში, ხაშურში, კასპში, სამაჩაბლოს სოფლებში და პირველ ხანებში ალბათ გაგვიჭირდება მათი თავშეყრა, მაგრამ მათ მობილიზებას მალე შევძლებთ. იმედია, დავძლევთ ნერვულ დაძაბულობას, დავთრგუნავთ ემოციებს და რეალურად, ობიექტურად ავსახავთ სამაჩაბლოს ცხოვრებას, ყურადღებას გავამახვილებთ არსებულ პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე.

ახალი გაზეთი იქნება სამაჩაბლოელთა ჭირისა და ლხინის გამზიარებელი. იგი გახდება ცენტრი, საკრებულო, სადაც იქნება მსჯელობა სადღეისო საკითხებზე. მის ფურცლებზე

შეიგრძნობა ლტოლვა სრული თავისუფლებისკენ, სწრაფვა - ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ. მეთოდურად, დამაჯერებლად დავუმტკიცებთ ზოგიერთებს, რომ სამაჩაბლო იყო და დარჩება საქართველოს მთლიანობაში. ყველანაირი ცდა, რომ იგი მოგვგლიჯონ, უიმედო და უპერსპექტივოა.

მადლობას მოვახსენებთ ყველას, ვინც ღვაწლი და ამაგი დასდო ჩვენი რეგიონის ქართული გაზეთის აღდგენას. გვეიმედება ჩვენი ხალხის და მათი დახმარებით, მხარდაჭერით, გვჯერა, გამოვცემთ ისეთ გაზეთს, როგორიც ეკადრება და შეეფერება საქართველოს ერთ-ერთ რომანტიკულ კუთხეს - სამაჩაბლოს, სრულიად შიდა ქართლს.

ახლადდაარსებულ გაზეთს, მის მკითხველს მიესალმება სრულიად საქართველოს ივანე მაჩაბლის საზოგადოების გამგეობა: „ამ გაჭირვების ჟამს და მძიმე კრიტიკულ სიტუაციაში მართლაც რომ მალამოსავით მოედება სამაჩაბლოელებს ახალი ქართული გაზეთის გამოსვლა. ექსტრემალურ ვითარებაში რთული იქნება მუშაობა, მაგრამ სწორედ ახლაა საჭირო თავდაჭერილობა, მოფიქრებული მოქმედება, სადავეების ხელში აღება.

გვწამს, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს გაზეთი სამაჩაბლოსათვის, მძლავრი ლახვარი იქნება იმათთვის, ვინც გულშიც კი გაივლო ამ ძირძველი მიწის საქართველოსგან მოწყვეტა.

გვიხარია და გილოცავთ პირველი ნომრის გამოსვლას!"

წერილები „შიდა ქართლის" რედაქციას - ამ რუბრიკითაა დასტამბული დევნილი გაზეთის დაბადებისადმი მკითხველთა (გივი თუხარელის, გიორგი ჯაფარიძის, გულო გაგნიძის, ციცინო ყაულაშვილის, ილია მამალაძის...) მისალოცი ბარათები, - გთავაზობთ ამონარიდებს: „გილოცავთ თქვენ, შიდა ქართლსა და მთელ საქართველოს საყვარელი გაზეთის დაბადებას;" „შიდა ქართლის" პირველი ნომრის ნახვამ სიხარულის ცრემლი მაფრქვევინა. ალბათ, ეს ერთი უბედნიერესი დღე იყო ჩემს

სიცოცხლეში;“ „გისურვებთ ჯანმრთელობას, შემოქმედებითი უნარის გაფურჩქვნას, რომ გაზეთი მრისხანე იარაღად გექციოთ სამაჩაბლოს, საერისთაოს, საფავლენიშვილოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, ღირსეულად ამოსდგომოდეს გვერდში საქართველოს რესპუბლიკის სხვა გაზეთებს ერისა და ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში;“ „ჩემო ძვირფასო „შიდა ქართლო,“ გისურვებ ზრდასა და გაფურჩქვნას, მრავალფეროვნებასა და მკითხველთა სიყვარულს...“

„შენც მოდიხარ, მოგენატრა ჭოროხები? მოდი, ბიჭო, ქართულ ბუხარს გაუმარჯოს!“ - ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იანი წლების გარიჟრაჟზე, ცხინვალის რეგიონში ეთნიკურ დაპირისპირებამდე, ლიახვისპირელი პოეტი, ჟურნალისტი და პუბლიცისტი ვახტანგ კობერიძე, მისთვის სათაყვანებელი დედულ-მამულის საპატრონო-სადარაჯოდ ომახიანად მოუხმობდა გარკვეულ მიზეზთა გამო წინაპართა სამოსახლოდან წასულ თანამემამულეებს შინ - მამა-პაპურ კერაზე დაბრუნებას. შემდგომ, ეს სიტყვები მოწოდებად გაისმოდა ქართულ-ოსური კონფლიქტით დაზაფრულ ივერიელთა სამკვიდროში.

თამარაშნელი შეძლებული გლეხკაცის, ვაზის ტრფიალის ილია კობერიძის მრავალშვილიან (რვა) ოჯახში, ვაჟთა შორის, იგი უფროსია. დაწყებითი განათლება მშობლიურ სოფელში მიიღო, საშუალო განათლება კი ცხინვალში, ვახტანგ კასრაძის სკოლაში.

№1 ქართული საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, 1953 წელს, მისაღები გამოცდები ჩააბარა თბილისის ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში ვეტერინარის განხრით და სტუდენტობაც იზეიმა.

უმაღლესი სასწავლებლის დასრულებისთანავე, ერთხანს ვეტექიმის პროფესიით მუშაობდა. მისივე ნათქვამიდან გამომდინარე, - 1967 წლის გაზაფხულზე ბედმა გაუღიმა და ცხინვალის ქართულენოვან გაზეთში იწყებს მუშაობას კორესპონდენტად, განყოფილების გამგედ. შემდეგ, აგრძელებს

ჟურნალისტურ საქმიანობას გორში გამომავალ ცხინვალის რეგიონის მწერალთა გაზეთ „ლიტერატურული ცხინვალის“ რედაქციაში - საკუთარ კორესპონდენტად დიდი ლიახვის ხეობაში.

პირველი ლექსი „დააჩქარეთ,“ გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტმა“ 1953 წელს გამოაქვეყნა. მას შემდეგ, სისტემატურად თანამშრომლობდა როგორც ადგილობრივ, ისე რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში. მისი ლექსები თარგმნილია მეგობარი ოსი პოეტების მიერ, რომლებთანაც „ვალში“ არასოდეს რჩებოდა და მათთან რაღაც განსაკუთრებული, გულთბილი დამოკიდებულებაც აკავშირებდა.

ფართო და საინტერესოა ჩვენი კოლეგა-მეგობრის შემოქმედებითი გზა - აღმასვლისა. ცხინვალში გამოსცა ლექსების ოთხი კრებული: „ლაჟვარდს შენი ყვავილები რთავენ“ (1971 წ.), „ჩემი სოფლის ფერები“ (1975 წ.), „მხოლოდ წინ“ (1981 წ.), „ჯერ არ ჩახვიდე, მზეო“ (1983 წ.). 1995 წელს თბილისში, გამომცემლობა „საქართველომ“ დასტამბა ლექსების კრებული „ვედრება.“

მიუხედავად გაუსაძლისი დღევანდელობისა, იგი ჩვეული შემართებით იღვწის. გამოსცა ლექსების მეექვსე კრებული „წუთისოფელი“ (2010 წ.), ნარკვევებისა და მოთხრობების კრებული „ვაჰ, სოფელო!..“ (2012 წ.).


მშობელ მიწაში უდგას ფესვები... დევნილობამდე, იქ, ისტორიულ სოფელ თამარაშენში ცხოვრობდა, საიდანაც ცხინვალი იწყება. მისი სახლი (ამჟამად იავარქმნილი) მწერლის, ჟურნალისტის, პუბლიცისტისა და სწორუპოვარი მთარგმნელის - ივანე მაჩაბლის ადგილ-მამულს გადაჰყურებდა. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ 2008 წლის 8 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომამდე, კონფლიქტის ზონის შუაგულში ტრიალებდა. დაუდგრომელი შემოქმედი თეთრად ათენებდა ღამეებს. იმ განცდებსა და ფიქრებში, მას მუზაც მეგზურობდა.

აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია ლექსმა „რამეთუ ერთი მუხაა ჩვენი," რომელიც დღესაც არ კარგავს აქტუალობას:

„ასე მგონია მე ამ ღამესაც
თეთრად გავათევ მწარე ლოდინში,
ფიქრი რატომღაც შენსკენ გამექცა,
ტანთგაუხდელი ვწევარ ლოგინში.
ვფიქრობ და ველი ტყვიის გასროლას,
შენგან დამიზნულს, ძმობილო ახლაც,
ვინ დაამუნჯებს იმ ვერაგ ტყვიას,
მარტოოდენ რომ სიკვდილი ახლავს.
ნუთუ? ო, ღმერთმა არ დამაჯეროს
ასე გასწირე ძმობილი ძმაო,
იქნებ შენც ჩემებრ ტანთგაუხდელი
წევხარ და ფიქრობ, ფიქრობ და წვალობ...
აგერ, თენდება, ფრინველთ გალობა
ავსებს გარემოს, შესტრფიან ცარგვალს,
ტანთგაუხდელი მე ისევ ვწევარ
და ვხედავ ის ცა იმ ლურჯ ცას არ ჰგავს.
იქნებ შენს სულსაც სწვავს და აკვნესებს
ცხინვალის კვნესა და მისი ცეცხლი,
ნუ შევშინდებით, წამოვდგეთ ერთად,
თუნდ ისევ ვჭამოთ ჩვენ ის ფიცვერცხლი,
ერთად ვიმღეროთ „მუმლი მუხასა,"
რამეთუ ერთი მუხაა ჩვენი."

ვაჰ, დრონი... დღეს თვითონაც დევნილია სამშობლოში, ცხრაათეულ წელს გადაბიჯებული მხცოვანი პოეტი.

მრავალჟამიერ... ღმერთმა ინებოს, ჩვენს კოლეგა-მეგობარს, - 100-იანი იქ, დიდი ლიახვის ხეობის მისთვის ხატება-საფიცარ თამარაშენში მიგველოცოს!



დევნილი გაზეთის სამზეოზე გამოსვლას ოპერატიულად გამოეხმაურა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე იოსებ მეგრელიძე, რომელიც მრავალი წელი ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში მოღვაწეობდა და იკვლევდა სიძველეებს დიდი და პატარა ლიახვის, ფრონეს ხეობებში:

„მივესალმები ახალი გაზეთის - „შიდა ქართლის“ დაარსებას. ეს ეროვნული მნიშვნელობის დიდი ფაქტია. შიდა ქართლი საქართველოს განუყოფელი ნაწილია და სხვათა მიერ მისი მიტაცების ცდა ამაოა.

მისი წინამორბედი ადგილობრივი გაზეთის რედაქცია იძულებული იყო სხვათა ისტორიისათვის მეტი მიეზღო და საკუთარზე ნაკლები ელაპარაკა.

ახალ გაზეთს ვუსურვებ, იყოს სიმართლის მსახური, ამოწვდილი ხმალი ობიექტურობის დაცვისათვის.“



რეგიონის ახლო წარსულით ჩაფიქრებული ცხინვალელი მწერალი და დრამატურგი მერაბ ელიოზიშვილი მიმართავს „შიდა ქართლს“ და მოურიდებლად დასძენს:

„ძარღვებში გაყინული სისხლი!
თვალში გაყინული ცრემლი!
ფილტვებში გაციებული ჰაერი!
სასულეში გაჩხერილი სიტყვა!“

ხსენებაც არ მინდა, „შიდა ქართლო,“ რაც გერქვა, გაფიქრებაც მზარავს!..

თქვენი არ ვიცი, გაზეთის ლტოლვილო მუშაკებო, მაგრამ, მე, პირადად, რაღაცნაირი გაურკვეველი შიში მიპყრობდა რედაქციაში (ცხინვალში - რ. ო.) მოსვლისას. თითქოს ვიღაცა გამიგებსო, რომ ქართველი ვარ და ქართული სიტყვის უბით შემოვდგი ფეხი რედაქციაში; რომ ვიღაცათაგან ერთი ამბავს მიიტანს აბლაბუდების საოლქო სამთავროში ჩემს შესახებ, რათა მცირე ჰონორართან ერთად მოწითალო ნექტარიც მრგებოდა და წინასწარ შემეკავებინა თავი მომავალი ქართული სიტყვის მკაფიოდ მოსატანად, გულით მოსათხრობად...

სილაჩრის საგუშაგოზე იდგა ხშირად გაზეთიც, თეატრიც. ზოგიერთი მაშინდელი მსტოვარი, დღეს ლტოლვილს ეძახის საკუთარ თავს. უძახოს, თუკი გული თავისუფლებისკენ მოულტვის, ეპატიოს ცოდვა - ვისაც წრფელი მონანიება შეუძლია!

დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დიდი არჩევნების წყაროსთავთან შობილს, ცხინვალის „შიდა ქართლად“ დაბადებულ გაზეთს, მის არც ერთ თანამშრომელს, თავისუფლებისა და ჭეშმარიტების ღაღადისის გარდა, არანაირი ორჭოფის უფლება არა აქვს.“

ქართულ-ოსურ კონფლიქტს დიდი, პატარა ლიახვისა და ფრონეს ხეობებში ენით აუწერელი შედეგები მოჰყვა. ცხინვალშიც, „აირია მონასტერი“ და ქალაქში დატრიალებული უბედურებით შეძრწუნებული დევნილი შემოქმედი ნელი ჩალაური აკი ამიტომაც მწარედ დასძენდა:

„ბავშვის ფაჩუჩი ქუჩაში ეგდო,
სისხლი კი უღვთოდ ცეცხლით იწვოდა,
მისი პატრონი – ლტოლვილი, სადღაც,
სხვას შეხიზნული, მიკუნტულიყო.
ხოლო მძარცველი, ურცხვი და უნდო,
სიხარულისგან დავლურს უვლიდა
და უხაროდა, და უხაროდა
რომ მეზობელის სახლი იწვოდა.“

დაიწვა სახლი, ჩაიფერფლა ქართველი კაცის ნაჯაფ-ნაამაგარი:

„და ამ ქალაქში ასე ჰგონიათ,
რომ მარტოობით სახლს სული ხდება,
უგუნურთ ფიქრად სულაც არ მოსდით:
სახლთ ანგელოზი სახლს არ სცილდება.
დრო მიდის მკაცრი, დაუნდობელი
ცრემლით, სისხლით და ტანჯვა-გოდებით
და მოუთმენლად პატრონს ელიან
დამწვარ სახლების ანგელოზები.“

და ბოლოს, მომავლის იმედი მძლავრობს - ბოროტების დათრგუნვისა, სიმართლის გამარჯვებისა:

„სული ივსება სინაზის გრძნობით,
თითქოს სიყვარულს არ აქვს საზღვარი
და კუთხე-კუნჭულს სითბოთი ხვდება
ლტოლვილს სიზმარში თავისი სახლი.
ნება ღვთისაა, მართალს ის არჩევს,
ის დამნაშავეს მოუვლენს სასჯელს,
ლტოლვილთ ღვთისმშობლის კალთა დაფარავს,
ლტოლვილთ განგება თვით გაამძლავრებს.“

„დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია...“ - ბრძანებდა დიდი გალაკტიონი და ქართველი პოეტები ყოველთვის იქ იდგნენ, სადაც სამშობლოს უჭირდა. როგორც დევნილი გაზეთის მთავარი რედაქტორი ვასილ საბანაძე წერდა, ალბათ არ დარჩენილა გასული საუკუნის არც ერთი შემოქმედი, რომელიც სამშობლოს ბედით არ დაინტერესებულა. ყველა გრძნობდა, თუ როგორ იჩაგრებოდა და ითელებოდა ეს ბაჯაღლო კუთხე, მაგრამ რა ექნათ, როცა ოს ექსტრემისტებს მხარს უჭერდნენ და ეხმარებოდნენ ბოლშევიკები. ქართველი მწერლები იმასღა ახერხებდნენ, რომ ჩამოდიოდნენ ცხინვალში, აწყობდნენ შეხვედრებს და მოუწოდებდნენ ოს მოსახლეობას მეგობრულად ეცხოვრათ ქართველებთან.

რეგიონში შექმნილ ექსტრემალურ ვითარებას, ლექსების ციკლით, ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა პოეტი ნოდარ ჯალაღონია. შემზარავია ოთხი უდანაშაულო სამაჩაბლოელი ვაჟკაცის - მერაბ მინდიაშვილის, ვახტანგ ელბაქიძის, ზვიად ხაბარელის და ნუგზარ კასრაძის ტრაგიკული აღსასრული, რომლებიც შეიარაღებულმა არაკაცებმა ხეებზე მიაბეს, ბენზინი მიასხეს და ცოცხლად დაწვეს. აი, როგორ მწვავედ აღიქვამს პოეტი სამშობლოს სიყვარულში დაფერფლილ ქართველ მამულიშვილთა ხატებას:

„რა სათქმელია იუდას ვერცხლი,
ეს არის ცოდვა ცისა და მიწის,

ხეზე მიბმული სისხლიან ცეცხლით
კაცობრიობის სინდისი იწვის.
ცოცხლად მარხავენ და ცოცხლად წვამენ,
როცა ვაჟკაცის სულს ველარ კლავენ
და სამშობლოსთვის შეწირულ თავებს,
თაფლწასმულ ტანს თუ იმ მოჭრილ მკლავებს.“

ჟამთასიავე ბორგავს ივერთ სამკვიდროში, მაგრამ არ წყდება იმედის ძაფი ლექსში „კვლავ ამღერდება ხმალი დავითის:“

„ფიცია ჩვენი შურისძიების,
ჩვენი ჭრილობა და ტკივილია,
სისხლით მორწყული ქართველის იები,
სამაჩაბლოში ისევ ტირიან.
იქ დახოცილი ჩვენი ბიჭები
საფლავში ერთი რწმენით ჩადიან,
რომ მაჩაბელი ისევ იმღერებს
სამაჩაბლოში ჰანგებს შადიანს.
ისევ იმღერებს „მრავალჟამიერს.“
და ცა იქნება ისევ მზიანი,
და ჩვენი მიწა ისევ ისევე
იდიდგორებს და იბასიანებს.“

მოლექსე და მომღერალი მაჩაბელი დაირითა და სიმღერით წარუძღვა მეომრებს და კრწანისში არაგველებთან ერთად დაეცა მტერთან უთანასწორო ბრძოლაში. მისი სახელი და საფლავი უცნობია, - ეს ტრიპტიქი წაუმძღვარა ლექსს „მაჩაბელი“ ქართველმა პოეტმა. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში დაცემულ მაჩაბელს საფლავში რა მოასვენებს:

„როცა უჭირს სამაჩაბლოს,
მე საფლავში როგორ გავძლო,
გვერდით როგორ არ დავუდგე
ჩემს სამკვიდროს და ჩემს საძმოს.
თავო ჩემო, იმას ვდარდობ
გამოვაკლდი მამულს რა დროს...

საქართველოს როცა უჭირს,
მე საფლავში როგორ გავძლო.“

პოეტი ქართულ-ოსურ კონფლიქტში მოკლულ ექსტრემისტ - „ვილაცის შვილს, მეუღლეს, ძმას“ მწარედ მიმართავს და წუხს იმაზე, ვინც შეაჩეჩა ხელში მახვილი:

„შენს შესანდობარს არვინ აღავლენს,
შენთვის სანთელი არ აინთება,
მიწა, რომელსაც შენ უღალატე,
შენთვის მსუბუქი აღარ იქნება.
შენ იმ ქართველის სახე საფლავშიც
არ მოგასვენებს და გაგაწამებს,
ვინც მშიერს ერთ დროს პური გაჭამა,
შენ კი ტყვია და მიწა აჭამე.“

სამწუხაროდ, „უკანასკნელ წლებში არავის გაფიქრებია კრიტიკულად გადაეხედა ცხინვალში გამომავალი ოსური ჟურნალ-გაზეთებისათვის, სადაც უხვად იბეჭდება ანტიქართული, ისტორიის გაყალბებული მასალები. ამ მასალებზე აღზრდილი ახალგაზრდები, ბუნებრივია, ვერ იქნებიან ქართველებისადმი კარგად განწყობილნი.

ჩვენი სურვილია, ბატონ ნოდარ ჯალაღონიას მიბაძონ სხვა შემოქმედებმაც და „სამაჩაბლოს თემაზე“ შექმნან შინაარსიანი ნაწარმოებები.“

ქვეყნის ურთულეს ვითარებას ველარ გაუძლო თბილისელმა ექიმმა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა - თავი დაიწვა. სიკვდილის წინ ახალგაზრდა დასტაქარმა წერილი დატოვა - „თუ ქართველთა შერიგებასა და საქართველოს აღორძინებას მსხვერპლი სჭირდება, დაე ეს მსხვერპლი მე ვიყო, ღმერთმა ქნას ბოლო.

შვილო, მაპატიე. ვიცი, რომ გამიგებ. 21-ე საავადმყოფოს ექიმი გია აბესაძე, 36 წლის.“

ამ შემზარავი ფაქტით აღშფოთებული თამარაშნელი პოეტი ვახტანგ კობერიძე წერდა:

„საქართველოს მზეც გიყვარდა, მიწაც,
სადღეგრძელოც ბევრჯერ აგიღია,
გაუმარჯოს შენს სულსა და შენს გულს,
ორივეს ხომ თავდადება ჰქვია.
მოგიკითხეს სამაჩაბლოს მხრიდან,
ძმაო, ბიჭო, ხეზე მიბმულს მწვავენ,
ხედავ, ჩვენგან ავარდნილი ცეცხლი
დროშასავით სამშვიდობოდ მიაქვთ!“

სამკვიდროდან აყრილ ქართველთა ხვედრი, მიტოვებული ცხინვალი და იავარქმნილი სახლ-კარი გულს უკლავს დევნილ სტომატოლოგს ზინაიდა მესროპოვა-კობალაძეს:

„ცხინვალის შესასვლელთან მავთულხლართებია,
ქართველ ლტოლვილთათვის შესვლა დახშულია,
ხლართების იქით მკვდარი სიცოცხლეა,
შიდა ქართლელთა ადგილ-მამულია...“

ამაგდარი, თეთრხალათიანი მანდილოსანი უფალს შესთხოვს შველას:

„ღმერთო, შენ გვიხსენ სატანჯველისგან,
შენ დაგვიფარე ამოწყვეტისგან,
როდემდე ვ ზიდოთ ლტოლვილის ბედი,
როდემდე ვიყოთ სხვის შემხედველი.“


გ. ტატნიაშვილი, თ. ხიზანიშვილი

ივანე მაჩაბლის სახელობის ცხინვალის სახელმწიფო დრამატული თეატრის (თბილისში) უდავოდ ნიჭიერ რეჟისორს თამარ ხიზანიშვილს კალამიც კარგად უჭრის. სულის ამაფორიაქებელია „შიდა ქართლ-

ში“ (1991, XI) მისი ავტორობით გამოქვეყნებული ჩანახატი „ჩემო ჩიხა-მახა ცხინვალო:“

ჩემო პატარა ჩიხა-მახა ქალაქო, რომ იცოდე როგორ მენატრები, რომ იცოდე როგორ მეცოდები და როგორ მიყვარხარ. ჩემო მყუდრო, უხმაურო, პაწაწინავ, რა გიშველო, რითი დაგეხმარო, როგორ მოგწვდე, როგორ მოგეშველო. რომ იცოდე, როგორ მენატრები - ცრემლამდე. რას არ მივცემდი, ოღონდ შენ მენახე ქართულად მორთული, ოღონდ შენ მენახე ისეთი, როგორც შენ მინატრიხარ - ჩემო სამშობლოვ და ჩემო დედულეთო, ჩემო დაკარგულო და გადამწვარო ბავშვობავ. სადა ხარ ჩემო ყმაწვილქალობავ, ჩემო სკოლავ, ჩემო ფრთამოგლეჯილო ბავშვობის მოგონებანო. სად გეძებოთ, სად, ვისი ხელით გიწიათ განადგურებამ? ჩემი სიზმრების დედავ! ჩემო პატარა ქალაქო, ყოველდღე სიზმარში გხედავ, ხან ისეთს, როგორიც იყავ, ხან კი გადამწვარს, აოხრებულს, მავთულხლართებით შებორკილს, დანგრეულს. ხან კი მეჩვენება, თითქოს ისევ ერთად ვართ და სიხარულის შიშით მელვიძება.

ჩემო პატარა დედავ! გახსოვს იანვრის ცივი ღამე? მე და შენ პირველად რომ მივხვდით ზღვარი რომ აღარ არსებობდა, დაიწყო ღალატი. ყოველთვის ვგრძნობდით და ველოდით, მაგრამ არასოდეს გვჯეროდა, სიკეთის მთესველნი სიკეთის მომკას. ველოდით, როგორ ბორგავდი, როგორ ფორიაქობდი, გრძნობდი განა, რაც უნდა მომხდარიყო - პირველ აწიოკებულებს მხოლოდ შენი შიშით გაფართოებული თვალები გვახსოვს - იანვრის ღამეს როგორ შემოხვედი ღამის სუდარით ჩემს სახლში, როგორ მემუდარებოდი:

- წადი, გაასწარ, უშველე, შვილებს უშველე, წადი... წადი, რომ მერე ისევ დაბრუნდე - მე გავუძლებ, მარტო მე, მე ხომ გორგასალმა ამაშენა. მე მაგარი ბალავარი მაქვს. ქართულად ჩაკირული... მე ვერ მძლევენ, ვერ მომერევიან, მე გავუძლებ. მე მეშინოდა უშენობისა. იცის ღმერთმა, არ მეშ-

ინოდა სიკვდილისა, - უშენოდ ვერ გავძლებდი, შენ კი მომკიოდი - წადი... ისევ შევიყრებით... მერე წამოვედი და დაიწყო ლოდინით სავსე დღეები. გულის გახეთქვამდე მომენატრე... ჩამოვედი... შესასვლელთან. ნეტავ არ მენახა შესასვლელს მისეული აწიოკებული ქართველობა, ნეტავ არ მენახა, ნეტავ არ მოგეხმე.

ცხინვალელ ხელოვნების მსახურს გულს უკლავს მისთვის სათაყვანებელი, იავარმნილი ლიახვისპირა ქართული ქალაქი: დაღამდა, აი შენი თვალები... ღმერთო! როგორ შეცვლილხარ, ერთ თვეში როგორ დაბერებულხარ, ჩემო პატარა ჩიხა-მახა ქალაქო. თვალებით მეუბნებოდი: თითო-ოროლა ქართველს, ველარ უძლებენ... მეტის გაძლება აღარ შეიძლებაო.


მერე თოვლის სითეთრეში შავი ნაიარევი გამოგიჩნდა, გადამწვარი გულ-მკერდი ქართველებისაა - მხოლოდ თქვენიაო... როგორი სახე გქონდა - ღვთისმშობელს გავდი.

ვინ ოხერი გიკორტნიდა ჩემს საკოცნელ გულ-მკერდს. ვინ ოხერი ჩაგძახოდა ყურში ავის ხმით. ვინ ოხერი არ გაპატიებდა - რათა ხარ ქართველიო, ვინ ოხერი გინგრევდა, გიწიოკებდა ღვიძლ შვილებს! ვინ გიუპატიურებდა, გიწვავდა ცოცხლად! ის, ვისაც აწოვე ჩემი საწოვებელი ძუძუ, ის, ვინც გაზარდე ჩემი და ჩემი ძმების სამოსში, ის, ვისაც არაფერი დააკელი, ის, ვისაც პური აჭამე და წყალი დაალევინე, ისა, დიახ, ისა! უმადური და გულბოროტი, უნამუსო და უკეთური - გტკივა ღალატით გაფლეთილი ზურგი. ვაი, რომ ვერაფრით გიშველი, ვაი, რომ მანადგურებს ჩემივე უძლურება. ვაიმე, ჩემო პატარა ჩიხა-მახა ქალაქო, როგორ იტანჯები. ვისი ფეხით სათელი გახდი, ვისი ენის საქავებელი და ბაირაღად გასაკითხი. ვინ გისაკუთრებს და დუჟიანი პირით გიკოცნის ქართულ გულ-მკერდს.

ცხინვალის ღვთისმშობლის ტაძარო, ჩვენი გაჭირვების მოწმევ, როგორც გვიფარავდი, დღესაც დაგვიფარე. ნუ წაგვწყმედ, ნუ გაგვიმეტებ, შენ გევედრები, შენ, ღვთისმშობელო დედაო,

შენ იცი მტყუანი და მართალი. შენ უნდა დაგვიფარო, შენ უნდა მოგვცე ძალა, ღვთისმშობელო დედაო.

ჩემო პატარავ, ჩემო ნანატრო, ჩემო გამწარებულო, ტყვედ ჩავარდნილო, მონატრებავ და ჩემო სიცოცხლევ, ჩემო პატარა ქალაქო, შენთან მინდა, შენთან! - ამ სევდიანი სიტყვებით ამთავრებს ცხინვალთან გასაუბრებას ჩვენებური რეჟისორი, ხელოვნების ერთგული მსახური.



ცხინვალი... საქართველოს ძირძველი ქალაქი, თავისი მდიდარი ისტორიული წარსულით. მრავალი ტანჯვა-ვაების, ლხინისა და ოქროს ჩარდახებით მექორწინეთა მომსწრე, უთვალავი გამოჩენილი მამულიშვილის აღმზრდელი და გულში ჩამხუტებელი. სახელგანთქმული თავისი დახვეწილი ქართულითა და ქართლური ტრადიციებით ჰეროიკულად გარინდულა შიდა ქართლის მოქუფრული ცის ქვეშ.

ასეა, მაგრამ მისი ისტორია ქვეყნად ცნობილია. სიმღერაც იციან „მუმლი მუხასა...“

ცხინვალელ ინტელიგენტთა საამაყო წარმომადგენელი, სიტყვა - ქართულის მეხოტბე, თავმდაბალი შემოქმედი, შესანიშნავი ინჟინერი, ჩინებული მეოჯახე, ახლობელთა და ნაცნობ-მეგობართა მიმართ უაღრესად ყურადღებიანი, მოსწრებული იუმორით შეზავებული ამბის უზადო მთხრობელი, შეჭირვებაში მყოფ მოყვასთა სატკივარის გამზიარებელი და მათი თანამდგომი, - ასეთი იყო ნუგზარ ცერაძე.

ნ. ცერაძე ცხინვალში დაიბადა, ცერაანთ უბანში გაატარა ბავშვობის უდარდელი წლები. იქვე გამოვლინდა მისი

დაუოკებელი სწრაფვა შემოქმედებითი ნიჭიერებისადმი. ვახტანგ კასრაძის სკოლაში ეზიარა ქართული პოეზიის ხიბლს - შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის... უკვდავ სტრიქონებს.

ცხინვალის პირველი საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები თბილისის გზათა მიმოსვლის საინჟინრო ინსტიტუტში, რკინიგზის ელექტროფიკაციის სპეციალობაზე და სტუდენტიც გახდა.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა ინჟინრის შრომითი ბიოგრაფია საკავშირო ტრესტ „ტრანსელექტრომონტაჟის“ დაქვემდებარებაში არსებულ მოსკოვ-ირკუტსკის რკინიგზის ელექტროფიკაციაში დაიწყო.

1961-1964 წლებში ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის ინსტიტუტის ასპირანტია. იქვე მუშაობდა სილიციუმის ნახევარგამტარების თერმული ციკლების გამოკვლევა-შესწავლაზე. სხვადასხვა დროს მუშაობდა: თბილისის ელმავალმშენებლობის ქარხნის საკონსტრუქტორო ბიუროს სექტორის უფროსად; საქართველოს ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს ავტომატიკისა და საკონტროლო ხელსაწყოების გამოშვება-გამართვის სამმართველოს უფროსად; ამიერკავკასიის „საკავშირო ხორცმონტაჟის“ მთავარ ინჟინრად; „საქსანტექმონტაჟის“ რუსთავის სამმართველოს უფროსად. ასევე, ერთხანს საქართველოდან წარგზავნილ ბრიგადებს ხელმძღვანელობდა ქ. ტიუმენში, სადაც საცხოვრებელ სახლებში სანტექნიკისა და გათბობის სისტემის სამონტაჟო სამუშაოებს ასრულებდნენ.

თუმც, თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი მისთვის საყვარელ ქალაქში არ გაუტარებია, მაგრამ წინაპართა კერა, მამულის ყივილი არასოდეს ავიწყდებოდა. აკი ამიტომაც დასძენდა თავის ერთ-ერთ ლექსში - „ჩემს ქალაქს:“

„გავჩეხე რცხილნარი, დავარქვი ცხინვალი,“
ნეტავი პირველად ვინ თქვა,

ვინ სცადა შეექმნა ხრიოკზე ხილნარი,
ვინ დასვა ასეთი კითხვა?“

ლიტონი სიტყვები არაა, რომ მას გული მუდამ მშობლიური მხარისაკენ მიუწევდა:

„გავჩეხე რცხილნარი, დავარქვი ცხინვალი,“
ჩამესმის შორიდან ხმები,
მოვდივარ ცხინვალში, მახარებს ხილნარი,
ჩემს ქალაქს ალერსით ვხვდები.“

ქრონოლოგიური მოგონება უწოდა თავის საგაზეთო პუბლიკაციას ცხინვალელმა პოეტმა ნუგზარ ცერაძემ და ამით ფართო მკითხველს გააცნო, რომ ცერაანთ უბანი - ცხინვალის გული, მხოლოდ ქართველებით იყო დასახლებული ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-40-50-იან წლებში. ახლა იქ თითქმის მთლიანად ოსები სახლობენ. ასე რომ, ტყუილია ოსი ვაიმეცნიერების მტკიცება, თითქოსდა ცხინვალი ალანების ქალაქიაო.

ქართველებით დასახლებულ ცერაანთ უბანში ცერაძეები სჭარბობდნენ. „ზაფხულის დღეებში გამოეფინებოდნენ ხოლმე ცერაანთ უბნელები რუს ნაპირზე - ქალები სარეცხს რეცხავდნენ, კაცები - ენაწყლიანობდნენ.

კოლა ცერაძე - დერციკიანთ კოლა - ხარაზი იყო. ჩუსტებს კერავდა. წყნარი, უვნებელი კაცი, ოთხი ბიჭი გაზარდა - ირაკლი, ომარი, ვაჟა, გოგია. ირაკლი ომიდან თავში ყუმბარის ნამსხვრევით ჩამოვიდა, სახლში გარდაიცვალა. გოგია - მუსიკოსის ტალანტით გაჟღენთილი, ჩვენი „გოჭა“ ცხინვალის სასაფლაოზე განისვენებს. ვაჟა - სხვის კარზე დაიღუპა. ოსებისგან ლტოლვილი თბილისში, მამა-პაპის სასაფლაოზე ვერ ეღირსა განსვენებას - კოლას გვერდზე.“

რუს აყოლებაზე, სონია ხიდაშელი და იორამ მაისურაძე სახლობდნენ. შვილი არ რჩებოდათ და მკითხავმა ურჩია, ძაღლის სახელი დაარქვით და გადარჩებაო. ლეკო დაარქვეს, გადარჩა, გაიზარდა. მათ მეზობლად, თეატრის უკან, ვასო მახარაშვილი

ცხოვრობდა თავის ნატოთი. ხუთი ვაჟკაცი გაზარდეს - მიშა, მიტო, პეტა, პავლე, ვახტანგი და ორი ქალიშვილი.

რუს ჩაყოლებაზე ვალიკო მაისურაძე სახლობდა თავის თამარ სალამაძესთან ერთად. ორი ბიჭი და ერთი გოგო გაზარდეს. ბაგების მხარეზე ლადო ბიბილური და შავი ლიზა ცხოვრობდნენ. ისინი უშვილოები იყვნენ. მათ გვერდით „პოლკას“ - დათიკო ცერაძის მრავალშვილიანი ოჯახი სახლობდა, ცოტა მოშორებით - სარდიონ ცერაძე და ნინა ხეთაგური, რომლებმაც ორი ვაჟკაცი გაზარდეს - ვახტანგი და ამბროსი. მათ ესაზღვრებოდათ „ცინცრიკა“ (იოსებ ცერაძე) და ბაბუცას ალიზის ქოხი.

ორღობეს მხარეს, კაკლებისკენ, პატარა, მჭიდრო დასახლება იყო ცერაძეებისა. ბაბო ქეთო - ცერაძის ქვრივი, თვითონ ბარიშვილი. მისი შვილები ლენტო, სულხანი, ბერულაანთ უბანში ცხოვრობდნენ. მის გვერდზე მამასახლისად ნამყოფი ვასკა ცერაძის და ეფემია ოქროპირიძის სახლი იდგა. მეზობლად ლადო ცერაძის ოჯახი ჰყავდათ. მათ გვერდით სამი ძმა სახლობდა - ზალუშკა, გიგო, ვანო. უფრო მოშორებით კი - ესტატე მაისურაძე. წელმაგარი იყო გალაქტიონ ცერაძის ოჯახი. გალაქტიონი 1937-მა წელმა იმსხვერპლა. ორღობის დასაწყისში გოლა ცერაძის ოჯახი იწონებდა თავს.

გოლაანთ გვერდზე ძველი ქართველი ფალავნის, სტალინის ბავშვობის ამხანაგის - იოსებ ცერაძის სახლი იდგა. მათ მეზობლად კი ილო ყორანაშვილი ცხოვრობდა თავის თამარ კასრაძესთან ერთად. გოლას გადასწვრივ და მის ნაფუძარზე დასახლდა მინა არჩვაძე თავის ანიჩკა ხიდაშელთან ერთად. - ორი ბიჭი და ერთი გოგო გაზარდეს... „თუ ამას მივუმატებთ საკუთარ ბაღ-ვენახებს დღევანდელი ინსტიტუტის შენობიდან და რკინიგზის სადგურიდან მოყოლებული გუჯაბაურისა და ნიქოზის საზღვრებამდე - ბაგებს რომ ეძახდნენ და ცერაანთის ნაპირზე სამი დიდი კაკლის ხეს თავისი დაკიდებული საქანელებით, ბავშვებისა და ახალგაზრდების ჟივილ-ხივილით,

მაშინ მთლიანად წარმოგვიდგება ომამდელ ცერაანთ უბნელ ძირძველ ნაქალაქარ, დაბა ცხინვალში, რომლის სახელწოდებაც ასი წლის ქართველი „ცინცრიკას“ გადმოცემით, წარმოსდგება რცხილნარიდან - „გავჩეხე რცხილნარი, დავარქვი ცხინვალი.“

ღმერთო, წაღმა დააბრუნე ჩარხი და ისევ აღადგინე ძველი „ცერაანთ უბანი!“

ნუგზარ ცერაძე მწარედ განიცდიდა ქართულ-ოსური კონფლიქტის მძიმე შედეგებს, აწუხებდა სამაჩაბლოდან დევნილთა გაუსაძლისი ხვედრი.

მოყვასის შეჭირვებით გულდამძიმებული ჩამოვიდა იმ ზაფხულს გორში, გვეწვია „შიდა ქართლის“ რედაქციაში. ერთურთის მოკითხვის, გარდასულ დღეთა ცხინვალური მოგონებების, აწეწილ ფიქრთა გორგალის „ჩაგორების“ შემდეგ, ბატონმა ნუგზარმა ჟურნალისტთა ჯგუფი, გაზეთ „შიდა ქართლის“ მთავარი რედაქტორის ვასილ საბანაძის თავკაცობით, ჟინვალთან ახლოს, სოფელ არაგვისპირში ახლად შეძენილ სააგარაკო სახლში მიგვიპატიჟა.

„ჟიგულით“ თითქმის ორსაათიანი მგზავრობის შემდეგ, დაგვათვალიერებინა ადგილ-მამული. შემდეგ კი ვაზის ხეივნით ფასადდამშვენებულ, მზრუნველი ხელით მოვლილ ხეხილის ბაღში ჩაფლულ კოპწია სახლის მეორე სართულზე აგვიძღვა. ქართულ სუფრასთან გვიან ღამემდე მოვილხინეთ. მასპინძელმა იქვე გადმოგვცა საჩუქრად საკუთარი ლექსების კრებული „აზრთა ჭიდილი.“

„სურვილი მაქვს, სიამოვნება მოგანიჭო ჩემი „აზრთა ჭიდილით“ და ერთხელ კიდევ გადაგახედო ყოფიერების და ცნობიერების ორომტრიალში...“ - მიმართავს მკითხველს წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი და იქვე აღნიშნავს: „ადამიანი თავხედია!.. ბუნება ქმნის, ბუნება ზრდის, ბუნება სპობს... ის კი გაიძახის, ბუნების მბრძანებელი ვარო.“

ყველგან, ყოველი ფეხის ნაბიჯზე უხმობდა ცხინვალქალაქი,

ეძახდა ადგილის დედა, ხელს უწვდიდა დაუვიწყარი ბავშვობა:

„ხელს მიწვდის ჩემი ბავშვობა,
ხასხასა, - მოუკალავი...
ესტატეს სასიმინდე და
გალაქტიონის მარანი.
ბაღები, ზვრები, ორღობე,
ცერაანთ უბნის კალთები...
კისკისი, ლხინი, თამაში,
საქანელები ნაგრეხი.“

ხშირად სტუმრობდა ცხინვალს. განშორებისას მშობლიური ქალაქის სიყვარული წუთითაც არ ასვენებდა პოეტს:

„რა ვქნა, რომ მიყვარს ცხინვალი
ლიახვის მურწა ჭანარით...
ლიახვის ხიდით მაღალით,
გასაქან-გამოსაქანით...“

ნუგზარ ცერაძის პოეტური კრებულები ანდამატივით იზიდავს პოეზიის მოყვარულთ. მის ლექსებში სამშობლო - საქართველოს ჭირ-ლხინისა და ერის წყლულის გათავისება, მოყვასისადმი პატივისცემა თუ სიყვარულის მარადუჭკნობი გრძნობა ირეკლება.

ლიახვისპირა ქალაქზე და, საერთოდ, საქართველოზე უზომოდ შეყვარებული ჩვენი ნუგზარი, სამშობლოს რთულ დღევანდელობაზე მწარედ ჩაფიქრებული - ხან სევდიანი, ხან იმედიანი...

„სამაჩაბლოში ქართლის ცრემლია...“ - აცხადებს ცხინვალზე ასევე დიდად შეყვარებული დევნილი პოეტი შოთა დარბუაშვილი და გვჯერა, რომ ეს ცრემლი მანამ იწვეთებს, ვიდრე არ ჩაიწვება ერთიანი საქართველოსთვის მლოცველის ხელით დანთებული წმინდა სანთელი.

ამბობენ, ყველა ქართველი პოეტად არის დაბადებულიო. აბა, გადავხედოთ თვალმარგალიტებით სავსე ქართულ ხალხურ პოეზიას, ქართული ლექსიკის მიმდინარეობას, მის უნი-

კალურ, განუმეორებელ შედევრებს... ძნელია გრიგალივით მოვარდნილი სტრიქონების დაოკება. ვერც შეაკავებ ულაყივით მომდგარ ლექსს, მას თავისი უკიდეგანო გზა და სივრცე ელის. შოთა დარბუაშვილიც ამ გზისა და სივრცის ერთი ჭეშმარიტი შენაკადია, რომელიც, ტიციანისა არ იყოს, ლექსს თვითონ კი არა წერს, არამედ ლექსი წერს მას, მეწყერივით რომ მოვარდება. - ასე ეხმიანება დევნილი პრესის ფურცლებიდან მეგობარ-თანამოკალმეს, ლიახვისპირელი პოეტი და ჟურნალისტი ვახტანგ კობერიძე.

შოთა დარბუაშვილი ცხინვალის ქართული ოჯახის ღირსეული შთამომავალია. მისმა ბავშვობის პერიოდმა, სიჭაბუკის წლებმა, ცხინვალქალაქში გაიარა. აკი ამიტომაც დასძენს:

„მე ცხინვალელი ბიჭი ვარ,
დედით და მამით ქართველი,
სიხარული ვარ, სიმღერა,
ლექსი, ფიფქი და სანთელი.
ო, როგორ მენატრებიან
ჩემი ქალაქის ქუჩები,
ერთი გავლა და გამოვლა,
ცხინვალის გოგო-ბიჭები...“

სამაჩაბლოელ პოეტს ადარდებს ნაომარი, ქართველებისგან დაცლილი მშობლიური ქალაქი:

„ჩვენო კოპწია ცხინვალო,
ჩემი ჭრილობის მალამო,
ომგადახდილო ტკივილო,
ნატანჯო ჩემო ქალაქო.
დაუვიწყარო დღეებო,
ზლაპარო სიყვარულისა,
ნუთუ ყოველი წავიდა,
იყო და არა იყო რა?..“

მიუხედავად მრავალჭირნახული საქართველოს ძნელბედობისა, დევნილობაში გავლილი და გასავლელი გაუსაძლისი

დღეებისა, იგი იმედს არ კარგავს და მომავლისადმი ოპტიმიზმითაა განწყობილი:

„არა, დრო მოვა, ინათებ
ასი ათასი სანთელით,
ქართული დროშის ფრიალში
ამოისუნთქებს ქართველი...
ამიტომ, როცა კითხულობთ,
მაინც რა არის ცხინვალი,
გპასუხობთ: არის ქალაქი,
საქართველოში მბრწყინავი.“

ლიახვისპირა ლამაზ ქალაქში ახალგაზრდა შემოქმედმა, თანამოაზრეებთან ერთად, დააარსა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ბონვარონი“ (ცისკრის ნათება - რ. ო.). ანსამბლის სოლისტი, 1989 წლიდან სამხატვრო ხელმძღვანელია, სადაც იღვაწა ქართულ-ოსური კონფლიქტის დაწყებამდე. ამასთან, ქართულ-ხალხურ ანსამბლ „ლიახვის“ სოლისტს, - ესტრადისა და ხალხური სიმღერების უზადო შემსრულებელს (სურათზე: მარჯვნიდან პირველი) შემოვლილი აქვს მსოფლიოს არაერთი ქვეყანა.



„ლიახვის“ ბიჭებთან

ერთი დრო ამ ბიჭებისთვის მართლაც დაუვიწყარი იყო. კერძოდ, გასული საუკუნის 80-იანი წლები. სწორედ აქედან იღებს სათავეს „ლიახვის“ დაარსება. მაშინ, ვოკალურ ანსამბლში გაერთიანდნენ ახალგაზრდები დავით ელბაქიძის ხელმძღვანელობით და, მიუხედავად მრავალი სირთულისა, მათმა მეცადინეობამ შედეგი გამოიღო. და, აი, 1985 წლიდან ცხინვალის რაიონის კულტურის განყოფილების გამგის - იუზა თადტაევას ხელშეწყობითა და მზრუნველობით, მომღერლებმა გზა გაიკაფეს.

მას შემდეგ ოცმა წელმა განვლო... 5 მაისს (2001 წ.) ქართლის მშვენიერი დედოფალი - თამარაშენი მასპინძლობდა „ლიახვს.“ შეხვედრის ინიციატორები იყვნენ ადგილობრივი მმართველობის თავკაცები და მერაბ ელიოზიშვილის სახელობის ბავშვთა სტუდია. ხელმძღვანელები - დავით და მანანა ელბაქიძეები.

ეს ორი პროფესიონალი მუსიკოსი, უკვე ორი წელიწადია თბილისიდან დაუბრუნდა მშობლიურ კუთხეს და დიდ მამულიშვილურ საქმიანობას ეწევა. მათი ინიციატივით შეიქმნა ბავშვთა სტუდია, სადაც ათეულობით ნორჩი ეუფლება სიმღერის ხელოვნებას.

იმ ვარდობისთვეს, მშვენიერი შეხვედრა შედგა. თამარაშენი მასპინძლობდა „ლიახვს.“ სკოლის გაჩახჩახებულ დარბაზში გადაჭედილი დამსწრე საზოგადოება ტაშით მიესალმა დავით ელბაქიძეს, ჰამლეტ გოგიძეს, ბესო დოგუზოვს, ზაზა თედიაშვილს, ელგუჯა კეკოშვილს, გივი კახიაშვილს, შოთა დარბუაშვილს, მევლუდ სამადალაშვილს.

იყო მრავალი მოგონება, სიხარულს სევდაც ახლდა თან. გაიხსენეს ანსამბლ „ლიახვის“ წევრი, ტრაგიკულად დაღუპული ვალერ ბაბუციძე. ანსამბლს მიესალმნენ მოწვეული სტუმრები - თამარაშნელთათვის კარგად ნაცნობი ანსამბლი „კელაპტარი“ ანი ბაჯიაშვილის, ლია ხუნწარიას, მარინე გიორგაძის, დათო ლოლუაშვილის შემადგენლობით. ცნობილმა მომღერლებმა მოხიბლეს მაყურებელი.

„ლიახვს“ მიესალმა რაიონის კულტურის განყოფილების გამგე იუზა თადტაევა, იმედი გამოთქვა, რომ კვლავ ახმიანდება „ლიახვი“ და ძველებურად ისევ ერთად მოივლიან ოსებიც და ქართველებიც მსოფლიოს არაერთ ქვეყანას, საგასტროლო მოგზაურობით.

საპარტნიორო საბჭოს სახელით, „ლიახვს“ მამუკა კუსიანი მიესალმა, რომელმაც სამახსოვრო საჩუქარი გადასცა ანსამბლის წევრებს. გულთბილი იყო პედაგოგების ლამარა ბუგიანიშვილის, აჩაბეთის საშუალო სკოლის დირექტორის ლინირა ქავთარაძის მისალმება. აღინიშნა „ლიახველთა“ ღვაწლი ქართული სულიერების განმტკიცებაში. საღამოს იმედი და მშვენება, რა თქმა უნდა, პატარა შემსრულებლები იყვნენ. პედაგოგების მანანა ელბაქიძისა და დავით ელბაქიძის ხელმძღვანელობით, ნორჩმა მომღერლებმა და მუსიკოსებმა მოხიბლეს დამსწრე საზოგადოება.

დასასრულ, დიდი ლიახვის ხეობის გამგებელმა ვასილ დათაშვილმა მადლობა გადაუხადა მსახიობებს და აღუთქვა დახმარება შემდგომ საქმიანობაში.

რესპუბლიკური და საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი შოთა დარბუაშვილი სტუდენტობის წლებიდან ეწევა აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას. პირველი ლექსი ცხინვალის ქართულენოვან გაზეთში დაბეჭდა. მას შემდეგ, ლექსებს, პუბლიცისტურ წერილებს სისტემატურად აქვეყნებს რეგიონულ თუ რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში („შიდა ქართლი,“ „ლიტერატურული ცხინვალი,“ „გორის მოამბე,“ „ლიტერატურული საქართველო,“ „ნობათი,“ „კლდეკარი,“ „თბილისი,“ „საქართველო,“ „ახალი ივერია...“). დევნილობაში გამოსცა პოეტური კრებულები: „სამაჩაბლოში ქართლის ცრემლია...“ (1992 წ.), „ლტოლვილი მქვია“ (1994 წ.), „წარსულის ნაამბორალი“ (2000 წ.).

რთული დღევანდელობით აღშფოთებული პოეტი წუხილს ვერ მალავს:

„რას მემართლებით ამ ჩემს მამულში, თქვენ გეკითხებით,
რა ბურუსია გაურკვეველი, თქვენ გეკითხებით!
ძილი დაგიფრთხოთ თავისუფლების დროშის ფრიალმა?!
რა ვერ გაიყო დიდმა მპყრობელმა, ჩვენთვის ტიალმა!
მინა, რომელიც საქართველოს, სულ სხვა ფერებით,
თუ მზე, რწმენით რომ გვავსებს დიდი ღმერთის გენებით?
დრო მოვა, ისევ იხარებს ტოტ ზე ქართული ენა,
ჩემი სალამი, ვის გიყვარდით, ღვთით ნაბოძები
და ვისაც გძულდით, ანდა გძულვართ, გემშვიდობებით.“

ცხინვალელი შემოქმედისათვის დევნილობის მძიმე წლებს უკვალოდ არ ჩაუვლია. ამის დასტურია ის ტკივილიანი ლექსები, სადაც გულწრფელადაა გამოხატული ჩვენი დღევანდელი ყოფა და სულიერი განცდები. პოეტს, რა თქმა უნდა, ერჩივნა თავის მშობლიურ კუთხეში მშვიდობიანად ეცხოვრა და სულ სხვა თემაზე ეწერა ლექსები, მაგრამ განგებამ ასე არ ინება:

„გაურკვეველი არაფერია,
ჩემთვის ნათელი არის ყოველი,
ხან მხიარული, ხან სევდიანი,
მწვავს პოეზიის სევდის მორევი.
მუსიკის ხმებში ახშობენ ტკივილს,
საოცარია ფერისცვალება,
ისევ მარტო ვარ და მეშინია
უცხო ქალაქში გარდაცვალება...“

შიდა ქართლის კონფლიქტის ზონა თითოეული ქართველის სატკივარი, ჯერაც მოუშუშებელი ჭრილობაა. ემა ლომოური გორის რაიონის სოფელ ქორდის მკვიდრია. იგი სისხლხორცეულადაა დაკავშირებული ცხინვალის რეგიონთან და მთელი არსებით განიცდის იქ დატრიალებულ ტრაგედიას. თავის გულისტკივილს და მწუხარებას ლექსებით გამოხატავს:

„ცრემლი გაგვიშრა თვალ ზე,
სიტყვა დაგუბდა პირში,

თქვენი ცოდო მკლავს, ძმებო,
ომში დაღუპვის შიში.
ჯალათის ხელით მოგწვდათ,
დაგჭრეს, გაწამეს, დაგწვეს,
მაგრამ გმირული სული
იფრენს ერედვის მთაზე.
დედა სამშობლომ გიხმოთ,
ღიმილით თქვენს ძმებს გაჰყეთ.
თქვენი მგზნებარე გული
მტრებმა უღმერთოდ ჩაკლეს.
ხე, ქვაცა ტირის ცოდვით,
ზღვა ცრემლი მოსკდა კარზე,
ბედის ვარსკვლავი თქვენი,
მარად იბრწყინებს ცაზე.“

დიცში (გორის მუნიციპალიტეტი) დაბადებულ-გაზრდილი, ქ. გორის მეექვსე ბიბლიოთეკა-ფილიალის ბიბლიოთეკარი ნანა ყორანაშვილი პოეზიის ტრფიალია. მას, ნათესავ-ახლობლების უმრავლესობა ცხინვალის რეგიონიდან ჰყავს და, ბუნებრივია, სხვებზე მეტად აფიქრებს ჟამთა სიავისაგან გაწამებულ სამაჩაბლოელთა ბედი.

იმ დროს, როცა შიდა ქართლის კონფლიქტის ზონიდან ქართველ დევნილთა მნიშვნელოვანი ნაკადი ქალაქ გორისა და გორის რაიონს მიაწყდა, ნანა ყორანაშვილის ოჯახმა ქართული სტუმართმოყვარეობით ფართოდ გაუღო კარი ბედის ირონიით შეჭირვებულებს, ექვსი კერამიტოვებული ახლობელი საკუთარ ჭერქვეშ შეიფარა და შეძლებისდაგვარად ნათესავური მზრუნველობაც არ მოაკლო.

საქმეს რა გამოულევს თბილი ოჯახის ხელმარჯვე დიასახლისს. მიუხედავად დიდი დატვირთვისა, ყოველდღიური მოუცლელობისა, თავისუფალ დროს საწერ მაგიდას უზის, პოეზიის უკიდეგანო სივრცეში იძირება. მისი ლექსების მესაიდუმლე, პირველი მკითხველი თავისი სიყრმის შვილი - თამუნაა.

„შიდა ქართლელებმა“გზა დაულოცეს დევნილ გაზეთში პირველად სამზეოზე გამოსულ ნანა ყორანაშვილის ლექსებს:

„შფოთავს და გრგვინავს დღეს საქართველო,
ველარ ვიშუშებთ მკერდში იარებს,
დამსგავსებია ჩვენი ცხოვრება
კალაპოტიდან მომსკდარ მდინარეს.
სისხლი იღვრება ნაკადულებად,
ცა ჩამოინგრა! – მტრის ნასროლ ტყვიას
ჩვილის აკვანიც ვერ გადაურჩა!..
ცოცხლად გვიწვამენ ლომგულა ბიჭებს,
იწვოდა კაცი, მაინც მღეროდა,
ამდენ ცოდო–ბრალს ქვაც ვერ გაუძლებს,
ეს რა გველოდა, ეს რა გველოდა?!“

ქართველებმა მომხვდურს რომ მივუალერსეთ და ჩვენს სათაყვანო მიწაზე ძმად რომ მივიღეთ, ჩვენზე მანვე აღმართა ხელი:

„... სისხლის წვიმა და ცრემლია,
ცივი ქარები ქრიან,
საქართველოში ქართველებს
დღეს ლტოლვილები ჰქვიათ.
ხომ ბევრი გადაიტანე
ჩემო სამშობლოვ ადრეც,
მაინც მგონია, სიმწარეს
არ მოსწრებიხარ ამდენს.
გული დაზაფრა სევდამ,
აღარ დასრულდა ტირილი,
ცოცხლად დამწვარი ბიჭების
ვინ ანუგეშოს დედა?!“

ცხინვალი... საქართველოს ძირძველი ქალაქი თავისი ისტორიული წარსულით მდიდარი; მრავალი ტანჯვა-ვაების, ლხინისა და ოქროს ზარდახშებით მექორწინეთა მომსწრე; უთვალავი გამოჩენილი მამულიშვილის აღმზრდელი და გულში

ჩამხუტებელი; სახელგანთქმული, თავისი დახვეწილი ქართულითა და ქართლური ტრადიციებით, ჰეროიკულად გარინდულა შიდა ქართლის მოქუფრული ცის ქვეშ.

ასეა, მაგრამ მისი ისტორია ქვეყნად ცნობილია. სიმღერაც იციან - „მუმლი მუხასა...“

სულის შემძვრელია ლუიზა ბერულელის ჩანახატი. დევნილს მშობლიური ქალაქი მონატრებია, მასზე ფიქრი მოსძალებია: „წუხელის სიზმარი ვნახე. შენთან ვიყავი. სიხარულს გადაბიჯებული იყო შეხვედრით მიღებული განცდა და სხეულდავიწყებული, მხოლოდღა სული მივყვებოდი ჩემს საყვარელ ქუჩას შენსას.

ტყუილს ვერ ვიტყვი, ბავშვობაში არ მყვარებიხარ. ეს მერე მოხდა, შემიყვარდი საბედისწეროდ. მე ამას ვამბობ... იმან რაღა თქვას ან რაღა ქნას, ვინც დაბადებამდეც შენს სიყვარულს ატარებდა გაუცნობიერებლად, ვინც ბავშვობიდან მხოლოდ შენი ჰაერით და მზით საზრდოობდა, ვისაც შენთან დარჩა ყველაფერი, თუ რამ ებადა. დარჩა ბავშვობა, ყმაწვილობა და სიჭაბუკე... შენთან ყოფნისას ტკივილი არ ვიცოდი, რა იყო. მახსოვს, თანაკურსელები ღამის ორ და სამ საათზე წასულან სახლში ჩემი ბინიდან. არავინ იყო ჩვენი შემშინებელი. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმესთვის ევნოთ.

ამ საუბარში რომ ვიყავი, გზა გადამიღობა რაღაც ხმაურმა. მერე, ვიხილე აბჯრიანი ჯარისკაცები, საიდანაც გამოჩნდა ხალხიც. შიში დამეუფლა. შეიმოსა სული სხეულით. მივხვდი, არავინ მაპატიებდა შენთან დაბრუნებას, უნდა გაგცლოდი, მაგრამ როგორ? ამ დროს ჩემი დიდი ხნის უნახავი მეგობარი მოვიდა ჩემთან.


- ველარ მიცანი? - გაიკვირვა, ჩამკიდა ხელი და გამაცილა უსაფრთხო გზამდე. ბევრი რამის თქმა მინდოდა მისთვის, ვერ მოვახერხე. უკმარისობის გრძნობა დამეუფლა და გამომელვიძა.

მენატრები, უსაზღვროდ მენატრები. მე რომ ასე ვარ, სხვამ რაღა ქნას, ბავშვობა რომ შენთან დარჩა. ან რა უნდა ვქნათ, სიზმარშიც რომ არ გვპატიობენ შენთან ყოფნას.

„საზღვართან“ ვდგავარ. აქედან შენ იწყები, ჩემო ცხინვალო!“

„შიდა ქართლი“ სასიამოვნო ცნობას აწვდის მკითხველს, რომ ჩვენი ქვეყნის ავბედით წარსულში უცხოეთში გადახვეწილი, უკრაინაში დაკრძალული სასიქადულო პოეტი დავით გურამიშვილი იუნესკოს კალენდარში შევიდა: „იუნესკოს 1992 წლის ღირსშესანიშნავ თარიღთა კალენდარში მეტანილია დიდი ქართველი პოეტის - დავით გურამიშვილის გარდაცვალების ორასი წლისთავი, რომელიც წელს აღინიშნება საქართველოში. ამრიგად, ავტორიტეტიანმა საერთაშორისო ორგანიზაციამ დააკმაყოფილა საქართველოს მწერალთა კავშირისა და რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს იუნესკოს საქმეთა რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობა და მთელ ცივილიზებულ სამყაროს ამცნო ის, რომ საქართველოში აღინიშნება ეს ღირსშესანიშნავი თარიღი.

ეს იუნესკოს საქმეთა რესპუბლიკურ კომისიას შეატყობინეს იუნესკოს პარიზის შტაბ-ბინიდან...“



ირგვლივ მთები, ნისლში გახვეული გულზვიადი მთები, გიჟმაჟი ქსანი - მდინარის ორივე მხარეს კოპწიად შეფენილი სახლები, თვალუწვდენელი საძოვრები - ცხვრისა და მეცხვარის ძნელად სავალი ბილიკები. სტუმართმოყვარე მთიელი კაცის უღალატო ხასიათი, მტკიცე ნებისყოფა და მისი გაუტეხელი გული.

მოსახლეობაში კრიალოსანივით გაბნეული ხალხური სიბრძნის მარგალიტები. აფორიაქებულ საქართველოს დასაშოშმინებლად ქარჩოხის ხეობის დედაკაცთა ლოცვა-კურთხევით გაჯერებული ღაღადისი და იმედი ხვალის, რწმენა მომავლის... - აი, ახალგორის რაიონის მთის ერთ-ერთი თვალწარმტაცი სოფელი - მიდელაანი, სადაც წინაპართა ტრადიციულ მეცხვარეობის დარგს შეჭიდებული გამრჯე ხალხი სახლობს.

დავით ახლოურიც მიდელაანელია.. იგი ქარჩოხის ხეობაში აღიზარდა და დავაჟკაცდა. იქვე, მეზობელ სოფელ ბალაანის საშუალო სკოლაში ეზიარა პოეზიის სიყვარულს - ბრძენი ილიას, ცეცხლი აკაკის, გმირი ვაჟას, უკვდავი გალაკტიონის... მარად გაუხუნარ სტრიქონებს.

„სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერია," - სწორედ რომ გონიერ კაცად, ჩამოყალიბებულ ინტელიგენტად იცნობენ ქსნის ხეობაში ბალაანის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის ამაგდარ მასწავლებელს თენგიზ ახლოურს. დათოც მამის კვალს გაჰყვა და საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრებისთანავე სწავლას აგრძელებს გორში დევნილი ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (შემდგომ უნივერსიტეტი) ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. „რედაქციაში სტუმრად მოსულმა ჭაბუკმა მოკრძალებით გაგვიმხილა, რომ თავისუფალ დროს პოეზიის ტყვეობაშია. იგი უამრავი ლექსის ავტორია... გზა დავულოცოთ დამწყებ პოეტს, რომლის რამდენიმე ლექსი პირველად სამზეოზე ჩვენს გაზეთში გამოგვაქვს:"

„ბნელი გაგვითენე, გზები გაგვინათე,
შენი სამკვიდროს ვართ შვილები,
ყველგან უპატრონე, ცაში გამინათლე,
წინაპარ ქართველთა სულები.
ძალა დაანახვე უფრო თვალნათლივ ხალხს,
რათა იწამონ წმინდა საფიცრები,

მარად დაიფარე დღეს სადარაჯოზე
საქართველოსთვის დამდგარი ბიჭები.

.....

სამშობლოს მოცილებულ, მოწყვეტილ კაცს კიდევ,
უჩვენე სამშობლოს მთები...
დე, მარად გვფარავდეს, დე, მარად გვიძღვოდეს
ღმერთი, ხატები და ჯვრები.“

ახალგაზრდა შემოქმედსაც აწუხებს თავისუფალი საქართველოს რთული დღევანდელობა, მაგრამ სჯერა და სწამს ჩვენი ქვეყნის ნათელი მერმისისა, ივერიელთა ჯიშ-ჯილაგის სიმტკიცისა.

„შესდექ, მტერო!
ქართველები
მომხვდურთ მტკიცედ ხვდებიან,
ვერა ხედავ?
სისხლსა ღვრიან,
მაგრამ მაინც მღერიან!

.....

შესდექ, მტერო!
ქართველები
სიკვდილს მედგრად ხვდებიან,
იცლებიან სისხლისაგან,
მაინც არა კვდებიან.
შესდექ მტერო!
საქართველო
ქართველების ხვედრია.“

იაკობ გოგებაშვილი - გამოჩენილი ქართველი პედაგოგი, საბავშვო მწერალი, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, ერის დიდი მოამაგე, რომელმაც მთელი თავისი ცოდნა და შეგნებული ცხოვრება სამშობლოს სამსახურს მოახმარა. მის უპირველეს საზრუნავს წარმოადგენდა ქართველი ხალხის განათლების, კულტურის აღორძინება. დიდად განიცდიდა თავისი

ქვეყნის ჟამთა სიავეს, ნიჭსა და უნარს არ იშურებდა ერის უკეთესი მომავლისათვის.

ი. გოგებაშვილი ერთგულად ედგა მხარში საქართველოს უგვირგვინო მეფეს ილია ჭავჭავაძეს. იგი ღრმად იყო დაუფლებული დასავლეთ ევროპისა და რუსეთის პედაგოგიურ თეორიასა და პრაქტიკას. სულმნათ იაკობს რომ არაფერი გაეკეთებინა, გარდა იმისა, რომ ქართველი ბავშვებისათვის შეექმნა მარად უკვდავი „დედა ენა," მისი სახელი მაინც არდავიწყების შარავანდედით შეიმოსებოდა საქართველოს კულტურული ცხოვრების მესაძირკვლეთა შორის.

„დედა ენის" ფუძემდებლის, ვარიანელი იაკობ გოგებაშვილის სახელს დავიწყება არ უწერია. „სხვისი ჭირის" გამზიარებელ ერს, ზოგჯერ ჯეროვნად როდი უფასდება სიკეთე, გაწეული ამაგი. ამიტომაც წერდა გულისტკივილით ერის დიდი განმანათლებელი: „...მადლს უმადურობა მოსდევს ხშირად არა მარტო კერძო პირთა შორის, არამედ ერთა შორისაც; მაგრამ ქართველი კი ყოველთვის მოშორებული ყოფილა უმადურობასა და ყველა პატარა ერს მის მფარველობაში შეხიზნულს, ერთად გადაუხდიდა ხოლმე მცირეოდენ სიკეთესაც კი და ანიჭებდა მათ სრულ თანასწორობას თავისთანა. მიუხედავად ამისა, ბედი კი ჩვენ სხვანაირად მოგვეპყრო და დიდი სიკეთე უმადურობით გადაგვიხადა..." ამის მაგალითია, თუნდაც, ოს-ქართველთა ეთნიკური დაპირისპირება.

მადლიერმა შთამომავლობამ, გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, სასიქადულო მამულიშვილის მშობლიურ გორის რაიონის სოფელ ვარიანში „იაკობობა" დააწესა. მას შემდეგ, ამ სახალხო დღესასწაულზე, ყოველი წლის ოქტომბრის ბოლო კვირას, მრავლად ჩამოდიან იაკობის თაყვანისმცემლები.

სამაჩაბლოს ტრაგედია, მამულის მთლიანობის შენარჩუნებისათვის გაძეძავებული ომი აფხაზეთში, პურისა და სასურსათო მაღაზიების წინ უკვე ჩვეულებრივ მოვლენადქცეული

უსაშველო რიგები, ნერვებაშლილი ადამიანები, დეფიციტი ყველგან და ყველაფერში... ყოველივე აქედან გამომდინარე, საზეიმო ღონისძიებების მოსაწყობად ვისღა სცალია. ალბათ ამიტომაც, კარგა ხანს შეფერხდა ჭეშმარიტი ერისკაცის, იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი სახალხო ღონისძიებები.



და, აი, განახლდა დღესასწაული... „ოქტომბრის (1996 წ.) მიწურული, შემოდგომის ცრიაკი დღე... იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 156-ე წლისთავის იუბილის აღსანიშნავად ჩამოსულ სტუმრებს გულღიად ეგებება ვარიანი. აქ მობრძანდნენ შიდა ქართლის მხარის ადმინისტრაციის და გორის მერიის ხელმძღვანელი მუშაკები, მოწვეული სტუმრები თბილისიდან, ქ. გორიდან და გორის რაიონიდან, ცხინვალიდან დევნილი ინტელიგენციის წარმომადგენლები, შიდა ქართლის მხარის მოსწავლე-ახალგაზრდები, სტუდენტები, უკრაინის რესპუბლიკის ქ. ჩერკასის ტურისტები.“

ცხოვრებისეული სირთულეების მიუხედავად, დღესასწაულამდე „მოეწყო ღვაწლმოსილი პედაგოგის სახლ-მუზეუმის (ვარიანში) მთლიანი რეკონსტრუქცია. მალე შეკეთდა და ამოქმედდა იქვე, მის ახლოს მდებარე ეკლესია, გალამაზდა სახლ-მუზეუმის ეზო-შემოგარენი და ა. შ.

ზეიმს განსაკუთრებულ იერს მატებდა მნიშვნელოვანი თარიღი იაკობის მოღვაწეობიდან - „დედა ენა“ 120 წლისა შესრულდა. ქართველი ერის თვალსაჩინო მოჭირნახულის ეზო-კარ-მიდამოში ზღვა ხალხმა მოიყარა თავი. „აი ია,“ „აი თითი,“ „ეს თასია...“ ესაა მრავლად გამოფენილი ნახატებიდან ამოკითხული სიტყვები, რომელიც ბავშვობასთან და „დედა ენასთან“ გვაბრუნებს, „დედა ენასთან,“ რომელმაც 1876 წლიდან ანალიზურ-სინთეზური ბგერითი მეთოდის გამოყენებით გაათავისუფლა ნორჩი თაობა ნამდვილი წამებისაგან. ამ უკვდავმა წიგნმა-სახელმძღვანელომ შეამოკლა ანბანის შესწავლის დრო, გაუადვილა ყმაწვილებს ცოდნის შეძენა...“

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 1992 წლის მარტიდან საქართველოს რადიო რეგულარულად გადასცემდა საუბრების ციკლს „შეიცან თავი შენი,“ რომლის ლაიტმოტივი გახლდათ გორში დევნილი ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (შემდგომ უნივერსიტეტის) პრორექტორის, პროფესორ გენადი ბურჭულაძის ერთ გადაცემაში მოხმობილი ივანე ჯავახიშვილის ცნობილი გამონათქვამი: „ქართულისა და ქართველურ ენათა მეცნიერულ კვლევა-ძიებასთან ერთად მთავარი ყურადღება ე.წ. კავკასიური ენების საფუძვლიანსა და გაღრმავებულ შესწავლას უნდა მიექცეს, თუნდაც იმიტომ, რომ ამას უაღრესი მნიშვნელობა თვით ქართულის თავდაპირველი ბუნებისა და მერმინდელ ცვლილებათა გასაგებადაც აქვს.“

ცნობილია, რომ მთის იბერიულ-კავკასიური ენათა კვლევა ძალიან ბევრ ხელშესახებს იძლევა თვით ქართულის შესახებ. ამის თუნდაც ერთი ნიმუშია ლიახვისპირა ქალაქში ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე პროფ. გენადი ბურჭულაძის ინიციატივით შემოღებული სპეცკურსი - „შესავალი ქართველურ ენათა საერთო ლექსიკაში.“ ეს მთლიანად ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მხარდაჭერით მოხერხ-

და. „1989 წელს დამტკიცებული „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის“ მიხედვით, რესპუბლიკის ყველა უმაღლეს სასწავლებელში ქართული ენის შესწავლა სავალდებულო იყო ყველა ფაკულტეტზე. სამაჩაბლოში იმდროინდელი სიტუაციის გათვალისწინებით, ჩვენი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ისიც კი შევთავაზეთ, რომ ქართულ ფაკულტეტზე ოსურის შესწავლით, ხოლო ოსურსა და რუსულ ფაკულტეტებზე ქართულის სწავლება დაინერგოს. სამეცნიერო საბჭოს ზოგი წევრი თუმცა აბუზღუნდა, მაგრამ ჩვენი წინადადების წინააღმდეგ ვერ წავიდნენ. მაგრამ რა, ჩავატარეთ ორიოდე ლექცია და ოსი სტუდენტები მეცადინეობაზე აღარ ცხადდებოდნენ.

ამაში არც თუ მცირე წვლილი სამეცნიერო საბჭოს ოს წევრებსაც მიუძღოდათ. არა და რა უნდა გვექნა, ოსები ბევრად მეტნი იყვნენ სამეცნიერო საბჭოში, ქართველები კი მხოლოდ ხუთიოდე.“

ღვაწლმოსილი მეცნიერი იმასაც გულისტკივილით წერს, რომ ინსტიტუტის სუფთა ოსურ-რუსული ორიენტაციისა იყო. სამწუხაროდ, განმკითხავიც არავინ გახლდათ. ცნობილ მიზეზთა გამო ცხინვალის ქართული მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა იძულებული იყო დაეტოვებინა მშობლიური ქალაქი. ცხინვალში ქართული აღარ ისმის.

რამ შეგვინახა? - ისმის კითხვა და, საქართველოს ამ აწეწილ ჟამს, მოვიშველიებთ ამონარიდს ჩვენი ერის მოჭირნახულე ილია ჭავჭავაძის საახალწლო მიმართვიდან: „ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით, ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით, ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენიც ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა.“ ოდითგანვე ასე იყო, ასე არის და მომავალშიც ასე იქნება, საქართველო გაბრწყინდება. მანამდე კი მკერდში დაჭრილი სამაჩაბლო, აფხაზეთის მოუშუშებელი ჭრილობა ჩემი, შენი, ყველას სატკივარია. ყოველივე ეს გორელ პოეტს აკაკი ბიძინაშვილს დიდად აღონებს:

„ო, აფხაზეთო! ცოდვა დიდია,
ქართველი დედა რად აატირე?!
საიქიოში შენთვის მიდიან,
დრო, ორგულობას არ გაპატიებს.

.....

ხანძარი მეფობს და არ დანდობა,
სისხლად იცლება კოლხეთის ველი,
წყდება ქართველი ახალგაზრდობა,
გადამთიელი ჯალათის ენით.“

ეშმაკის ცხენზე შემჯდარი მორდუს გაუტანლობითა და ღალატით, მწარედ დასძენს:

„ძმა აირჩიე საოცრად ფლიდი,
შებილწე მშობლის წმინდა ალაგი,
შენ, საქართველოს კახპაზე ჰყიდი,
დონზე გაცვალე მტკვარი, არაგვი.

.....

გთხოვ, აფხაზეთო! ჭკუაზე მოდი,
გესმის, გაფრთხილებს მთელი სამყარო!
გულზე დაადე სამარის ლოდი,
ვისაც სურს ქართულ მიწას გაგყაროს.“

იყო დრო, როდესაც ფრონესპირელი შემოქმედი ილია ბუზალაძეც ამაყად დააბიჯებდა ცხინვალში. პედინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, თავის მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა. წლების მანძილზე ყორნისის (ზნაურის) რაიონის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა. ფრონეს ხეობაში აქტიურ, განათლებულ ინტელიგენტად იცნობდნენ, პატივს სცემდნენ და ვერც წარმოიდგენდა, თუ ისე აირ-დაირეოდა ქვეყანა, რომ მასზეც ხელს აღმართავდნენ და საკუთარ სამშობლოში დევნილის ხვედრს გაიზიარებდა. იგი ავადმოსაგონარ დღეებზე ჩანაწერებს მომავლისთვის ინახავს. ყველაფერს ჯერ არ ამბობს. რედაქციაში მოტანილ ლექსებს კი ასეთი წარწერა წარუმძღვარა: „ლტოლვილს, სვეგამწარებულ

კაცს, რომელსაც დღევანდელი განუკითხაობის ჟამს მხოლოდ ერთადერთი საფიქრალი აქვს - რა ჩაიცვას და რით გამოკვებოს ოჯახი, - რა ელექსება.

დაგუბებულ სათქმელს ყველა თავისებურად გამოხატავს. მე ეს გზა ავირჩიე. ნაწერების მხატვრულობაზე რა მოგახსენოთ. მათთვის მზის სინათლის ხილვა იმან გამაბედინა, რომ მათში გამოთქმული სატკივარი მხოლოდ ჩემი სატკივარი არ არის.“

აი, როგორი გულისტკივილით განიცდის პოეტი სამშობლოს ძნელბედობას:

„დგას ერთი გნიასი
და კაკაფონია,
სუყველა გასწრებას ლამობს...
დადექ, თუ კაცი ხარ,
შენთვის ვის სცალია,
მთელი საქართველო ვაჭრობს!
.....
რწმენა ვის ერთმევა,
კუჭი ვის უხმება,
ახლა მხოლოდ ის თუ დარდობს...
დადექ, თუ კაცი ხარ,
შენთვის ვის სცალია,
მთელი საქართველო ვაჭრობს!“

საქართველოში ქართული მწერლობის ერთ-ერთი ძლიერი კერაა ახალგორი - ქსნის ხეობის საგანმანათლებლო ცენტრი. როგორც ახალგორელი ელდარ ყოჩიშვილი წერს, ადრიდანვე დიდად ფასობდა სწავლა-განათლება და წიგნიერება ერისთავების კარზე. 1713 წელს დავით ერისთავის ასულისათვის მზითევში გაუტანებიათ საწერ-კალამი, საღმრთო წიგნები - „სახარება,“ „დავითიანი,“ სამი სახის „ჟამნი,“ „ყოვლის წმინდის მარინეს ცხოვრება და სარწმუნოება;“ საერო წიგნები - „ვეფხისტყაოსანი,“ „ზილხანიანი“ და „ირდუხტიანი.“ ასევე,

ერისთავების ოჯახიდან იყო ნიჭიერი მწიგნობარი იესე ყულარაღიასი. იოანე ბატონიშვილი ცნობილ „კალმოსნობაში“ აღნიშნავს, რომ „იესე იყო კარგ შაირთა შემთხზველი, იესე იყო სწავლის მოყვარე. მას გაულექსავს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის თავსართი ასოები, შეუდგენია აკროსტიხული შესხმა იესე წილკნელისა. იესეს სამწერლო შემოქმედებიდან ცნობილია აკოლადა შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავებისა და ბიძინა ჩოლოყაშვილისა. შალვა და ელიზბარ ერისთავების სახელს ატარებს დაბა ახალგორში ერთ-ერთი ყველაზე გრძელი ქუჩა. ისინი დაკრძალულნი არიან ერისთავთა საგვარეულო იკორთის მონასტერში. სიკვდილშიაც არ ჰქონიათ ბედი, რადგან მათი ძვლები დღეს შიდა ქართლის ოკუპირებულ ნაწილში განისვენებენ. მათ მაგალითს ლეგენდარული ძალა აქვს. მათი სული მოგვიწოდებს, არ დავთმოთ მშობლიური მიწა-წყალი. ქსნის ერისთავთა და ბიძინა ჩოლოყაშვილის გმირული ეპოპეა ბახტრიონულ ომში იმდენად ძლიერია ქართულ ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურაში, რომ იესეს გარდა, გენიალურმა ვაჟა-ფშაველამ პოემა „ბახტრიონში,“ აკაკი წერეთელმა „ბაში-აჩუკში“ და ლევან სანიკიძემ „წიგნი მოწამეთაში“ კიდევ ერთხელ მოაგონეს ქართველ ერს პატრიოტული სულისკვეთება.

საგაზეთო წერილის ავტორი იმასაც მიგვანიშნებს, რომ XVIII-XIX საუკუნის მიჯნაზე ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა გიორგი ყულარაღიასის ვაჟი ელიზბარი, რომელსაც დაუწერია „მუსტაზადი.“ იგი ქსნის ერისთავების სახლის წარმომადგენელთა კულტურულ შემოქმედთაგან აღნიშნავს გამოჩენილ მწიგნობარსა და მთარგმნელს, ღვთისმეტყველსა და საზოგადო მოღვაწეს ვარლამ ერისთავს, რომელსაც 1811-1817 წლებში საქართველოში ეგზარხოსის თანამდებობა უჭირავს. ამასთან, ახლოს ყოფილა რუს სწავლულებთან. 1805 წელს გამართა სტამბა და გამოაქვეყნა „სადღესასწაულო,“ წერდა ლექსებს, თარგმნიდა რუსულიდან.

სწორედ რომ ქსნის ერისთავთა ოჯახიდან იყო გიორგი ერისთავი - XIX საუკუნის საზოგადო მოღვაწე და დრამატურგი, რომლის ინიციატივით საქართველოში პირველად 1850 წელს დაარსდა ქართული თეატრი, სადაც დამდგმელი და მსახიობი თვითონ იყო. მისივე რედაქტორობით, 1852 წელს სამზეოზე გამოვიდა ჟურნალი „ცისკარი.“ „არც ერისთავის წინედ და არც ერისთავის შემდეგ, ჩვენ არ გვყოლია მწერალი, რომლის დრამატული ნაწარმოებების ღირსებები შეედრებოდეს გიორგი ერისთავის კომედიების ღირსებებს...“ - ასეთ შეფასებას აძლევდა მწერალსა და დრამატურგს კრიტიკოსი კიტა აბაშიძე.

თერგდალეულთა თავკაცი ილია ჭავჭავაძე უშუალო კავშირში იყო ახალგორთან. „XIX საუკუნის მიწურულიდან იწყება ბრძოლა ახალგორში სკოლის გახსნისათვის. ილია იყო მაჯისცემა იმ კულტურული საზოგადოებისა, რომელმაც განათლების პირველი სხივი შეიტანა ახალგორში და, საერთოდ, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ 1884 წელს. ახალგორში გახსნილი ორკლასიანი სკოლა იყო პირველი საერო სკოლა ქსნის ხეობის ტერიტორიაზე, რომელმაც განვითარების რთული და დიდი გზა განვლო. სკოლას სასწავლო ბაზა ამავე საზოგადოებამ შეუქმნა.“

ისიც ნიშანდობლივია, რომ ილიასეული ტრადიციები გაგრძელდა XX საუკუნეში - ახალგორს სწვევია გიორგი ლეონიძე, გალაკტიონი... ასევე, ქსნის ხეობელთა პრობლემები და ლიტერატურული ცხოვრება მხედველობის მოღმა არც თანამედროვე მწერლებს რჩებათ...

მიუხედავად პირველი დევნილი გაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორიენტაციისა, მას მხედველობის მიღმა არ რჩება ჩვენი რეგიონის ლიტერატურული მაჯისცემა. შემდგომში შემოქმედებითი საქმიანობის აღმავლობის მიზნით, „შიდა ქართლის“ რედაქციაში ჩატარდა მწერალთა კავშირის ცხინვალის რეგიონის ლიტერატორთა ასოციაციის დამფუძნებელი კრება, სადაც აირჩიეს საქართველოს მწერალთა კავ-

შირის ცხინვალის რეგიონის საკოორდინაციო საბჭო, ლიტერატორთა ასოციაციის თავმჯდომარე და მისი მოადგილე.

აღნიშნულ იდეას გულდასმით შეხვდა საქართველოს მწერალთა კავშირის იმჟამინდელი თავმჯდომარე გურამ ფანჯიკიძე, რომელიც ესაუბრა რეგიონის შემოქმედებით მუშაკებს. ამ საკითხზე ცხინვალელებს შეხვედრა ჰქონდათ შიდა ქართლში საქართველოს სახელმწიფო მეთაურის პირად და სრულუფლებიან წარმომადგენელ ვაჟა ხაჭაპურიძესთან, საქართველოს სახელმწიფო მეთაურის მრჩეველ კობა იმედაშვილთან. მათ ერთსულოვნად მხარი დაუჭირეს წამოჭრილ იდეას და ყოველმხრივი დახმარება აღუთქვეს.

სწორედ რომ ასეთი მოსამზადებელი მუშაობის ფონზე გაიმართა დამფუძნებელი კრება. ორატორებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ცხინვალის რეგიონი საქართველოს ძირძველი კუთხეა, სადაც სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ადამიანები: კლასიკოსი მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი, რომელმაც არაერთი ცნობილი ნაწარმოები ლიახვის ხეობაში შექმნა. იქ დაიბადა და აღიზარდა შექსპირის უბადლო მთარგმნელი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ივანე მაჩაბელი. თავისი ფუნდამენტური შრომები ლიახვისპირა სოფელ ქემერტში დაწერა აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ.

ლიახვის ხეობაში ქმნიდნენ თავიანთ ნაწარმოებებს ოსი მწერლები და პოეტები: გაფეზი, ნაფი ჯუსოითი, გიორგი ბესთაუთი, რევაზ ასაევი, მერი ცხოვრებოვა, ნინა გალავანოვა, მელიტონ გაბულოვი, მიხეილ ნართიკოევი და სხვები. ცხინვალმა დიდი წვლილი შეიტანა დავით კასრაძის, მერაბ ელიოზიშვილის, ნიკო ლომოურის, გიორგი ლეონიძის, იოსებ ნონეშვილის, ვახტანგ კობერიძის და სხვათა შემოქმედებაში.

დამფუძნებელ კრებაზე „შემუშავებული და დამტკიცებული იქნა ლიტერატორთა ასოციაციის დებულება, რომელიც ითვალისწინებს მთელ რიგ ორგანიზაციულ და შემოქმედებითი საქმი-

ანობის ფართოდ გაშლას. ასოციაცია სამეურნეო ანგარიშზე იმუშავებს და მისი წარმატება ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ამოუდგებიან მხარში ცხინვალელი (და არა მარტო) მკითხველები, ბიზნესმენები, შემოქმედებითი ადამიანები.

წინ დიდი ასპარეზია, მდიდარი თემებია ცხინვალელ შემოქმედთა საქმიანობისათვის. ახლა ბევრი რამ მათზეა დამოკიდებული."

სულ მალე „შიდა ქართლი" (1995, №203) გაშლილ (მეორე-მესამე) გვერდებს უთმობს საქართველოს მწერალთა კავშირის ცხინვალის რეგიონის ლიტერატორთა ასოციაციის წევრების შემოქმედებას. „ტრადიცია ცოცხლობს," - ამ სათაურითაა დაბეჭდილი ლიტერატორთა ასოციაციის თავმჯდომარის ნელი ჩალაურისა და პროფესორ ავთანდილ ცოტნიაშვილის ერთობლივი წერილი, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული: ისტორიის ქარტეხილებს თან მოჰყვა ცვლილებები სულიერი ცხოვრების სფეროში. ადამიანი დაითრგუნა ყველანაირად, უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდა მშობლიური კუთხიდან დევნილი მოსახლეობა. დღეს ცხინვალელი დევნილები დაღლილი გაჰყურებენ მომავალს და სინათლეს ეძებენ. ამ ვითარებაში დადებით მოვლენად წარმოჩინდა საქართველოს მწერალთა კავშირთან ცხინვალის რეგიონის ლიტერატორთა ასოციაციის ჩამოყალიბება. მისი მიზანია გააერთიანოს რეგიონიდან გამოსული და მიმოფანტული შემოქმედებითი ძალები - მწერლები, პოეტები, კრიტიკოსები; შექმნას მიზიდვის წერტილი; ხელი შეუწყოს მათ საქმიანობას, ბეჭდვას; შექმნას საფუძველი მწერალთა განყოფილების დაარსებისთვის.

ლიტერატორთა ასოციაცია მემკვიდრეა ჩვენი კუთხის სახელოვანი სამწერლო ტრადიციებისა. ჯერ კიდევ რუსთაველის ეპოქაში აქ მოღვაწეობდა ცნობილი პიროვნება სოფელ აწრისხევიდან იაკობ აწრელიძე. თაობებს უნდა გადაეცეს დავით, ეფემია, ზალიკო მაჩაბლების ისტორია. უნდა ითქვას, რომ საქართველო შექსპირის გენიას თამარაშნელი ვანო მა-

ჩაბლის წყალობით ეზიარა, რომ სამაჩაბლოს სტუმრობდნენ დიდი ილია და აკაკი, იაკობ გოგებაშვილი. მშობლიური ლიტერატურის განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანა ერედველმა რევაზ ფავლენიშვილმა. 1900-იან წლებში ქართულ პოეზიაში ჩანდა ნიჭიერი შემოქმედი ვასილ ბასიშვილი. 1917 წლის ამბებს შეეწირა მხატვრული სიტყვის ოსტატი, დგვრისელი გრიგოლ ზურაბის ძე ხერხეულიძე.

ისიც ცნობილია, რომ მიხეილ ჯავახიშვილი დიდი ლიახვის ხეობაში, სოფელ ქურთაში ეზიარა სრულყოფილ ქართულს. ცხინვალზე შექმნილი ნაწარმოებებით ქართული ლიტერატურა გაამდიდრეს გალაკტიონმა, გიორგი ლეონიძემ, იაკინთე ლისაშვილმა, ოთარ და ბორის ჩხეიძეებმა, მხატვრული სიტყვის სხვა დიდოსტატებმა. ასევე ჩვენს ქალაქში სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ დავით ელიოზიშვილი, ვლადიმერ გელაშვილი, სერგო ყურაშვილი, აბრამ მამისთვალოვი, სულიკო ბურნაძე, ვახტანგ ცოტნიაშვილი, მერაბ ელიოზიშვილი, მზია ხეთაგური და სხვები.

ცხინვალის ქართული გაზეთი ყოველთვის სათანადოდ აშუქებდა ქართული მწერლობის აქტუალურ პრობლემებს, ბეჭდავდა მხატვრულ ნაწარმოებებს.

ამჟამად, როცა საქართველოს ისტორიაში ახალი, მღელვარე ფურცლები იწერება, ჩვენი კუთხის შვილები ცდილობენ შთამომავლობას გადასცენ ამ დღეების სუნთქვა, ტანჯვა შეუმსუბუქონ მშობლიური სამოსახლოდან დევნილებს. ამ შთაგონებით ქმნიან თავიანთ ნაწარმოებებს პოეტები: ვახტანგ კობერიძე, შოთა დარბუაშვილი, დავით ახლოური, ლია ჭიღლაძე, დარეჯან ზუბაშვილი, ომარ ტურაშვილი, ციცინო ბაბუციძე, ხათუნა ბასიშვილი, ილია ბუზალაძე, გერონტი მესხი; პროზაიკოსები ნელი ჩალაური, რობერტ ოდიკაძე, გივი ჭამპურიძე, ნინო ჭელიძე, ლელა ზარიძე და სხვები.

სამწუხაროდ, ცხინვალში ქართველი ინტელიგენცია აღარ არსებობს. არ ჟღერს სიტყვა ქართული. ჩვენი ღრმა რწმენით,

ეს დროებითია და გვჯერა, ასევე ფიქრობენ საღად მოაზროვნე ოსი კოლეგები.

როგორც საგაზეთო კორესპონდენციაშია მინიშნებული, ასოციაციის შექმნა ახლის დასაწყისია. მიზანი ნათელია, დაბრკოლება - უამრავი. საჭიროა ერთად დგომა და მოქმედება. გზას გულში მარადიულად მანათობელი შინდაბრუნების სხივი ანათებს. იქ დიდი ტკივილია, მაგრამ დიდი სიყვარული მხოლოდ იქ არის. სიყვარული კი მწვერვალია - მშობელი ხალხის წინაშე პირნათლად ვალის მოხდის გზა.

ლიტერატორთა ასოციაციის დაფუძნებას დევნილი გაზეთის ამავე ნომრის ფურცლებიდან მიესალმება შიდა ქართლის მხარეში საქართველოს სახელმწიფო მეთაურის რწმუნებულის მრჩეველი ავთანდილ სართანია: „ცხინვალის რეგიონის ლიტერატორთა ასოციაცია - ეს ნიშნავს, რომ უძველესი ქალაქის სული, როგორც საუკუნეების წინ, დღესაც ბობოქრობს, არ ემორჩილება ბედისწერას, ისევ მაღალია, ლამაზი და შეუპოვარი. ეს დიდად სასიხარულო მოვლენაა - გილოცავთ!

ახლა უნდა ვისწრაფოთ აღორძინებისა და სიძლიერისაკენ. ჩვენი ხალხის ტანჯულ სულს მოვეფეროთ, თაობებს შემოვუნახოთ ისტორია, ვიცხოვროთ გონით, ბრძნული განჭვრეტით, ვაშენოთ მომავალი.

მალე უკან დაბრუნებას და მშობლიური ერისთვის საამაყო საქმეთა ქმნას გისურვებთ, ლიტერატორებო!“

დევნილის გაუსაძლისი მდგომარეობა - სოციალური დაუცველობა, საბაზრო ეკონომიკის თანხვედრი სიდუხჭირე, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური არასტაბილურობა, ბუნებრივია, უარყოფითად მოქმედებს შემოქმედებით საქმიანობაზე, მაგრამ ჭირსა შიგან გამაგრება გვმართებს! - იმედის მომცემ ლაიტმოტივად გაისმა საქართველოს მწერალთა კავშირში მის თავმჯდომარესთან, გურამ ფანჯიკიძესთან შეხვედრისას. ქართველ მწერალთა თავკაცი უპირველესად დაინტერესდა ცხინვალის რეგიონში არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით.

შემდეგ მსჯელობა შეეხო შექსპირის უბადლო მთარგმნელის, სახელმოხვეჭილი საზოგადო მოღვაწის ივანე მაჩაბლის სამკვიდროში შემოქმედებითი ინტელიგენციის ყოფა-ცხოვრებას, მათ ლიტერატურულ მოღვაწეობას.

შეხვედრაზე ისიც გულისტკივილით აღინიშნა, რომ საქართველოს მწერალთა რაიონულ განყოფილებებს ადგილობრივი მმართველობები აფინანსებენ. რადგან დღემდე ჩამოყალიბებული არ არის ცხინვალის რეგიონის ადგილობრივი მმართველობა, რეგიონის ლიტერატორთა ასოციაციის დაფინანსება ჭიანურდება. მართალია, ცხინვალელი შემოქმედებითი მუშაკების ბედით დიდად დაინტერესდა შიდა ქართლის მხარეში საქართველოს სახელმწიფო მეთაურის რწმუნებული ბადრი ხატიძე, მისი უშუალო ჩარევით, საქართველოს პრემიერ-მინისტრს ოთარ ფაცაციას გაეგზავნა მოთხოვნა ცხინვალის რეგიონის ლიტერატორთა ასოციაციის დაფინანსების თაობაზე, აგრეთვე შუამდგომლობა ქალაქ გორისა და გორის რაიონის გამგეობასთან, რათა დროებით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაეწიათ გარკვეული ფინანსური დახმარება, მაგრამ საქმეს ჯერ-ჯერობით სასიკეთო პირი არ უჩანს.

შეხვედრის მთავარი მიზანი კი რეგიონის ლიტერატორთა ამოქმედებაა. „არის უსახსრობა, არის დაბრკოლებები, მაგრამ გაძლება გვმართებს. ლიტერატორთა ასოციაცია უნდა მოქმედებდეს. მწერლებმა, პოეტებმა კალამი არ უნდა დაადუმონ შიდა ქართლის განუყოფელი ნაწილის - ცხინვალის რეგიონის რეალური სურათების ასახვისა და ისტორიის შესაქმნელად. მძიმე დღევანდელობა საქართველოს მწერალთა კავშირს მრავალ პრობლემას უქმნის. სხვა მოსაგვარებელ საკითხებთან ერთად, გადაუდებელ რემონტს საჭიროებს მწერალთა კავშირის შენობა. ამისათვის რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა 50 მილიარდი კუპონი გამოყო. ეს კი, რომ იტყვიან, ზღვაში წვეთია. ამის შემდეგ უნებურად ფერმკრთალდება ლიტერატორთა ასოციაციის დაფინანსების იმედი, მაგრამ როგორც

ბატონმა გურამ ფანჯიკიძემ შეხვედრის მონაწილეებს აუწყა, მწერალთა კავშირი უყურადღებოდ არ დატოვს მას. იგი სექტემბრის დასაწყისში ეწვევა გორს, შეხვდება შიდა ქართლის მხარის სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულის აპარატის, ქალაქ გორისა და გორის რაიონის გამგეობის წარმომადგენლებს, გორელ და ლტოლვილ ცხინვალელ შემოქმედებით მუშაკებს...“

გაზეთის ამავე მესამე გვერდზე ვკითხულობთ ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მაძიებლის მაია მღებრიშვილის წერილს. მასში წარმოჩენილია შიდა ქართლის ძირძველი მკვიდრის, ცნობილი პროზაიკოსის ანტონ ფურცელაძის მიერ XIX საუკუნის საქართველოს საჭირბოროტო საკითხები მოთხრობაში „მართა.“

ნაწარმოებში კარგადაა ნაჩვენები უსამართლობის წინააღმდეგ, ქართველებთან ერთად, ოსი ქალიშვილის - მართას თავდადებული ბრძოლა. იგი ერთგული და მებრძოლი ქალის ტიპია, რომელიც თავის შეყვარებულ სოსეს მხარდამხარ მზადაა თავიც კი გასწიროს საძაგელი, ადამიანთა სისხლით გაუმაძღარი ბატონის როსტომ ტაბლაძის მოსაკლავად.

მწერალი „ოსი ქალიშვილის მებრძოლ სახეს რომ გვაძლევს, ამით გამოხატავს იმ დიდ სოლიდარობას, რაც არსებობდა ორ მოძმე ხალხს შორის - ქართველ და ოს ხალხს შორის საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ოსმა ქალიშვილმა მართამ ქართველების: ნინიკას, სოსეს, დათოს და მათი სახით მშრომელთა ხალხის სხვა წარმომადგენლების მხარდამხარ აქტიური მონაწილეობა მიიღო ბოროტების დამარცხებაში.“

ჯერ კიდევ გაზეთ „ცხინვალში“ (1995, №1) დაიბეჭდა ჟურნალისტისა და პუბლიცისტის ვასილ საბანაძის კორესპონდენცია „ერეკლე მეფის აღზრდილი,“ სადაც იგი შეეხო დიდი ოსი მწიგნობარის, განმანათლებლისა და პედაგოგის იოანე იალღუზიძის ღვაწლს. ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ იოანე იალღუზიძის შესახებ გამოკვლევები დაწერეს ცნობილმა მეცნიერებმა: ვასილ აბაევმა, კორნელი კეკელიძემ, მოსე ჯან-

აშვილმა, ლ. ლოპატინსკიმ, გიორგი ახვლედიანმა, ალექსანდრე თიბილოვმა, ტიტე სარიშვილმა, ვ. მილერმა და სხვებმა.

იოანე იალღუზიძის შესახებ 1988 წელს კრებული შეადგინა და გამოკვლევა დაურთო ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა შოთა ქურდაძემ. წიგნის რეცენზენტები არიან ისტორიის მეცნიერებათა დოქტორები გიორგი თოგოშვილი და ლუდვიგ ჩიბიროვი, რედაქტორი - მერი ცხოვრებოვა.

წიგნი, რომელსაც წამძღვარებული აქვს დევიზი: „ეძღვნება ქართველი და ოსი ხალხის საუკუნოვან მეგობრობას," იმ დროს გამოიცა, როცა უკვე შავი ღრუბელი ირეოდა ცხინვალის თავზე. „კრებულში შესულია იოანე იალღუზიძის ორი ლექსი და პოემა, აგრეთვე, მის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მასალები. რაც მთავარია, მასში დაბეჭდილია ბატონ შოთა ქურდაძის საინტერესო შესავალი წერილი და მაღალმეცნიერული გამოკვლევა. ამ პიროვნებით დაინტერესებული მკითხველი წიგნში დაწვრილებით გაეცნობა იოანე იალღუზიძის ბიოგრაფიას, მის მსოფლმხედველობასა და მხატვრულ-ესთეტიკურ შეხედულებებს; ფოლკლორულ მოტივებს პოემა „იალღუზიანში;" პოემის ისტორიულ სახეებს, მასში იგავმეტყველებას, ფერთამეტყველებას; პედაგოგიურ ტერმინოლოგიას იოანეს ნააზრევში, მისი ენის საკითხს."

ვ. საბანაძე წერილში მკითხველს შეახსენებს, რომ სამაჩაბლოელებისთვის ეს წიგნი საინტერესოა იმითაც, რომ დაწვრილებით ვეცნობით იოანეს ბიოგრაფიას - იოანე ცხინვალიდან ათიოდე კილომეტრზე, სოფელ ზალდაში დაიბადა. მათი გვარი გაბარაევები (გაბარათი) ყოფილა. აქ ისინი მზივის მთიდან და ყელის ტბიდან ჩამოსახლებულან. მცირეწლოვანი იოანე ერეკლე მეფეს წამოუყვანია, გაუგზავნია დავით გარეჯში და მღვდელ-მონაზონ იოანე ქარუმიძისთვის მიუბარებია. დაბოლოს, ავტორი დასძენს, „ოსი და ქართველი ახალგაზრდა თაობა საფუძვლიანად რომ იცნობდნენ არა მარტო იოანე იალღუზიძის ცხოვრებას, არამედ, საერთოდ, ქართველთა და

ოსთა ურთიერთობის ისტორიას, შეიძლებოდა ისეთი დაძაბული ურთიერთობა, როგორიც ამ ორი ერის წარმომადგენლებს შორის უკანასკნელ წლებში წარმოიშვა, იქნებ აღარ ყოფილიყო. იოანე იალღუზიძის ცხოვრების მაგალითი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ოსი ხალხი, ოსური ლიტერატურა, ხელოვნება, კულტურა, ქართველებთან ურთიერთობისას უფრო მეტ სიკეთეს ნახულობს.

ცხოვრება გვკარნახობს, რომ მივდიოთ ძველ, მამა-პაპურ ტრადიციებს. ყოველგვარი სეპარატიზმი, სწრაფვა ქართველებისაგან იზოლაციისკენ, გამოყოფისკენ, მხოლოდ საზარალოა და ძალზე უპერსპექტივო...“

დევნილობაში, უცხო კედლებში შეფარებული, მძიმე პირობებში ფუნქციონირებს ცხინვალის უმაღლესი სასწავლებელი. მიუხედავად ამისა, სათანადო დონეზეა სასწავლო პროცესი, ტარდება სამეცნიერო კონფერენციები, ორგანიზებულად ეწყობა სტუდენტთა სხვადასხვა სახის კულტურულ-მასობრივი ღონისძიებები და ა.შ.

„ცისფერყანწელებისადმი“ მიძღვნილი საღამო გახსნა ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგემ, პროფესორმა შოთა ქურდაძემ. შემდეგ, სიტყვა გადასცა დოცენტ თამილა გოგოლაძეს, „რომელმაც მისთვის ჩვეული ბუნებრიობით, მაღალმხატვრული გამოსვლით მოხიბლა მსმენელი და ღრმად ჩაახედა პ. იაშვილის, ტ. ტაბიძის, კ. ნადირაძის და სხვა „ყანწელთა“ პოეტურ სამყაროში... მსმენელთა ყურადღება მიმართა სტუდენტთა მიერ ბრწყინვალედ წაკითხული ლექსებისკენ, რომლებიც აჟღერდა მუსიკად - დამსწრეთა დასატკბობად. სწორედ პოეზიასთან უშუალო შეხება გახდა საფუძველი იუბილარი პოეტების სულში წვდომისა.“

ცხინვალის რეგიონი სამართლიანად ამაყობს თავისი ღირსეული, მარად „უმტვერო“ ადამიანებით. მათ შორისაა სოფელ თამარაშენში დაბადებული დავით ბარძიმის ძე მაჩაბელი,

რომელიც XIX საუკუნის პირველი ნახევრის ნიჭიერი თაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული ფიგურაა. თბილისის გიმნაზიელი დაახლოვებული ყოფილა 1832 წლის ეროვნულ მოძრაობასთან. საკუთარ ლექსებს არალეგალურ კრებებზე ხშირად კითხულობდა. იგი ნიკოლოზ ბარათაშვილის, სოლომონ დოდაშვილის, მიხეილ თუმანიშვილის ახლო მეგობარი და თანამოაზრე იყო.

თამარაშნელი შემოქმედი XIX საუკუნის 60-იან წლებში ჟურნალ „ცისკარში" აქტიურად თანამშრომლობდა. მისი ლექსები მკითხველთა მოწონებას იმსახურებდა. სამწუხაროდ, მაღალზნეობრივი თვისებებით შემკულმა პიროვნებამ სიცოცხლე ტრაგიკულად დაასრულა - 1873 წლის 8 ოქტომბერს, განთიადისას, საკუთარ სახლში მძინარეს ავაზაკები თავს დაესხნენ და მოკლეს. კვალის დაფარვის მიზნით კი სახლიც გადაწვეს.

ლიახვისპირელმა პოეტმა შესანიშნავი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა. „მისი პოეტურ-პუბლიცისტური შემოქმედება მაღალი ეროვნული მრწამსით არის გაჟღენთილი. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო 1852 წელს დაწერილი ლექსი „ვადა," რომელიც შინაგანი მრწამსით საოცრად ეხმიანება ჩვენს დღევანდელობას. ერთმანეთზე უზომოდ შეყვარებული ვარდი და ბულბული ხანგრძლივი ტანჯვისა და ვაი-ვაგლახის შემდეგ ახერხებენ შეერთებას, მაგრამ ეს ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელდა. მრისხანე ქარიშხალმა ბულბული ვარდს მკერდიდან მოგლიჯა და გაამარტოვა, ხოლო მისი ფურცლები გაფანტა. ბულბული „სისხლისა ცრემლისმფრქვეველი" შეჰყურებს ქარიშხლისაგან გაძარცვულს და განადგურებულს, დასაღუპად განწირულ ვარდს და შველას ვერ ახერხებს."

აღნიშნულ ლექსში პოეტი დასძენს, რომ „ვარდის თავგადასავალი ჯერ ტანჯვა, შემდეგ ბედნიერი ცხოვრება, კვლავ უფრო მძიმე ტანჯვა და ბოლოს მაინც იმედი, - ბუნებრივად მიგვანიშნებსო ადამიანთა ცხოვრებას."

დევნილი გაზეთი, საახალწლო (1996 წ.) ნომერში, მკითხველს სიხარულის მაცნედ ევლინება: თბილისში, მწერალთა სასახლეში, გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მორიგი სხდომა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გურამ ფანჯიკიძემ. სხდომაზე, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, იმსჯელეს ცხინვალის რეგიონში სალიტერატურო ცხოვრების შესახებ.

გამგეობის წევრები მოწონებით შეხვდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის ცხინვალის რეგიონის განყოფილების შექმნის იდეას. გადაწყდა, რეგიონში მოქმედი ლიტერატურული ძალების ბაზაზე ჩამოყალიბდეს საქართველოს მწერალთა კავშირის ცხინვალის რეგიონის განყოფილება.

იმავე ნომერში „შიდა ქართლი“ იტყობინება, რომ ქვეყნის რთულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სიტუაციაში ნათელი იმედი თავის გამოხატულებას პოულობს. ამის უტყუარი დასტურია თუნდაც 1995 წლის გაზაფხულზე გორში დევნილი ინტელიგენციის მიერ საქართველოს მწერალთა კავშირის ცხინვალის რეგიონის ლიტერატორთა ასოციაციის ჩამოყალიბება. სწორედ ეს იყო სხივი, რამაც ირგვლივ შუქი მოჰფინა. გაჩნდა მიზიდვის წერტილი შემოქმედებითი ძალების გაერთიანებისათვის. სიძნელეებთან ჭიდილში „შეიქმნა საფუძველი იმისათვის, რომ ასოციაციის ბაზაზე ჩამოყალიბებულიყო ცხინვალის რეგიონის მწერალთა განყოფილება. ეს იყო მნიშვნელოვანი მოვლენა ამ კუთხის ისტორიაში. უკვე ჩატარდა განყოფილების საერთო კრება, აირჩა პასუხისმგებელი მდივანი და მოადგილე. გაჩნდა ახალი სურვილები, გაიზარდა მისწრაფება სასიკეთო საქმეებისთვის. პერსპექტიულ მიზნებშია გაზეთის გამოშვება, წიგნების გამოცემა და სხვა. დევნილთა გატანჯულ სულს თანადგომა ესაჭიროება. უპირველესი და მნიშვნელოვანია თავის სიმაღლეზე დგომა ქართულ-ოსური საკითხის მოგვარებისა და ამ ორ ხალხს შორის ურთიერთგაგების დამკვიდრებაში.“

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოვლენათა კვალდაკვალ, „ახლა საჭიროა მთელი ძალების მობილიზება და შეუპოვარი ბრძოლა იმისათვის, რომ განყოფილებამ თავისი მოვალეობა შეასრულოს. ეს კი აუცილებლად მოხდება, რადგან მის მაღალ მიზნებს, მაღალი სულიერი განწყობა წარმართავს.“

ცხინვალის რეგიონი - შესანიშნავი მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის ივანე მაჩაბლის მამულეთი, სახელგანთქმული კლასიკოსი მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის სავანე, აკადემიკოსების ქრისტეფორე არეშიძის, შალვა ხიდაშელის და ტარიელ სართანიას სამოსახლო, აკადემიკოს კორნელი კეკელიძის საყვარელი ადგილი და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი ცნობილი პიროვნების სახელია დაკავშირებული ამ მადლიან მხარესთან.


ქრისტეფორე არეშიძე

„სახელმან შენმან...“ სწორედ სახელმა სახელოვანმა წარმოაჩინა ღვთისმშობლის წილხვედრი ამა ქვეყნის - სამაჩაბლოს თვალწარმტაცი კუთხიდან, ლიახვისპირელი მამულიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ქრისტეფორე არეშიძე. იგი ცხინვალში, მეშვილდიანთ უბანში დაიბადა და გაიზარდა.

არეშიძეების შეძლებული ოჯახის თავკაცმა, ხუთი ქალიშვილის მამამ - იოსებმა „ბერდანის“ ქუხილით ამცნო მეზობლებს ვაჟიანობა. მერე, თათარიახნად გაშლილ სუფრაზე, კეთილმოსურნეებმა გიორგი გიუნაშვილმა, კოტე, სიკა, ანტონ, ლე-

ვან, ალექსი მეშვილდიშვილებმა, სოსანა ნამშურიძემ... გულალალად დალოცეს ქართლური ოჯახის გვარ-ჯილაგის გამგრძელებელი, ახალშობილი ყრმა.

სულ პატარა - ნაბოლარას, რაღაც განსაკუთრებული მზრუნველობით ზრდიდა დედა - ეკატერინე მეშვილდიშვილი. მოსიყვარულე მშობლები თავიდანვე აცნობიერებდნენ თვალხატულა ვაჟის სიდინჯეს, კეთილ თვისებებს, სამართლიანობას. შემდგომ, ჩვენი საამაყო თანამემამულის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე, აკადემიკოსი გიორგი ციციშვილი თავის მოხსენებაში იტყვის: „ბატონი ქრისტეფორე იყო სიტყვაძვირი ადამიანი. ამასთან, მას ჰქონდა საკუთარი მრავალჯერ შემოწმებული აზრი, საკუთარი შეხედულება ყოველ საკითხზე, მოვლენაზე, ადამიანზე. მიუხედავად მოკრძალებული ხასიათისა, იგი იყო ფრიად პრინციპული, მტკიცედ იცავდა იმ აზრს, იმ გეზს, იმ შეხედულებას, რომელსაც საკუთარი ობიექტური აზროვნების შედეგად გამოიმუშავებდა. იგი ცდილობდა თავის გარშემო მყოფთათვის არა მარტო მეცნიერული ცოდნა და გამოცდილება, არამედ მისთვის დამახასიათებელი კეთილი თვისებებიც ჩაენერგა, რათა მის ახლოს მყოფი ადამიანებიც ყოფილიყვნენ კეთილნი, სამართლიანნი, მეგობრულნი, დამოუკიდებლად მოაზროვნენი და ღრმა ცოდნის მოქალაქენი.“

შვიდი წლის ყმაწვილი ცოდნის მისაღებად ცხინვალის ორკლასიან სასწავლებელში მიაბარეს. სწავლას მოწადინებული დედისიმედა, ხშირად, წიგნების თანხლებით, საკუთარ პირუტყვსაც მწყემსავდა. როგორც პაპა გიორგი (გიუნაშვილი) იხსენებდა, ფეხმარდი ბიჭი „ერთხელ თურმე პირუტყვს, დგვრისისა და თამარაშენის სანახებში მწყემსავდა. წიგნებიც თან წაულია. ჩასძინებია კითხვისას, ძროხა მისულა და ერთი წიგნი მთლად დაუღეჭავს. გამოღვიძებულ ყმაწვილს დაღეჭილი წიგნი უნახავს, მწარედ უტირია. დედას ძლივს დაუმშვიდებია, - სხვას გიყიდიო.“

ბეჯით მოსწავლეს, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სრული კურსი 1920 წელს დაუსრულებია. მოგვიანებით, ცხინვალის №1 საშუალო სკოლის საუკუნოვან იუბილეზე დიდი მეცნიერი თავის გამოსვლაში აცხადებდა: „თავდაპირველად ცოდნის ზღვარად ცხინვალის ორკლასიანი სასწავლებლის კურსი მეგონა. მერე კი აღმოჩნდა, რომ იგი ისევე არ გამოდგებოდა ცოდნის უკიდეგანო ოკეანის შემოსარკალად, როგორც კავკასიონის ბუმბერაზი მთა სამყაროს საზღვრად.“

მთის ნაჟურივით სუფთა და წყაროს წყალივით კამკამაა სწავლული ქიმიკოსის შინაარსიანი ცხოვრება. ამასთან, ფასდაუდებელია მისი მეცნიერული ღვაწლი.

დედის დაჟინებული რჩევით, ერთხანს გორის პედაგოგიურ სასწავლებელში აგრძელებს სწავლას. 1927 წელს კი, გეზს თბილისისკენ იღებს. დედაუნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება, - ლექციებს უკითხავენ მეცნიერების კორიფეები: აკადემიკოსები ალ. დიდებულიძე, ალ. ჯანელიძე, ალ. ჯავახიშვილი, ივ. ბერიტაშვილი, დ. უზნაძე და სხვები.

უმაღლესი სასწავლებლის წარჩინებით დამთავრებისთანავე, იქვე სტოვებენ ორგანული ქიმიის კათედრაზე - ასისტენტად და, - გზა აღმასვლისა იწყება...

1936 წელი. ქ. მოსკოვი, ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტი. ასპირანტურა, დისერტაციების დაცვა, ტრიუმფალური წინსვლა...

ჩვენებური მეცნიერ-შემოქმედის კალამს ეკუთვნის ოთხი მონოგრაფია, სამასამდე სამეცნიერო შრომა. წარმატებით იღვწოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, აკადემიის ნამდვილ წევრად. 1962 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. 1974 წელს, მას შრომითი ციკლისათვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემია მიენიჭა.

თბილისის (წარმოშობით ცხინვალელი) მკვიდრის, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ მიხეილ ბაციკაძის თქმით, „მასთან ურთიერთობა სასიამოვნო იყო. წამოჭრილ საკითხს ღრმა ცოდნით, საფუძვლიანად, დამაჯერებლად განმარტავდა. მუდამ მიხაროდა მასთან მისვლა და საუბარი. ბევრჯერ დამხმარებია შემოქმედებითს მუშაობაში. ის მართლაც განუმეორებელი ფენომენი იყო ქიმიის დარგში.“

„ის ურჩევნია მამულსა...“ ჰოდა, განსწავლულ ინტელიგენტთა - ქრისტეფორე არეშიძისა და სათნო მეუღლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სილიკატური ტექნოლოგიის კათედრის დოცენტ ოლია ბესტავაშვილის ქიმიკოსთა ოჯახში ორი ვაჟიშვილი, ორი მეცნიერი აღიზარდა. მამის კვალს გაჰყვა გია - იგი ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი იყო. თამაზი კი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორია.


შალვა ხიდაშელი ოჯახთან ერთად

ქრისტეშობიდან 251 წელს, ქართლის პირველი სამეფო დინასტიის ფარნავაზიანთა უკანასკნელი შთამომავლის, მეოთხე მეფე ასფაგურ პირველის მიერ დაარსებულ ლიახვისპირა ქალაქის გამოჩენილ მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი შალვა ხიდაშელი. იგი მტკივნეულად განიცდიდა XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე, წინაპართა სამკვიდროში დატრიალებულ ტრაგედიას.

ფრიად განსწავლული ინტელიგენტი მთელი არსებით შეს-

ტრფოდა ცხინვალს. თავის წიგნში „ფიქრები საქართველოზე“ დაბეჭდილ პუბლიცისტურ წერილში „ცხინვალი, ჩემი ცხინვალი“ სიამაყით აცხადებს: ჩემთვის ცხინვალი არის ის ადგილი, სადაც დავიბადე, ფეხი ავიდგი, შესანიშნავი ქართული მეტყველება გავიგონე. შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს, მაგრამ ისე, როგორც ქართლის ამ კუთხეშია ქართული ენა დაცული, იშვიათად შეხვდები ქვეყნის სხვა მხარეში. ამ კუთხესთანაა დაკავშირებული ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი, სიხარული და მწუხარება ჯერ ბავშვური, შემდეგ ჭაბუკური და ბოლოს, ხანში შესული ადამიანის განცდები. აქ შევიგრძენი პირველად ხეხილის თეთრად, ყვითლად და წითლად გადაპენტილი ყვავილების სურნელება; აქ ვიხილე გამოჩეკილი, შებუმბლული წიწილები და ჭუკები; ახლად შობილი ხბო ჯერ კიდევ სველი, ფეხები რომ ეხლართებოდა, მიწაზე დგომას ვერ ახერხებდა. აქ ვიხილე საქართველოს მთები და ბორცვები, გარიჟრაჟზე კავკასიონის მწვერვალი „ბრუტსაბძელა,“ რომელიც კარგად ჩანდა ჩვენი სახლის აივნიდან; ლიახვი, მთის მდინარე, ჩვენი სახლის გვერდით რომ ჩამოედინებოდა, მისი შეუწყვეტელი ჩხრიალი; ახლად გამომცხვარი პურის, სადღვებელიდან კარაქისა და დოს სურნელება; შემოდგომით რთველობა, ვაშლობა და ატმობა. ცხინვალში ვიგემე და შევიგნე ქართველი გლეხის მძიმე ცხოვრება და შრომა.

ცხინვალშია ჩაწნული ჩემი არსებობის ფესვები და გასაგებია, რომ „მიწის ყივილი“ ჩემთვის პირველყოვლისა, „ცხინვალის ყივილია.“

სასკოლო ასაკის ყმაწვილი დედამ - ელისაბედ მიქელაძემ თბილისში ჩაიყვანა სასწავლებლად. სკოლის დამთავრებისთანავე, სწავლა დედაქალაქის უმაღლეს სასწავლებელში განაგრძო.

ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, ბედი თანაკურსელ ელენე ვირსალაძეს დაუკავშირა და შესანიშნავი ოჯახიც შექმნა. მალე, ახ-

ალგაზრდა წყვილი, ცოდნის გასაღრმავებლად ლენინგრადში (სანკტ-პეტერბურგში - რ. ო.) გაემგზავრა და ენის, ისტორიის, ლიტერატურისა და ფილოსოფიის ინსტიტუტის ასპირანტურაშიც ჩაირიცხა. შალვა - ანტიკური ფილოსოფიის შესწავლის, ხოლო ელენე - ფოლკლორის შესწავლის განხრით.

შორეულ ნევისპირა ქალაქში, 1935 წელს მათ ქალიშვილი - მანანა შეეძინათ. ლენინგრადიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, შალვა ხიდაშელი მუშაობას იწყებს თბილისის რუსთაველისა და მისი ეპოქის მუზეუმში, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი განაგებდა. „ამ პერიოდში იგი მონაწილეობდა ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით მოწყობილ არქეოლოგიურ ექსპედიციებში. სწორედ დიდ მეცნიერთან თანამშრომლობამ განსაზღვრა საბოლოოდ ახალგაზრდა მკვლევარის მომავალი, მეცნიერულ კვლევა-ძიების მიმართულება - ქართული კულტურის ისტორია, სადაც მან უპირატესობა ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიას მიანიჭა.“

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ისტორიის გახსნისთანავე (1946 წ.), ახალგაზრდა სპეციალისტმა მუშაობა დაიწყო სწავლულ მდივნად. შემდეგ, დააწინაურეს ქართული ფილოსოფიის ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელად, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ჩვეული მონდომებით შრომობდა.

1963 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1988 წელს კი მას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად ირჩევენ.

შ. ხიდაშელის კალამს ეკუთვნის საყურადღებო გამოკვლევები ქართულ ფილოსოფიაში, ქართულ რენესანსსა და რუსთაველოლოგიაში. მათ შორისაა: „რუსთაველის მსოფლმხედველობის საკითხები“ (1981 წ.), „ქართული რენესანსის საკითხები“ (1984 წ.), რუსულად „ნეოპლატონური იდეების ასახვა შუა საუკუნეების ფილოსოფიაში“ (1986 წ.), „ქართული ფილოსოფიის ისტორია“ (1982 წ.) და სხვა.

ხელხვავიანი მეცნიერის რედაქტორობით გამოიცა (1988 წ.) კრებული „ქართული რენესანსის საკითხები," რომელიც აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის დაბადებიდან 100 წლისთავის იუბილეს მიეძღვნა. მისი დიდი ხნის ნაყოფიერი კვლევა-ძიება შესულია ფუნდამენტურ შრომაში „ქართული ფილოსოფიის ისტორია" და „ქართული აზროვნების ისტორია XIII-XIV საუკუნეში."


ჩვენებური მოღვაწის ბოლოდროინდელი გამოკვლევებიდან აღსანიშნავია მონოგრაფია „ნეოპლატონიზმის თეორია რუსთაველოლოგიაში" (1990 წ.), სადაც დამაჯერებლადაა ნაჩვენები ნეოპლატონიზმის განსაკუთრებული როლი რუსთაველის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში. სიცოცხლის დასალიერის წლებში, მისი ინტერესების არეალს შეადგენდა საქართველოში მიმდინარე მოვლენები. ეროვნული მოძრაობის ადუღებულ დღეებში, პრესის ფურცლებზე პერიოდულად ბეჭდავდა პოლემიკურ წერილებს. ასევე, გამოქვეყნებული აქვს მემორიალური ჟანრის ნაწარმოები - „უსათაურო მოგონებები," „ფიქრები საქართველოზე..."

ცხინვალელი ფილოსოფოსი განსაკუთრებული სიყვარულით იგონებდა მამის მხრიდან ნათესავს, მეცნიერსა და მკურნალს მიხეილ წინამძღვრიშვილს, აჩაბეთელ ცუკა ჭულუხაძეს (მათ ვენახს ამუშავებდა), ცერაანთ უბნელ პატრიოტ ქართველს, შიდა ქართლში (და არა მარტო) კარგად ცნობილ, კვალიფიციურ ბუღალტერ-ეკონომისტ ვასილ ცერაძეს (მასთან ერთად, ერთხელ სახლშიც ვეახელით დიდ მეცნიერს (რ.ო.), კბილის ექიმ ფადო კულუმბეგოვს, კალატოზ გოლა ცერაძეს, ქრისტეფორე ჯიოევისა და შაქრო ქუმარიტოვის ოჯახებს, ბავშვთა მკურნალს, ფერშალ „ბასილას" - იროდიონ ოქროპირიძეს, აკადემიკოს ქრისტეფორე არეშიძეს, ენათმეცნიერ ვასო აბაევს, კომპოზიტორ ალექსი მაჭავარიანს, ცხინვალის პირველი ქართული საშუალო სკოლის დირექტორს ვახტანგ კასრაძეს, მსახიობ სტეფანე ტერ-სტეფანოვს და სხვებს, რომელთანაც აკადემიკოსს ცხინვალი აკავშირებდა.

როგორც სულმნათი შალვა ხიდაშელი შენიშნავდა, - ცხინვალის მოსახლეობის ყველაზე დიდ ნაწილს ქართველები შეადგენდნენ. შემთხვევით არ არის, რომ ვახუშტი ბაგრატიონი ცხინვალში მხოლოდ ქართველებზე, სომხებსა და ებრაელებზე ლაპარაკობს და ოსებს საერთოდ არ ახსენებს. ჩემს ბავშვობაში, აქ ოსის მხოლოდ რამდენიმე ოჯახი სახლობდა...

ცხინვალში, მიუხედავად მოსახლეობის მრავალფეროვნებისა, არც ეროვნულ ანტაგონიზმს ჰქონია ადგილი და არც ენობრივ ბარიერს. ებრაელებიც, სომხებიც და ოსებიც კარგ ქართულს ლაპარაკობდნენ. ოსების მეტყველება კილოთი თუ განსხვავდებოდა (ისიც იშვიათად), მაგრამ სრული გარკვეულობით უნდა ითქვას - არ ყოფილა შემთხვევა, რომ ოსს ქართველისთვის დემონსტრაციულად ქართულ ენაზე არ გაეცა პასუხი.

დიდი მეცნიერი წერს და მოგონებებიდანაც ჩანს, რომ ცხინვალში იმ დროს ქართველებსა და ოსებს შორის არავითარი დაპირისპირება არ ყოფილა.


ტარიელ სართანია

ცხინვალელ სწავლულთა პლეადას მეცნიერული მიღწევებით ამშვენებს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი ტარიელ სართანია. ცნობილ მეცნიერს ამ ზაფხულს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა, - აღნიშნულია „ლიტერატურული ცხინვალის“ (2005, №11) მილოცვაში. საყურადღებოა, რომ იგი სტამბის მუშაკთა - ცხინვალის ქართულენოვანი გაზეთის პირველი

მეტრანპაჟის შალვა სართანიასა და ერთ-ერთი პირველი ასოთამწყობის მარო ბეკოევა-სართანიას ოჯახში დაიბადა 1935 წლის 31 ივლისს. იუბილარის თქმით, იმავე დღეს, ქალაქის იმავე სამშობიარო სახლში დაიბადნენ ცნობილი ჟურნალისტი ქრისტეფორე გოგიჩაშვილი და ცხინვალის სახელმწიფი პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი მენდიკ ჯაბიევი.

ცხინვალის პირველი ქართული საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრებისთანავე სწავლა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე განაგრძო, რომელიც 1959 წელს დაასრულა. განაწილებით მუშაობა დაიწყო თბილისის საავიაციო ქარხანაში, მერე, ლიახვისპირა ქალაქის ხე-ტყის კომბინატში. საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ - ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში.

1966 წლიდან საცხოვრებლად გადადის დედაქალაქში და მუშაობას იწყებს ჯერ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, შემდეგ კი სამეცნიერო აღმასვლით იღვწის დედაუნივერსიტეტში, სადაც 1988 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1993 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. ავტორია 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, მათ შორის მონოგრაფიების „ილია ჭავჭავაძე“ და „სტატისტიკის შესახებ.“ მან, ორმოცდაათწლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის განმავლობაში, უმაღლესი განათლება მისცა უამრავ ახალგაზრდას.

ცხინვალელი აკადემიკოსი შესანიშნავი ოჯახის თავკაცია. მეუღლე დიდი ლიახვის ხეობის სოფელ ძარწემიდანაა, პროფესიით ეკონომისტი ელენე ჭოველიძე, ვაჟები - რამაზი და ზაზა.

ტარიელ სართანია „მრავალმხრივ განათლებული პიროვნებაა. იგი უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად მღეროდა საქართველოს სახელმწიფო დამსახურებულ კაპელასა და საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში - ჰამლეტ გონაშვილის, ილია ზაქაიძის, ავთანდილ სარაჯიშვილის, ზურაბ კირვალიძის, აკაკია ერქომაიშვილისა

და სხვათა გვერდით. შემორჩენილია მაგნიტოფირზე მისი სიმღერების ჩანაწერები, რომელიც შესრულდა ცხინვალის №1 ქართულ საშუალო სკოლაში როსტომ ხეთაგურთან, ალექსი ცოტნიაშვილთან, ალექსანდრა სალამაძესთან ერთად. აკომპანიმენტს ასრულებდა ამავე სკოლის პედაგოგი არიადნა ტერ-სტეფანოვა. ყველასთვის სულისჩამდგმელი კი გახლდათ სკოლის დირექტორი ვახტანგ კასრაძე."

ჯერ კიდევ, მეექვსე კლასის მოსწავლე, ჭადრაკში სკოლის ჩემპიონის, ხოლო მეცხრეკლასელი - ცხინვალის აბსოლუტური ჩემპიონის სახელს ატარებდა. ასევე, მონაწილეობდა საოლქო და საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში. იგი შემდგომშიც ენთუზიაზმით აგრძელებდა ჭადრაკთან ჭიდილს.

კითხვაზე, როგორი ეთნიკური შემადგენლობით ხასიათდებოდა ცხინვალქალაქი? ბატონი ტარიელი პასუხობს: XX საუკუნის დასაწყისში, ცხინვალის მოსახლეობა ძირითადად ქართველებით, სომხებითა და ებრაელებით განისაზღვრებოდა, ხოლო ე.წ. გასაბჭოების შემდეგ, ჩრდილოეთიდან შემოგზავნილი „სერგო ორჯონიკიძის რევოლუციონერების" სახით მას შეემატნენ ოსები თავიანთი ოჯახებითა და 50-იან წლებამდე ცხინვალის მოსახლეობა არ აღემატებოდა 10 000 კაცს. 1956 წლიდან კი ხრუშჩოვის შოვინისტური პოლიტიკის წაქეზებით, მოხდა კავკასიონის მთის კალთებიდან ოსების მასობრივი ჩამოსახლება ცხინვალში, რამაც 60-იანი წლებიდან ქალაქის მოსახლეობის რიცხოვნობა 42 000-მდე გაზარდა.

რაც შეეხება ეთნოკონფლიქტს, ეს იყო პოლიტიკური კონფლიქტი რუსეთსა და საქართველოს შორის, რაც რუსეთისთვის ოდითგანვე დამახასიათებელი ძალადური და მზაკვრული პოლიტიკით, ხელოვნურად გადაიზარდა ეთნოკონფლიქტში.

აღნიშნული კონფლიქტებით რუსეთს აინტერესებდა, ისევე როგორც აფხაზეთში, მთიან ყარაბაღსა და დნესტრისპირეთში, ძველებურად თავის სატელიტებად ექცია საქართველო, აზერბაიჯანი და მოლდოვა, რასაც ვერ მიაღწია.

რთული ვითარებიდან გამომდინარე, რუსეთს ურჩევნია არა იმპერიული, არამედ მეგობრული ურთიერთობა ჰქონდეს ყველა სახელმწიფოსთან და მათ შორის საქართველოსთანაც. ასეთ შემთხვევაში რუსეთს დიდ სარგებლობას მოუტანს ამიერკავკასიის რკინიგზის ამოქმედება არა მარტო საქართველოსთან, არამედ თურქეთთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან და ირანთან ურთიერთობაში. ასევე გამოიყენოს საქართველოს ტრანზიტული ფუნქცია ელექტროენერგიის, გაზისა და ნავთობის ტრანსპორტირების დარგში. გაითვალისწინოს კეთილი ნებით რუსი მოსახლეობის საქართველოს კურორტებსა და ზღვაზე დასვენება.

აკადემიკოს ტარიელ სართანიას თქმით, ოკუპირებულ ადგილებში კონფლიქტების მოგვარება ორი გზით არის შესაძლებელი: რუსეთის პოლიტიკური ნებით და საქართველოს სამხედრო ეკონომიკური ძლიერებისადმი ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის მოსახლეობის ნდობის საშუალებით...

XX საუკუნის 90-იანი წლები, საქართველოში აზვირთებული ეროვნული მოძრაობის ფონზე, ცხინვალის რეგიონის ტრაგედია - ქართულ-ოსური კონფლიქტი. შედეგი - დევნილები საკუთარ სამშობლოში. განსაცდელის ჟამს, ცხინვალური პრესის ფურცლებზე, წინა პლანზე ჩნდება მწვავე მოვლენები, რეგულარულად ქვეყნდება ბუდემოშლილ შემოქმედთა ლექსები ციკლიდან „ადგილის დედა მიხმობს, მეძახის!“ წარმოდგენილი წიგნის ავტორსაც მწარედ აღელვებს ქართველებისგან მიტოვებული ცხინვალის ბედი:

„იავარქმნილი „მუხნარი,“
ლიახვი ყალყზე შემდგარი,
მიტოვებული ცხინვალი,
გაცივებული სახლ-კარი.

.....

ქართველებს უხმობს ქალაქი,
ჯავრი მოადგა მწუხარი,

ადგილის დედას ლოდინით
ცრემლი სდის, ცრემლი – მდუღარი.“

იქ, წინაპართა სამკვიდროში, ცხინვალელ დევნილ ჟურნალისტს ნელი ჩალაურს მშობლიური ქალაქი ეგულვის, დარჩენილი სახლი და პაწია ბაღი ესიზმრება:

„ნაღვლიანმა ზამთრის ქარმა
იტირა და მატირა,
დამასიზმრა ჩემი სახლი,
ჩემი ბაღი პაწია.
ფიჭვნარსა და მუხნარს ისევ
მზის სუნი ასდიოდა,
ყველა ქუჩა და კუნჭული
სიყვარულში ღვიოდა.
.....
ისე კარგი, ისე ტკბილი
გრძნობა ჩემში ღვიოდა,
მე ავტირდი და ქალაქიც
ჩემთან ერთად ტიროდა.“

სამაჩაბლოს ტრაგედიას ეხმიანება დევნილი პოეტი და ჟურნალისტი ლია ჭიღლაძე:

„ვარდისფერ კაბებს იხდიან ჩუმად,
ძაძებს იცვამენ ნაფერმკრთალები, –
ქართვლის დედები პირჯვარს იწერენ,
თქვენს სულს ლოცავენ დაღლილ თვალებით.
ვერხვის ტოტებში ცახცახებს ქარი,
თავდავიწყებულ ბრძოლების სჯერა,
შენ მერამდენე ცოტნე ხარ, ბიჭო,
ან მერამდენე შავლეგო, მერაბ!“

ცხინვალელ შემოქმედს მამულისთვის გულანთებული, სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ზვარაკად შეწირული ვაჟკაცების ხვედრი მწარედ ადარდებს. ამასთან, სჯერა მათი უკვდავებისა:

„ო, ქრისტესათვის ჯვარცმულნო ხეზე,
სწუხდით - მამული უღვთოდ არ წახდეს!
რამდენი ბრძოლა გადაგვიხდია,
რამდენი აწი უნდა გადაგვხვდეს...
დაბადებულნო ნამდვილ გმირებად,
სულ ივლით - მუხლი არ დაგეღლებათ,
ბევრს თბილ ბალიშზე დაეძინება,
თქვენ კი, იდგებით უკვდავ ძეგლებად!“

შოთა ნიშნიანიძეს ქართული პოეზიის თაყვანისმცემელთა წინაშე წარდგენა არ სჭირდება. მისი ლექსების მკითხველი აუდიტორია მთელი საქართველოა: ლესელიძით დაწყებული და ლაგოდეხით დამთავრებული, ჯავა-ბაღიათას მთისწინეთიდან, ვიდრე ლაჟვარდოვანი აჭარის მაღალმთიან სოფლამდე. ამასთან, „პოეტი ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშაობასაც ეწევა და კავკასიის მოძმე ხალხების - ოსების, დაღესტნელების, აფხაზების, ყაბარდოელების არაერთი მხატვრული სიტყვის ოსტატი დაუმეგობრა ქართველ მკითხველს.“

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე დაიბეჭდა შოთა ნიშნიანიძის ახალი ლექსების ციკლი. ამ ციკლიდან ერთი ლექსი „კოსტა“ ავტორმა გაზეთ „შიდა ქართლის“ რედაქციას გამოუგზავნა (1996 წ.), ამით ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესებისადმი თავისი მწერლური დამოკიდებულება გამოხატა:

„მე როგორც ქართველი ვამაყობ კოსტათი:
ის დიდი კაცია და დიდი ოსტატი,
ჩემთვისაც... არათუ მარტოდენ ოსთათვის.
ის ერის სულში და დროშაზე გვირისტობს,
ასეთი შვილები უმრავლოს ირისთონს.
სულ ფრენით მივდივარ მახლობელ ფოსტამდი,
თარგმანებს ვაგ ზავნი, ვამაყობ კოსტათი.“

დევნილობის ჟამს, ტრადიციულ ქართულ-ოსურ ურთიერთობათა გამომზეურება დაუსახავს მიზნად თავის ჟურნალ-

ისტურ საქმიანობაში ვასილ საბანაძეს. ერთ-ერთ საგაზეთო წერილში კითხვას სვამს - ვინ არის კოსტა მარგიევი? და იქვე დასძენს, რომ ოსი პოეტის შემოქმედება არა მარტო ოსი მკითხველის, არამედ ქართველებისა და სხვა ეროვნების კუთვნილებაცაა. „აბა თვითონ განსაჯეთ, მას გამოცემული აქვს ოცზე მეტი წიგნი, აქედან ხუთი - ქართულ ენაზე. მისი ლექსები ნათარგმნი აქვს მორის ფოცხიშვილს, თეიმურაზ ჯანგულაშვილს, ჯანსულ ჩარკვიანს. მას, სამსახურებრივი მოღვაწეობის გამო, საქართველოს მწერალთა კავშირის საოლქო განყოფილების პასუხისმგებელ მდივნად მუშაობისას, ხშირად უხდებოდა შეხვედრები ქართველ მწერლებთან. ეს შეხვედრები იყო გულთბილი, მეგობრული. მისი მოწვევით ბევრი ქართველი მწერალი ჩამოსულა ცხინვალში."

კოსტა მარგიევი მეორე მსოფლიო ომის მონაწილეა. ამიტომაცაა, რომ მის შემოქმედებაში გარკვეული ადგილი უჭირავს იმ ქარ-ცეცხლიან დღეთა გამოძახილს. „ამ თემაზეა დაწერილი „ბალადა მარტოხელა გლეხისა" და პოემა „კერა." პირველ ნაწარმოებში აღწერილია ომში დაღუპული ჭაბუკის მამის მწარე ხვედრი, ხოლო მეორე ნაწარმოებში - მსგავსი ბედი ომში დაღუპულ დედას ხვდა წილად."

პედაგოგთა სამჭედლო - ასე უწოდებდნენ ცხინვალის სახელმწიფო პედინსტიტუტს. თამარ ფარეხელაშვილმა იქ დაამთავრა აღნიშნული უმაღლესი სასწავლებელი და ლიახვისპირა ქალაქს მშობლიურს უწოდებს. იგი, ცხინვალელებივით იზიარებს ქართულ-ოსური კონფლიქტის მწარე შედეგებს:

„შინ დაბრუნების ჟამი არა ჩანს,
ვებლაუჭები დაღლილ იმედებს,
რომ ჩემს მიწაზე დევნილი მერქვას,
ნეტავი ასე რად გამიმეტეს.

.....

სულში იმედი ჭრაქივით ბჟუტავს,
მის ლოლიავს და ლაციცს ვუნდები,

ვლოცავ განგებას, კაცს, თუ მესიას,
ვინც ჟამს მაჩუქებს შინ დაბრუნების."

გორელმა შემოქმედმა სტრიქონები უძღვნა დევნილ ლიტერატორსა და მეცნიერს ავთანდილ ცოტნიაშვილს:

„უცხო ფრინველივით ვზივარ სხვის ქალაქში,
ცხინვალზე ფიქრსა და ოცნებას ვუნდები,
გული გრძნობს, ჩამოჰკრავს ლამაზი წამი და
შენ დაგიბრუნდები, ჰო, დაგიბრუნდები.

.....

შენ, ჩემო ცხინვალო, გწამდეს და გჯეროდეს,
რომ შემოგეხსნება ეს გლოვის ხუნდები,
სიმართლე დაგლეჯავს იმ წყეულ ფარდებს და
მე დაგიბრუნდები, ჰო, დაგიბრუნდები!"

გოდებს, მწარედ მოთქვამს, მას ძილშიც იავარქმნილი ცხინვალი ესიზმრება:

„იმ ქალაქს, იმ ცხინვალს გაუმარჯოს,
ძილში რომ ვაშენებ ხშირად,
გავიღვიძებ და თოვლის ფანტელივით,
თვალებზე მადნება წვიმად.
არ მინდა არავის ოქრო და სასახლე,
ცოდვილის გავმხდარვარ მსხვერპლი,
ჩემს კუთხეს დამაბრუნეთ, სიცოცხლედ მიღირს
დამწვარი კერიის ფერფლი."

იგი მოუთმენლად ელის იმ დროს, იმ საოცარ წამს, როცა შინ დაბრუნდება, ცხინვალს მოეფერება:

„მონოტონური დღეები მიჰქრის,
მძევლადა ვყავარ უღვთო მირაჟებს,
გარდასულ დღეთა სევდა და ფიქრი,
სიზმრებად დგანან ცხადის წინაშე.

.....

მე სხვათა ჭერქვეშ შვება ვერ ვპოვე,
სული მიელტვის იმ წამს, საოცარს,

როცა ჩემს ცხინვალს ჩავეხუტები,
როგორც მლოცველი თავის სალოცავს.“

დიდია „დედა ენის“ ავტორის, ვარიანელი (გორის მუნიციპალიტეტი) განმანათლებლის იაკობ გოგებაშვილის წვლილი ქართული პედაგოგიკის განვითარებაში. მის ღვაწლს არაერთი სამეცნიერო ნარკვევი მიეძღვნა. ცალკე აღნიშვნის ღირსია გოგებაშვილისეული პედაგოგიური ტერმინოლოგია. ამ მხრივ გვერდს ვერ ავუვლით „იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური ტერმინოლოგიის მცირე ლექსიკონს,“ რომელიც შეადგინა, წინასიტყვაობა და გამოკვლევა დაურთო პროფესორმა შოთა ქურდაძემ.

ანოტაციაში პროფესორი გენადი ბურჭულაძე წერს: „მართალია, ი. გოგებაშვილის მემკვიდრეობის მიხედვით შედგენილია მის პროზაულ ნაწარმოებთა ორი მცირე ლექსიკონი - ერთი თვით ი. გოგებაშვილისა, მეორე კი პროფ. ვ. რამიშვილისა, მაგრამ, ჩანს, კვლევა-ძიება ამ თვალსაზრისით გასაგრძელებელი იყო. მართლაც, პროფ. შ. ქურდაძის წინამდებარე სარეცენზიო შრომა მშვენიერი ცდა აღმოჩნდა ი. გოგებაშვილის პედაგოგიური ტერმინოლოგიის შესწავლის გზაზე.

წიგნის შესავალი „ქართული პედაგოგიური ტერმინოლოგიის რეფორმატორი,“ წარმოადგენს კვლევის შედეგად გამოტანილ დასკვნათა ღრმა მეცნიერულ ანალიზს... შემდგომ კი, მოცემულია ჩამოთვლილი თითოეული დებულების, მაგალითებზე დაყრდნობით, განმარტება. დოკუმენტურობა პროფ. შ. ქურდაძის გამოკვლევათა ერთ-ერთი მთავარი თვისებაა, რაც საფუძველია იმისა, რომ მისი ნაღვაწი არა მხოლოდ სპეციალისტთა ლოკალური ჯგუფისთვისაა გასაგები, არამედ, მისაწვდომია მკითხველთა ფართო საზოგადოებისთვისაც. ასეთივე ხასიათისაა „იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიკური ტერმინოლოგიის მცირე ლექსიკონი.“ ვიმედოვნებთ, ის იქცევა თითოეული წიგნიერი ქართველის სამაგიდო სახელმძღვანელოდ.“

საქართველოს ხელოვნება გადაარჩენს - ეს აზრი გასდევდა მთავარ ლაიტმოტივად შიდა ქართლის მხარის კულტურის

დღეებს თბილისში, რომელიც აპრილის (1996 წ.) შუა რიცხვებში გაიმართა მხარის ადმინისტრაციისა და რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით და რომელმაც ფართო ასახვა ჰპოვა „შიდა ქართლის“ მაისის ნომერში.

გაზეთის პირველ გვერდზე რუბრიკით - საქართველოს ხელოვნება გადაარჩენს, მკითხველი გაეცნობა თბილისში შიდა ქართლის მხარის კულტურის დღეების ამსახველ წერილებს: „ფუნჯის ოსტატთა სამყაროში,“ „მწერალთა კავშირის რიგებში - ცხინვალელები,“ „მძიმეა ჟურნალისტის პროფესია,“ „დასკვნით საღამოზე.“

შესავალშივე გაზეთი მკითხველს აუწყებს, რომ დედაქალაქში კულტურის დღეები დაიწყო შიდა ქართლის მხარის მხატვართა და მხატვრული რეწვის ოსტატთა ნამუშევრების გამოფენით.

ვერნისაჟზე წარმოდგენილი ნამუშევრებიდან დამთვალიერებელთა ყურადღება მიიპყრო ირაკლი ბაინდურაშვილის გობელინებმა. ფუნჯის ორიგინალობა იგრძნობოდა ნუგზარ ჟუჟუაშვილის, ირაკლი მჭედლიშვილის, ნოდარ მირაზანაშვილის, გულო ჩიტაძის, ავთანდილ ღუდუშაურის, კახა თოფჩიშვილის შემოქმედებაში. გრაფიკის ფაქიზი ნიუანსები აისახა ბესიკ ზუბაშვილის, გიორგი კუსრაშვილის ნამუშევრებში.

ინტერესი გამოიწვია ცხინვალის რეგიონის მხატვრების ალექსანდრე მაისურაძის, ვიქტორ ცერაძის, გიორგი მელიქიშვილის ოსტატობით შესრულებულმა ხელოვნების ნიმუშებმა. დღის ბოლოს კი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიცერთა სასახლეში შიდა ქართლის მხარის მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების კონცერტი გაიმართა.

სასიამოვნო მოლოდინში ვიყავით თქვენს ჩამობრძანებამდე - ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს მწერალთა კავშირში, შიდა ქართლის მხარის მხატვრული სიტყვის ოსტატთა შეხვედრის მონაწილეებს, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გურამ ფანჯიკიძემ.

ჩვენ ჯერ ერთმანეთი უნდა დავიბრუნოთ, მერე ყველაფერს დავიბრუნებთ, რაც დაგვიკარგავს - ცნობილი პოეტის ჯანსუღ ჩარკვიანის ნათქვამი, ეს მრავლისმეტყველი ფრაზა ხმამაღლა გაისმა საქართველოს მწერალთა კავშირის მაღალი ტრიბუნიდან. შემდეგ, შიდა ქართლის დელეგაციები წარმოადგინა მწერალთა კავშირის გორის განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა ჯემალ ინჯიამ. მან მოკლედ ისაუბრა განყოფილების მიერ გაწეულ მუშაობაზე, წაიკითხა ეროვნული გმირის - ჟიული შარტავასადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი.

შეხვედრაზე მოკლე შემოქმედებითი ანგარიშით გამოვიდა მწერალთა კავშირის ცხინვალის რეგიონული განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი ნელი ჩალაური. შეეხო ქართულ-ოსური კონფლიქტის მიზეზებს, შესაძლებლად მიიჩნია მისი მშვიდობიანად მოგვარება, თუ წინ არ აღუდგება უგუნურობა, თუ დაიგმობა ექსტრემისტთა უაზრო ამბიციები.

სასიხარულო მოვლენის მოწმენი გახდნენ შეხვედრის მონაწილენი: საზეიმო ვითარებაში მოხდა ცხინვალელი მწერლებისა და პუბლიცისტების ნელი ჩალაურის, მიხეილ ცოტნიაშვილის, რობერტ ოდიკაძის საქართველოს მწერალთა კავშირის რიგებში მიღება.

იმავე დღეს თბილისის თეატრალური სცენები დაეთმო გორისა და ცხინვალის სახელმწიფო დრამატული თეატრების მსახიობებს. გიორგი ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო დრამატულ თეატრთან არსებულმა ახალგაზრდულმა თეატრ-სტუდიამ წარმოადგინა სპექტაკლი „დოღი და კვიცები.“

მიუხედავად იძულებით გადაადგილებულთა გაუსაძლისი პირობებისა, თბილისში ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას ეწევა ივანე მაჩაბლის სახელობის ცხინვალის სახელმწიფო დრამატული თეატრი. მის რეპერტუარშია როგორც ქართული, ასევე უცხოელი დრამატურგების პიესები: სუმბათაშვილი-იუ-

ჟინის „ღალატი," იუჟინ ო ნილის „სიყვარული თელებქვეშ," გაჩეჩილაძის „ბახტრიონი" და ა.შ. იმ საზეიმო დღეს ცხინვალის თეატრალურმა დასმა მოზარდ მაყურებელთა რუსული დრამატული თეატრის სცენაზე მაყურებლებს მერაბ ელიოზიშვილის „ბერიკონი" უჩვენა.

საჭირო და აუცილებელია მსოფლიოში ხმა აღიმაღლონ ჟურნალისტების უსაფრთხოებისათვის - მოწოდებად გაიჟღერა საქართველოს ჟურნალისტთა სახლის საკონფერენციო დარბაზში, სადაც თავი მოიყარეს შიდა ქართლის მხარისა და დედაქალაქის ჟურნალისტებმა. იქვე, არაერთი მნიშვნელოვანი წინადადება, გასათვალისწინებელი მოსაზრება გამოითქვა ჟურნალისტური ორგანიზაციების მხარდაჭერისა და მათი მუშაობის გააქტიურებისათვის.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში შიდა ქართლის მხარის კულტურის დღეების დასკვნით საღამოზე კიდევ ერთხელ წარმოჩინდა შიდა ქართლის მხარის ხელოვნების მსახურთა მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების ინდივიდუალურ შემსრულებელთა, პროფესიონალი ოსტატების ტალანტი და შემართება. „ტაში და ოვაციები დაიმსახურეს კასპის, გორის, ქარელის, ხაშურის რაიონული კულტურის სახლების, გორის ფეიქართა კულტურის ცენტრის მუშაკებმა, გიორგი ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობებმა, საოპერო სტუდიის სიმფონიური ორკესტრისა და სამუსიკო სასწავლებლის ქალთა კამერულმა გუნდმა, რომელთაც ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რევაზ ტაკიძე და საქართველოს სახალხო არტისტი შალვა მოსიძე უდგანან სათავეში..."

დევნილი გაზეთი გულისხმიერებით ეკიდება იმ მამულიშვილთა სახელებს, რომლებსაც სათანადო წვლილი მიუძღვით ერის ისტორიის სულიერი განვითარებისა და თვითმყოფადობის დამკვიდრებაში. მათ შორის გვეგულვის XIX საუკუნის

ოთხმოციანელი მწერალი იოსებ დავითაშვილი. მის კალამს ეკუთვნის ბრწყინვალე საბავშვო ლექსი „ჯეჯილი:“

„იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო,
იხაროს იმის მარჯვენამ,
ვინც გთესა, მოგიყვანაო!
.....
ამაღლდი, თავი დაისხი,
ჯეჯილო, ნორჩო ყანაო,
იმისი საზრდო შეიქმენ,
ვინც გთესა, მოგიყვანაო.“


ეს მრავლისმეტყველი სტრიქონები ხომ თითოეული პატარა ქართველისათვის საყვარელი და მახლობელია. მისივე ლექსებია „ბედის წყარო,“ „სამშობლო,“ „ჩვენი ივერი“ და სხვა. ამასთან, აღსანიშნავია მისი მოთხრობები, ლიტერატურული, ისტორიული და ეთნოგრაფიული წერილები ხალხური სიტყვიერებისა და სხვა სახის ჩანაწერები, რომლებსაც ჯეროვანი ლიტერატურულ-ფილოლოგიური დატვირთვა აქვთ.

მან ლიტერატურულ ასპარეზზე მხოლოდ ათი წელი იმოღვაწა. ლექსებს აქვეყნებდა „დროებაში,“ „ივერიაში,“ „თეატრში,“ „ნობათში“ და ა.შ. სიცოცხლეში, დიდი გაჭირვებითა და მეგობრების დახმარებით, ლექსების მხოლოდ ერთი კრებული „სტვირი“ გამოაქვეყნა. „უსახლკარო, უოჯახო, ხშირად უმუშევარი პოეტისათვის ერთადერთ ნუგეშს დიდ მწერლებთან მეგობრობა წარმოადგენდა - ილიასთან, აკაკისთან, ვაჟასთან, ს. მგალობლიშვილთან, ალ. ყაზბეგთან, ნ. ლომოურთან, ა. ფურცელაძესთან და კიდევ სხვებთან, ხოლო მისი ძირითადი ნავსაყუდელი გორში არსებული ხალხოსანთა წრე იყო. აქ ყოველგვარ დახმარებას უწევდნენ, მის სასარგებლოდ საღამო-წარმოდგენებს მართავდნენ. ზოგჯერ ფულსაც უგროვებდნენ ამხანაგთა წრეში და ასე ეხმარებოდნენ ხელმოკლე მგოსანს.“

იმ ხანად გორში, ს. მგალობლიშვილის ბინაზე, ლიტერატურულ წრეში ი. დავითაშვილის შემოქმედებაზე მოხსენება წაიკითხა გორის საოსტატო სემინარიის მეორე კურსის მოწაფემ, პოეტმა ვაჟა-ფშაველამ. აი, როგორ გამოიკვეთა ახალგაზრდა სემინარიელის დამოკიდებულება ი. დავითაშვილის შემოქმედებისადმი: „დავითაშვილის პოეზია - ეს ნამდვილი სარკეა - მგოსანი იმას წერს, რაც თავის თვალით უნახავს ან მას, რაც ცხოვრებაში გამოუცდია. მისი შემოქმედების ლაიტმოტივია: ზრუნვა სწავლა-განათლებაზე, ზრუნვა ამის გავრცელებაზე მშრომელ გლეხობაში.“

ი. დავითაშვილისადმი გორისა და გორელების კეთილ დამოკიდებულებაზე ისიც მეტყველებს, რომ 1883 წლის გაზაფხულზე გორის დრამატულმა წრემ, ვაჟა-ფშაველას რჩევით, ერთი ადგილობრივი ექიმის ოჯახში მოაწყო ამაგდარი მწერლის სასპატივსაცემოდ სადილი. „ნადიმს ხელმძღვანელობდა სოფრომ მგალობლიშვილი. იოსებ დავითაშვილის შემოქმედების შესახებ სიტყვები წარმოთქვეს ნ. ლომოურმა, ახალგაზრდა ალ. ხახანაშვილმა და ვაჟა-ფშაველამ, რომელმაც თავის ლამაზ გამოსვლაში ი. დავითაშვილს „ჩვენი დემოკრატიული ლიტერატურის პირველი მერცხალი“ უწოდა, რაც ფრიად საგულისხმოდ მიგვაჩნია იმდენად, რამდენადაც დიდი ქართველი მწერლის აზრს წარმოადგენს, რომლის აზროვნებაც მიმართულია სამშობლოს დამოუკიდებლობის მოპოვებისაკენ.“

მწერალ იოსებ დავითაშვილს 1880 წელს ცხინვალშიც უმოგზაურია. ლიახვისპირა ქართულ ქალაქში მიღებულ შთაბეჭდილებებს იგი ჩვეული დამაჯერებლობით გამოხატავდა: „ცხინვალში, ურიების უბანში, მომეტებული ნაწილი სახლებისა მიწაში არიან ჩამძვრალნი. წარმოიდგინეთ, როდესაც ამ სახლებში არ შედის მზის სხივები თავისუფლად, როგორ უნდა შევიდეს მათში გულისა და გონების ნათელმომფენი სწავლა და ვგონებ, ამისათვის უარს ამბობენ სკოლისათვის ფასის გაღებაზე და ისევ ხახმებთან კერძო სწავლას რჩეობენ.“



დიდია საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის, ცხინვალის №4 ქართული საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორის, „ღირსების ორდენის“ კავალერის რომეო ბაქრაძის წვლილი მშობლიური ქალაქის ისტორიის გამომზეურებაში. ამ მხრივ საყურადღებოა მისი ავტორობით გამოცემული წიგნი „30-40-იანი წლების ცხინვალი, მოგონებათა ქრონიკები, რაც ხსოვნას შემოუნახავს“ (1996 წ.), რომლის რედაქტორიცაა ლიახვისპირა ქალაქის მემატიანე, მკვლევარ-ისტორიკოსი, პროფ. მიხეილ ცოტნიაშვილი: რომეო ბაქრაძეს ცხინვალის საზოგადოება იცნობს, როგორც ღვაწლმოსილ პედაგოგსა და გულისხმიერ ადამიანს.

1991 წელს ცხინვალში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, იგი იძულებული გახდა დაეტოვებინა სახლ-კარი და მშობლიურ მიწაზე ლტოლვილი გამხდარიყო. ეს დიდი ტკივილია მისთვის. ამ მძიმე ტკივილს ბევრი ვერ გაიგებს, მხოლოდ ლტოლვილი შეიგრძნობს. რომეო ბაქრაძის ინტერესთა სფეროში კარგა ხანია შესულია ლიახვისპირა ქალაქის ისტორიისადმი დიდი ინტერესი, რამაც ბუნებრივად მიიყვანა მიმდინარე საუკუნის 30-40-იანი წლების ცხინვალის ისტორიის კვლევასთან.

წინამდებარე შრომა წარმოადგენს ისტორიულ-ფილოლოგიურ და ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული ხასიათის ნარკვევს. მონოგრაფიაში იმდენად დიდი რეალობითაა დახატული მაშინდელი ცხინვალის ყოფა, რომ როცა კითხულობთ, გგონია შენს თვალწინ გაცოცხლდა ქალაქი, შენს გვერდით ტრიალებენ ძვე-

ლი ცხინვალელები. დიდი სითბოთი და სიყვარულითაა დახატული ცხინვალი თავისი ძველი უბნებით, გამოჩენილი ოჯახებით, ადამიანებით, მატერიალურ-კულტურული ძეგლებით და იქ მცხოვრებთა ტრადიციებით.

ავტორის მიერ გაცოცხლებული სურათები ნათლად მეტყველებენ იმ მეგობრული ურთიერთობების შესახებ, რაც ნათლად შეიგრძნობოდა იმ დროისათვის ცხინვალში ყველა ეროვნების მცხოვრებთა შორის.

რომეო ბაქრაძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან კარგად გაართვა თავი მის წინაშე მდგომ ამოცანას და ლიახვისხეობური მეტყველებით რეალურად, დამაჯერებლად წარმოგვიდგინა იმ წლების ცხინვალი.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ ნაშრომი ყოვლის მომცველი ვერ იქნება, ვინაიდან მის მიერ მოწოდებული ცნობა ეხება ისეთ საკითხებს, რომელთანაც უშუალოდ იგი იყო დაკავშირებული და იმედია, მომავალში ეს ნაშრომი ახალი თემატიკით შეივსება.

ამ წიგნით დიდად დაინტერესდება როგორც ფართო მკითხველი, ისე ცხინვალის ისტორიის ცალკეული საკითხებით დაინტერესებული მკვლევარი.

ნაშრომის ავტორი წინათქმაში მონატრებული სიყვარულით აღნიშნავს: ცხინვალი მთელი ჩემი ცხოვრების ქალაქია, ჩემი სამშობლო და სამკვიდროა, სადაც გატარებული და დაკავშირებულია მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება. ამიტომ გადავწყვიტე, გამეხსენებინა 30-40-იანი წლების ცხინვალის ყოფა, მოვლენები, ადამიანები, მცხოვრებთა ურთიერთობანი, რაც მაშინდელი ჩემი და ჩემწინა თაობის გახსენებაც იქნება. ეს კი ახალ თაობას წარმოდგენას შეუქმნის იმდროინდელი ჩვენი ქალაქის სახესა და ცხოვრებაზე.

ზოგიერთს შეიძლება წარმოდგენაც არა აქვს მაშინდელ ცხინვალზე, რატომ ეძახიან დღესაც ხანში შესული ადამიანები ბოგირს, პოლიანკას, ნაბარდალს, „სტომეტროვკას," ბულვარს, ბერულიანთ მორევს, ბებერ სასადილოს, პაპისაანთ

დუქანს, ცერაანთ, კავთისაანთ, კვანჭახაანთ, ვარდის, ყაზახაანთ, ებრაელთა, კასრაანთ და ლეკის უბნებს, ბაგებს, ხატის მიწას, კალოს ახოებს და სხვა.

აღნიშნული თხრობა ნახულის, იმ დროის გაგონილის, ხსოვნის ქრონიკებია და, ბუნებრივია, ყველაფერს ვერ გავიხსენებდი. გული ნუ დაგწყდებათ იმ პირებს, ან მათ მემკვიდრეებს, რომლებიც თავიანთი ღვაწლით, შემოქმედებითი მოღვაწეობით და კეთილშობილებით იმსახურებდნენ ყურადღებას, მაგრამ ყველა ვერ გავიხსენე.

ერთდროულად ორი წიგნი მიიღო ცხინვალითა და ცხინვალელებით დაინტერესებულმა მკითხველმა. გამომცემლობა „ოპიზამ" დაბეჭდა (2004 წ.) რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის რომეო ბაქრაძის ორტომეული.

„ცხინვალო, ჩემო ფიქრო და დარდო" - ასეა დასათაურებული ცხინვალიდან დევნილი შემოქმედის ორივე წიგნი. თუ როგორ ეტრფის ლიახვისპირა ძირძველ ქართულ ქალაქს იქ დაბადებულ-გაზრდილი, ამას წიგნის შესავალშივე გვაცნობს ავტორი: „ცხინვალი ჩემი სამშობლოა, ჩემთვის მსოფლიოში ყველაზე ლამაზი და „დიდი ქალაქია." ჩემი ლიახვი - ამაზონზე დიდი მდინარე, ხან წყნარად მოდუდუნე, ხან დაჭრილი დათვივით მოღრიალე. ცა - მშვენიერი, ლაჟვარდოვანი, ხან მოქუფრული, ხან მცინარი. ულამაზესი აისი, ცისკრის ვარსკვლავი, ასე კაშკაშა. ჩემთვის ყველაზე დიდი მწვერვალი, კავკასიონზე შემდგარი მარად თოვლიანი „ბრუტსაბძელა," ასე კარგად რომ მოსჩანს ჩემი ქალაქიდან. ზღუდერზე სამუდამო ძილს მიცემული ცხინვალელები, აქვე ქალაქის დარაჯად მდგარი წმინდა გიორგის ეკლესია, იქით ნაცარგორა და მუხნარი. ჩემი ცხინვალი, თავისი კოლორიტული უბნებით, ჭირითა და ლხინით დამძიმებულ-გალაღებული, სადაც ქვეყანას მოვევლინე, სადაც ფეხი ავიდგი და პირველი სიტყვა „დედა" ვთქვი, სადაც გავატარე ბავშვობა, ახალგაზრდობა, ყმაწვილკაცობა და მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება.

ცხინვალში - ცერაანთ უბანში შევიგრძენი ის სიამოვნება, რასაც ჰქვია ფეხშიშველა მიწაზე, ნამიან ბალახზე და ჟუჟუნა წვიმაში სირბილი, რუს წყალში ჭყუმპალაობა, მეზობლის ბოსტანში კიტრის მოპარვა და ყურის აწევის ტკივილი, ფეხებს შორის „ბულავკით“ შეკრული მაისური.

თვალჟუჟუნა გაზაფხული, ვენახების, ორღობეების პირას ბლუჯა იების კრეფა; ზაფხულში შალიკო ცერაძის კალოზე ნიკორა ხარების გარეკვა, კევრზე შეხტომ-გადმოხტომა და კოტრიალი; შემოდგომით ხილის კრეფა, რთველი, მარანში ყურძნის ნაჟურის შხუილი, ქვევრების ბუყბუყი; ზამთარში კი ცხინვალური თოვლის განუმეორებელი ბარდნა, საკუთარი ხელით გაჩორკნილი ხის ციგურებით სრიალი, თოვლში ერთგულ ფინია ძაღლთან კოტრიალი; დედის კალთაში ნებივრობა, მისი მოფერება და ჩურჩულით ლოცვა, მისი სასუსნავით მუდამ სავსე ჯიბე, ასე რომ გვახარებდა პატარებს; ღამეულში პაპის მონაყოლი ზღაპრები ქართველ დიდ მეფეებზე, გმირებზე, დიდგორის, ბასიანის, ასპინძის ომებზე, რაც ჩემში თანდათან აღძრავდა და განაპირობებდა საქართველოს, ჩემი კუთხის, ქალაქის ისტორიის დაინტერესებას - საიდან, როდიდან მოდიოდა ცხინვალი, ვინ იყვნენ ჩვენი წინაპრები, რა ქარტეხილები გაიარა და როგორი სახით მოვიდა ჩვენამდე.

სანამ დავიწყებდი ყველა ზემოთქმულის შესწავლას, მიწია კიდეც დამოუკიდებელ შრომაში ჩაბმა, შემდგომ დროთა სრბოლამ და ოჯახმა ნელ-ნელა მინავლა ჩემი სურვილები.

1991 წელს, ცხინვალში მომხდარი მოვლენების გამო, სხვა გარემოში მოვხვდი. აღმოვჩნდი უმუშევრობის, უსაქმურობის, სიცარიელის ვაკუუმში და კვლავ გაიღვიძა ჩემში სურვილმა, მომესწრო, ორიოდე სიტყვა მეთქვა ჩემი ცხინვალის, მისი ხალხის წარსულზე, რადგან ჩემს ხსოვნას კიდევ შემორჩენოდა ნანახი, გაგონილი, განცდილი და ისტორიულ დოკუმენტებში ქექვის წადილი.

პირველად 1996 წელს გამოვეცი წიგნი „30-40-იანი წლების ცხინვალი, მოგონებათა ქრონიკები, რაც ხსოვნას შემოუ-

ნახავს," რომელმაც სპეციალისტთა და მკითხველთა დადებითი შეფასება დაიმსახურა (ამჟამად შევსებული, შესწორებული სახით შედის ამ წიგნში).

წიგნი წარმოადგენს წერილების ერთ მთლიან კრებულს. მიუხედავად ამისა, ყველა ისინი ფორმითა და შინაარსით ავსებენ ერთმანეთს და ჩვენს ცხინვალთანაა დაკავშირებული. არ გავაგრძელებ მათ შინაარსზე საუბარს. დაე, თვითონ განსაჯოს მკითხველმა მისი ავ-კარგი, მე კი ყველა შენიშვნას სიამოვნებით მივიღებ.

რაც და როგორც შევძელი, ჩემი ხალხისთვის ის გავაკეთე, შემოვუნახე მომავალ თაობას რაც ვიცოდი, რაც ვნახე და მოვიპოვე საჭირო ცნობები ჩვენი წინაპრებისა და მშობლიური ცხინვალის შესახებ.

წიგნში შესულია სხვა ავტორების წერილებიც.

ცხინვალი ხომ ყველა ცხინვალელის ფიქრი და დარდია.

წიგნი პირველი - წარმოდგენილია თავი I - 30-40-იანი წლების ცხინვალი; თავი II - ჩვენებურები; თავი III - დგვრისი და დგვრისელები.

წიგნი მეორე - შესულია თავი IV - ცხინვალის ქრონიკები; თავი V - ლტოლვილობაში წაქცეული ბერმუხა; თავი VI - გუჯაბაური; თავი VII - ორი ოჯახის ცრემლები; თავი VIII - ცხინვალელი ებრაელები; თავი IX - სამაჩაბლოს ომის დროს დაღუპულები; თავი X - ლტოლვილობაში დაფერფლილი სიცოცხლეები; თავი XI - პუბლიკაციები.

ცხინვალში გამომავალი ქართულენოვანი გაზეთი „საბჭოთა ოსეთი," ყოველდღიური ტირაჟი საშუალოდ თორმეტიდან ცამეტი ათასამდე და თითქმის ყოველდღიურად წონიანი პუბლიკაციები რედაქციის წამყვანი განყოფილებიდან, რომელსაც წლების მანძილზე იულონ ტოლიაშვილი ხელმძღვანელობდა. ყოველგვარი გაზვიადების, შეულამაზებელი ეპითეტების გარეშე - კაცი ენერგიული, ნიჭიერი, შემოქმედი; ჟურნალისტი, რომელიც ბევრს მუშაობდა და ვინ მოთვლის, იმ დროს რამ-

დენი ფიქრის, განსჯისა თუ უძილო ღამის ნაყოფს იმკიდა...

ეს პრეამბულა იმისათვის დაგვჭირდა, რომ გვეთქვა, იულონ ტოლიაშვილმა შეძლო მრავალი ბარიერის გადალახვა და საკუთარი „მეს," პიროვნულის დამკვიდრება, დასახული სიმაღლის აღება თანამედროვე ჟურნალისტიკის სამყაროში.

ჯერ კიდევ, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის წარჩინებული სტუდენტის მიმართ, ქალაქის პირველ ქართულ საშუალო სკოლაში პრაქტიკის გავლისას, პედაგოგებისგან არაერთხელ გაიგონებდით, - იულონი საუკეთესო გაკვეთილებს ატარებსო. გაზეთში მუშაობისას, იგი დგვრისელების უბნის სიძე გახდა. ცხოვრების მეგზურად თანამშრომელი - ქალდე ბურნაძე აირჩია. ქალდეს კი ვინ არ იცნობდა - ვახტანგის სკოლიდანვე, საუკეთესო მოსწავლე და წარმატებული დეკლამატორიც გახლდათ.

ცხინვალის რაიონის სოფელ ქსუისში დაბადებულ-გაზრდილმა ჭაბუკმა საკუთარი უნარით გაიკვალა გზა. ლიახვისპირა ქალაქის პედაგოგთა სამჭედლოში გამობრძმედილი, აქტიურობდა შემოქმედ სტუდენტთა ხელნაწერ ჟურნალ „ლიახვში," სადაც ხშირად იხილავდით მის ლექსებს. პარალელურად თანამშრომლობდა საოლქო გაზეთშიც, რომლის წამყვანი მუშაკიც მალე გახდა. მერე, ზნაურის (ყორნისის) რაიონულ გაზეთ „საკოლმეურნეო ცხოვრების" რედაქტორად დააწინაურეს, შემდეგ კი გაზეთ „თბილისში" გადაიყვანეს და წამყვანი განყოფილება ჩააბარეს. მისი ღრმა, შინაარსიანი პუბლიკაციები იბეჭდებოდა რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში.

იმ გაზაფხულს (1998 წ.), მისი პოეზიის მოტრფიალენი ლექსთა კრებულის „ვალსების ღამის" მხილველნი გახდნენ. კრებულის ავტორი გულწრფელად მიმართავს მკითხველს:

„როცა დავბეჭდავ, ამ პატარა კრებულს, გაჩუქებ,
სადაც იქნება გახვეული ბროლის სამიზნე,
და დილით, როცა განთიადი გამოაშუქებს,
მე მოვალ შენთან, საბრძოლველად, რათა წარგიძღვე.

მე მოვალ შენთან, გაგიკაფავ ველურ გზაწვრილებს,
მოვეფერები შენი სულის ეულ ყვავილებს,
გაზაფხულობით სააპრილო წვიმას გაწვიმებ,
შემოდგომაზე იასამნის ღობეს გაგივლებ.
როცა დავბეჭდავ, ამ პატარა კრებულს, გაჩუქებ...“

ლაღად იკითხება ლექსები: „სერაფიტა,“ „მე მოვიცალე,“ „სიზმარი ვაშლის ყვავილებზე,“ „ხელები,“ „პასტორალი,“ „იმ ღამეს,“ „ანუკის.“

მკითხველის გულს სწვდება „ოცნების ერთი ქალაქი,“ „მე ვარ კალმახი ლიახვის პირას,“ „დაღლილი სულები,“ „ვალსების ღამე,“ „ბილიკი ტყეში,“ „ზაფხულის ჩანაწერები“ და სხვა.

ადამიანის ამქვეყნიდან წასულის რეალურ სურათს ხატავს ლექსში „გუშინ დაკრძალეს მოხუცი ქალი:“

„...და დიდი სახლის მყუდრო ოთახში
ფულს ითვლიდნენ სამნი, მხოლოდ კაცები,
შეჩერდებოდნენ ზოგჯერ ცოტახნით,
თვლიდნენ ახლიდან და გატაცებით.
გარეთ ზუზუნი ყივილად იქცა,
მავანი მავანს სიფათს ულოშნის,
ქალს კი ფარივით იცავდა მიწა
ყველაფრისაგან სოფლის ბოლოში.“

თბილი სიტყვებით ამკობს ქართველთა საამაყო ისტორიულ ძეგლს - იკორთას:

„...იკორთა – ჩვენი ლურჯი ფრინველი,
მთის ცხრაკლიტულში ჩამჯდარი რიდით,
უძვირფასესი განძი პირველი,
ერისთავების საძვალე დიდი.
იქა ტრიალებს, როგორც ფარვანა,
ჩოლოყაშვილის ნათელი სული...“

ჩვენი თანამოკალმის- იულონ ტოლიაშვილის პოეტური კრებული „ვალსების ღამე,“ ქართული პოეზიის უკიდეგანო სივრცეში, ერთ-ერთი თვალსაჩინო შენაძენია.

ცხინვალის რეგიონის მწერალთა გაზეთმა მეორე გვერდი თითქმის მთლიანად დაუთმო (2003, №10) 70 წლის უაღრესად კეთილშობილ ინტელიგენტს გივი ჭამპურიძეს. იუბილარ თანამოკალმეს მიესალმნენ საქართველოს მწერალთა საერთო-ეროვნული კავშირის ცხინვალის რეგიონული განყოფილება და გაზეთ „ლიტერატურული ცხინვალის“ რედაქცია: როდემდე მესამე ძალის თავაწყვეტილი ბოგინი?! - ეს კითხვა დღენიადაგ მოსვენებას არ აძლევს ცხინვალიდან დევნილ, ცნობილ ჟურნალისტსა და პუბლიცისტს გივი ჭამპურიძეს, რომელსაც დაბადებიდან 70 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა.

ვაგლახ, ბედისწერავ! ქართულ-ოსური კონფლიქტის გამო, სხვა მრავალ ქართველთა შორის, ისიც საკუთარ სამშობლოში დევნილად იქცა.

ბატონო გივი!

თქვენი კალმოსნობის უამრავ თაყვანისმცემლებთან ერთად, საქართველოს მწერალთა საერთო-ეროვნული კავშირის ცხინვალის რეგიონული განყოფილება, გაზეთ „ლიტერატურული ცხინვალის“ რედაქცია გულითადად მოგესალმებით და გილოცავთ თქვენი ცხოვრების ღირსშესანიშნავ საიუბილეო თარიღს - დაბადების სამოცდაათ წლისთავს.

სამშობლოს სიყვარული საკუთარი კუთხიდან იწყება - ძირძველი ქართული სოფელი გუჯაბაური, რომელიც სამხრეთით ეკვრის ცხინვალქალაქს; ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, რომელიც თქვენივე ინიციატივით აშენდა და დამშვენდა 1987-1988 წლებში; მოდუდუნე ლიახვი... შიდა ქართლის ეს განუყოფელი ნაწილი, ივერიელთა თვალმარგალიტი სავანე იყო და არის თქვენი შემოქმედების პირველწყარო.

ლიტონი სიტყვები არ გახლავთ, გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან გასაოცარი შემართებით ზიდავთ ქართული ჟურნალისტიკის წონიან ტვირთს.

აღვირახსნილ ჟამთა სიავით ჩაფიქრებულს, მწარედ გადარ-

დებთ საქართველოს „ვაიუშველებელი," როდესაც ირგვლივ განუკითხაობა, ქაოსი მძლავრობს; დეფიციტი გამხდარა სიმართლე, ზრდილობა, დარბაისლობა; შვილი მამას ეწინააღმდეგება, ძმა ძმას აღარ ინდობს, მეგობარი მეგობარს არ ზოგავს, ცოლი ქმარს აუმხედრდა. ალბათ ამიტომაც ზნეკეთილი ჟურნალისტის გულს დამძიმებულს ხშირად საქართველოს ბულბულის - აკაკის გაუხუნარი სტრიქონები გეძალებათ:

„ახლანდელ დროში
აღმართს ხნავს ძალა,
ჭკუა ხაშია,
გრძნობა - არტალა."

სუფთა და კრიალაა თქვენი ცხოვრების ბიოგრაფია. დაიბადეთ 1933 წელს ცხინვალის რეგიონის სოფელ გუჯაბაურში. ცხინვალის №1 ქართულ საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მისაღები გამოცდები ჩააბარეთ ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

უმაღლესი სასწავლებლის დასრულების შემდეგ, 1958-1964 წლებში კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზე იღვწით. შემდეგ, მუშაობდით ცხინვალის შემოქმედებითი სახლის მეთოდისტად, საოლქო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილედ.

1966 წლიდან აქტიურ ჟურნალისტურ საქმიანობას ეწევით. მუშაობდით ცხინვალში გამომავალ ქართულენოვან გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" რედაქციაში კორესპონდენტად, საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს კორესპონდენტად ცხინვალის ზონაში. ქართულ-ოსური კონფლიქტის დაწყებამდე - ცხინვალის რადიოკომიტეტის ქართული გადაცემის რედაქტორის თანამდებობაზე.

დევნილობის ჟამს, დროებითი თავშესაფარი რუსთავში ჰპოვეთ. არც იქ შეგიწყვეტიათ შემოქმედებითი საქმიანობა. კორესპონდენციებს სისტემატურად ბეჭდავთ რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში. 2000 წლის თებერვლიდან კი საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის რუსთავისა და

ქვემო ქართლის ორგანიზაციის სალიტერატურო-საზოგადოებრივ ჟურნალ „ორბეთის" მთავარი რედაქტორის მოადგილედ დაგაწინაურეს და აგირჩიეს სარედაქციო საბჭოს წევრად. პარალელურად იღვწით ჩვენი გაზეთის საკუთარ კორესპონდენტად რუსთავსა და ქვემო ქართლში. ასევე, არჩეული ხართ სრულიად საქართველოს სახალხო დევნილთა საკოორდინაციო საბჭოსა და სრულიად საქართველოს სახალხო პარტიის მთავარი საბჭოს წევრად.

ახალი საუკუნის გარიჟრაჟი, „დრო შეუსაბამო, გარემოება კი ვერანი." ამ ტიალ დროში - ქართულ-ოსურ ურთიერთობაში მოძალებულ პრობლემურ თემას ეხება საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი „ლიტერატურულ ცხინვალში" გამოქვეყნებულ (2002, №9) ვრცელ კორესპონდენციაში „დიდი ხარკი, მძიმე ჯვარი, კომპრომისი პლუს გარანტი," სადაც მკაფიოდ დასძენს, რომ „პოსტსაბჭოურ ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა ხალხისა და ერების მცდელობა, ააშენოს მათთვის მისაღები სტრუქტურის, სისტემის სახელმწიფო და ამით მიაღწიონ უკეთეს მომავალს, ხასიათდება წინააღმდეგობებით, არც თუ იშვიათად დიდი ხარკის გაღებით. ზოგჯერ უკუსვლით ხდება გარდაქმნა. „ და კიდევ, „დიდი პოლიტოლოგობა არ უნდა ჩვენი ცხოვრების ავ-კარგიანობის დანახვას. როცა საკანონმდებლო ორგანოს - პარლამენტის სხდომებს ვუყურებთ და ვისმენთ დებატებს, დასტურდება ზემოდ თქმული. რომ გვეუბნებიან, დონორი ქვეყნებიდან შემოსული მილიონობით დოლარის ჰუმანიტარული საქონელი, ფული თუ კაპიტალდაბანდებისთვის ინვესტიციები დანიშნულებისამებრ არ იხარჯება და სად გაქრა გაურკვეველია. განა აღმაშფოთებელი და დამაფიქრებელი არ არის ხალხისთვის, უპირველესად ინვესტიციისთვის? აღარაფერს ვამბობთ გაუბედურებულ დევნილებზე, რომელთაც მშობლიურ კერაზე დაბრუნების იმედი ეკარგებათ..."

აღნიშნულიდან გამომდინარე, არც სამაჩაბლოდან დევნილი, ერთ-ერთი სახალხო მთქმელი სცოდავს:

„ბოლმა ყელში მოგვბჯენია,
ჩვენს ბუდეში გუგულია,
რძესთან ერთად სისხლსაც გვიწოვს
ეს ძუძუმტე ორგულია.“

ჩვენო გივი!

საქართველოს მწერალთა საერთო-ეროვნული კავშირის ცხინვალის რეგიონის განყოფილება, „ლიტერატურული ცხინვალელები“ კიდევ ერთხელ, კოლეგიალური სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს, მზეგრძელობას, დღეგრძელობას, კვლავაც შემოქმედებით მიღწევებს გისურვებთ მშობლიური ქვეყნის სადიდებლად.

საქართველოს მწერალთა საერთო-ეროვნული კავშირის რუსთავისა და ქვემო ქართლის ორგანიზაციამ, ჟურნალ „ორბეთის“ რედაქციამ საიუბილეო საღამო მოუწყო ამაგდარ შემოქმედს, ჟურნალ „ორბეთის“ მთავარი რედაქტორის მოადგილეს გივი ჭამპურიძეს.

საიუბილეო საღამო გახსნა საქართველოს მწერალთა საერთო-ეროვნული კავშირის რუსთავისა და ქვემო ქართლის ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ჟურნალ „ორბეთის“ მთავარმა რედაქტორმა, პოეტმა მურად ჭოლოკავამ.

იუბილარის შემოქმედებით საქმიანობაზე ვრცლად ისაუბრა მწერალთა ქვემო ქართლის ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილემ, პოეტმა მარინე ცხვედიაშვილმა.

სიტყვით გამოვიდნენ ჟურნალ „ორბეთის“ სარედაქციო საბჭოს წევრები: აფხაზეთიდან დევნილი პოეტი ბორის ბესელია და მწერალი თინათინ სიყმაშვილი, მხატვარი ალექსანდრე თოდუა, რუსთაველი პოეტი ბესიკ ზაალიშვილი, მხცოვანი პოეტი სილოვან ახვლედიანი და სხვები. დასასრულ, იუბილარმა ჟურნალისტმა და პუბლიცისტმა გივი ჭამპურიძემ მადლობა გადაუხადა ღონისძიების მონაწილეებს მისი შემოქმედებითი ღვაწლის დაფასებისა და გულთბილი შეხვედრისათვის.



საუკუნის გარიჟრაჟზე (27.VI.2001 წ.), დაარსებიდან ათი წელი მიითვალა დევნილმა პრესამ, რომელიც ლიახვისპირა ქალაქში გამომავალი ქართული გაზეთის ბაზაზე შეიქმნა და ძირითადად წინაპართა სამკვიდროს მოწყვეტილი ჟურნალისტებით დაკომპლექტდა.

„შიდა ქართლის“ პირველი ნომრის გამოსვლისას, ცხინვალის რეგიონის დიდი და პატარა ლიახვის, ფრონეს ხეობებში განუკითხაობა და ქაოსი მძვინვარებდა. საერთო გაჭირვებასთან ერთად, რომ იტყვიან, სანთლით საძებნი იყო საგაზეთო ქაღალდი, სასტამბო საბეჭდი მასალები, ამჟამადაც მამასისხლად რომ ფასობს.

გაუსაძლისი პირობებიდან გამომდინარე, „შიდა ქართლი“ სირთულეებს არ უშინდება და ბუდემოშლილ ცხინვალელებთან ერთად, ისტორიული შიდა ქართლისა თუ ქვეყნის სხვა კუთხის მრავალრიცხოვან მკითხველს თავს ახსენებს, სიკეთის მაცნედ ევლინება.

სიმართლის გამარჯვება - უდიდესი მონაპოვარია, ხოლო მართალი სიტყვა, ადამიანთა ურთიერთპატივისცემა, მოყვასის სიყვარული - ცხოვრების დედააზრია. ამასთან, დევნილებს

თანადგომა, გამხნევება, მხარდაჭერა სჭირდებათ. სწორედაც ამ მიმართულებით წარმართავენ საგაზეთო საქმიანობას „შიდა ქართლელები.“

სარედაქციო კოლეგია მუდამ სიახლის ძიებაშია. ჟურნალისტები, საგაზეთო წერილებიდან, დღენიადაგ ისწრაფვიან ოს-ქართველთა შორის მშვიდობის დასამკვიდრებლად, ეთნოკრიზისის აღმოსაფხვრელად. გატანჯულ თანამემამულეთა შინ - საკუთარ სამკვიდროში ღირსეულად დასაბრუნებლად. ამიტომაც, მათი ძალისხმევა უცვლელ სამკაულად გასდევს ნომრიდან-ნომერში ცხინვალს მონატრებულ „სიმართლის მაუწყებელს.“

ერთ ბედქვეშა ვართ!

„ლიტერატურული ცხინვალელები“ თქვენს გვერდით არიან, გილოცავთ...

კვლავაც აღმასვლით, ჩვეული შემართებით, ქედუხრელო თანამოკალმენო!



„შიდა ქართლის“ რედაქციას და მის მკითხველს საიუბილეო მე-500 ნომრის გამოცემას ულოცავს საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი: - მიმაჩნია, რომ ერთ-ერთი ძირითადი როლი ქართულ-ოსური ურთიერთობების აღდგენაში სწორედ თქვენს გაზეთს ეკუთვნის. ამიტომ დღეს, როდესაც მიმდინარე წელი გამოცხადდა ორ მოძმე ერს შორის ნდობის აღდგენის წლად, სწორედ „შიდა ქართლმა“ უნდა აიღოს თავის თავზე ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქცია ქართველი და ოსი ჟურნალისტების ძალისხმევის გაერთიანებისა ამ მიზნის მისაღწევად.

მშვენივრად ვიცი იმ დიდი ტკივილის შესახებ, რაც ქართველებმა და ოსებმა ერთმანეთს მივაყენეთ. დროა, კონკრეტული საქმეებით დავავიწყოთ ერთმანეთს ეს ტკივილი და ერთად ვაშენოთ ისეთი საზოგადოება, რომელშიც ქართველები და ოსები მოყვარეები და არამტრები იქნებიან. ჩვენი ძმობის ისტორია მრავალ საუკუნეს ითვლის, სამარცხვინო მტრობისა კი - სულ რამდენიმე ავადსახსენებელ წელიწადს. ამიტომაც ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენს შერიგებასა და მეგობრულ თანაცხოვრებას ვერაფერი აღუდგება წინ.

მინდა გთხოვოთ ყველას, ოსებსაც და ქართველებსაც, ნუ აჰყვებით იმ პოლიტიკოსთა განცხადებებს, ვინც ასევე შუღლს აღვივებს ჩვენს შორის. პირიქით, რაც უფრო მოვეფერებით ერთმანეთს, გავიზიარებთ ურთიერთტკივილს, მით უფრო მალე მივაღწევთ მიზანს. ორივე მხარე დამნაშავეა ამ კონფლიქტში. ვინ უფრო დამნაშავე ვართ, ეს უფრო საკამათოა, მაგრამ მიმაჩნია, რომ პირველებმა სწორედ ჩვენ უნდა ვაღიაროთ შეცდომები, ვინაიდან საერთაშორისო სამართლის წინაშე სწორედ საქართველოს ხელისუფლებაა პასუხისმგებელი წესრიგზე და კანონის დაცვაზე მის საყოველთაოდ აღიარებულ საზღვრებში, სადაც ცხადია, დღევანდელი თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაც შედის.

რაც შეეხება ჩემს ხედვას, კონფლიქტის მოწესრიგებისა, მიმაჩნია, რომ დღეს ჩვენ არა რეგიონის სტატუსზე, არამედ, რეალურ შერიგებაზე უნდა ვისაუბროთ; დავიწყოთ ოსი და ქართველი დევნილების დაბრუნება საკუთარ სახლებში, აღვადგინოთ ეკონომიკური, კულტურულ-სამეცნიერო კავშირები, ერთობლივი ძალისხმევით დავამყაროთ წესრიგი.

სტატუსზე ლაპარაკი ნაადრევია იმიტომაც, რომ ჩვენ არა გვაქვს გარკვეული ურთიერთობა რუსეთთან, რომლის გარეშე ომისა და მშვიდობის საკითხები კავკასიაში ვერ გადაწყდება. სწორედ ამიტომ „შევრიგდი" პრეზიდენტთან (ჩემი მასთან „ჩხუბის" ამბავი ყველა გორელს განსაკუთრებით კარგად ახსოვს), რომ მისი გუნდი ძირითადად გაიწმინდა იმ ხალხისგან, ვინც მასთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებაში გვიშლიდა ხელს და თავად პრეზიდენტმა განაცხადა, რომ დღეს საქართველოს ორი უმნიშვნელოვანესი პარტნიორი ჰყავს - ამერიკა და რუსეთი.

მივესალმები ამერიკასთან მეგობრობას, მაგრამ რუსეთთან ცივ ომს ვერასოდეს შევურიგდები, როგორც უნდა გვაღიზიანებდეს ცალკეული რუსი პოლიტიკოსისა თუ თანამდებობის პირის ანტიქართული საქციელი. ასეთი ვაიპოლიტიკოსები საქართველოში ბევრი გვყავს სამწუხაროდ, ვინც თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის არად აგდებს ხალხებს შორის მშვიდობას, მაგრამ ჩვენ ყველა, ქართველიც, ოსიც ამ წყენებზე მაღლა უნდა დავდგეთ. ჩვენს შვილებს მტრობის ნაცვლად სიყვარული უნდა ჩავუნერგოთ. ამაში კი ყველაზე დიდი საქმის გაკეთება პრესას, უწინარესად კი, თქვენს გაზეთს შეუძლია.

აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით, რათა განვუმარტო დევნილებს ცხინვალიდან მათი სავარაუდო მონაწილეობის შესახებ ჩემს მიერ ჩატარებულ შეხვედრებსა და მოლაპარაკებებში. არის შეხვედრები, რომლებსაც პირისპირ ან ოფიციალური დელეგაციების დონეზე ვატარებთ პოლიტიკოსებთან, სადაც არც ქართველი და არც ოსი დევნილების მონაწილეობა არ არის

გათვალისწინებული. ასეთ შეხვედრებამდე და მათი ჩატარების შემდეგ, პირადად ვხვდები ქართველ დევნილებს და ლიახვის ხეობის მოსახლეობის წარმომადგენლებს კონსულტაციებისათვის. ასევე, მოველაპარაკეთ ოსურ მხარეს, რომ სისტემატურად ჩატარდება ერთობლივი შეხვედრები ორივე ეროვნების დევნილებთან და ყველა მნიშვნელოვანი საკითხი მხოლოდ მათი მონაწილეობით გადაწყდება. ყოველივე ეს კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მოლაპარაკებების ფორმატის გაფართოებას და მათ მონაწილეობას ცხინვალის რეგიონის პრობლემების შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის შემადგენლობისა და ხელმძღვანელობის გადახალისებას, რაც უახლოეს ხანებშია დაგეგმილი.

იმედს გამოვთქვამ, რომ აღნიშნულ ღონისძიებებში, რაც ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღდგენის წელიწადშია დაგეგმილი, აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ დევნილები და, უპირველესად, პრესის წარმომადგენლებიც (თბილისი, 14.02.2003 წ.).

კაცი მეურნე, კაცი პოეტი, - ამ სიტყვებით აცნობს გაზეთი მკითხველს მხცოვან პოეტს ლუარსაბ ვარდანაშვილს. დარბაისელი, სიტყვამოსწრებული, ადამ და ევას მოდგმის მოსიყვარულე, სხვისი ჭირისა და ლხინის მოზიარე კაცი - შემოქმედი. შინაურებში და გარეულებში, მეზობლებში და ნაცნობ-მეგობრებში საქმით ამაღლებული, - ასეთია იგი, ნამუსის ქუდით დამშვენებული, ჭაღარით შემკული, ნაღდი გორელი.

მოცლა არა აქვს, მუდამ ფუსფუსებს, მოძრაობს, ყოველთვის რაღაცის ძიებაშია. ეზო-კარ-მიდამოს დაუზარელი მშრომელის მარჯვენა ატყვია. ასაკი მოეძალა, ჩვეულებას კი არ ღალატობს: ხნავს, თესავს, ელოლიავება მიწას - მარჩენალს. მუზაც ხშირად უხმობს და, ასე, ნამგლითა და კალმით მძიმედ, დაუდგრომლად მიუყვება ცხოვრების ოკრობოკრო გზას. ბატონი ლუარსაბი ჩვენი გაზეთის ხშირი სტუმარია. იმ დღესაც რედაქციის ზღურბლს მხნედ გადმოაბიჯა, შინაურულად მოგვიკითხა. მერე, ვეე-

ბერთელა ტყავის ჩანთა გახსნა და „შიდა ქართლელებს“ თავისი ავტორობით დასტამბული ცინცხალი წიგნები ჩამოგვირიგა. რეცენზიას ალბათ „შიდა ქართლში“ ვიხილავო, - სიტყვა გადმოგვიკრა და მალე დაგვემშვიდობა.

სამშობლო, ადამიანები - მისი შემოქმედების უმთავრესი თემაა, მძაფრი სიყვარულით არის სხივმოსილი. უღალატოა მისი თითოეული ფრაზა - როგორ მხატვრულ კონტექსტშიც არ უნდა იყოს წარმოდგენილი - ისევე, როგორც უღალატო, სადა და ნათელია პოეტის მთელი შეგნებული ცხოვრება, - ვკითხულობთ წიგნის რედაქტორის ვასილ მამულაშვილის წინასიტყვაობაში. იქვე, შესავალში, ავტორი გულისხმიერი ყურადღებისათვის მადლობას უხდის მათ, ვინც სპონსორობა გაუწია მესამე წიგნის გამოცემაში.

„ტაშს ნუ დამიკრავთ“ - ასეა დასათაურებული წიგნი, რომელიც ამავე დასახელების ლექსით იხსნება:

„ტაშს ნუ დამიკრავთ, ვინც ნიჭი მომცა,
გზაც დამილოცა, ტაშიც დამიკრა.
რას მარგებს თქვენი ტაში და ვაშა,
თუ ბრძნული აზრის ქურა ჩამიქრა.“

სამშობლოს ერთგულება, საქართველოს სიყვარული ხელხვავიანი შემოქმედის ძირითადი თემაა, ამიტომაც ხმამაღლა აცხადებს:

„გლოცავ ნიადაგ, ჩემო სამშობლო,
ყოველ ახალ წელს, ტურფა ყვავილო,
უკანასკნელი მერქვას სახელი
შენი ღალატი თუ გულს გავივლო.“

ლუარსაბ ვარდანაშვილს თითქმის ფეხით აქვს შემოვლილი შიდა ქართლის კუთხე-კუნჭული. იგი დედაბუნებისა და ისტორიული ძეგლების ქომაგია. აღფრთოვანებას ვერ ფარავს იკორთის ტაძრისადმი:

„...სიმაგრე ციხისა“ - მშვენება ტაძრისა
მტერმა ვერ მოხარა, ვერა, ვერ გასრისა,

სიმტკიცე, მეობა ჩემი წინაპრისა.“

ბატონი ლუარსაბი არც სიყვარულის მარად უჭკნობი ძალისადმია გულგრილი:

„...ერთ თვალში მზე მაქვს,
მეორეში მთვარე ბრიალებს,
გულში ნათელი ჩამიყენე,
ნუ აგვიანებ.
დამაკოცნინე მაგ შენს ღაწვთა
იის ველები,
ვარდისფერ ბაგეს
ბულბულივით შევემღერები.“

თავის შემოქმედებაში პოეტი ხოტბა-დიდებას არ იშურებს ქართველი მწერლების, პოეტებისა და სახელოვანი მამულიშვილებისადმი. ქართული პოეზიის მშვენებას, გალაკტიონს ასე მიმართავს:

„მამულისა და ერის დიდებად,
შენ ლექსის დროშას შლიდი მგოსანი,
წინ მიგიძღვოდა რუსთველის სიბრძნე,
მარად უკვდავი და სხივოსანი.“

ამაგდარი პოეტი ვალში არავისთანაა. ვისაც კი მისთვის თუნდაც იოტისოდენა პატივი უცია, სამადლობელი ლექსით გადაუხდია. ამასთან, თავის მეობას მუდამ ამხნევებს:

„შენ ბუნების ძალა გაძლევს
და წერ მისი შთაგონებით,
ღირსეულად მიჰყვე მას და
მტრობისგან ნუ დაღონდები.“

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲪᲘᲙᲚᲝᲞᲔᲓᲘᲘᲡ ცნობით, იკორთა გვიანფეოდალურ ხანაში იყო ქსნის ერისთავთა ერთ-ერთი რეზიდენცია შიდა ქართლში. იკორთის ტაძარში განისვენებენ კახეთის აჯანყების (1659 წ.) ხელმძღვანელები: ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები. აღნიშნულიდან გამომდინარე, რა გასაკვირია, რომ იკორთის თემას

სათანადო ადგილი უჭირავს ქართულ მწერლობაში (თუნდაც აკაკის შემოქმედებაში). ამ მხრივ მხატვრული სიტყვის დიდოსტატთა ტრადიციების გამგრძელებლად გვევლინება გორელი პოეტი ჯემალ ინჯია. ლექსში - „იკორთა“ სიყვარულით წარმოგვიჩენს სამშობლოსთვის თავგანწირულ მამულიშვილებს შალვას, ბიძინას, ელიზბარს. იგი ამ ადგილს თვლის ირანელ და თურქ დამპყრობთა მოგერიების ძალად და ოცნებობს:

„სამარადჟამო დადგეს ხარება,
ალავერდს იყოს გრემთან იკორთა,
დააძმობილონ ჩემმა ხარებმა
სახნავის ხაზი მელნის სტრიქონთან.“

სახელოვან პოეტს მხედველობის მიღმა არ რჩება ცხინვალის რეგიონში დატრიალებული ქართულ-ოსური კონფლიქტი. გულჯავრიანად მიმართავს მშობლიური სამოსახლოდან აყრილ დევნილებს: „მართალი არის არ გესწავლება, მაგრამ ქართველად გარდაიცვალე.“

ლიახვისპირა ქართული ქალაქის მცხოვრებთა მორალურ სიმაღლეს გვიჩვენებს პოეტი ამ ქალაქისადმი მიძღვნილ ლექსში:

„შენ ამოხვედი
ავტობუსში და შევიწროვდნენ,
მაგ სილამაზეს
პატივი სცეს ცხინვალელებმა.“

კონფლიქტის პირველ ეტაპზე, მიუხედავად ქართულ-ოსურ ურთიერთობათა გამწვავებისა, დევნილი პრესა უმთავრეს მიზნად ისახავს ამ ორ მონათესავე ხალხს შორის ტრადიციული თანაცხოვრების პირობების აღდგენას. საკუთარ სამშობლოში დევნილებს მონატრებიათ ცხინვალი და განა მარტო ბედის ირონიით გატანჯულ ადამიანებს... მათაც, ვისაც ამ მადლიან კუთხესთან მშვენიერი მოგონებები აკავშირებს. წარსულში, ჯავის თვალწარმტაცი ბუნების სილამაზით და ადამიანთა კეთილი ურთიერთობებით დამტკბარა საქართველოს მწერალთა კა-

ვშირის გორის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი ჯემალ ინჯია.

„ლამაზი გოგო ფატიმათი
მიკითხავს ძვირფას კოსტა ხეთაგათს,
სამაროვანში ვინატრებდი
უბრალოდ მიფვლას ამის ხელთაგან.“

„ეს სტრიქონები მისივე ლექსიდანაა, დაწერილია წლების წინ, როცა ახალგაზრდულ ბანაკ „კროზაში“ მიიწვიეს. დღეს იგი ჩვენთან ერთად იხსენებს წარსულს და ნატრობს მშვიდობიანი დღეების დაბრუნებას.

ყველაფერი კი 60-იან წლებში დაიწყო. 22 წლის პოეტმა, რომელიც მაშინ გორის გაზეთ „გამარჯვებაში“ მუშაობდა, გაზეთ „საბჭოთა ოსეთში“ გაგზავნა ლექსი „ქედმოუხრელი კოსტა.“ გავიდა მცირე ხანი და ავტორმა იგი ოსურ ენაზე ჟურნალ „ფიდიუაგში“ დაბეჭდილი იხილა.“

ერთ-ერთ ლექსში - „მანანას სიმღერა,“ პოეტი ასახავს ჯავაში დასასვენებლად მყოფ ბავშვთა მხიარულ სახეებს, ხოლო „პოეტურ ნაწარმოებში - „იქ ჯავის ზემოდ“ გადმოცემულია ოსი ქალის ფატიმასა და ქართველი კაცის დიალოგი. ფატიმამ გორელ მოაზროვნეს გაახსენა კოსტას რამდენიმე შედევრი, რამაც ორივე ხალხის ღირსეულ წარმომადგენელთა აღფრთოვანება გამოიწვია, ვინაიდან ოსური მხატვრული ლიტერატურის მესაძირკვლეს შემოქმედებით ასპარეზზე გამოსვლა დაულოცა ქართლის გულის მკვიდრმა, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორმა ალექსანდრე ხახანაშვილმა.“

ჯ. ინჯია ჯავის ხეობისადმი მიძღვნილ არაერთ ლექსში „გვახსენებს სამაჩაბლოს ზემო ნაწილის დიდებულ წარსულს, ქართულ ტოპონიმებს, ცნობილი პროზაიკოსის ია ეკალაძის სასულიერო მოღვაწეობას, იმ ფაქტს, რომ სოფელ თლიაში დაიბადა მგზნებარე ლადო კეცხოველი, ოსი რევოლუციონერების მეგობარი, როკიდან მართა ფლიევას მიერ გადმოფრქვეული მზის სადარ სხივებს, დიდი მეცნიერის იოსებ მეგრელიძის

დღეღამურ შეხვედრებსა და დაკვირვებებს მის უნიკალურ წიგნში „სიძველეები ლიახვის ხეობაში.“

ნუთუ ყველაფერი დაიკარგა? არა და არა! რამეთუ დიდ დაღმართს დიდი აღმართი მოსდევს! - დასძენს თავის საგაზეთო წერილში ჯემალ ინჯიას მეხოტბე, პროფ. ავთანდილ ცოტნიაშვილი. იქვე მიუთითებს, რომ საქართველოს თვალწარმტაც სამაჩაბლოში თავბრუდამხვევი ამბები ტრიალებს, მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს, გორელი პოეტის ღრმა რწმენით: „ქართველი მაინც არ გათათრდება... იმედს გვაძლევს ისიც, რომ ისევ ღაღანებს მწვანედ ქიწნისი, ტყემლები ისევ უყვავის ტყვიავს, კეხვის მინდვრებში ბალბა მოსულა.“

სამაჩაბლოს სასურველ სტუმარს, ცხინვალის ლიტერატურული ცხოვრების აქტიურ მონაწილეს, დევნილთა გულშემატკივარს, ჭარმაგ ჯემალ ინჯიას, გორში გამართულ საიუბილეო სხდომაზე, მისი ნიჭიერების თაყვანისმცემლებთან ერთად, მიესალმა ცხინვალელი პროფესორი ზაზა ცოტნიაშვილი: - იგი იმ რანგის მოღვაწეთა შორისაა, რომელთაც არ გაიზიარეს საქართველოში დამკვიდრებული ავთვისებიანი ტენდენცია - ქართული ინტელიგენციის დედაქალაქისკენ გადენისა და იტვირთა ქართლის გულში მწერალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, რათა სწორედ აქ მომხდარიყო ქართული კულტურის, კერძოდ კი ლიტერატურის სათანადოდ განვითარება, რაც, ვფიქრობთ, საგრძნობია საზოგადოებისათვის.

არც ისაა ლიტონი სიტყვები, რომ ჯემალ ინჯია ლირიკოსი მკითხველისთვის საყვარელი მოვლენაა. იგი, „შინაგან განცდათა გადმოცემის ოსტატი ფართო მკითხველამდე ადამიანურ იდუმალებათა მიტანის ხელოვანია... ლექსში „ფადეევი - ბარათაშვილს“ რუსული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელი ესაუბრება ქართველი კლასიკოსის სულს და ამ კავშირის საწინდარი პოეტური ხელოვნების მწვერვალებთან ზიარება გამხდარა. ლექსს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს შტაინერის ციტატა, რომელშიც მოთხრობილია, თუ როგორი

გატაცებით წარმოთქვამდა ხშირად ა. ფადეევი ნ. ბარათაშვილის „ცისა ფერს" - პასტერნაკისეულ თარგმანს."

როგორც „შიდა ქართლი" იუწყებოდა, შემოდგომის მიწურულს (1999 წ.), გორელ შემოქმედთა რიგებს გამოაკლდა თენგიზ კობერიძე. მოულოდნელად წაიქცა ბერმუხასავით მედგარი, სამაჩაბლოს ტრაგედიით გულდამძიმებული ფრონეს-პირელი პოეტი.

განერიდა სააქაოს კაცი - მართალი და დაგვიტოვა სევდა, ტკივილი... ჯერ კიდევ გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე, ალბათ გრძნობდა მოახლოებულ აღსასრულს, როდესაც ახალი პოეტური კრებულის შესავალში წერდა: „წიგნის სათაურში გამოტანილი სიტყვა „ტკივილები" ნუ შეგაკრთობს, ჩემო მკითხველო, რადგან ტკივილების გარეშე არც სიძულვილი და არც სიყვარული არ არსებობს. პირიქით, ზოგჯერ იგი სამკურნალო მალამოსავით ესალბუნება გულსა და სულს.

მე მხოლოდ იმაზე ვწუხვარ, რომ ამ უბედურ ქვეყანაში გული არ დაგვეცალოს, თუნდაც ტკივილიანი სიყვარულისაგან, თორემ სული დაგვრჩება მარად დაცლილი..."

თენგიზ კობერიძე ფრონეს ხეობის ფერდობზე შეფენილ ერთერთ კოპწია (ამჟამად ოკუპირებული) სოფელ ხუნდისუბანში დაიბადა 1930 წლის 30 მაისს. დაბა ზნაურის საშუალო სკოლაში ეზიარა ქართული პოეზიის მირონცხებულ მადლს, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში.

უმაღლესი სასწავლებლის ფილოლოგიის ფაკულტეტის დასრულებისთანავე, შეუდგა პედაგოგიურ საქმიანობას. სხვადასხვა დროს მასწავლებლობდა შიდა ქართლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

აღსანიშნავია, რომ ბოლო სამი ათეული წელი გორიდან დადიოდა და კასპის №2 საშუალო სკოლაში ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას, საიდანაც კასპელმა კოლეგებმა 1997 წელს დამსახურებულ პენსიაზე გააცილეს.

ლექსების წერა ბავშვობიდან დაიწყო. მისი ქარაგმული ენით შეზავებულ სტრიქონებს მკითხველი ეცნობოდა პრესისა და ლიტერატურული პერიოდიკის ფურცლებიდან. პირველი ლექსი 1949 წელს გამოაქვეყნა ცხინვალის ქართულენოვან საოლქო გაზეთში. მას შემდეგ, სისტემატურად იბეჭდებოდა მისი ნაწარმოებები ადგილობრივი გაზეთების - „სტალინელის," „გორის," „გორელი ფეიქარის," ალმანახ „ლიახვის" ფურცლებზე. 1976 წლიდან - რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში: „ლიტერატურული საქართველო," „ახალგაზრდა კომუნისტი," „სოფლის ცხოვრება," „სახალხო განათლება," „მნათობი," „ცისკარი," „განთიადი," „დროშა," „ნიანგი" და სხვა.

საქართველოს მგოსნის - აკაკი წერეთლის 150 წლისთავთან დაკავშირებით, მწერალთა კავშირის გორის განყოფილების მიერ გამოცხადებულ კონკურსში თენგიზ კობერიძის ლექსების ციკლმა „მეგობრობა," პრემია დაიმსახურა.

1990 წელს გამომცემლობა „მერანმა" დასტამბა მისი ლექსების კრებული „სიამის ცრემლები," რომელიც მკითხველმა გულთბილად მიიღო.

სამწუხაროდ, ამა ქვეყნიდან წასულ პოეტს ლექსების ორი კრებული დარჩა დასაბეჭდად გამზადებული.

სიცოცხლის დასალიერზე, ფრონესპირელი მამულიშვილი შეუპოვრად დასძენდა, - სხვისი რა გითხრათ და მე კი ჩემი ფილოსოფია მაქვს: განუკურნებელ სენსა და ჭირთა ხდას ტკივილით ვკურნავ. ტკივილი ის განცდაა ჩემში, რაც მაგრძნობინებს:

„ცოცხალი ვარ, დიახ, ცოცხალი!
სიცოცხლეს მე ტკივილებით ვგრძნობ...
მაშ, ამტკივდით, ყველა ტკივილო,
რომ არ დაყრუვდეს ჩემი სხეული
და მკვდარს არ დაემსგავსოს...
მაშ, იშრიალეთ, იბობოქრეთ ჩემო კარგებო!.."

დრო-ჟამის შესაფერად, წუთისოფელს ვსტუმრობთ, „ვშრიალებთ, ვბობოქრობთ," მაგრამ ჩვენში კვლავ არ ნელდება მოძალებული ტკივილი, საქართველოს ჯერაც მოუშუშებელი იარა, რასაც სამზეოდან წასული პოეტის - თენგიზ კობერიძის სევდიანი გახსენებაც ერწყმის.

ჟურნალისტისა და პუბლიცისტის ვასილ საბანაძის წიგნში „ცხინვალი და ცხინვალელები," სხვა საინტერესო მასალებთან ერთად, შესულია „მერაბ ელიოზიშვილი - ორიგინალური მწერალი." იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „თავისი ორიგინალური შემოქმედებით, ფართო მკითხველი შეიძინა ცხინვალის მკვიდრმა მწერალმა და დრამატურგმა მერაბ ელიოზიშვილმა. ჯერ კიდევ ცხინვალის №1 ქართულ საშუალო სკოლაში სწავლისას გატაცებული იყო ნოველების წერით. მახსოვს, თეატრალურ მოედანზე, ი. სტალინის ძეგლის წინ, როგორ შემოგვიკრებდა ხოლმე ბიჭებს და გვიკითხავდა თავის ნაწერებს."

ამ გახსენებით შთაგონებული, გორში დევნილი ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ნინო კახნიაშვილი „შიდა ქართლის" ფურცლებიდან მოკლედ მიმოიხილავს მამა-შვილობის პრობლემას მერაბ ელიოზიშვილის მოთხრობის „სინოს წითელი ხარების" მიხედვით. ამ პატარა მოთხრობაში ლიახვისპირელი შემოქმედი, უშუალობითა და ადამიანური სითბოთი, მწერლისთვის დამახასიათებელი ოსტატობით აღწერს მოხუცი გლეხკაცის ფიქრებსა და განცდებს. „ნაწარმოებში ორი შემოქმედი პერსონაჟი ჩანს - სინო და მისი მეუღლე ნანა. მოქმედება გაუვალ ტყეში თოვლითა და ყინვით გაყრუებულ საურმე გზაზე ხდება. მეურმე, წითელი ხარების განუყრელი მეგობარი სინო „ჰოი ნანას" სიმღერით მიუყვება მოლიპულ გზას, დიდი ჩექმებით მიიკვლევს გზას მუხლამდე თოვლში და ცდილობს დროდადრო შეძახილებით გაამხნევოს, გამოაფხიზლოს ავადმყოფობისაგან გადაღლილი, ქანცგაწყვეტილი მეუღლე."

მოთხრობის დასასრულს, დაძაბულობა აპოგეას აღწევს, როდესაც შლაგბაუმით ჩაკეტილ გზაზე ჩერდება სინოს მარხილი. ნანამ იცის მოსალოდნელი შეხვედრის უცნაური დასასრული, შვილთან დაბრუნების არასასიამოვნო სურათის სიმძიმე და თავს ნებას აძლევს „ჩაიძინოს," რაშიც მუქარაც ურევია. იქვე, მკითხველისთვის უცნობი ახალი პერსონაჟი ერთობ ნაცნობი ხდება ორი ფრაზით: „ისევ ისეთი ჯიუტი ხარ, ბერიკაცო," „შენც ისევ ისეთი ჯიუტი ხარ, ვის ემგვანები," - ამით ხვდება მკითხველი, რომ მოსაუბრეები - ინსპექტორი და დაცილებული გლეხი, მამა-შვილი სინო და მისი ზურგშექცეული შვილია, დედის სათნო გული ვერ უძლებს ამ გაყინულ სურათს, მაგრამ იძულებულია „ისევ ეძინოს."

ასე რომ, ავტორმა ქალაქამდე ჩაიყვანა ეს ჯიუტი, ქვისგული კაცი და მისი ბედი სამყაროს მიანდო. ამასთან, ბუნდოვანია, ამოიცნო, „ვის მხარეზეა ავტორი - სინოა მისი დადებითი პერსონაჟი თუ მისი ვაჟი. ერთი კი ცხადია, იგი მთელი სიგრძე-სიგანით ჩასწვდა მოხუცის ფიქრს და ამით შეძლო ლიტერატურისათვის კიდევ ერთი ლამაზი, თავისებური და უთქმელი კაცის სახე მიემატებინა."

ცნობილი ქართველი მწერალი და პუბლიცისტი ვლადიმერ ალფენიძე დიდ პატივს სცემდა ოს ხალხს და მათ ისტორიას, მწერლობას. ეს ყოველივე, მისი შემოქმედებიდანაც გამოსჭვივის:

„ოსს და ქართველს ძმობის მირონი
ამკობს ვით ძაუს სული ნართული.
.....
დარიალის კლდეს სოსლანის ფარი
შვენის ვით სიონს თამარის ჯვარი,
ვით ოქროს რითმა რუსთველის პწკარებს."

და ეს მაშინ, როცა ქართულ-ოსური კონფლიქტის მძიმე დღეებში, ცხინვალში გამომავალმა რუსულენოვანმა გაზეთმა „იუჟნაია ოსეტიამ" გამოაქვეყნა მარად უკვდავი „ვეფხისტყაოსნის" შეურაცხმყოფელი ვინმე პავლე ქოქოევის

სტატიები. სამწუხაროდ, თვითმარქვია ავტორს არ წაუკითხავს ნიჭიერ ოსთა შრომები. იგი უნდა გაეცნოს მწერლისა და მეცნიერის ნაფი ჯუსოითის ნააზრევს: „სანამ კაცობრიობა აფასებს ერთგულ მეგობრობას, ამაღლებულ სიყვარულსა და ჭეშმარიტ გმირობას, ისწრაფვის დიად ოჯახად გაერთიანებისაკენ, სიკეთისა და ბედნიერებისაკენ, მამაცურად სძლევს რა ბოროტებასა და უბედურებას, სანამ კაცობრიობას შეეძლება პოეტური სიტყვის დაფასება, მანამ რუსთაველი განუყრელად მასთან იქნება.“

ოსმა პოეტმა გიორგი ბესთაუთიმ როცა შესანიშნავად თარგმნა რუსთაველის პოემა, „ნაფიმ ამ დიდ მოვლენას სიყვარულით აღსავსე წერილი უძღვნა სათაურით „ფასდაუდებელი საჩუქარი,“ სადაც იგი ეხება პოემის ოსურად გამოცემის მნიშვნელობას, მისი თარგმნის ისტორიას, გ. ბესთაუთის ნატიფ ლიტერატურულ გემოვნებას, სიყვარულსა და ცოდნას ოსური და ქართული ენებისა.

უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ ესოდენ პოეტურ თარგმანს იგი არა მარტო გ. ბესთაუთს, არამედ მთელი ოსური პოეტური კულტურის გამარჯვებად თვლის.“

„შემოქმედის გამარჯვება, აღიარება“ - ამ წერილით გამოეხმაურა ნაფი ჯუსოითი, როცა გიორგი ბესთაუთის ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია მიენიჭა. რაც შეეხება, პავლე ქოქოევის „აღმოჩენას,“ იგი განადგურებულია ოსი პოეტის თემბოლათ ბალაევის ლექსში „შოთა რუსთაველი“ (თარგმნა ოთარ კუპრავამ), სადაც ვკითხულობთ:

„ო, შოთავ ხალხში გაგიდგამს ფესვი,
მისთვის გაუძელ წელთა ქარწვიმებს,
შენ ვეფხისტყავში ჩაცმული ლექსი
საუკუნეებს გადმოაწვდინე...“

ოს პოეტს სურს მისი საკუთარი მემკვიდრეც რუსთაველის იდეებით აღიზარდოს. ამიტომ იგი ასეთი გულწრფელი სტრიქონებით მიმართავს შვილს:

„ – შვილო აკვანში რომ წევხარ ახლა,
იწამე შოთას სიტყვა, ადათი!..
საქართველოში ყოველთვის ნახავ
ნესტანს,
ტარიელს,
ფრიდონს,
ავთანდილს...“

„შიდა ქართლის“ რედაქცია მიესალმება გაზეთ „გორის მოამბის“ რედაქციის ხელმძღვანელობას, რომ პერიოდულად სპეციალურ გვერდებს უთმობს ოს მწერლებს. მათ შორის, ფართო ადგილი დაუთმო გიორგი ბესთაუთის შემოქმედებას. წამყვან წერილად დაბეჭდილია ჩერმენ დუდაითის მასალა. „ჩერმენ დუდაითი გორის მკვიდრი მცხოვრებია, რომელიც ნაყოფიერ, უანგარო საქმიანობას ეწევა, რომ დააჩქაროს ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარება.“

„გორის მოამბეში“ გამოქვეყნებულ წერილში ჩერმენ დუდაითი აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის დამთავრებისას, გიორგიმ თავის ერთგულ მეგობარს ჯანსუღ ჩარკვიანს მისწერა: „ჩემო მეგობარო, გავკადნიერდი და ჩემს საყვარელ ოს ხალხს ხელმეორედ ვუთარგმნე შოთას უკვდავი პოემა. დიდ სიამოვნებას დიდი დაღლა სცოდნია.“

ბევრს დღემდე ვერ გაუთავისებია, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტი მარტო ქართველებსა და ოსებს შორის როდი იყო. ოს სეპარატისტებს მხარს უმაგრებდა ე.წ. „მესამე ძალა“ და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ადგილებიდან ცხინვალის რეგიონში ჩამოსული აგრესიული ძალები. „ვინაობადაკარგული სეპარატისტების მიერ დაბნეულნი ბურუსიდან გამოდიან, მაგრამ ზოგიერთი ცნობილი პიროვნება წყალს მაინც ამღვრევს. ამის მაგალითია ლექსის „საქართველოს ცის ქვეშ ვმღერი“ ავტორის, ჩვენს სამშობლოში საკმაოდ პატივდებული პოეტის რევაზ ასაევის პუბლიკაცია („იუჟნაია ოსეტია,“ 19.03.1997 წ.), სადაც ავტორი

ბრალს სდებს ქართველებს სამაჩაბლოში მცხოვრები ოსების გენოციდში.“

თუ როგორი „გენოციდი“ მოუწყო საქართველომ ოსებს, ამის დასტურად ცხინვალელ ლიტერატურათმცოდნეს, ოს-ქართველთა ძმობისა და მეგობრობის დაუღალავ მომღერალს ავთანდილ ცოტნიაშვილს „შიდა ქართლის“ საგაზეთო პუბლიკაციაში ვრცელი ამონარიდი მოაქვს საამაყო ოსი მწერლისა და მეცნიერის ნაფი ჯუსოითის მოგონებიდან: „თბილისში მიმდინარეობდა ამიერკავკასიის ლიტერატურათმცოდნეთა კონფერენცია. გიორგი ლეონიძე ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ცენტრს - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა. ცხადია, კონფერენცია მისი უშუალო მეთვალყურეობით ტარდებოდა. ფორუმის მონაწილეთ არ აკლდა პოეტის მზრუნველი ხელი. კონფერენცია რომ დამთავრდა, მეგობრულ სუფრასთან მასპინძელმა და თამადამ გიორგი ლეონიძემ კონფერენციის თითოეულ მონაწილეს მისცა გამოსულიყო არა როგორც მომხსენებელი, არამედ ეთქვა ლირიკული სამადლობელი მასპინძლებისადმი. ასეთი ლირიკული სამადლობელი საოცრად ესადაგებოდა გულღია განწყობილებას, რაც შეგვიქმნა სტუმართმოყვარე მასპინძელმა, ოქროპირმა და გონებამახვილმა კაცმა.

მოხდა ისე, რომ თითოეული ლაპარაკობდა არა მარტო ქართულ კულტურასა და ისტორიაზე, არამედ საკუთარ ხალხზეც, მის დამსახურებაზე საკაცობრიო კულტურის წინაშე და როდესაც ჩემი ჯერი დადგა, უნებურად წამომცდა:

- სამწუხაროდ, აქ ჩემზე ადრე გამოსულებივით ვერ დავიკვეხნი ვეკუთვნოდე იმ ხალხს, ვისაც დიდი დამსახურება მიუძღვის მსოფლიო კულტურის წინაშე...

- არ არის სწორი, - შეუვალი კილოთი შემაწყვეტინა პოეტმა, წამოდგა და თავად დაიწყო ლაპარაკი, - ჩვენი ახალგაზრდა მეგობარი არ არის მართალი. კარგად ვიცნობ ოსებს და გარწ-

მუნებთ, რომ ეს არ არის სწორი. მე ვრედაქტორობდი ოსური ნართული ეპოსის ქართულ თარგმანს და მიმაჩნია, რომ ასეთი ეპოსის მშობელ ხალხს შეუძლია თავი მაღლა ეჭიროს. ეს ეპოსი დიდი წვლილია მსოფლიო მხატვრულ კულტურაში...“

XX საუკუნის დასასრულს რუსული იმპერიის მიერ თავსმოხვეულმა ქართულ-ოსურმა კონფლიქტმა დიდი უბედურება დაატეხა თავს და მწარე შედეგები მოუტანა როგორც ქართველ, ასევე ოს ხალხს. ახლო წარსულში ბაკურიანშიც ურთიერთგაგებით ცხოვრობდნენ ქართველები და ოსები. დაბა ბაკურიანს დიდხანს ედგა სათავეში პლატონ ჯანგობეგოვი. მერე „აირია მონასტერი“ და იქაც, ოს-ქართველთა შორის განუკითხაობამ იმძლავრა. ამის გამო, პლატონის ერთ-ერთი ვაჟი, პროფესიით ექიმი რუსლანი იძულებული გახდა ბაკურიანიდან ჯერ ბორჯომში, შემდეგ კი გორში წასულიყო საცხოვრებლად. იმ ხანებში თბილისში მოიძია არქივებიდან თავისი ნამდვილი გვარი - ჯანიძე. ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულს მაინც ავიწროებდნენ და შორეულ პოლონეთში გადაიხვეწა. უცხოეთში დააფასეს კვალიფიციური ექიმი. მალე სახელიც გაითქვა ხელმადლიანმა დასტაქარმა, „მაგრამ საქართველოზე ფიქრი დღენიადაგ არ ასვენებდა... იგი, ჯერ კიდევ გორში ყოფნისას, თანამშრომლობდა ჩვენს გაზეთთან, საკუთარ ლექსებსაც გვთავაზობდა, რომლებსაც სიამოვნებით ვბეჭდავდით. პოლონეთიდანაც არ გვაკლებდა მოკითხვებს. ლექსიც გამოგვიგზავნა - „სამშობლოს მათხოვარი,“ რომელსაც აქვე ვბეჭდავთ:“

„ყოველ სიზმარში, შორეულ შუქში
მომელანდები და ისევ ქრები,
ამ ცრემლიან დღეთა ქარბუქში
ჩემს გულს ლოდებად ეყრება ქვები.

.....

იქნებ გიპოვო, სამშობლოვ ჩემო,
უცხო სალოცავთ ფუჭად ველოდე...

წმინდა მარიამ, წმინდა გიორგი,
გ ზა დამილოცეთ საქართველომდე!
ვის არ აქვს ღმერთთან ხვეწნა-მუდარა,
ოგს ჯანი, ღონე აქვს სათხოვარი,
ყველა ზე დიდი ამ ქვეყანა ზე
სამშობლო-მიწის ვარ მათხოვარი!"

ცხინვალის რეგიონის ავბედითი მოვლენების ფონზე, ადგილზე დარჩენილმა არაერთმა შერეულმა ოჯახმა გასაოცარი გამძლეობა-მოთმინებით გადაიტანა კონფლიქტის საშინელი დღეები. მათ შორის იყო მწერალი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი და მთარგმნელი, ოსების - კაბულოვების ღირსეული რძალი ელენე ბაშარული. ცხინვალში დარჩენილ 70 წლის თანამოკალმეს „შიდა ქართლელებმა" გორში დევნილი გაზეთიდან მიულოცეს საიუბილეო თარიღი: „ქალბატონო ელენე, ათეული წლები თავჩაღუნული წერთ მოთხრობებს, ნოველებს, ნარკვევებს, რომლებშიც ასახულია სამშობლოსადმი სიყვარული, ხალხთა შორის მეგობრობა, მშვიდობა, ძმობა. მრავალი წელი ნაყოფიერად მუშაობთ მთარგმნელობით სფეროში. თქვენ თარგმნეთ და გამოეცით გამოჩენილი ოსი მწერლების პროზაული ნაწარმოებები. დიდხანს მუშაობდით საოლქო გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" კულტურის განყოფილების გამგედ. თქვენი რედაქტორობით გამოიცა მრავალი ოსი მწერლის წიგნი...

ჩვენი დიდი სურვილია, მალე მოგვარდეს კონფლიქტი და მშვიდ ვითარებაში, საზეიმოდ აღვნიშნოთ თქვენი დაბადების შვიდიათეული წლისთავი..."

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1990 წლის პირველ ნახევარში ჩატარდა აზერბაიჯანელი, სომეხი, ქართველი და ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხის შეხვედრა-სემინარი. ამ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე მიიღეს გადაწყვეტილება კავკასიელ ერთა კონგრესის მოწყობის შესახებ, „მაგრამ ეს იდეა დღეს არ დაბადებულა. მასზე ფიქრობდნენ, ბჭობდნენ ჩვენი ბრძენი მოღვაწენი. აქ პირველ

რიგში პატივი უნდა მივაგოთ იოსებ გრიშაშვილს, როგორც კავკასიის ხალხთა მეგობრობის უბადლო მომღერალს... ი. გრიშაშვილის გულთბილი დამოკიდებულება მეზობელი ხალხებისადმი გამომზეურდა მის გამოკვლევებშიც: „სომხურ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობებიდან," „გაბრიელ სუნდუკიანცი და ქართველი საზოგადოებრიობა," „მირზა ფათალი ახუნდოვი," „საიათნოვა..." აგრეთვე თარგმანებში."

გამოჩენილი სომეხი პოეტი ოვანეს თუმანიანი შემთხვევით როდი წერდა, რომ ქართველები კავკასიაში იყვნენ მუდამ პირველები თავიანთ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ბრძოლაში. თუ თვალს გადავავლებთ მსოფლიოს მეზობელ ხალხთა ურთიერთობებს, აუცილებლად დამეთანხმებით, რომ ქართველები, როგორც მეზობლები, ერთ-ერთი საუკეთესონი არიან.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა კავკასიის ხალხთა შეხვედრა-სემინარი. ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენელი აივარ აიდაროვი, რომელმაც ხმამაღლა განაცხადა: „უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საერთო კავკასიური სახლის მოდელი დავიბრუნოთ, რადგან ის შორეულ წარსულში არსებობდა. სხვანაირად გამარჯვებული ვერავინ დარჩება."

ცალკე აღნიშვნის თემაა გურამ ფანჯიკიძის ცხინვალის პრობლემებით სიღრმისეულად დაინტერესების ფაქტი, რაც აისახა მის პუბლიცისტურ წერილებში. მოგვიანებით გამოიცა ერთ წიგნად სათაურით „სიმართლე, მხოლოდ სიმართლე." ნაწარმოებში, „ერის მტკივნეულ პრობლემაზე ფიქრისას, მწერალი ცდილობს მისთვის ჩვეული ლოგიკა ისტორიულ სიმართლეზე ააგოს და ამით ხელი შეუწყოს ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობის მოწესრიგებას. გ. ფანჯიკიძის ნააზრევი წლების შემდგომაც არ დაკარგავს ღირებულებას და თავისი ხალხის უკეთესი მომავლისათვის იზრუნებს."

დევნილი გაზეთი მწუხარებით გვაუწყებს, რომ 60-იანელთა რიგებს მოულოდნელად გამოაკლდა XX საუკუნის ქართუ-

ლი მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელი, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, შოთა რუსთაველის, სახელმწიფო და მემედ აბაშიძის პრემიების ლაურეატი, ვახტანგ გორგასლის ორდენის კავალერი გურამ ფანჯიკიძე. ფასდაუდებელია მისი შემოქმედებითი ღვაწლი. მადლიერმა მკითხველმა სამზეოზე გამოსვლისთანავე შეიყვარა მწერლის რომანები: „მეშვიდე ცა," „თვალი პატიოსანი," „აქტიური მზის წელიწადი," „სპირალი," „ეშმაკის ბორბალი."

გაზეთი აქტიურად ეხმიანება ქართველთა და ებრაელთა ურთიერთობის 2600 წლისთავს. „შიდა ქართლი" სიამოვნებით აუწყებს მკითხველს, რომ 1997 წელს ქართულმა საზოგადოებამ ღირსეულად დააფასა, ამჟამად ისრაელში მცხოვრები ცხინვალელი მწერლების აბრამ მამისთვალოვისა (დაბადებიდან 75 წლისთავთან დაკავშირებით) და მისი დის - თამარ მამისთვალოვი-კეზერაშვილის (დაბადებიდან 65 წლისთავთან დაკავშირებით) შემოქმედებითი ღვაწლი - მათ ივანე მაჩაბლის პრემია მიენიჭათ.

მშვიდობის, შერიგების, თანხმობის გზით! - აი, გორში დევნილ რეგიონულ გაზეთ „შიდა ქართლის" პირველი და შეუცვლელი სამკაული; აი, ქედუხრელ „შიდა ქართლელთა" ყოველდღიური მოქმედების ძირითადი ორიენტირი.

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



თავი III

მწერალთა გაზეთი «ლიტერატურული ცხინვალი»

დევნილობაში დაარსდა შიდა ქართლის კონფლიქტის ზონის ისტორიაში ერთ-ერთი პირველი ლიტერატურული გაზეთი. დღიდან დაარსებისა (1996, VI), ცხინვალის რეგიონის მწერალთა ყოველთვიური გაზეთი „ლიტერატურული ცხინვალი" მოწოდებულია გააერთიანოს დიდი, პატარა ლიახვის, ფრონესა და ქსნის ხეობების დაქსაქსული შემოქმედებითი ძალები, თავისი მართალი სიტყვა თქვას ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანად მოწესრიგებასა და რთული დღევანდელობის უტყუარი მატიანის შექმნაში.

გაზეთს მარტო ლიტერატურული მისია როდი აკისრია, იგი ინიციატორია სახალხო დიპლომატიისა, ქართველებსა და ოსებს შორის ჩატეხილი ხიდის გამთლიანებისა. რედაქცია მარტო რეგიონული პრინციპით კი არ მოქმედებს, არამედ ერთიანი საქართველოს ინტერესების ხელისშემწყობიცაა.

ცხინვალში ოსური ინტელიგენცია თუ რატომ შეხვდა აგრესიულად ქართლის მეთაურ ქალაქში, 1995 წლის მიწურულს, საქართველოს მწერალთა კავშირის ცხინვალის რეგიონის განყოფილების, შემდგომ კი ცხინვალის რეგიონის მწერალთა გაზეთ „ლიტერატურული ცხინვალის" დაფუძნებას, ამის მიზეზი მართებულადაა ახსნილი დევნილ ლიტერატურულ გაზეთში.

გორში გამომავალი „ლიტერატურული ცხინვალის“ ფურცლებზე თვალნათლივ შეიგრძნობა დიდი ილიას შთაგონება: „ჟურნალ-გაზეთები არის სარკე საზოგადოების რთული ცხოვრებისა, მისი გონიერების, ზნეობითის მოძრაობისა. მასში სჩანს და ისახება ყოველდღიურობის აზრის მიდენ-მოდენა.“

როგორც დევნილი ლიტერატურული გაზეთის პირველი ნომრის პირველ გვერდზე რედაქტორის სვეტში ვკითხულობთ, ძნელბედობამ კვლავ თავი შეახსენა საქართველოს, მწუხრის ზეწარი გადააფარა მრავალტანჯულ ქვეყანას - მთელი სისასტიკით ამოქმედდა აგრესიული სეპარატიზმი შიდა ქართლსა თუ აფხაზეთში. ამას კი, ტრაგედიით დათრგუნული ქართველობის თავისივე სამკვიდროში დევნილობა მოჰყვა.

რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამო, დიდი და პატარა ლიახვის, ფრონეს, შემდეგ, ქსნის ხეობებში კარგა ხანია შეფერხდა ქართული სალიტერატურო ცხოვრება. სწორედ რომ ჩვენი რესპუბლიკისა და მის ფარგლებს გარეთ გაფანტული შემოქმედებითი ინტელიგენციის შემაკავშირებლად მოგვევლინა საქართველოს მწერალთა კავშირის ცხინვალის რეგიონული განყოფილება, რომელიც დევნილობაში ამოქმედდა.

მიუხედავად საბაზრო ეკონომიკის თანხვედრი სიდუხჭირისა, უკანასკნელ ხანებში გაზეთების რიცხვმა შესამჩნევად იმატა, მათმა რაოდენობამ რესპუბლიკაში სამასს გადააჭარბა. ჟურნალ-გაზეთების ბუმს „ლიტერატურული ცხინვალიც“ შეემატა, რომელმაც საქართველოს რესპუბლიკის პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა კანონის დამოუკიდებლობის პრინციპებით გზა უნდა გაიკვალოს მკითხველამდე. ვიცით, ეს გზა იოლი არ იქნება, ბრძოლას არსებობისთვის, ყოველდღიური ლუკმა-პურის შოვნის პრობლემებისადმი ფიქრს თავი რომ დავანებოთ (ან კი როგორ?!), ურთულეს ჟურნალისტურ ძიებასთან ერთად, საკუთარი ძალებით მოგვიწევს ზრუნვა საბეჭდი ქაღალდის შესაძენად, რომელიც სანთლით საძებნია და მამასისხლად ფასობს. არანაკლებია გაზეთის გა-

მოშვების სხვადასხვა პოლიგრაფიული ხარჯები, რომელიც სულ უფრო და უფრო იზრდება.

რას ვიზამთ? კაცი იმედით ცოცხლობს. ღმერთმა ნუ მოგვიშალოს იმ მამულიშვილთა ძალა და შემწეობა, რომლებმაც შეჭირვების ჟამს ჩვენი საფიქრალ-სატკივარი გაითავისეს და პირველი დახმარების ხელი გამოგვიწოდეს. გვჯერა სპონსორთა რიცხვი მოგვემატება. ქველმოქმედთა სიკეთე თავისას გაიტანს, რათა კონფლიქტის ზონის ლიტერატურულმა გაზეთმა სიმართლის, მშვიდობის მაცნედ „იფრინოს და იღუღუნოს," მკითხველის გულს მომავლის იმედად მოესალბუნოს და მასში ჰპოვოს მტკიცე ნავსაყუდელი.

და, ჰა, წლის უმშვენიერეს დროს, ივნისის თვეში, იმედად თქვენდა, ჩვენო მკითხველო, დღის სინათლე იხილა „ლიტერატურულმა ცხინვალმა." ამ გაძეძავებული ცხოვრების ფონზე რას გპირდებით, „რა გითხრათ, რით გაგახაროთ," ჩვენო თანამემამულენო! უპირველესად მეტი მოთმენა, „ჭირსა შიგან გამაგრება" გვმართებს. გვწამდეს ნათელი მერმისისა - „აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია!"

წინ ფართო ასპარეზია. გაზეთის თქვენამდე მოსაღწევად არაერთი ბარიერის გადალახვა მოგვიწევს, მაგრამ, ერთი რეალურია, რომ გამოცდილ, კონფლიქტის ქარ-ცეცხლში ნაწრთობ ჟურნალისტებს უკან დახევა არ გვჩვევია. წამოჭრილი სიძნელეების წინაშე ნირს არც არასდროს შევიცვლით.

გვაქვს პრობლემები, მაგრამ გაზეთმა უნდა იარსებოს, ქარიშხალს გაუძლოს, რათა დავიწყების ჩრდილი არ მიადგეს ცხინვალის რეგიონს - საქართველოს თვალწარმტაც კუთხეს, შიდა ქართლის განუყოფელ ნაწილს; ამ მადლიან და დალოცვილ მხარეში დაბადებულ, ნამოღვაწარი ერისშვილების ხსოვნას.

წარსული თუ თანამედროვე ლიტერატურული მაჯისცემის წარმოსახვასთან ერთად, ახლად ფეხადგმულმა გაზეთმა თავისი შემოქმედებითი წვლილი უნდა შეიტანოს რეგიონის მოუ-

შუშებელი ჭრილობის - ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებაში.

კარგად გვესმის, თუ რა სიმძიმე ვიტვირთეთ, მაგრამ „საჯილდაო ქვა“ რაკი წამოვიკიდეთ, ბოლომდეც მივიტანთ, - ასეთ ოპტიმისტურ ნოტაზე მიმართავს და აიმედებს მთავარი რედაქტორი ახლად დაარსებული გაზეთის მკითხველს.

„ცხინვალელ მწერლებს თავიანთი გაზეთი აქვთ,“ - ამ წერილით, ოპერატიულად ეხმიანება გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ (1996, №144) დევნილი ბეჭდვური მედიის გამომზეურებას: „საქართველოს მწერალთა კავშირის ცხინვალის რეგიონული განყოფილება სულ ორიოდე თვის წინ შეიქმნა, დღეს კი რეგიონის მწერლებსა და ლიტერატორებს თავიანთი გაზეთი აქვთ - „ლიტერატურული ცხინვალი.“ ამ დღეებში გამოვიდა მისი პირველი ნომერი. გაზეთის მთავარი რედაქტორია ცხინვალელი მწერალი და ჟურნალისტი რობერტ ოდიკაძე.

გაზეთში დაბეჭდილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის გურამ ფანჯიკიძის, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის ვალერი ვაშაკიძის, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარის აკაკი სიხარულიძისა და სხვათა მისალმება. გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლის გამო, წერილები ლიახვის ხეობიდან და სხვა.

„ლიტერატურული ცხინვალის“ გამოსვლას ასევე გამოეხმაურა გაზეთი „ბურჯი ეროვნებისა“ (1997, №2): „1995 წლის მიწურულს ქალაქ გორში ამოქმედდა ცხინვალის რეგიონის მწერალთა ორგანიზაცია, რომელიც ცდილობს შიდა ქართლის და მის ფარგლებს გარეთ გახიზნულ-გაფანტული მწერლების, პოეტების, შემოქმედებითი ადამიანების შემოკრებას. გასული წლის ივნისიდან გამოდის ცხინვალის რეგიონის მწერალთა ყოველთვიური გაზეთი „ლიტერატურული ცხინვალი.“ ამჟამად გამოვიდა მისი მერვე ნომერი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დღეს-

დღეობით უამრავი ჟურნალ-გაზეთი არსებობს და მათი რიცხვი სულ უფრო იზრდება, „ლიტერატურული ცხინვალის“ გამოსვლა არ შეიძლება სასიხარულო ფაქტად არ მივიჩნიოთ. ვუსურვებთ გაზეთის რედაქციას შეესრულებინოს მის მიერ დასახული მიზანი: შეძლოს შიდა ქართლში დარჩენილი და იქიდან გამოსული ხალხის ტკივილისა და საზრუნავის გამოხატვა.“

გვილოცავენ - ამ რუბრიკით, გორში ნაშობ ცხინვალის რეგიონის ლიტერატურულ გაზეთს, პირველი ნომრის პირველივე გვერდზე ეხმიანებიან:

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ აფხაზეთისა ილია მეორე. უწმინდესმა და უნეტარესმა გულითადად დალოცა „ლიტერატურული ცხინვალის“ გამომცემელნი და მკითხველნი:



ჩვენო ძვირფასო თანამემამულენო,
მკვიდრნო სამაჩაბლოისანო!
გულითადად გილოცავთ და სიყვარულით მოგესალმებით.

თქვენ ხართ განუყოფელი ნაწილი სრულიად საქართველოისა, დიდია თქვენი წინაპრებისა და თქვენი დამსახურება ქართველი ერის ერთიანობისათვის ბრძოლაში.

ღმერთმა მოგანიჭოთ მშვიდობა, კეთილდღეობა და ყოველ კეთილ საქმესა შინა წარმატება.

ღმერთმა დალოცოს გაზეთ „ლიტერატურული ცხინვალის" გამომცემელნი და მკითხველნი.

უფალმა აკურთხოს ქართველი და ოსი ხალხის ძმური ურთიერთობა.

+ ილია II,

სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქი.

გურამ შანჯიკიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე - „ლიტერატურული ცხინვალის" გამოსვლა დიდი მოვლენაა როგორც ლიტერატურული, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით.

ვაი, უბედურო საქართველო, რა დრო დაგვიდგა?!

რუსი იმპერიალისტების მიერ გაბრიყვებული ოსები, საქართველომ რომ ასე მიიღო და იძმო, მტრად მოგვეკიდნენ და იგივე რუსეთის დახმარებით ცდილობენ ჩვენს მიწა-წყალს დაეპატრონონ. იმ მიწა-წყალს, სადაც ოსებს ყველა პირობა შეუქმნეს აყვავებულიყო ოსური ენა და კულტურა.

აბა ერთი გულახდილად გვითხრან, თუ იყო და არის ანალოგიური სიტუაცია ჩრდილოეთ ოსეთში, ე.ი. მათ ნამდვილ სამშობლოში? იცის კი იქ ვინმემ ოსური ენა? ან იქნებ უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე შიდა ქართლში? მათაც უნდათ ისე გარუსდნენ, როგორც ჩრდილოეთ ოსეთის მოსახლეობა გარუსდა? ნუთუ არ შესწევთ უნარი, პარალელი გაეკეთებინათ, შეედარებინათ რა სიტუაცია იყო ჩრდილოეთ ოსეთში, საკუთარ სამშობლოში და რა სიტუაცია იყო საქართველოში? ნუთუ ახლა მაინც ვერ ხვდებიან, რომ მათი „ეროვნული ლიდერები" ალან ჩოჩიევის სახით მხოლოდ ავანტიურისტები რომ იყვნენ და მხოლოდ სა-

კუთარი ჯიბის გასქელებას შესწირეს ოსი ხალხის ინტერესები?! და განა ალან ჩოჩიევი მარტო იყო?!

შევეშვათ მწარე მოგონებებს, ჩვენ მომავლისათვის უნდა ვიბრძოლოთ. „ლიტერატურულმა ცხინვალმა“ მარტო ლიტერატურული მისია როდი უნდა იკისროს, იგი უნდა იყოს აგრეთვე ერთ-ერთი ინიციატორი სახალხო დიპლომატიისა ქართველებსა და ოსებს შორის ჩატეხილი ხიდის გამთლიანებაში.

„ლიტერატურულმა ცხინვალმა“ უნდა გამოაცოცხლოს ლიტერატურული ცხოვრება, რომ რეგიონში უყურადღებოდ არ დარჩეს არც ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა.

იმედი მაქვს, რომ „ლიტერატურული ცხინვალი“ თავს გაართმევს ამ ორ ამოცანას.

მთელს საქართველოს ვულოცავ „ლიტერატურული ცხინვალის“ გამოსვლას...

აკაკი სიხარულიძე, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე - სასიხარულოა, რომ წვიმის შემდეგ სოკოებივით მომრავლებულ გაზეთთა რიცხვს კიდევ ერთი სათაურშივე ახლობელი და სასიამოვნო პერიოდული ორგანო შეემატა.

ვუსურვებ გაზეთის კოლექტივს, მათი პუბლიკაციები გამოირჩეოდნენ ფაქტების ობიექტური კონსტატაციით, არასდროს გაჩენოდეთ სურვილი პიროვნული შეურაცხყოფისა.

და კიდევ, საგაზეთო ინფორმაციების გვერდით ჯეროვანი ადგილი დავუთმოთ ჩანახატს, პრობლემურ სტატიას, ნარკვევებს, რეპორტაჟს და ა.შ. ჟურნალისტიკა ხომ ჟანრების ხელოვნებაა.

ზურგის ქარს გისურვებთ, ძვირფასო კოლეგებო!

თამაზ წივწივაძე, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი - ძვირფასო შიდა ქართლელო კოლეგებო!

მწერლებო და ლიტერატურელებო! და ამ გაზეთის ძვირფასო მკითხველებო!

სრულიად საქართველოს ლიტერატურული გაზეთი გულწრფელ სალამს გითვლით და სიყვარულით მოგიკითხავთ!

ამასთან ერთად, დიდ იმედსაც გამოვთქვამ, რომ თქვენი ახალი და მშვენიერი გაზეთი მარტო რეგიონული პრინციპით კი არ იმოღვაწებს, არამედ ერთიან საქართველოს ლიტერატურული ინტერესების საიმედო ხელშემწყობიც გახდება!

ამ გზაზე ორ ძმას ყოველთვის მეტი შეუძლია!

ძვირფასო კოლეგებო! კიდევ ერთხელ მიიღეთ ჩვენი სიყვარული და თანადგომა!

მზად ვართ, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში ყოველგვარი დახმარება აღმოგიჩინოთ!

და, არა მარტო ლიტერატურულ საქმიანობაში, არამედ იმ დიდ ეროვნულ საქმეშიც, ცხინვალში ღირსეული შესვლისათვის რომაა საჭირო!

სოხუმში ღირსეული შესვლისათვის რომაა საჭირო!

ერთი სიტყვით, ჩვენ ერთად უნდა ვითანამშრომლოთ არა მარტო ლიტერატურულ სფეროში, არამედ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დროულ და უდანაკარგო აღდგენაშიც!

ვალერი ვაშაკიძე, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი - უდიდესი სურვილი მაქვს, გზა დავულოცო გაზეთ „ლიტერატურული ცხინვალის“ შემოქმედებით კოლექტივს და მის თითოეულ მკითხველს. ბედნიერი იყოს „ლიტერატურული ცხინვალის“ დაბადება.

ჩემი ღრმა რწმენით, თითოეული მართალი სიტყვა, სიყვარულით ნათქვამი, ცხინვალის რეგიონიდან დევნილებს სულიერ სიმტკიცეს მატებს, რაც, საბოლოო ჯამში, კიდევ უფრო მოაახლოვებს მშობლიურ კერაზე დაბრუნების დღეს.

მინდა წარმატება ვუსურვო გაზეთს და აღვუთქვა, რომ პირადად მე და მთელი ჩვენი კოლექტივი ყოველთვის ერთგული ქომაგი ვიქნებით ყველა მისი კეთილი წამოწყებისა.

ქართლის მეთაურ ქალაქში „ლიტერატურული ცხინვალის“ დაარსებას მიესალმნენ გორში დევნილი ცხინვალის სახელ-

მწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (შემდგომ, სახელმწიფო უნივერსიტეტი) სტუდენტები - ეს ჩვენთვის ფრიად მნიშვნელოვანია, რამეთუ საშუალება მოგვეცემა „ლიტერატურული ცხინვალის“ ფურცლებზე ვიპოვოთ ყოველივე ის (სიყვარული, სიხარული, აღტაცება, სევდა, სინანულიც...), რაც ასე აუცილებელია მომავალი თაობის სულისათვის. ამასთან, გვჯერა, გაზეთი ფართო გაქანებას მისცემს ცხინვალური ქართული მაჯისცემის ერთ-ერთი მფეთქავი ძარღვის - ინსტიტუტის შემოქმედებითი ნიჭის მქონე სტუდენტობასაც, რომელიც მხატვრულ ფერებში წარმოაჩენს სამაჩაბლოში დაღვრილ ქართლის ცრემლს და ღირსეულად განაგრძობს მხატვრული სიტყვის კორიფეების სახელოვან გზას.

„ლიტერატურული ცხინვალის“ ამოქმედებას, უდავოა, თან ახლავს გარკვეული სიძნელეები. იყო წინააღმდეგობები, მაგრამ კეთილშობილური მიზნებისაკენ შეუპოვარმა სწრაფვამ თავისი ნაყოფი გამოიღო. ამრიგად, იქმნება პირობები დაფანტული ლიტერატურული ძალების გაერთიანებისათვის, მათი შემოქმედებისა და მომავალი, პერსპექტიული თაობის გამოვლენისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდგომ პერიოდში, ცხინვალის რეგიონში არაერთი ნიჭიერი პიროვნება იღვწოდა, მაგრამ ადგილზე სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებას. ჭირდა ბეჭდვა, წიგნების გამოცემა, ამიტომ ზოგი თუ შეეთვისა მდგომარეობას, ზოგმა მიატოვა იქაურობა, ან საერთოდ დაიკარგა ასპარეზიდან.

ურთულეს დღევანდელობას დიდი და პატარა ლიახვის, ფრონეს, ქსნის ხეობების მწერლები, პოეტები, პუბლიცისტები სულიერ შემწედ ევლინებიან იქაურ, დაზაფრულ ხალხს... გამოვიდა პოეტების - მზია ხეთაგურის, ვახტანგ კობერიძის, შოთა დარბუაშვილის, ლია ჭიღლაძის და სხვათა ლექსების კრებულები, რომლებიც თაობებს გადასცემენ კონფლიქტის შედეგად გაწამებული მოსახლეობის სულიერ მდგომარეობას, ასახავენ ტრაგიკულ მოვლენებს.

1996 წლის 16 მაისს, მოსკოვში, ქართულ-ოსური კონფლიქტის მონაწილე მხარეთა შორის უშიშროების უზრუნველყოფისა და ურთიერთნდობის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ ხელმოწერილი მემორანდუმის ერთ-ერთ პუნქტში აღნიშნულია შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენელთა „მრგვალი მაგიდების“ მოწყობის შესახებ. „ჩვენ მზად ვართ აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ამ ღონისძიებებში, რასაც უნდა მოჰყვეს ორივე მხარის ინტელიგენციის აქტიური მუშაობა მოსახლეობაში. ინტელიგენციას ძალუძს და ვალდებულია შეაღწიოს ადამიანების სულში და სასიკეთო ზემოქმედება მოახდინოს, დაარწმუნოს, რომ საჭიროა არა გრძნობებით, არამედ საღი გონებით მოქმედება. მხოლოდ ესაა ერთადერთი გზა ჭეშმარიტებისაკენ.“

ახალფეხადგმულ ცხინვალის რეგიონის მწერალთა განყოფილების მიზნები და ამოცანები კარგად აქვთ გათვითცნობიერებული დევნილი შემოქმედებითი ორგანიზაციის მესვეურებს. „ახლა, როცა შეიქმნა სამწერლო ბირთვი, იმედია, მის გარშემო თავს მოიყრიან დაქსაქსული მწერლები, ლიტერატორები და ლტოლვილობის დუხჭირი პირობებით მოგვრილ სევდას ერთგვარად გააქარწყლებს შემოქმედებითი ნიშნით გაერთიანება. გვერდიგვერდ დგომა - ვგულისხმობ, რომ დაქსაქსული მწერლები ერთ მუშტად შეიკრიბებიან ცხინვალთან ახლოს, ჯერ-ჯეროობით თუნდაც გორში, სადაც ფუნქციონირებს სწორედ ცხინვალის რეგიონის მწერალთა განყოფილება...“

ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა დავალებულია იმ ღირსეულ მამულიშვილთა წინაშე, ვინც მთელი თავისი შემოქმედებითი პოტენციალი სამშობლოს კეთილდღეობას შეალია, მადლიანი კალმით მტკიცედ დადგა ქართული სიტყვის სადარაჯოზე. მათ შორისაა XX საუკუნის ქართველი კლასიკოსი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია, რომელსაც 1996 წელს დაბადებიდან 105 წელი შეუსრულდა. „გაიმართა შესანიშნა-

ვი საიუბილეო საღამოები ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებიც მიეძღვნა ფენომენალური შემოქმედის იუბილეს. ამ საერთო ქართულ ლიტერატურულ წინსვლას არც გორში დევნილი ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ჩამორჩა...

ბედისანაბარად მიტოვებულ უმაღლეს სასწავლებელში რომ ასეთი ღირსშესანიშნავი საღამო ჩატარდა, მართლაც ატოკებს პატრიოტი კაცის გულში სიხარულის სიმებს. დიდი მწერლისადმი თაყვანისცემა და მისი შემოქმედების გაიდეალება კი უკვდავყოფს ქართული მწერლობის დიდოსტატის სახელს."

„ჭირსა შიგან გამაგრება..." - ეს სტრიქონები იმიტომ შეთხზა ქართველმა, რომ მთელი არსებობის მანძილზე მედგრად უმკლავდებოდა წუთისოფლის უკუღმართობას, ამიტომაც მოაღწია აქამდე. დევნილმა ლიტერატურულმა გაზეთმაც, დღიდან დაარსებისა, სიძნელეთა დაძლევითა და დაბრკოლებათა გადალახვით დაიწყო თავისი მისიის შესრულება. „სამადლობელი ითქმის საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის გურამ ფანჯიკიძის, მწერალთა კავშირის მდივნის დავით მჭედლურის, შიდა ქართლში საქართველოს სახელმწიფო მეთაურის რწმუნებულის ბადრი ხატიძის, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის ვალერი ვაშაკიძის, გაზეთ „შიდა ქართლის" მთავარი რედაქტორის ვასილ საბანაძის, გორის მწერალთა განყოფილების პასუხისმგებელი მდივნის ჯემალ ინჯიას მიმართ ხელშეწყობისა და დახმარებისათვის."

„აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია"- ამ რუბრიკით, გაზეთის მეორე ნომერში სარედაქციო საბჭო მადლიერებით აუწყებს მკითხველს, რომ „ლიტერატურული ცხინვალის" გამოცემა არ მოხერხდებოდა, რომ არა საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი ვალერი ვაშაკიძე, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რათა დღის სინათლე ეხილა დევნილ გაზეთს. მას წამებულთა მინისტრსაც უწოდებენ. უცხო აზრი როდია, საკუთარი სახლ-კარიდან დევნილ, გატან-

ჯულ ადამიანებთან ურთიერთობა მრავალ დაძაბულ დღეს და უძილო ღამეს ნიშნავს. ახალგაზრდა მინისტრი კი ყოველთვის მშვიდი და გულთბილი ეგებება მასთან მისულ ნებისმიერ დევნილს. მუდმივი სურათია - ცრემლი, თხოვნა, ხან შელაპარაკებაც. ისიც ხან ნაღვლიანდება, ხან დამამშვიდებელი სიტყვებით ამხნევებს მისულს, ხანაც ხმის აწევა უხდება. ბოლოს მაინც ყველას უგებს, მფარველად ევლინება.

ვფიქრობთ, მას იმიტომ ძალუძს ამ სიმაღლეზე დგომა, რომ თვითონ გადაიტანა ომის საშინელება და მისი თვალები დაუსველებია მეგობრების დაღუპვით გამოწვეულ ცრემლს. უდავოა, გარკვეულწილად ესეც არის, მაგრამ მაინც მთავარი ისაა, რომ მის სულს აფორიაქებს საერთო საფიქრალი - საქართველოს ბედი, ქართველი ხალხის მომავალი. „..ვთვლი, რომ ჯერ ვარ ჩემი მამულის ერთგული შვილი, მოქალაქე და შემდეგ მეცნიერი და სხვა," - თქვა მან თავის ერთ-ერთ ინტერვიუში. დიახ, მამულიშვილობა მას გენიდან მოსდგამს. ამიტომ იტაცებდა სიყმაწვილიდან მტრისგან ბევრჯერ გალეწილი, მაგრამ ფერფლიდან მაინც აღმდგარი სამშობლოს ისტორია. წარსულით გატაცებამ განაპირობა, რომ სასწავლებლად შევიდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. შემდეგ კი თავისი ცოდნა სრულყო ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში, დაიცვა დისერტაცია. იგი საქართველოს ისტორიის სიყვარულს ასწავლიდა ახალგაზრდებს - ლექციებს უკითხავდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ამასთან, დაუზარებლად მოღვაწეობდა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იყო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საქართველოს ისტორიის კათედრის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი.

საქართველოში ტრაგიკული მოვლენების განვითარების შემდეგ, ვ. ვაშაკიძე ჯერ სამაჩაბლოშია, შემდეგ აფხაზეთში

და იცავს გატანჯული ქართული მოსახლეობის ინტერესებს. სოხუმში დაიჭრა, დაკარგა ორი უახლოესი მეგობარი - ისტორიკოსი ნუკრი ცისკაძე და ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გურამ აღნიაშვილი, რომელთაც ძმებს უწოდებს.

ახლო წარსული და დღევანდელობა მოწმობს, რომ ბატონი ვალერი იყო და არის იმ მოვლენების უშუალო მონაწილე, რითაც დღეს ივსება საქართველოს ისტორიის ფურცლები. ის არის ერთ-ერთი მათგანი, ვინც ამ რთულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებაში ეწევა ჩვენი ფიზიკური და სულიერი გადარჩენის ჭაპანს.

საგურამოში იბადებოდა და ღვივდებოდა მრავალი ცოცხალი აზრი, სათავე ედებოდა დიდ ეროვნულ საქმეებს



საგურამოში

ყური დავუგდოთ მათ, დიდებულ ადამიანებს. მოვისმინოთ გარდასულ დღეთა სიღრმიდან წამოსული მშობლიური ხმები:

„თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული, ხომ იცის ღმერთმა, რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი.

აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართვლის ბედმა
და დაე გვძრახონ, ჩვენ მის ძებნით გავლიოთ დღენი.“

ეს ილიას ხმაა ზარიანი, გაუბზარავი.

დავხუჭოთ თვალი და წარმოვიდგინოთ, ვინაა ამ დროს აქ, საგურამოში, ილიას ეზოში, ბებერი კაკლის ხის ძირას?

აი, მოხუცი რაფიელ ერისთავი ყაჭივით თეთრი თმა-წვერით... იმ დღეებში ჭაბუკმა სოსელომ რომ შესძახა გამამხნევებლად: „ვაშა, რაფიელ, გვემრავლოს მამულში შენებრი შვილიო.“

„სამშობლო ხევსურისა“-ს ავტორს გვერდში უზის „ცა - ფირუზ, ხმელეთ - ზურმუხტზე“ მავედრებელი აკაკი, საქართველოს მომავალზე მლოცველი და მოყიჟინე. აგერ ჯიხვტყავიანი ვაჟა-ფშაველა, ასე ფართოდ რომ გაუღო ილიამ „ივერიის“ კარი. იაკობ გოგებაშვილიც აგერაა (ვარიანისა და თბილისის იქით ნაბიჯს რომ ვერ გადაადგმევინებ).

აგერ ვანო მაჩაბელი, „მეფე ლირი“ რომ თარგმნა ილიასთან ერთად (გაივლის რამდენიმე წელი და იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგება).

...გიგო ყიფშიძე, ილიას მარჯვენა ხელი „ივერიაში;“ „მაცი ხვიტიას“ ავტორი ანტონ ფურცელაძე; პირველი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დამაარსებელი ილია წინამძღვრიშვილი; იონა მეუნარგია, ილია ბახტაძე, ნიკო ცხვედაძე, ვალიკო გუნია, აქვსენტი ცაგარელი, ნიკო ხიზანიშვილი, პეტრე უმიკაშვილი. ყველა ესენი იმ საუკუნის პირმშო შვილები არიან - ზოგს ხარის გამწევი ქედი გააჩნია, ზოგს ცოტა ნაკლები ძალა აქვს, მაგრამ რაკი ერთ უღელში შებმულან, ძალაც მეტი მისცემიათ.

საქართველოა მათი საფიქრალი. ქართველი კაცის ბედი ადარდებთ. ერის ტკივილი სტკივათ.

კითხულობენ ახალ ნაწარმოებებს, საგაზეთო სტატიებს. მეტწილად საადგილმამულო ბანკის გარშემო საუბრობენ. დაინტერესებულნი არიან ქართული თეატრით, რომელსაც ამ

დროს ძალიან უჭირს (ნაწყვ. ვ. გვეტაძის წერილიდან „საგურამოში," ჟურნ. „დროშა," 1987 წ.).

საუკუნეს გადაცილებული განერიდა საწუთროს თამარაშნის მკვიდრი ილია კობერიძე, რომელიც იმ დროისთვის თავის კვალობაზე განათლებული ყოფილა. მან არა მარტო ქართული წერა-კითხვა იცოდა, რუსულსაც ფლობდა. „გონებაგახსნილი ბავშვი ინტერესით ადევნებდა თვალყურს მაშინდელ ცხოვრებას. ოჯახში ხშირად ესმოდა ივანე მაჩაბლის სწავლა-განათლების შესახებ, მის მამულიშვილობაზე. დიდი ილიას, აკაკის შესახებაც სმენია და ცდილობდა თურმე, მათი სტუმრობა ივანე მაჩაბელთან არ გამოჰპარვოდა."

ჭარმაგი ქართველის თქმით, ვანო კეთილი კაცი იყო, მუდამ დაფიქრებული და ჭკვიანი თვალებით მომზირალი. მოზომილი სიტყვა იცოდა, სხვისგანაც ასე მოითხოვდა. ნამეტნავად ჰყვარებია მშობლიური სოფელი და თანასოფლელები. ხშირად საუბრობდა მათთან მეურნეობის საკითხებზე, განსაკუთრებით მებაღეობასა და მევენახეობის განვითარებაზე. თამარაშენში ამაზე ფიქრი, ვანოს საფრანგეთშიც გაჰყოლია, საიდანაც ვაზის რამდენიმე ჯიში გამოუგზავნია სოფელში გასაშენებლად. მათ შორის ახლაც ერთ-ერთ მათგანს „ფრანგულას" ეძახიან.

თამარაშნელი გლეხკაცი იმასაც იხსენებდა, რომ ერთხელ სოფელში ხმა დაირხა, ივანე მაჩაბელთან ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი სტუმრად მობრძანდებიანო. აწრიალდა სოფლის ახალგაზრდობა, როგორ, რით შეხვედროდნენ სასიქადულო სტუმრებს. აბა, რა გააჩნდა ლიახვის ხეობას და მაჩაბლიანთკენ ოლრო-ჩოლრო გზაზე მიმავალ ფაეტონს ფიანდაზად ყვავილები გაუფინეს. ისინი ტაშით მიაცილებდნენ შესაგებებლად ჭიშკარგამოსულ მასპინძლისაკენ.


მაჩაბლიანთ ძველი სახლი

მგზავრობით დაღლილი საპატიო სტუმრებისთვის თამარაშნელებს წყაროს ცივი წყალი მიურთმევიათ. ილიას თავშეყრილ სოფლელებისთვის გადაუხედავს, მისალმებია და ვანოსთვის უთქვამს: „ასეთი სოფლისა და ხალხის ქვეყანა არ დაიღუპებაო.“

აკაკის კოხტად შეკრეჭილ წვერზე ხელი ჩამოუსვამს, შემოჯარულ ბავშვებს მისალმებია, დაულოცავს - „შრომა და მამული გიყვარდეთ. ისწავლეთ, მამულს მეტად გამოადგებითო.“

მოახლოებული თარიღის (1998, VI), ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ივანე მაჩაბლის ტრაგიკულად დაღუპვის 100 წლისთავის ღირსეულად აღსანიშნავად, საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტს წერილობით მიმართა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოდან“ (ოპერატიულად გადმობეჭდა გაზეთ „ლიტერატურულმა ცხინვალმა“) ცნობილმა მეცნიერ-მკვლევარმა და პარლამენტარმა გურამ შარაძემ: „ბატონო პრეზიდენტო, მომავალ წელს სრულდება 100 წელი დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, შექსპირის გენიალური მთარგმნელის ივანე მაჩაბლის გარდაცვალებიდან.

საქართველომ ახლა მაინც უნდა ჩამოირეცხოს ის სამარცხვინო ლაქა, რაც მას 100 წლის წინ მოეცხო ივანე მაჩაბლის ტრაგიკულად დაღუპვითა და მისი უგზო-უკვლოდ დაკარგვით.

მადლიერმა ერმა სამაგიერო პატივი უნდა მიაგოს თავისი სასიქადულო შვილის ხსოვნას და ახლავე უნდა შევუდგეთ ამ თარიღის ღირსეულად აღნიშვნისათვის მზადებას.

პირველ რიგში უნდა შეიქმნას საიუბილეო კომისია თქვენი თავმჯდომარეობით, რათა გადაწყვიტოს შემდეგი გადაუდებელი ღონისძიებანი:

1. თბილისში, მ. კოსტავას ქ. №40-ში უნდა გაიხსნას ივანე მაჩაბლის მემორიალური სახლ-მუზეუმი. უკვე შვიდ წელზე მეტია ამის თაობაზე მიმდინარეობს გაუთავებელი დავა და კამათი. ამასობაში ოთხმა თუ ხუთმა ხელისუფლებამ და რეჟიმმა ჩაიარა ჩვენს თვალწინ, მაგრამ საქმეს მაინც არ ეშველა: თბილისის მერია და მთაწმინდის გამგეობა პასიურობს, ხშირად ხელშეწყობის როლშიც გამოდის, რითაც ისარგებლეს გათავხედებულმა ბარბაროსებმა თუ მაფიოზებმა და ივანე მაჩაბლის სახლს ჩამოხსნეს ძველი მემორიალური დაფა და დაამსხვრიეს, ხოლო სახლს გაუკეთეს პრივატიზება. ისინი ამ მიზნის მისაღწევად არ მოერიდნენ არც საარქივო მასალების გაყალბებას, არც ივანე მაჩაბლის პირდაპირ მემკვიდრეთა კანონიერი უფლებების უგულებელყოფას, არც უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლოს, გენერალური პროკურატურის, ქალაქის მერიისა და მთაწმინდის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებების გაქრობას და ამის საფუძველზე თბილისის პროკურორის შეცდომაში შეყვანას, - დაბოლოს, ივანე მაჩაბლის სახლის ფართობის ერთი ნაწილის სხვაზე (როგორც ამბობენ ფირმისთვის, მკლავჭიდში მსოფლიო ჩემპიონზე) გაყიდვასაც...

2. ივანე მაჩაბლის მემკვიდრეთა ოჯახში ინახება უგზო-უკვლოდ დაკარგვამდე (1898 წ.) რამდენიმე თვით ადრე ივანე მაჩაბლისათვის გაკეთებული ქირურგიული ოპერაციის დროს ამოღებული ნეკნები - ძვლები. ვფიქრობთ, მთაწმინდის პანთეონში უნდა გაკეთდეს ძვალთშესალაგი ნიში და იქ მიეჩინოს მას ღირსეული ადგილი. ამით ქართველი ერი ვალს მოიხდის თავისი დიდი შვილის ხსოვნის წინაშე და კიდევ ერთი თაყვანისცემის ადგილს გაიჩენს მთაწმინდის დიდებული სავანე.

3. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის შესაბამის განყოფილებაში დიდი ხანია მომზადდა გამოსაცემად ივანე მაჩაბლის თხზულებათა სრული აკადემიური კრებული. იქნებ საიუბილეო წლისთვის დაგვეწყო და პირველი ტომი მაინც გამოგვეცა ამ აკადემიური კრებულისა.

4. საიუბილეოდ უნდა მომზადდეს მეცნიერული და პოპულარული ხასიათის წიგნები და წერილები ივანე მაჩაბლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ვფიქრობთ, პირველ ყოვლისა, უნდა ხელახლა გამოიცეს ბატონ ვახტანგ ჭელიძის საყოველთაოდ ცნობილი მონოგრაფია „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა," რომელიც მკითხველმა უკვე დიდი ხანია შეიყვარა და ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

წინასწარ ძნელია ყველა იმ საიუბილეო ღონისძიების ჩამოთვლა ან განჭვრეტა, რომელიც უნდა განხორციელდეს დიდი ივანე მაჩაბლის გარდაცვალების 100 წლის ღირსეულად აღნიშვნისათვის. ფაქტი ერთია, რომ ეს თარიღი საკადრისად უნდა აღნიშნოს ქართველმა ერმა, სრულიად საქართველომ.

ახლა სიტყვა თქვენზეა, ბატონო პრეზიდენტო!"

როგორც „ლიტერატურული ცხინვალი" (1997, №14) იუწყებოდა, 3 ივნისს საქართველოს მწერალთა სასახლეში გაიმართა დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ქართული მთარგმნელობითი სკოლის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენლის ივანე მაჩაბლის გარდაცვალების 100 წლისთავის აღმნიშვნელი საორგანიზაციო კომისიის სხდომა, რომელიც გახსნა საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გურამ ფანჯიკიძემ.

კომისიის სხდომაზე გამოვიდნენ გურამ შარაძე, ივანე მაჩაბლის შთამომავალი მარინე ჩერქეზიშვილი, კობა იმედაშვილი, გურამ გვერდწითელი, დავით მჭედლური, თბილისის №1 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე ელიკო ქუთათელაძე, შადიმან შამანაძე, რეზო ჭეიშვილი, ელგუჯა მაღრაძე, ევგენი


ხარაძე, თბილისის მუნიციპალიტეტის პრემიერის მოადგილე გიგი წერეთელი, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე ზაზა შენგელია. მათ აღნიშნეს ივანე მაჩაბლის დიდი ღვაწლი ქართული მწერლობის, ქართული სალიტერატურო ენის, ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში და გამოთქვეს ღრმა რწმენა, რომ ტრაგიკულად აღსრულებული დიდი ქართველი მწერლის გარდაცვალების თარიღი ღირსეულად აღინიშნება.

როგორც ივანე მაჩაბლის საზოგადოების თავმჯდომარემ გურამ შარაძემ მოახსენა შეკრებილთ, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თანხმობა განაცხადა საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარეობაზე, რაც უფრო მასშტაბურს და ქმედითს გახდიდა კომისიის საქმიანობას.

სხდომაზე გამოიკვეთა პრობლემების რკალი, რომელთა გადაჭრა აუცილებლად უნდა მოხერხდეს დიდი მწერლის გარდაცვალების თარიღისათვის. მომზადებულია და გამოცემას ელოდება ივანე მაჩაბლის უმდიდრესი შემოქმედებითი მემკვიდრეობის ათტომეული. მართალია, ყველა ტომის გამოცემა ამ დროისათვის ვერ მოხერხდება, მაგრამ ეს პროცესი უნდა დაიწყოს. სერიით: „მოგონებანი გარდასულ დღეთა“ გამოიცემა კრებული ივანე მაჩაბელზე. სხდომაზე დაისვა ვახტანგ ჭელიძის გახმაურებული ბიოგრაფიული რომანი „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“ გამოცემის საკითხი. ითქვა, რომ უნდა აღიძრას საკითხი, მთაწმინდაზე ივანე მაჩაბლის ნაწილების დაკრძალვის შესახებ. ამ სიმბოლური აქტით ქართველი ერი კიდევ ერთხელ გამოხატავს თავის დიდ სიყვარულსა და პატივისცემას მისი სასიქადულო შვილის მიმართ.

სხდომაზე აღინიშნა: სრულიად გაუმართლებელია ის გარემოება, რომ ივანე მაჩაბლის უმდიდრესი მემკვიდრეობიდან არაფერი ისწავლება საშუალო სკოლაში და ამიტომაც რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ უნდა გაამახვილოს ამაზე ყურადღება. კარგი იქნებოდა, თუკი რომელიმე უმაღლეს

სასწავლებელში დაწესდებოდა ივანე მაჩაბლის სახელობის სტიპენდია. განსაკუთრებული სიმწვავე გამოიწვია თბილისში ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმის საკითხმა. ითქვა, რომ ამ სახლში უკანონოდ შეჭრილია ორგანიზაცია, რომელმაც თაღლითობით მოახერხა სახლის გარკვეული ნაწილის პრივატიზაცია. სახლის გარშემო უცნაური ამბები ხდება: დაიკარგა რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლებიც ადასტურებენ, რომ შენობა მთლიანად ივანე მაჩაბელს და უახლოეს წარსულში მის სახლ-მუზეუმს ეკუთვნოდა. სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ზაზა შენგელიამ და თბილისის მუნიციპალიტეტის პრემიერის მოადგილემ გიგი წერეთელმა აღუთქვეს კომისიის წევრებს, რომ სასწრაფოდ შეისწავლიან საკითხს და უმოკლეს ვადაში გააცნობენ მათ საქმის ვითარებას.



საუკუნემ ჩაიქროლა... 26 ივნისს (1998 წ.) 100 წელი შესრულდა დიდი ილიას თანამებრძოლის, თვალსაჩინო მოღვაწისა და მწერლის, გენიალური მთარგმნელისა და პუბლიცისტის ივანე მაჩაბლის უგზო-უკვლოდ დაკარგვიდან.

და ჰა, ასი წლის შემდეგ მთაწმინდამ ჩაიხუტა ტრაგიკული ქართველი მოღვაწის წმინდა ნაწილები.

ამ დღეს მთაწმინდაზე მრავლად შეიკრიბნენ თვალსაჩინო მამულიშვილის თაყვანისმცემლები. შეკრებილნი დალოცა და ივანე მაჩაბლის სულის საოხად პარაკლისი გადაიხადა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართეს: საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ თამაზ წივწივაძემ, საქართველოს პარლამენტის მიგრაციისა და უცხოეთთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარემ გურამ შარაძემ. მათი გამოსვლის ტექსტი „ლიტერატურულმა ცხინვალმა“ პირველ გვერდზე (1998, №8) გამოაქვეყნა:

დიდი თანამემამულე

- დღეს შევიკრიბეთ, რათა ქედი მოვიხაროთ ჩვენი დიდი თანამემამულის, დიდი მოღვაწის, მწერლის, გენიალური მთარგმნელის, ბრწყინვალე პუბლიცისტის, იმ ადამიანის წინაშე, რომელიც საქართველოს ეკონომიკის, მისი საბანკო სისტემის ევროპულ ყაიდაზე მოწყობისათვის ზრუნავდა და დიდ ილია ჭავჭავაძესთან, სხვა თანამებრძოლებთან ერთად ბევრი რამ გააკეთა.

მართლაც რომ ტრაგიკულია მისი ბედი, მისი ცხოვრება და დასასრულიც ჩვენი ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ტრაგიკულ ეტაპს გვაგონებს.

ახალგაზრდობის წლებში დიდი სურვილი მქონდა ზოგიერთ ჩემს კოლეგასთან ერთად მომეძია მასალები და ჩემთვის მაინც შემექმნა წარმოდგენა, თუ რა მოხდა ივანე მაჩაბლის ტრაგიკულ სიკვდილთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ალბათ, XIX საუკუნის და არა მარტო XIX საუკუნის ეს ეროვნული უბედურება სამუდამოდ ბურუსით მოცული დარჩება. ჩემი დასკვნა იყო და ასეთია დღესაც: ჩვენი ქვეყნის დიდი შვილი ინტრიგებისა და ცილისწამების მსხვერპლი გახდა...

ჩვენ ახლა ვიმყოფებით წმინდა მთაზე, აქ განისვენებენ ივანე მაჩაბლის თანამებრძოლები, თანამოაზრენი, XIX და XX საუკუნეების დიდი მოღვაწენი. ჩვენ უდიდეს ვალში ვართ მათ წინაშე. ისინი იმის ღირსნი არიან, რომ საქართველო მოფენი-

ლი იყოს მათი ძეგლებით. სამწუხაროდ, ჯერ ამას ვერ ვახერხებთ. მაგრამ ჩვენი სინდისი საქართველოს დიდი ადამიანების წინაშე მაინც სუფთაა, რადგან ჩვენ ვაშენებთ იმ ძეგლს, რომელიც მათი ნაოცნებარი, მათი ნაფიქრალი იყო და, გარკვეული აზრით, მათი ნაღვაწიც. დღევანდელი საქართველოს თაობები ბედნიერი არიან იმით, რომ ქმნიან ხელთუქმნელ ძეგლებს. მათ შორის, ჩვენი დიდი მოღვაწეებისა, რომელსაც ჰქვია დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველო. ჩვენ უკვე ნათლად ვხედავთ მის კონტურებს. და, ვფიქრობ, ჩვენი საზოგადოებრიობის დიდი უმრავლესობა ამაყობს, რომ შთამომავლობას გადასცემს სწორედ ამ უდიდეს და სანუკვარ მემკვიდრეობას.

დღეს მე ამ დიდი მამების საფლავებთან უნდა ვთქვა და მოვუწოდო ჩვენს ხალხს ერთიანობისა და მთლიანობისათვის, მოვუწოდო და ვუთხრა, რომ ნუ დაგვავიწყდება, რა არის მთავარი და არსებითი ჩვენთვის. ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ზოგიერთი უცხო ქვეყანაში ცხოვრობს, ის დიდი და სანუკვარი, რომელზეც ჩვენი წინაპრები საუკუნეთა განმავლობაში ოცნებობდნენ, თითქოს მეორე პლანზე გადავიდა.

შემთხვევით როდი ვახსენე წელან, რომ ჩემი ღრმა რწმენით, დიდი ივანე მაჩაბელი ცილისწამებისა და ინტრიგების მსხვერპლი გახდა. დღეს ისე უნდა ვიცხოვროთ, რომ ცილისწამებამ და ინტრიგებმა არ დაანგრიოს ის საძირკველი, რომელიც ჩვენ უკვე ამოვიყვანეთ და, რომელსაც თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო ჰქვია. ვფიქრობ, არც ერთი ჩვენგანისა და მომავალი თაობისათვის არ არის იმაზე უფრო ძვირფასი რამ, ვიდრე ქვეყნის დამოუკიდებლობა. მინდა სწორედ აი აქ, ამ წმინდა მიწაზე თაყვანი ვცე და პატივი მივაგო იმათ, ვინც ამ წმიდათა წმიდა მიზანს ემსახურებოდა და მოვუწოდო ყველას გაერთიანებისათვის, თუ გვსურს ქვეყნის გამთლიანება.

კურთხეულ იყოს ეს მიწა, კურთხეულ იყოს ივანე მაჩაბლის სახელი, სული მისი და საქმე მისი.

ედუარდ შევარდნაძე

აჰა, აღსრულდა!

ბატონო პრეზიდენტო!

ჩვენო უწმინდესობავ!

დიდად პატივცემულო ბატონებო და ქალბატონებო!

ნება მომეცით, ერთი თანამედროვე პოეტის დიდებული სტრიქონები შეგახსენოთ:

„არსად არ არის საფლავები ამ სიმაღლეზე
და უკვდავებაც ასე ძნელი არ არის არსად!..“

მართლაც ძნელია, ილიას, აკაკის, ვაჟას საუკუნო განსასვენებელში ადგილის დამკვიდრება! - ეს ერთეულთა ხვედრია!

ამის მიუხედავად, ის უცნაური ბედისწერა რომ არა, ღმერთების ამ საუფლოში ივანე მაჩაბელს ადგილს არავინ დაამადლიდა!

მისი ადგილი სულ აქ იყო! ოღონდ, გასაგები მიზეზების გამო, მარად უკვდავი ამ ქართველის გამთაწმინდელება გვიგვიანდებოდა!

და, აჰა, აღსრულდა! ამ წმინდა ადგილას, საქართველოს უკეთეს შვილთა გვერდით აწ უკვე მისი წმინდა ძვლებიც ალაგია!

მართლაც უცნაური ქვეყანა ხარ, საქართველოვ!

მართლაც რომ -

„ არსად არ არის საფლავები ამ სიმაღლეზე
და უკვდავებაც ასე ძნელი არ არის არსად!..“

თამაზ ჭივჭივაძე

მთაწმინდა გულში იხუტებს საშვილიშვილო სამარეს...

დღეს შესრულდა ერთი საუკუნე ივანე მაჩაბლის ტრაგიკული აღსასრულიდან და უგზო-უკვლოდ დაკარგვიდან. ასი წელი ელოდა მთაწმინდა თავის უკვდავ ბინადარს, ასი წელი ელოდნენ აქ ილია, ვაჟა, აკაკი, იაკობი, დიმიტრი ყიფიანი თავიანთ უკვდავ თანამებრძოლს და მათ გვერდით განსვენებას იმ კაცის ძვლებისა, ვინც მათთან ერთად გადაარჩინა საქარ-

თველო სრულ დალუპვასა და განადგურებას, ვინც მათთან ერთად გააერთიანა ქართველი ერი და საბოლოოდ გამოიხსნა კიდეც იგი რუსული იმპერიის მარწუხებიდან და უჩვენა გზა ნამდვილი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ.

გენიალური ქართველი მთარგმნელი, ქართული ჟურნალისტიკის ერთ-ერთი დედაბოძი, ერთ-ერთი მესვეური იმ ეროვნული ქართული ბანკისა, რომელმაც იხსნა ქართული მიწა-წყალი გაყიდვისა და განიავებისაგან, - დღეს იმკვიდრებს საუკუნო განსასვენებელს მთაწმინდის სავანეში.

დალუპვამდე ცოტა ხნით ადრე, ივანე მაჩაბლისათვის ოპერაციის დროს ამოჭრილი ამ წმინდა ნაწილების - ნეკნის ძვლების მთაწმინდის კლდის სანაწილე - ძვალთშესალაგში დასვენებამ იქნებ ოდნავ მაინც მოაშუშოს გენიალური მთარგმნელისა და დიდებული საზოგადო მოღვაწის დაკარგვით გამოწვეული სულიერი ჭრილობა და დღეიდან სხვა დიდი ქართველი მამულიშვილების გვერდით, მთაწმინდაზე გვექნება ადგილი ივანე მაჩაბლის ხსოვნისა და თაყვანისცემისა.

„მთაწმინდა გულში იხუტებს საშვილიშვილო სამარეს!..“

...აქვე გვსურს, გაუწყოთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, მშობლიურ სოფელ თამარაშენში აღდგება უკეთურთა მიერ ბარბაროსულად აფეთქებული ივანე მაჩაბლის ისტორიული სახლი, დედაქალაქის მერიის ძალისხმევით, წელს თბილისში გაიხსნება ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობა „მერანი“ შეუდგება რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ მომზადებულ ივანე მაჩაბლის თხზულებათა სრული აკადემიური კორპუსის გამოცემას!

ქართველი ერი არ ივიწყებს თავის საუკეთესო შვილებს!

დიდება ივანე მაჩაბლის წმინდა სახელს და საქმეს!

გურამ შარაძე

საშინელია დევნილის ხვედრი. ნისლიანი ჟამი შეიძლება ეწოდოს დროის იმ მონაკვეთს, სამაჩაბლოელებმა რომ განვლეს წინაპართა სამკვიდროს იძულებით დატოვებიდან დღემდე. „გათიშე და იბატონე“ - ამ ვერაგმა პოლიტიკამ მშობლიურ ცხინვალში „ლიახვს“ არტახები შეუკრა... სამაჩაბლოს ცრემლიანი მუზა ფარ-ხმალს არა ჰყრის, ბობოქრობს, პატარა „ლიახვის“ კვალზე კალაპოტი გაჭრა ფართო შემოქმედებამ - მწერალთა კავშირის ცხინვალის რეგიონის განყოფილებამ.

დრო მიდის... მძლავრობს მოგონებანი გარდასულ დღეთა...

„მოგესალმები, ჩემთვის სათაყვანო „ქრცხილნარო.“

დღე მშვიდობისა, ჩემო ნატვრის ქალაქო!

დღემზეობა, მრავალჭირნახულო ცხინვალო!

დაუვიწყარო ყველასათვის, ვინც ცოტა ხნით მაინც დარჩენილა შენს მიდამოებში.

ბუმბერაზი მთებითა და გიჟმაჟი ლიახვით შემკულო, ლურჯი ცით თავდახურულო.

გულზვიადი კავკასიონისა და ბრუტსაბძელას თეთრი ქათიბით დამშვენებულო.

ქართული კულტურის დიდი მოამაგის - ივანე მაჩაბლის სავანევ.

აკადემიკოსების: ქრისტეფორე არეშიძის, შალვა ხიდაშელისა და ტარიელ სართანიას საყვარელო ადგილო, როგორც სულმნათი შალვა ხიდაშელი იტყოდა: „ცხინვალო, ჩემო ცხინვალო!“

ასფაგურ მეფის დანათლულო ქალაქო.

2000 წელიწადზე მეტი ხნის უტყუარო ისტორიის მღაღადებელო!“

გორელ მხცოვან მეცნიერს გიორგი ჩიტაიას ასე ენატრება ლიახვისპირა ქალაქი:

„მქონდა ბედნიერება, წლების განმავლობაში მემუშავა ცხინვალში:

ოთხი წელი - პედაგოგიურ ინსტიტუტში.

თორმეტი წელი - საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ცხინვალის ფილიალში.

რვა წელიწადი ვიყავი პედინსტიტუტის სახელმწიფო გამოცდების თავმჯდომარე - ქალაქში „პედს“ რომ ეძახდნენ.

დღესაც ვერ გელევით, ცხინვალო და ცხინვალელებო.

ახლაც სამსახურებრივ დაკავშირებული ვარ გორში დევნილ ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტთან, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ცხინვალის ფილიალთან.

ხშირი სტუმარი ვარ დევნილი გაზეთის რედაქციების, ივ. მაჩაბლის სახელობის ცხინვალის სახელმწიფო დრამატული თეატრის, ფეხბურთის ფედერაციის.

მოგონებები...

მოგონებები გარდასულ დღეთა.

მალე შინ შეხვედრამდე, ჩემო ცხინვალო!..“

დევნილობამ, ყველა ჭეშმარიტ ცხინვალელს, დიდი, პატარა ლიახვისა თუ ფრონეს ხეობელებს, განსაკუთრებით კი შემოქმედ ადამიანებს, მრავალ განსაცდელთან ერთად, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, სიკეთეც მოგვიტანა. უპირველესად, სრულიად საქართველოს დაანახვა ჩვენებურის სახე, გააცნო და წარმოაჩინა მისი ისტორია, ინტელექტი და ა.შ.

- გორში დროებით მცხოვრები ცხინვალელები ბევრ სასარგებლო საქმეს ემსახურებიან. მარტო რად ღირს ის ფაქტი, რომ უკვე ლიტერატურული გაზეთიც გვაქვს. ადამიანებზე ნაკლები გაფრთხილება არ სჭირდება ამ საუნჯეს. ვნატრობ იმ დღეს, როცა ძლიერნი ამა ქვეყნისა, მორიგდებიან ბოლოს და ბოლოს. ადამიანებს დაგვრთავენ უფლებას ადამიანურად ცხოვრებისა. საშუალება მოგვეცემა დავუბრუნდეთ მშობლიურ ქალაქს, რათა ავაშენოთ ჩვენი სამკვიდრო ისეთი, როგორზეც გვიოცნებია.

წინ ცხინვალია, დიდი საქმეები გველის. დრო თავისას მოიმოქმედებს. გვეშველება ყველას, ქართველსაც, ოსსაც, - ამბობს სამაჩაბლოელი პოეტი შოთა დარბუაშვილი.



შემოქმედებითი ტაძარი

შემოქმედებითი ტაძარი - ეს ნაგებობა ჩვენი წინაპრების ნახელავი ისტორიული ძეგლი როდია. იგი ცხინვალიდან მეჩვიდმეტე კილომეტრზე მდებარე უძველეს სოფელ კულბითში ააგო იქაური ჭილაშვილების ერთ-ერთმა თანამედროვე შთამომავალმა ვალიკო ჭილაშვილმა. ის მარტოდმარტო შესდგომია მშენებლობას. ქვეყნის რთულ ვითარებაში, უსახსრობის მიუხედავად, ფარ-ხმალს არ ყრის, შეძლებისდაგვარად ასრულებს სხვადასხვა სამუშაოს. „ნაღველი, მოწიწება შეგიპყრობთ შენობის ფასადზე გაკრული, თუთიაში გამოკვეთილი წმინდა ნინოს, ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის და შოთა რუსთაველის სახეების ხილვისას. აგაფორიაქებთ აქ, ავტორის მიერ ძველ ქართული ასოებით გაკეთებული წარწერები: სიყვარული, ერთგულება, სიმტკიცე შენებისა, რწმენა, სათნოება...

ნაგებობაში გამოხატული ავტორის იდეა ასეთია - მარცხენა კოშკი ციხე-სიმაგრის მსგავსად ქონგურებით არის დამთავრებული და მატერიალიზმის, მიწიერის საბოლოოდ მიუჩნევია, ხოლო მარჯვენა - უფრო მაღალი, ცისკენ მიმართული, რო-

მელსაც ეკლესიასავით გვირგვინი ადგას და ჯვრით მთავრდება, ზეციურისაკენ, სიწმინდისაკენ მისწრაფების სიმბოლოდ დაუსახავს.“

რაც შეეხება ორ კოშკს შორის, იქ ფართო დარბაზია და ბეტონის სცენით მთავრდება. სიმყუდროვისთვის კი კედლები აგურითაა მოპირკეთებული, გაკეთებულია ნიშნები ბარელიეფისა და გორელიეფის დასადგმელად. სცენის ბოლოს მოხვეული კიბე მიემართება მეორე სართულზე, სადაც მშენებლობა დასამთავრებელია.

„რა ხელმა ააგო,“ როგორ შეძლო მარტოდმარტო ახალგაზრდა კაცმა ამ გრანდიოზული სამუშაოების შესრულება. ვალიკო ჭილაშვილს, რომელსაც თბილისის სამხატვრო აკადემია და თეატრალური ინსტიტუტი აქვს დამთავრებული, ძირითადად მშობლიურ სოფელშია მეუღლესთან, ასევე ხელოვან თამარ ასანიძესთან ერთად, „ნათელი მიზანი აქვს - მისი სურვილია სოფლის მოზარდ თაობაში აღმოაჩინოს და განავითაროს შემოქმედებითი ნიჭი. აქ დაიდგმება სპექტაკლები, გაიმართება პოეზიის საღამოები. ბავშვები ისწავლიან ხატვას, ძერწვას, ხალხურ რეწვას, მოეწყობა მათი ნამუშევრების გამოფენა...

რას იფიქრებდა ერეკლე მეორის ერთგული გლახო ჭილაშვილი, რომელსაც მეფემ ამილახვრობა უბოძა, რომ მისი ოთხი შვილიდან - ოთხივე გენერალი იყო - ერთ-ერთს კულბითის ციხის მართვას დაავალებდნენ, ეს უკანასკნელი კი შეირთავდა რა იქაური ჩერქეზიშვილების ქალს, სამუდამოდ დამკვიდრდებოდა კულბითში.“

ამ ცოდვა-ბრალით დამძიმებულ საწუთროში, ჩვენი გადარჩენა მშვენიერებისაკენ სწრაფვაშია... როცა კულბითელი ხელოვანი სოფლის ღვთისმშობლის ეკლესიაში სანთელს ანთებს, გრძნობს, რომ უხილავ კავშირშია თავის წინაპრებთან, მოდგმასთან. მათგან გადმოცემული მუხტი კი ძალას აძლევს და სიკეთის ქმნისაკენ, თავის გამოხატვის მცდელობისაკენ მიმართავს.

დევნილი გაზეთის მოქმედების ძირითადი ორიენტირი მიმართულია ოს-ქართველთა კონფლიქტის მშვიდობიანად, ცივილიზებული მეთოდით მოწესრიგებისათვის. ასე, მაგალითად, ერთ-ერთ საგაზეთო კორესპონდენციაში ცოცხლდება ახლო წარსულში ქართველებისა და ოსების მშვიდობიანი თანაცხოვრების მოვლენები. კერძოდ, 1974 წლის ნოემბრის მზიანი დღე, როცა ადგილობრივი მთავრობის, ოსი მწერლებისა და ხელოვნების მუშაკთა მოწვევით ცხინვალს ესტუმრნენ საქართველოს გამოჩენილი ადამიანები - ლიტერატურის, მუსიკის, თეატრის, კინოს ცნობილი მოღვაწენი: საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი თ. ბუაჩიძე, მდივნები ბ. ჟღენტი, ნ. დუმბაძე, ი. ნონეშვილი, პოეტები კ. კალაძე, ლ. სულაბერიძე, კომპოზიტორთა კავშირის საპატიო თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ა. ბალანჩივაძე, კომპოზიტორი ვ. აზარაშვილი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, უკრაინისა და საქართველოს რესპუბლიკების სახალხო არტისტი დ. ალექსიძე, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ა. ვასაძე, ცნობილი კინომსახიობი დ. წეროძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ბ. კობახიძე, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ს. დოლიძე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენლები, გამოჩენილი მწერლები ა. გიგუა, ბ. გურგულია, ჯ. ჯანელიძე, ჯ. ჯაყელი, ზ. გორგილაძე, მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების მდივანი ა. ყურაშვილი, პოეტი ზ. კუხიანიძე და სხვები.

აღნიშნული აბზაცი თითქმის უცვლელადაა ამოღებული 1974 წლის 30 ნოემბრის ცხინვალის ქართულ გაზეთ „საბჭოთა ოსეთში“ გამოქვეყნებული ვრცელი მასალიდან, რომელიც შესაბამისი ფოტოსურათებით ამ შეხვედრის შესახებ მოგვითხრობს. „უდავოა, ამ მოვლენას თან სდევს მეგობრობისა და

გულთბილი დამოკიდებულების გამომჟღავნება. მრავალი კეთილი სიტყვა ითქვა ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობაზე, წარსულზე. შესანიშნავად გამოხატა თავისი განწყობა მაშინ სახელოვანმა ოსმა პოეტმა გიორგი ბესთაუთმა - ქართველი ხალხის დიდი სითბო და ამაგი მე პირადად განვიცადე. ბედმა მარგუნა ვზიარებოდი ქართულ კულტურას: აღვიზარდე ქართულ სკოლაში, შემდეგ ჩემს სულში გონების ლამპარი აანთო ქართულმა უნივერსიტეტმა...

პოეტი სიყვარულით მიესალმა თავის ყოფილ პროფესორებს ბესარიონ ჟღენტს და თენგიზ ბუაჩიძეს. შემდეგ წაიკითხა ლექსი „ანდერძი" და რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" შესავლის საკუთარი თარგმანი."

მართლაც რომ დღევანდელობას მიესადაგება საქართველოს მწერალთა კავშირის მაშინდელი ხელმძღვანელის თენგიზ ბუაჩიძის სიტყვები: დღეს კიდევ უნდა გადავუშალოთ გული ერთმანეთს, ვუთხრათ გულისნადები, ვიზრუნოთ ხვალინდელ დღეზე, ჩვენს მომავალ კულტურულ ურთიერთობაზე.

ალბათ, „ხვალინდელი დღე ყველაზე მთავარი საფიქრალია ამჟამად. ინტელიგენციას განსაკუთრებული როლი მართებს ორ ხალხს შორის დაწყვეტილი ხილული თუ უხილავი კავშირების აღდგენაში. ლიტერატურამ, ხელოვნებამ თავისი ენით უნდა მოახდინოს ზეგავლენა ადამიანების სულზე და ხელი შეუწყოს ბნელის გაფანტვას, სიკეთის აყვავებას, სწრაფვას მშვიდი, ნორმალური ცხოვრებისაკენ."

ცხინვალის რეგიონს ქარიშხალმა გადაუარა, დაგვიტოვა ცრემლი, ღია ჭრილობები. წუთისოფლის სისასტიკემ დაღალა ადამიანი. „სულს მოენატრა მშვენიერებით თავდავიწყება. ამიტომ მძლავრობს დღეს სიყვარულზე ილაპარაკოს, სიყვარულში განქარდეს.

ზმანებასავით დგება თვალწინ პატარა ქალაქის ძველი უბანი, სადაც წლების წინ დაიბადა ტყუპი გოგონა და მაშინ არავინ იცოდა, რომ ერთ-ერთ მათგანს, დღეს პოეტსა და დრა-

მატურგს მზია ხეთაგურს, თანდაყოლილი ჰქონდა მიწისა და ადამიანების უსაზღვრო სიყვარული.“

ცხინვალი მზია ხეთაგურის საფიცარია. თბილისში მცხოვრებს არაერთხელ აუფორიაქა სული, მოუხმო ლიახვისპირა ქალაქმა:

„სად, სად გაფრინდა ორი გოგო თავგამეტებით,
ჩემი კისკისა სალიმა და მზისფერი ზარა,
ჩემი ბავშვობის დობილები, თეთრი პეპლები.
ცხინვალის ქუჩებს მოჰკლებია მაღალი კაციც,
ობლად წრიალებს მისი სკოლის ვეება ზარი...
ძვირფას საფლავებს ზღუდრის თავზე ათოვს და აწვიმს,
ამ გ ზით შემოდის ჩემს ქალაქში ყოველი მგ ზავრი.“

შემოქმედი ქალბატონი არცთუ იშვიათად ბავშვობის ტყვეობაშია:

„ველარ ჩათავდა ჩემი ბავშვობა,
ველარ მოვშორდი ფერად იმედებს,
შუშის სამელნე უკვე ამოშრა,
გასაუქმებლად ვერ გავიმეტე.“

ზოგჯერ აფიქრებს ამ ქვეყნად დასალიერი, ახალ სამყაროში გადასახლებაზე ფიქრი მასში თავისებურ ემოციებს წარმოშობს:

„მუხლი მოიყარეთ,
მერე მიწას, როგორც ჩემს მკერდს –
ყური დაადეთ, რომ გაიგონოთ უხმო ვედრება:
წვიმა და თოვლი ჩამომიგ ზავნეთ,
ხოშკაკალა ჩამომიგ ზავნეთ,
ცისარტყელა ჩამომიგ ზავნეთ.“

ცხოვრების კანონზომიერების „ეს გამონაშუქი თავის გზას პოულობს გულებში, თავის სითბოთი ავსებს ადამიანებს და პოეზიად ჟღერს თავად სახელი და გვარი - მზია ხეთაგური. რჩება სურვილი, კიდევ დიდხანს იჟღეროს ამ ხმამ სხვა ხმათა შორის.“

- ყოველთვის მიკვირდა (დღეს აღარ მიკვირს) თუ რატომ ტოვებდნენ ჩვენს კოპწია ცხინვალს ცნობილი ადამიანები. რას

ვერ იტევდნენ მისი ლამაზი, მშვიდი ქუჩები, ნუთუ ნიჭიერებას?!

ერთი მათგანი ვინც ვერ ჩაეწერა იმ რეალობაში, რასაც გასული საუკუნის 70-იანი წლების ცხინვალი ერქვა, გახლდათ მზია ხეთაგური, - ამბობს ცხინვალელი შემოქმედი შოთა დარბუაშვილი და იქვე იხსენებს მისი დაუდგრომელი მოღვაწეობის ერთ-ერთ ეპიზოდს:

80-იან წლებში პოეტმა მზია ხეთაგურმა ცხინვალში უმასპინძლა მოსკოველ მწერლებს. სტუმართა შორის გამოირჩეოდა სირიელი პოეტი აიმან აბუშაარი. სამშობლოში მაიაკოვსკად წოდებულ პოეტს სირიის ხელისუფლება დევნიდა, რადგან აიმანი კომუნისტი გახლდათ და, ჩემის აზრით, საკმაოდ გამბედავი პიროვნება იყო.

რევოლუციური იდეების გამო, აიმან აბუშაარი საბჭოთა კავშირში ემიგრაციაში იმყოფებოდა. იმ პერიოდში მოსკოვში გამოიცა მისი პატარა პოეტური კრებული, რამაც პოეტს პოპულარობა მოუტანა. მაშინ პირველად მოგზაურობდა საქართველოში, აღფრთოვანებული იყო ჩვენი ქვეყნით, ხალხით. ერთი კი შევნიშნე, მაინცდამაინც არ ესმოდა რატომ გვსურდა საბჭოთა კავშირიდან გამოყოფა...

მოსკოველ სტუმართა შორის გამოირჩეოდა ცნობილი დრამატურგი, აწ გარდაცვლილი ვლადიმერ კასმაჩევსკი. მაღალი, წვერმოშვებული, დიდბუნებოვანი, კეთილი რუსი. ქართველების მოყვარული, დამფასებელი. დანარჩენების გვარ-სახელებს ვერ ვიხსენებ. ერთ-ერთი ქალბატონი, თუ არ ვცდები, ჩვენი მზიას მთარგმნელი გახლდათ. იმ ხანებში მოსკოვში მზია ხეთაგურის პოეტური წიგნი გამოიცა. ერთი სიტყვით, ჩინებული დრო იყო. ცხინვალური ზაფხულის ზომიერი, არაჩვეულებრივი დღეები იდგა.

სუფრა თედიაშვილების სტუმართმოყვარე ოჯახში გაიშალა. იყო ჟამი... ქართული სიმღერები, და ყოველივე, რაც განუმეორებელს ხდის ქართულ სუფრას და კიდევ საინტერესო საუბრები, პეტერბურგის საუკეთესო სალონებსაც რომ შეშურდებოდა...

მეორე დღეს, ზაზა თედიაშვილის დედის - ნელი ლომიძის დედულეთს, - ნიქოზს ვესტუმრეთ.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, კირიონის ღვიძლი ნათესავია ქალბატონი ნელი. ნიქოზში, ამ დიდი მამულიშვილის ოჯახში, კიდევ ერთხელ მოვაწონეთ თავი უცხოელ სტუმრებს. ბატონმა გია საძაგლიშვილმა დიდებული მასპინძლობა გასწია...

ღამით დავბრუნდით ცხინვალში. აიმან აბუშაართან ერთად გვიან ღამემდე დავსეირნობდით ლიახვისპირა ქალაქის წყნარ ქუჩებში. ღვინისგან გადაღლილ პოეტს სუფთა ჰაერზე გავლა ესიამოვნა. გმირების ქუჩაზე, ჩემს სახლთან, ჩემს მიერ დარგულ ტირიფთან დიდხანს ვისაუბრეთ.

ტირიფის დარგვა ფანჯრის წინ არ ვარგა, დარდი იცისო, - მითხრა პოეტმა და ალბათ იწინასწარმეტყველა... რამდენიმე წლის შემდეგ, ლექსად დავწერე:

„ასე მახსოვხარ, ტირიფთან ვდგავართ,
ჩუმად მაჩერებ ხელით:
„დღეს საქართველო სევდიანია,"
მეუბნები და თვალს გიმკობს ცრემლი."

ბევრია მოსაგონარი, ჩვენს თვალწინ შეიცვალა დრო. ახალ დროში, ძველი მეგობრები გვენატრებიან...

ნახევარი ცხოვრების გზაგავლილ პოეტ მზია ხეთაგურს, საქართველოს მწერალთა კავშირის ცხინვალის რეგიონულმა განყოფილებამ, გორში მოუწყო (1996 წ.) პოეზიის საღამო. იუბილარს მისალოცი ბარათი გამოუგზავნა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გურამ ფანჯიკიძემ: „სიხარულით შევიტყვე, რომ დღეს გორის საზოგადოებრიობა აწყობს თქვენი პოეზიის საღამოს. მჯერა, რომ ეს შეხვედრა ჭეშმარიტ მწერლობასთან ზიარების კიდევ ერთი დასტური იქნება. თქვენი შემოქმედება ხომ განუყრელად არის დაკავშირებული ამ კუთხესთან. თქვენ დიდი ხანია ცდილობთ ორ მოძმე ხალხს, ქართველებსა და ოსებს შორის პოლიტიკურ

ავანტიურისტთა წყალობით ჩატეხილი ხიდის აღდგენას, ორივე ხალხის შვილი ხართ და ორივე ხალხის გულშემატკივარი.

მჯერა, რომ დღევანდელი საღამოც ადამიანთა შორის მშვიდობის, ურთიერთგაგების, სათნოებისა და სიყვარულის დამკვიდრებას შეუწყობს ხელს.

ვწუხვარ, რომ გადაუდებელი საქმეების გამო, თქვენთან არა ვარ..."

ᲗᲕᲐᲚᲬᲐᲠᲛᲢᲐᲪᲘᲐ ჩვენი მხარე - საოცარი. ორბოძალას მთა ცხინვალის რეგიონის პატარა ლიახვის ხეობაშია, რომელიც უძველეს ციხე-ქალაქ კულბითის უკიდურესი აღმოსავლეთ საზღვარია. იქ მისვლა ახლაც ჭირს, ვახუშტი ბატონიშვილის დროს კი, ალბათ, უძნელესი იქნებოდა. მაღალი - ზღვის დონიდან 1953 მ. მთის თხემზე ასასვლელად დაბურული ტყის ბილიკის გავლა იყო აუცილებელი. ვახუშტიმ შეძლო ამ სიმაღლის დაძლევა და დაწვრილებით აღწერა ორბოძალას მთა: „ორბოძალი არის თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი, ნადირიანი. ამ ორბოძალასა ზედა არს ბალახი, უკეთ მოძოოს არამუნებურმა ცხენმა, მასევე წამს მოჰკლავს, აგრეთვე თივაცა მისი მოაკვდინებს. და არს ესე ბალახი ამ მთებთა ზედა ყოველგან მრავალი და მივალს ესე ორბოძალი, ვიდრე ბენდერის მთამდე" (ქართლის ცხოვრება, IV).

ლიახვისპირელი შემოქმედის, გივი თუხარელის თქმით, ორბოძალას მთას ახლაც იყენებენ საძოვრად, ამზადებენ თივას. „ერთხელ, როცა იქ მთიბავები შევნიშნე, ავედი მათთან... შეისვენეს და დაინტერესდნენ ჩემი მისვლით. მე ვუთხარი, რომ აქ თურმე რაღაც ბალახია, რომელიც პირუტყვს კლავს. მისი თიბვაც მავნეა, რატომღა თიბავთ-მეთქი? - მეგონა, ამ ახალი ამბით გავაკვირვებდი, მაგრამ მათ შორის უფროსმა შორა ბესთაევმა მშვიდად მიპასუხა:

- მართალია, არის ასეთი ბალახი, მაგრამ განა აქაურ პირუტყვს კლავს... აქაური პირუტყვი არ ჭამს ამ ბალახს. სხვა კი მიუჩვეველია და ეტანება. ამიტომაა, რომ აქ ჩვენი პირუტყვი თავისუფლადაა გაშვებული. ქართლის სხვა სოფლებიდან

საზაფხულო საძოვრებზე მოყვანილ პირუტყვს კი აქეთ არ ვუშვებთ, ასეთი ბალახი, ჩვენ რომ „ტყის ქოჩორას“ ვეძახით, მხოლოდ აქ, ორბოძალაზეა, - მიპასუხა ისევ შორა ბესთაევმა. ახალგაზრდა ბიჭებს უკვე მოეტანათ „ტყის ქოჩორა.“ იგი წვრილფოთოლა ხვართქლის მსგავსი მცენარეა.“

ლიტერატურული გაზეთის ფურცლებზე სათანადო ასახვას ჰპოვებს ქართველი და ებრაელი ხალხის საუკუნოვანი თანაცხოვრება და მეგობრობა.

ცხინვალი, - ქალაქის ძველი უბანი, თავის ვიწრო, ჩიხა-მახა ქუჩებით, ებრაელთა დასახლებით.

წლები, ღირსსახსოვარი წლები...

ქართველთა და ებრაელთა თანაცხოვრების, მეგობრობით, ერთურთის პატივისცემისა და სიამტკბილობით მარად გაუხუნარი დრო-ჟამი...



აბრამ მამისთვალოვი - თამარ მამისთვალოვი-კეზერაშვილი

რაბი იცხაკ მამისთვალოვი, ცხინვალელი ებრაელი. კაცი - სწავლული, კაცი - ფრიად მორწმუნე, ძველი ებრაული დამწერლობის ძვირფასი საუნჯის თეჰილიმის მთარგმნელი. იქ, ცხინვალში, მის ოჯახში დაიბადა და აღიზარდა ორი შემოქმედი - აბრამი და თამარი.

აბრამ მამისთვალოვი - განათლებული, წიგნიერი, პოეტი და მწერალი, წლების მანძილზე ცხინვალის ქართული გაზეთის რედაქციის შეუცვლელი სტილისტი. მის ხელში გავლილ წერილებს, რომ იტყოდნენ, წყალი არ გაუვიდოდა. ამიტომაც რედაქტორი თვალის ერთი გადავლებით, ხშირად რედაქტირების გარეშეც აგზავნიდა სტამბაში.

ცხინვალში გამოვიდა მისი პირველი რომანი „ხლართები," რომელმაც მკითხველთა ფართო აღიარება ჰპოვა.

თამარ მამისთვალოვი-კეზერაშვილი, ცნობილი ქართულენოვანი მწერალი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე. მოსეს ხუთწიგნეულის ქართულ ენაზე ერთ-ერთი მთარგმნელი.

სოხუმში გამოიცა მისი მოთხრობების პირველი წიგნი.

სამოცდაათიანი წლების დასაწყისი. ჩამოდგა ჟამი საქართველოსგან განშორებისა. რაბი იცხაკის მონაგრებიც ისტორიულ სამშობლოში ბრუნდებიან.

მას შემდეგ, დრო კი გასულა. ჟამთააღრიცხვის კალენდარი 1997 წლის დასალიერს მიგვანიშნებს:

ბატონი აბრამი სამოცდათხუთმეტი წლისაა!

ქალბატონი თამარი - სამოცდახუთის!

ცხინვალის რეგიონის მწერლები, ჟურნალისტები, მრავალრიცხოვან ნაცნობ-მეგობრებთან ერთად, გულითადად, საუკეთესო სურვილებით მიესალმებიან იუბილართ.

ჩვენო აბრამ!

ჩვენო თამარ!

საქართველოს მწერალთა კავშირის ცხინვალის რეგიონული განყოფილება და გაზეთ „ლიტერატურული ცხინვალის" რედაქცია თქვენი მრავალფეროვანი შემოქმედებითი წინსვლის თანაზიარია.

და - ძმას, ორ დაუღალავ შემოქმედს, საიუბილეო თარიღებს გილოცავთ!

დაე, საქართველოდან შორს გატყორცნილ თქვენს სახელებს კვლავაც ძალუმად ეხმიანოს ისრაელში, ქართველი და ებრაე-

ლი ხალხის ძმობის სადიდებლად.

გამარჯვება, მშვიდობა და შალომ თქვენს დაუდგრომელ მოღვაწეობას!

ქართულ მიწაზე იყოს მშვიდობა! ისრაელში კი - მუდამ შალომი! - ასეა დასათაურებული სპეც. გვერდი, რომლის შესავალ წერილში ვკითხულობთ: „დრო, ჟამთრბოლა... ჭირსა და ლხინში გავლილი უსასრულო წლები...

26 საუკუნე - ქართველი და ებრაელი ხალხის ბედის ბორბალის ტრიალში ნაწრთობი მეგობრობა.

ისრაელი - ჩვენგან ჩასულ ებრაელთა ქართული კულტურის წარმოჩენა, რუსთაველის საზოგადოების აღმავლობა, მეგობრობის სიმბოლოდ აღმართული მემორიალი იმ ფასდაუდებელი ამაგისთვის, რაც ქართველობამ გასწია სამშობლოდან გადმოხვეწილი, გამწარებული ადამიანებისთვის.

ისევ გრძელდება ამ ორი კეთილშობილი ხალხის ურთიერთგაგება. კვლავაც მძლავრობს სიყვარულის ფესვები აქ, სტუმართმოყვარე ივერიელთა სამკვიდროში - საქართველოში და იქ, უძველესი ტრადიციების მქონე ქვეყანაში - ისრაელში.

საქართველოდან სამშობლოში ჩასულ ებრაელებს ახარებთ წინაპართა სამკვიდროს ხილვა, მაგრამ საქართველო ძილში აბოდებთ:

„ასრულდა ჩემი დიდი ხნის ნატვრა,
მამა-პაპათა მიწა ვიხილე,
„გოდების კედელს“ ვემთხვიე კრძალვით,
სევდა, ნაღველი გულს ჩავიხვიე.
ვნახე ღვიძლი ძმა და ახლობლები,
ო, გმადლობ, ღმერთო, მზეო, ნათელო,
ყველანი კარგად არიან, მაგრამ
ძილში აბოდებთ მათ საქართველო.“

ქართველ ებრაელებს წმინდა მიწაზე თან წაუღიათ გულში ვაზივით ჩახლართული ივერიელთა სიყვარული, შეუპოვარი ქართული სული:

„იქ ამ ჰაერით სუნთქავენ კიდევ,
ვერ დაიჯერებთ, რის ვარ მნახველი,
აქ იყვნენ როგორც ებრაელები,
იქ კი ცხოვრობენ, როგორც ქართველნი.“

ისინი, მონატრებული ნახვით, ქართველებს კვლავაც ამ ორი შეხმატკბილებული ერის ტრადიციული ერთობისაკენ მოუხმობენ:

„იყოს ჩვენს შორის კვლავაც ერთობა,
მონატრებული ნახვა, სალამი,
აქ ჩვენ დავიცავთ ძველ ქართულ მიწას,
იქ შეგვინახონ შოთას საფლავი.

.....

გამრავლდეს შოთა, ილია, საბა,
იქ კიდევ აბრამ, იცხაკ, შარონი,
ქართულ მიწაზე იყოს მშვიდობა!
ისრაელში კი მუდამ „შალომი!“

გაზეთის ამავე გვერდში წარმოდგენილია ცნობილი ებრაელი ჟურნალისტის, მწერლის, მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის თამარ მამისთვალოვი-კეზერაშვილის ორი მოთხრობა. იგი სამ ათეულ წელზე მეტია, მოღვაწეობს ჟურნალისტიკის სფეროში - მუშაობდა აფხაზეთის ადგილობრივ და რესპუბლიკურ გაზეთებში. იყო საქართველოს ტელევიზიის საკუთარი კორესპონდენტი აფხაზეთში.

1973 წელს სოხუმში გამოიცა თამარ მამისთვალოვის მოთხრობების პირველი წიგნი. ისრაელში ჩასვლის (1975 წ.) შემდეგ, მუშაობდა ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ჩასულ ებრაელთა გაერთიანების ქართული სექციის გამგედ და თანამშრომლობდა ქართულენოვან ჟურნალ-გაზეთებში. 1982 წლიდან ისრაელის რადიოს ქართულენოვანი გადაცემების რედაქციას ხელმძღვანელობდა. 1987 წელს თელავივში გამოიცა მისი მოთხრობებისა და ნოველების კრებული „მოლოდინი.“

გაზეთში დაბეჭდილ ერთ-ერთ მოთხრობაში შემაძრწუნებლადაა ასახული ცხინვალის ზღუდრის გვერდის სასაფლაოზე ასული შვილმკვდარი დედის სახე: „...როგორც იქნა, მიაღწია დედამ შვილის საფლავამდის. რკინის პატარა კარი გამოაღო და გულმხურვალედ დაეკონა სიპ ქვას... ქვა გადაწმინდა, გააპრიალა და გარშემო მიმობნეული ფოთლები მოხვეტა. ეს ფოთლები ტყემლის ხეს ცვიოდა, საფლავის თავთით რომ ამოსულიყო თავისით... დედამ თვალები დაისია ტირილით... მის თავს ზემოდ მწიფე ტყემლით დახუნძლული ტოტი ნაყოფის სიმძიმისგან იზნიქებოდა. ანგარიშმიუცემლად წაატანა ხელი ქარვისფერ ტყემალს, რამდენიმე ცალი მოწყვიტა და ხარბად შეექცა. რაღაც შვება იგრძნო. მოსულიერდა, ძალა მოიკრიბა. კიდევ მოუნდა ტკბილ-მჟავე ხილი. კიდევ მიწვდა ტოტს და ჰაერში გაუჩერდა ძლიერი მღელვარებისაგან ათრთოლებული ხელი...

- მოგიკვდეს დედაი, შვილო! რა გავაკეთე, ეს ხომ შენს სხეულზეა ამოსული. ამ ტყემალმა შენი ძვლებით ისაზრდოვა... და გულწასული დედა უგრძნობლად დაეცა საფლავის ქვაზე."

დევნილობის მძიმე დღეებში დღის სინათლე იხილა წიგნმა „მიხმობს, მეძახის," რომელშიც წარმოდგენილია ორი ლიტერატურული ჟანრი: პროზა და პოეზია. პროზის ავტორია ნელი ჩალაური, რომელსაც წიგნში წარმოუდგენია საინტერესო მინიატურები, ნოველები. მას „უფრო ფსიქოლოგიური ელფერი მოსავს და ეს გარემოება მის ავტორს საშუალებას აძლევს თავისი სათქმელი მკითხველს უშუალოდ და შთამბეჭდავად გააცნოს.

ნელი ჩალაურის შემოქმედებიდან გამოირჩევა „დედის თვალები სარკეში," „შეეფარე ზღაპარს," „ტყემალი ჰყვაოდა." აქედან, პირველ მოთხრობაში ორიგინალურად დახატულია დედის სახის აღმოჩენა ნაწარმოების ავტორის სახის მეტყველებაში, რომელიც სარკიდან ილანდება. ეს აღმოჩენა, მოთხრობის ფსიქოლოგიურსა და ინტუიციურ პლანში, უდავოდ საინტერესო საკითხავს ხდის."

კრებულის პოეზიის ჟანრში დაბეჭდილია რობერტ ოდიკაძის ლექსები. სხვათაშორის, წიგნის სახელწოდებაც „მიხმობს, მეძახის“ მისი ერთ-ერთი საყურადღებო ლექსის სათაურიდანაა აღებული. ეს შემთხვევით არ არის, რადგანაც ორივე ავტორის შთაგონებებისა და ტკივილის ობიექტი ცხინვალის რეგიონის დღევანდელი განუკითხავი მდგომარეობიდან გამომდინარეობს. „ლირიკული გმირის ეს შინაგანი ტკივილი და ამის საფუძველზე აღმოცენებული სამშობლოს ღრმა პატრიოტიზმი კარგად ჩანს თვით ლექსების დასათაურებაში და პოეტურ ლექსიკაშიც. აი, ისიც: „მიტოვებული ცხინვალი,“ „გვახსოვდეს მუდამ,“ „წავალ და მივეფერები,“ „ლტოლვილი გერქვა,“ „მელოდე, მოვალ...“ ლექსიდან - „ცეცხლის ენებმა შთანთქა ნაჯაფი,“ „ეზოს ნაღვერდალებად ქცევა“ და სხვა.“

ახლა, ერთი მთლიანი განწყობის შესაქმნელად მას მოვუსმინოთ:

„აიწეწება ფიქრის გორგალი,
შემომატარებს ლიახვს და ფრონეს,
მაჩაბლის მამულს, ღვთისგან კურთხეულს
ივერთ სამკვიდროს ვინ განაშორებს?!“

სამაჩაბლოდან დევნილ შემოქმედს სჯერა გამოდარებისა, მძიმე დღეების გაქარწყლებისა. დადგება დრო, რეალურად შეიქმნება პირობები ძალადმიტოვებულ მამულ-დედულში დაბრუნებისა:

„სოფელთან დამხვდება ვერხვები,
„საჯვარეს“ - ფარფატა მტრედები,
გა ზაფხულს იმედით ვეხვევი,
მხნედა ვარ, ჯერაც არ ვბერდები.“

კრებულში ასევე შესულია ცხინვალელი შემოქმედის პატარა მოცულობის ლექსები, „აქედან ზოგი საბავშვო თემატიკისა, ზოგიც სატრფიალო, ზოგიც საყოფაცხოვრებო-სატირულ-იუმორისტული შინაარსისაა. ყველაფერი ეს იმის მაჩვენებელია, რომ ავტორის ინტერესთა პალიტრა მრავალსახოვანია. მისი შემდგომი აღმასვლის დიდი თამასუქია.“

სამაჩაბლოდან დევნილი შემოქმედებითი ინტელიგენციის დიდი ძალისხმევითა და საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მხარდაჭერით, გორში დაარსებულ მწერალთა კავშირის ცხინვალის რეგიონული განყოფილების შექმნას ზარ-ზეიმით როდი შეხვდა ოსური მხარე. ამ მნიშვნელოვანმა მოვლენამ ჩვენი ოსი კოლეგა, ჟურნალისტი და პოეტი ეგნატ კუსრაევიც ძლიერ გააღიზიანა. „მწერალთა კავშირში ახალი წევრების მიღება და მათი პერიოდული ორგანოს - „ლიტერატურული ცხინვალის" დაარსება განხორციელდა ერთადერთი მიზნით - ახლად შექმნილი კავშირი დაეპირისპირებინათ სამხრეთ ოსეთის მწერალთა კავშირისთვის ანტიოსური ისტერიის კიდევ უფრო გასაღვივებლად. ამას მოწმობს „ლიტერატურული ცხინვალის" პირველი ნომრის (1996 წლის ივნისი) პირველ გვერდზე დაბეჭდილი საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის გურამ ფანჯიკიძის მილოცვა. იგი აღნიშნავს, რომ ოსური ენისა და კულტურის განვითარებისათვის საქართველოში ყველა პირობა არსებობდა განსხვავებით ჩრდილოეთ ოსეთისგანო. საქმე კი პირიქითაა. 1944 წელს სამხრეთ ოსეთის ოსურ სკოლებში აიკრძალა ოსურ ენაზე სწავლა და იქ ქართული გაბატონდა. ოსი მასწავლებლები ქართველებით შეიცვალნენ."

ეგ. კუსრაევი იქვე ღვარძლიანად დასძენს, რომ თითქოსდა კიდევ უფრო ცუდ დღეში აღმოჩნდა შემოქმედებითი ინტელიგენცია. ჩრდილოეთ ოსეთის თვალსაჩინო მეცნიერების, მწერლების, კომპოზიტორების, მსახიობების, სპორტსმენების დიდი ნაწილი ვითომდა სამხრეთ ოსეთიდანაა გამოსული. მათ სხვადასხვა დროს მიატოვეს მშობლიური მიწა-წყალი და ეს კარგი ცხოვრებით არ იყო გამოწვეული.

მილოცვის დასასრულს, გ. ფანჯიკიძე წერს, რომ გაზეთმა „ლიტერატურულმა ცხინვალმა" ხელი უნდა შეუწყოს არა მარტო ლიტერატურის განვითარებას რეგიონში, არამედ ქართველებსა და ოსებს შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენას.

საკითხავია, ნუთუ შესაძლებელია ურთიერთგაგების აღდგენა მსგავსი პუბლიკაციების შემდეგ, როცა ყველაფერი ოსურ მხარეს ბრალდება? არა მგონია. მით უმეტეს, როდესაც ამას ამბობს არა რომელიმე რიგითი მწერალი, არამედ, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე."

გაზეთ „იუჟნაია ოსეტიას" 7 აგვისტოს (1996 წ.) ნომერში ეგნატ კუსრაევის ავტორობით, ძალზე ხმამაღალი სათაურით „აი, ესეც თქვენ, პარალელი, ბატონო ფანჯიკიძევ!" გამოქვეყნებულ წერილს გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" (20-27 სექტემბერი, 1996 წ.) ფურცლებზე გამოეხმაურა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გურამ ფანჯიკიძე (გამოხმაურება გადმობეჭდა „ლიტერატურულმა ცხინვალმა"). იგი აღნიშნავს, რომ წერილი იმდენად გულუბრყვილოდაა დაწერილი, პასუხის გაცემად არ ღირდა, მაგრამ ბოლოს მაინც გადავწყვიტე, ბატონ ეგნატ კუსრაევის ბრალდებები უპასუხოდ არ დამეტოვებინაო. წერილი რუსულ გაზეთშია გამოქვეყნებული და ადვილი შესაძლებელია, ძვირფასი ეგნატეს ბრალდებებმა საქმეში ჩაუხედავ რუსულენოვან (ასევე ოს) მკითხველს თავგზა აუბნიოს. „პასუხს შედარებით ორ „მნიშვნელოვან" ბრალდებას გავცემ. მკითხველს ეს ორი ბრალდებაც თვალნათლივ დაარწმუნებს ეგ. კუსრაევის ბოღმიანი წერილის უბადრუკობასა და გულუბრყვილობაში.

ბრალდება პირველი: „მწერალთა კავშირის ახალი წევრების მიღება და მათი პერიოდული ორგანოს „ლიტერატურული ცხინვალის" დაარსება განხორციელდა ერთადერთი მიზნით - ახალშექმნილი კავშირი დაეპირისპირებინათ სამხრეთ ოსეთის მწერალთა კავშირისთვის ანტიოსური ისტერიის კიდევ უფრო გასაღვივებლად. ამ ბრალდებაზე, ბუნებრივია, გულიანად ვიცინე, მაგრამ, ეტყობა, პასუხის გაუცემლობაც არ ივარგებს... აგერ, წელიწადზე მეტი გავიდა, რაც ცხინვალის მწერლური ორგანიზაცია შეიქმნა. სად არის დაპირისპირება,

სად არის ანტიოსური ისტერია?! იქნებ ქვეყანა დაანგრიეს და ჩვენ არაფერი გაგვიგია?!"

რაც შეეხება მეორე ბრალდებას, უფრო სერიოზულია: „1944 წლიდან ქართველებმა აგვიკრძალეს სამხრეთ ოსეთში ოსურ ენაზე სწავლება!!!" ამ მხრივ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე ეგ. კუსრაევს შეახსენებს, რომ 1979 წლის აღწერით ავტონომიურ ოლქში მცხოვრები 65077 ოსიდან მშობლიურ ენას ფლობდა 64257 და მხოლოდ 820 კაცი ვერ ლაპარაკობდა მამა-პაპურ ენაზე. ასეთი მაჩვენებელი არ ყოფილა საბჭოთა კავშირის არც ერთ ავტონომიურ ოლქსა თუ რესპუბლიკაში. ეს მაშინ, როცა სულ სხვა, საპირისპირო მდგომარეობაა ჩრდილოეთ ოსეთში.

აქვე, გ. ფანჯიკიძეს მხოლოდ ის ციტატები მოჰყავს, ჩრდილოეთ ოსეთის ავტორიტეტულ წარმომადგენლებს რომ გამოუთქვამთ სხვადასხვა დროს. აი, რას ამბობდა 1989 წელს ჩრდილოეთ ოსეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი ა. გალაზოვი: „Национальную молодежь, к примеру, лишили ее родного языка. До прошлого года в Северной Осетии фактически не было ни одной школы с осетинским языком обучения, в городских уроки осетинского языка включались расписание факультативно. Всякое обращение к этим вопросам рассматривалось отдельнымы „деятелями" как покушение на интернациональные основы Советского государства."

და ამას დასძენდა არა ვინმე პროვოკატორი ქართველი, არამედ ა. გალაზოვი.

მეორე ვლადიკავკაზელიც ხმამაღლა დასძენდა: „В 60-е годы был проведен перевод всех осетинских школ на русский язык обучения. Считалось, что совершенное владение языком международного общения открывает путь к расцвету и сближению наций...

Нам нужна действительно национальная школа в том виде, в каком она прекратила существование сорок лет назад."

იმ დროს კი სამხრეთ ოსეთის 83 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლება ოსურ ენაზე მიმდინარეობდა.

ისიც საყურადღებოა, რომ სსრკ უმაღლესი საბჭოს III სესიაზე, საოლქო კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივნის გ. სანაკოევის განცხადებით, „1953 წლიდან მშრომელთა ერთსულოვანი მოთხოვნით, ოლქის სოფლის სკოლებში მე-5 კლასიდან, ხოლო ქალაქში პირველი კლასიდან სწავლა წარმოებს რუსულ ენაზე. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ბავშვების სწავლება რუსულ ენაზე შესანიშნავ შედეგს იძლევა. მოსწავლეები უფრო ღრმად ეუფლებიან მეცნიერების საფუძვლებს...“

ზემოდ მოხმობილი ციტატების შემდეგ, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე კომენტარებს აღარ აკეთებს, მაგრამ ეგ. კუსრაევს იქვე შეახსენებს: „არც ისაა ქართველების ბრალი, ოსურ გვარებს რუსული იერი რომ მიეცით. მე რამდენადაც ვიცი, ოსური გვარები ასე როდი ბოლოვდება - კუსრაევი, სანაკოევი, ბესთაევი... თქვენი ნებაა, თუ გნებავთ, ხვალიდან გვარები იტალიურ ყაიდაზე გადაიკეთეთ, ჩრდილოეთ ოსეთის დედაქალაქსაც კვლავ ვლადიკავკაზი ერქვას, ოღონდ ჩვენ ნურაფერს დაგვაბრალებთ.

რასაკვირველია, სხვანაირი პასუხიც შემეძლო გამეცა თქვენთვის, ძვირფასო ეგნატ, მაგრამ არ ღირს.

იქნებ სჯობდეს, ეშმაკს შევაფურთხოთ და ერთმანეთს კვლავ სამეგობროდ გავუწოდოთ ხელი!“

„იუჟნაია ოსეტიაში“ გამოქვეყნებულ ეგნატე კუსრაევის პასკვილზე, „ლიტერატურული ცხინვალის“ ფურცლებზე, ასევე გამოეხმაურა საქართველოს მწერალთა კავშირის ცხინვალის რეგიონული განყოფილება: „...პირველ რიგში, ოსი მკითხველის წინაშე ავტორის მხრივ უპასუხისმგებლოდ მიგვაჩნია მისი მცდელობა უარყოფითი საზოგადოებრივი აზრი შექმნას ქალაქ გორში დევნილი ქართველი ინტელიგენციის მიერ ჩამოყალიბებული საქართველოს მწერალთა კავშირის ცხინვალის რეგიონული განყოფილების შესახებ. ყალბად ჟღერს მოსაზრება, თითქოს ორგანიზაციის მიზანია ანტიოსური ისტერიის გაღვივება.

ავტორი თვალს ხუჭავს ყოველივე დადებითზე. ეს გამოიკვეთა როგორც მწერალთა საქმიანობაში, აგრეთვე მისი ორგანოს - „ლიტერატურული ცხინვალის“ ფურცლებზე. თუნდაც, ამავე პირველ ნომერში დაბეჭდილ სტატიებში - „გზა ჭეშმარიტებისაკენ,“ „ცხინვალის ცრემლები“ და სხვა.

დევნილი ქართველი ინტელიგენცია ყოველთვის მზადყოფნას გამოხატავს შეხვდეს ოსური მხარის ინტელიგენციას და აქტიური წვლილი შეიტანოს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების საქმეში. სამწუხაროდ, ეს არ იგრძნობა მოპირდაპირე მხრიდან. რაც შეეხება ყოფილ სამხრეთ ოსეთის ოლქში ქართველ მწერალთა გალაღებულ ცხოვრებას, ამის დასტურია ის, რომ იქ, მწერალთა კავშირის 33 წევრიდან მხოლოდ ერთადერთი იყო ქართველი.“

ასე რომ, ეგნატ კუსრაევის წერილის სათაურის წაკითხვისთანავე აშკარად იგრძნობა აგრესიულობა და მისწრაფება ქართველებსა და ოსებს შორის კონფლიქტის ვითარების ხელოვნურად გამწვავებისკენ. ერთი კი რეალურია, „სიკეთის აყვავება არასოდეს მოხერხდება, თუ მხოლოდ ცალ მხარეს ექნება ხელი სამეგობროდ გაწვდილი.

მარტო უარყოფითის ძიება ნიშნავს ტკივილისა და უბედურების გაჭიანურებას. საბოლოო ჯამში ხომ ეს ხედვაა სიბნელისაკენ?!“

მას შემდეგ, რაც ცხინვალის რეგიონში ცოდო-ბრალის კალო ილეწება, ბედკრულ დევნილ წინაპართა სამკვიდროში დარჩენილ ლიახვისპირელთა, ფრონესპირელთა თუ ქსნისპირელთა მეხსიერებაში მუდმივად ცოცხლდება პოეტი-აკადემიკოსის გიორგი ლეონიძის სტრიქონები იმ ტექსტიდან, რომელიც მან წაუმძღვარა თავის წიგნს „ნატვრის ხე:“ „დედის ჩაწვეთებულ ცრემლზე ია ამოდის! ასე იტყოდნენ ჩემს ყრმობაში. ჩემი სოფლის ტყის პირებში ყოველ გაზაფხულზე ია ბღუჯეულად ამოდიოდა. არემარე სულ მუდამ ლურჯად გადაიბურებოდა-ხოლმე. მე მეგონა მთელი ქვეყნის დედებს აქ უტირიათ, იმდენი ია ამოსულიყო ჩემი სოფლის მშვენიერ მიდამოებში.“

და, რა გასაკვირია, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის სისხლიანი დღეებიდან მოყოლებული, დევნილებსა თუ იქ დარჩენილებს, იის დანახვა დედის ცრემლის ასოციაციას იწვევს. თვალდახუჭულებსაც ზმანებაში ეძალებათ იით დაფარული წინაპართა სამკვიდრო - მგლოვიარე, ნაწამები... აკი ამიტომაც, ივერიელთა ამ ბებერ მიწაზე შეზრდილთა სულში თავისებურად აირეკლება თავს დატეხილი უბედურება. არც თუ იშვიათად მძლავრდება ისეთი ზეწოლა, რომ ადამიანს თავის დღეში კალმის და სტრიქონის დაწერა რომ არ უფიქრია, ტკივილით შეძრული გულის ძრწოლა ლექსად ჰქცევია და ქაღალდზე გადატანის სურვილიც გასჩენია. ეს ხომ ცხინვალის რეგიონიდან დევნილთა, - დიდი, პატარა ლიახვის, ფრონესა და ქსნის ხეობელთა, - დაღლილი სულის გამონაშუქია. „მათი უმრავლესობა არ წარმოადგენს ჟანრის სრულყოფილ სახეს. აქ არც შემოქმედის სიმაღლეზე ლაპარაკის სურვილი იბადება, მთავარი სულ სხვა რამეა - ეს არის ჩვეულებრივი ადამიანის აღსარება დღევანდელობაზე. გრძნობები თავის გულწრფელობით სიმპათიას და პატივისცემას იწვევს მკითხველში, ცალკეული სტრიქონები ისეა დატვირთული, რომ სულს შეძრავს. მათში ხედავს ომით შეძრწუნებულ დედას, რომელიც მშვიდობას ნატრობს, ესმის ახლობლების დაღუპვით განადგურებული ადამიანის მოთქმა. თვალწინ უდგას შუბლშეკრული გლეხკაცი, რომელსაც აფიქრებს მომავალი, სახლ-კარ-დამწვარი დევნილი - შინ დაბრუნებაზე რომ ოცნებობს. ყველას გულში კი ჩაუქრობელ სანთლად ანთია სამშობლოს, მიწის სიყვარული, სადაც დაიბადნენ და გაიზარდნენ.“

მკითხველს სტრიქონებადქცეული მშობლიური განცდების თანაზიარს ხდის დიდი ლიახვის ხეობის სოფელ ქურთაში მცხოვრები სამი შვილის დედა დალი არჩვაძე ლექსში „დედის დარდი:“

„ქალმა სანთელი აანთო,
ფრთხილად მივიდა ხატთან,

პირჯვარი გადაიწერა,
მუხლი მოდრიკა და თქვა:
ღმერთო, შენ დაიფარე
ჩემი სამივე შვილი –
თემური, თეა, თამარი
წვალებით გამოზრდილი.“

ხატის წინ მლოცველი ქალის გული იღლება მაშინ, როცა შვილებზე დარდობს და მაშინაც, როცა სამსახურში - ქურთის საავადმყოფოში ღამეებს ათენებს, უვლის დაჭრილებს, დასტირის დაღუპულებს. ცრემლები გამოსჭვივის მის ლექსში „გლოვის ზარი,“ სადაც ემოციურადაა გადმოცემული თუ როგორ ეთხოვება სოფელი უდროოდ, ტრაგიკულად დაღუპულებს.

გოდება - მხოლოდ ეს სულისშემძვრელი სიტყვა შეესაბამება ცხინვალის მიმდებარე სოფელ ფრისის მკვიდრის, შემდგომ, დევნილი მანდილოსნის მარო მარიამიძის ორი თორმეტფურცლიანი რვეულის ჩანაწერებს. თუმც, ავტორსაც ორივეს ყდაზე წაუწერია - „სიმწრის რვეული.“

სწორედ რომ სიმწარემ აიძულა სამოცი წლის ქალი, რომელიც თავისი სიცოცხლე მიწა-მარჩენალს უვლიდა, კალამი აეღო და ლექსებში აესახა ტანჯული ცხოვრება: „სიმწრით ვწერ ამ ლექსებს,“ „ტანჯული შვილებისათვის გადავიქეცი ლექსადა...“ სადარდებელი ბევრი აქვს, მაგრამ უპირველესი საგლოვი ცხრა თვის შვილიშვილი - პაატა ნიკორიშვილი ჰყავს, რომელიც კონფლიქტის მძიმე დღეებში აკვანში ჩაუკლეს ექსტრემისტებმა.

„ბებიის მწარე ნანა“ - ასეა დასათაურებული ლექსი, სადაც გამწარებული ბებია მკითხველს ხან თვითონ უზიარებს გულსმოწოლილ სევდას („შვილო პაატა, მიმიღე, ჩემი ნანათი ტკბილითა, რომ გადგირწიო აკვანი, მზის სხივთან ყოველ დილითა“), ხან დაღუპულ პატარას ალაპარაკებს („რატომ ჩამაკარი აკვანში დედი, რატომ შემიბორკე ხელი“).

ქართულ-ოსურმა კონფლიქტმა მარო მარიამიძის შვილებს ის უბედურებაც მოუტანა, რომ შერეული ოჯახები დაენგრათ. ამიტომაც გაორმაგებული გრძნობებით ეფერება შვილიშვილებს ლექსში „ჯავრი სოფლისა:“

„დამშვიდდი ცაო,
ნუ გრგვინავ ძლიერ,
ბავშვებს ეშინიათ,
ნუ შეგვიშინებ.“

მიუხედავად ჩვენს რეგიონში შექმნილი დრამატული ვითარებისა, დევნილ მანდილოსანს სწამს გადარჩენისა: „ძლიერია საქართველო, ეს ვიცი - არ წაიქცევა; მტრები ბევრი გამოგვიჩნდა, მაგრამ ვერ დაგვძალავენო...“ იგი სამშობლოს ძლიერებას ღმერთს ლოცვით ავედრებს, ხვალინდელ მშვიდობიან ცხოვრებას ნატრობს:

„მე ლექსად გადამაქცია
ამდენი ცრემლის დენამა,
ჩემს შემდეგ ცუდი ნუ ნახოს
არც ერთი შვილის დედამა.“

„ჩემი სოფელი ფრისი,“ „სამაჩაბლო,“ „ოს მეზობლებს,“ „ნიადაგი,“ „ჩემო საქართველო,“ „მიწისძვრები,“ „ერედველებს,“ „ჩემს გულნატკენ სამშობლოს,“ „ჩემი დამწვარი სახლ-კარი,“ „მწარე სიცოცხლე,“ „ომს იხდის საქართველო,“ „ორი და - დედით ობლები...“ მარტო ამ ლექსების სათაურებიც მეტყველებენ მისი ავტორის სულიერ განცდებზე.

ისევ ტანჯვა, ისევ გოდება... ზემოდ მოხმობილი ლექსები იმ ხანებში დაიწერა, როცა ქართულ-ოსური ეთნიკური დაპირისპირება მძვინვარებდა ცხინვალის რეგიონში. „ამ მდგომარეობამ აიძულა ეს ადამიანები კალამი აეღოთ ხელში და აფორიაქებული გრძნობები სტრიქონებად ჩამოესხათ. ნუ მოვთხოვთ მათ დახვეწილობას, ნუ ვახსენებთ სიტყვა - პოეზიას, თუმცა ამის უარყოფაც არ შეიძლება. მათ მხოლოდ ასე შეძლეს საკუთარი

ჩანაფიქრის გამოხატვა და ისურვეს ჩვენთვის გაეზიარებინათ თავიანთი წუხილი თუ მისწრაფებები.“

ქართულ-ოსურმა კონფლიქტმა, რა გასაკვირია, შესამჩნევად დაამძიმა ქართული სული, მომეტებულმა ტკივილმა საგრძნობლად შეარყია ქალის სათუთი სამყარო, მით უმეტეს, იქ, სადაც ჭირს, სადაც ტყვია-წვიმიანი დღეები ბობოქრობდა. სამაჩაბლოელი ორი შემოქმედი - ლია ჭიღლაძე და დარეჯან ზუბაშვილი იმ ქარიშხალს ვერ გადაურჩნენ. ისინი ცხინვალის ქართულენოვან გაზეთში ეწეოდნენ ჟურნალისტურ საქმიანობას, წერდნენ ლექსებს.

ოს-ქართველთა კონფლიქტური ვითარების გამო, ლია ჭიღლაძემ ოჯახით საკუთარ სამშობლოში დევნილთა საერთო ხვედრი გაიზიარა და დროებითი თავშესაფარი თბილისში ჰპოვა. დარეჯან ზუბაშვილმა კი ქმარ-შვილით, მშობლიური დიდი ლიახვის ხეობა 2008 წლის აგვისტოს ომის ცხელ დღეებში დატოვა.

მიუხედავად ძნელბედობისა, „ისინი რწმენას არ კარგავენ, გულით ატარებენ იმედიან, ამაღლებულ გრძნობებს, თუმცა არაერთი ღამე მიაქვს მწარე დღევანდელობაზე ფიქრს... ეს განცდები თავის გამოხატულებას ჰპოვებენ მათს შემოქმედებაში.“

„ვინ დაგვიბედა სისხლიანი გაზაფხულები,
ცრემლით მოთქვამენ ქართლის მთები
და ზაფრულები!“ -

ეს, ლია ჭიღლაძის სტრიქონებია, რომელიც შეტანილია კრებულში „ჩემი სიყვარული მოგაბარე.“

მისი მთავარი საფიქრალი გულში დაჭრილი სამაჩაბლო და იქ დაღუპული ბიჭებია:

„ვერხვის ტოტებში ცახცახებს ქარი,
თავდავიწყებულ ბრძოლების სჯერა.
შენ მერამდენე ცოტნე ხარ, ბიჭო,
ან მერამდენე შავლეგო, მერაბ!“

ისინი, ნამდვილ გმირებად დაბადებულნი, ხალხის გულში უკვდავნი არიან. თვალებზე ცრემლმომდგარი პოეტი ნატრობს - „როდის მოისხამს მეფურ სამოსს ქართული დილა, გამობრწყინდება ნეტავ როდის ჩემი მამული?“ ამასთან, იგი ნაღვლიანად იხსენებს სისხლიან ცხრა აპრილს:

„ჩემო მამულო, შეგინდვია მტრისთვის ულევი, -
დევნილთა სისხლი არ დაგვილევს დარდს და კაეშანს,
კავკასიონთან გაფრენილან მათი სულები,
რომ მიჯაჭვული ამირანი კლდიდან აუშვან.“

და მართლაც, მიჯაჭვული ამირანის აშვება ხომ ყველა ქართველის ოცნებაა. ისიც აღსანიშნავია, რომ დღესაც პოპულარული სიმღერა „ტირიფების“ ტექსტის ავტორი, სამაჩაბლოელთა რძალი, ლია ჭიღლაძეა. მძაფრი სიყვარულის განცდებს იტევს სტრიქონები:

„მე გა ზაფხულივით მოგეპარე,
და გა ზაფხულივით შენში დავრჩი,
ჩემი სიყვარული მოგაბარე, -
ეს უნა ზესი და თოთო ბავშვი!“

ლ. ჭიღლაძის ლექსების გაცნობისას, მკითხველი პოეტის ხალასი ნიჭისა და შემოქმედებისადმი სიმპათიის გრძნობით იმსჭვალება.

დარეჯან ზუბაშვილსაც თავისებური პოეტური სამყარო აქვს. „მისი გამოცემული ლექსთა კრებული „შენთან სინათლეა უცნაური“ კეთილი სულის აღსარებაა ადამიანების სიყვარულზე, საკუთარ ტკივილზე თუ სიხარულზე. იგი გრძნობიერად მუდმივ კავშირშია ქართან თუ იებთან, ხეებთან თუ თოვლის ფანტელებთან, მზესთან თუ ვარსკვლავებთან. მრავალ ლექსს უძღვნის ქალის გარეგან თუ შინაგან სილამაზეს. მისთვის განსაკუთრებული თემაა პატარების სიყვარული, ძვირფას ადამიანთა მონატრება თუ ლოდინი, ხან აღტაცებისა და ხან ტკივილის განცდა.“ აკი ამიტომაც წერს:

„რასაც გინდა, იმას გეტყვი,
სადაც გინდა, იქით წახვალ,

შენ ხარ ჩემი თვალისჩინი,
იავნანა, ვარდონანა.

.....

ცხრათვალა მზეს ასწრებ სიცილს,
შინ და გარეთ სითბოს ფანტავ,
კარგად გესმის დედის სიტყვის,
მერე რა, რომ ურჩობ ხანა.
დღე დღეს მისდევს და დრო მიჰქრის,
აგერ... თმებიც გაგეზარდა,
შენ ხარ ჩემი თვალისჩინი,
იავნანა, ვარდონანა.

მას მარადიულ მონატრებად რჩება ბავშვობის „ის გავლილი წლები:"

„ჩიტი ჭიკჭიკებს ბაღში და
უკვე იშლება ვარდიც,
ო, როგორ ვნატრობ ჩვენს ეზოს
დედა რომ გვყავდა მაშინ."

მისი ცალკეული ლექსები ეძღვნება მეგობრობას, ადამიანურ თანადგომას. განსაკუთრებით ქალის საოცარ სახეს გვიხატავს სტრიქონებით - „კვდება და საკინძეს ისწორებს ქალი, კვდება და მუხლზე ისწორებს კალთას..." ქალს სიკვდილი კი არ ადარდებს, არამედ ის, თუ რას იტყვის მზე მის საფლავთან.

ორი სამაჩაბლოელი შემოქმედი „თავიანთი ნიჭისა და ხედვის შესაბამისად ამბობენ სათქმელს. მთავარია, მათი სიტყვა სალბუნად დაედოს ჟამთა ვითარებით გაწამებული ადამიანების სულს, შეუმსუბუქოს ის ტკივილი, რაც წუთისოფელმა არგუნა.

ეს არის სწორედ მათი მიზანი და მისია. „შემოგენთები ნაპერწკლად, რომ უფრო გაიმაისო," - დასძენს ლია ჭიღლაძე ლექსში „სამშობლო." დაე, მათ ნაპერწკალს სულ უფრო მძლავრად ეკაშკაშოს..."

საქართველოს ყველა ქალაქისა და სოფლის, ეკლესია-მონასტრის, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების, გაერთიანებების მაქსიმალური მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის მთლიანობის აღდგენისა და დევნილთა დაბრუნების სულისკვეთების განმტკიცების საქმეში! - ამ მოწოდებით, 1996 წლის 20-26 ნოემბერს, ორგანიზებულად ჩაიარა შიდა ქართლის მხარეში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დღეებმა, რომელიც საქართველოს საპატრიარქოს, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, მინისტრთა საბჭოსა და შიდა ქართლის ადმინისტრაციის ერთობლივი გადაწყვეტილებით წარიმართა. „საპატრიარქოდან შიდა ქართლში გამოსული მართლმადიდებლური ეკლესიის სამღვდელოება, მლოცველები ჩავიდნენ ხაშურში, შეხვდნენ დევნილებს, ილოცეს ეკლესიაში, ჩატარდა დევნილთა ნათლობა და ჯვრისწერა, ილოცეს ქარელში - ურბნისის ეკლესიაში, პარაკლისი გადაიხადეს ყინწვისის ტაძარში. აღავლინეს ლოცვა გორის ღვთისმშობლის ეკლესიაში, გორიჯვრის, ნიქოზის, კასპის რაიონის სამთავისის, დიდი და პატარა ლიახვის ხეობების მოქმედ ეკლესიებში."

26 ნოემბერს, გ. ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, მოეწყო შიდა ქართლის მხარეში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დღეების საზეიმო დახურვა. ხალხმრავალ ღონისძიებაზე „შეკრებილი მრევლი დალოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ. უწმინდესმა და უნეტარესმა შიდა ქართლის მხარეში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დღეების აქტიურ მონაწილეებს საჩუქრად ბიბლია გადასცა."

როგორც „ლიტერატურული ცხინვალი" იუწყება (1996, №7), ცხინვალში ქართულენოვანი გაზეთი წარმოადგენდა ერთ-ერთ საშუალებას, სადაც აისახებოდა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მიმდინარე ლიტერატურული ცხოვრება. საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცულია 1935 წლის ამ გაზეთის ნომრები (სამწუხაროდ,

წინა წლების ნომრები არ მოიპოვება), რომელშიც ვეცნობით, თუ რა მდგომარეობა იყო ამ მხრივ მაშინ ქალაქ ცხინვალში. აღნიშნული წლის 13 თებერვლის „საბჭოთა ოსეთი“ იტყობინება, რომ „ქართულ საშუალო სკოლაში ჩამოყალიბდა ლიტერატურული წრე, რომელმაც მუშაობა დაიწყო გარკვეული გეგმით და ძლიერ იზიდავს მოსწავლე-ახალგაზრდობას. პირველი მუშაობა ჩაუტარებიათ ქართველი მწერლის - ეგნატე ნინოშვილის შემოქმედების ირგვლივ. „განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ა.წ. 6 თებერვლის მუშაობამ, სადაც მეათე კლასმა გამოიტანა ეგნატე ნინოშვილის მოთხრობა „ქრისტინე“-დან „ქრისტინეს გასამართლება“ - ვკითხულობთ ინფორმაციაში.

ლიტერატურული წრის წევრები აქტიურად ჩაბმულან ბავშვთა შემოქმედების - ოლიმპიადის მუშაობაში. „რა სარგებლობას მისცემს ლიტერატურული გვერდი ჩვენი ოლქის ახალგაზრდა ძალებს“ - ამ სათაურით გაზეთის 14 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულ ლიტერატურულ გვერდში, ვკითხულობთ სტალინირის (ცხინვალის - რ. ო.) ქართული საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის ნ. ბათიაშვილის წერილს.

„საბჭოთა ოსეთი“ პერიოდულად დაუთმობს ადგილს ლიტერატურულ გვერდს. ამით მობილიზებას უზამს ოლქის დაქსაქსულ ნიჭიერ ძალებს. ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ მუდმივი მეთოდური ხელმძღვანელობით იბრძოლებს აამაღლოს ახალგაზრდა ავტორთა აკადემიური ცოდნის დონე.

ლიტერატურულ გვერდში ასევე იბეჭდება ს. ბურნაძის, ვ. ბასიშვილის, სოფელ დგვრისის კოლმეურნის ნ. მეშვილდიშვილის, სტალინირის ქართული საშუალო სკოლის მოწაფის ვ. ფანჩულიძის ლექსები და დავით კასრაძის მიერ თარგმნილი ოსი პოეტი ქალის ნიგას (ნინა გაგლოევა - რ. ო.) ლექსი. „უდავოა, მთელ ამ მასალას თან ახლავს პირველი ნაბიჯების დამახასიათებელი შუქ-ჩრდილები, მაგრამ ნათლად იგრძნობა მისწრაფება ლიტერატურული პროცესების განვითარებისა და რეგულირებისაკენ.“

დიდი ლიახვის ხეობაში მრავლადაა გაბნეული ხალხური სიბრძნის მარგალიტები. ადგილებზე შეგროვილი საინტერესო მასალები (ლექსები, სიმღერები, ზღაპრები, გამოცანები, ანდაზები და სხვა) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების არქივში ინახება. აქედან, მრავალფეროვნებით გამოირჩევა ქართლის ფოლკლორული ექსპედიციის (ხელმძღვანელი ვ. მაცაბერიძე) მიერ 1962 წელს შეკრებილი მასალები.

ლიახვისპირელ ხალხურ მთქმელთა შორის გამოირჩევა თამარაშნელი ფიდო თეგაშვილი. მის შესახებ აღნიშნული ექსპედიციის წევრი მათე წიკლაური წერს: „დაბადებულია 1890 წელს, სოფელ თამარაშენში. ადრე დაობლებულა და მოჯამაგირედ უმსახურია მაჩაბლებთან. ყველაზე საინტერესო მისი რეპერტუარიდან არის ბეჟანის ლექსები. ჩავიწერე ბეჟანის შვიდი ლექსი, კიდევ მივაკითხე სოფელში, მაგრამ თითქმის ყველამ ეს შვიდი ლექსი იცის...“

ავტორის თქმით, ეს ლექსები ფიდოს რვეულში ჰქონია ჩაწერილი. რაც შეეხება ბეჟანის სადაურობას, ყველასთვის უცნობია. იგი ზოგს მთიელი, ზოგსაც კახელი ჰგონია. დიდი ლიახვის ხეობაში ხუთი წელი მეწისქვილედ უმუშავია. ხუმარა კაცი ყოფილა, არც ცოლი ჰყოლია, არც შვილი. ისიც არავინ იცის, თუ სად წასულა.

მკვლევარი მათე წიკლაური აღნიშნავს, რომ ბეჟანის ლექსები საინტერესოა და გამოირჩევა არა მარტო შინაარსობრივი სიღრმით, არამედ პოეტურობითაც. ერთ-ერთ ლექსში ბეჟანი გულწრფელად აცხადებს, - მას არ სჭირდება ფული, რადგან ცოლ-შვილი არა ჰყავს. ამასთან, თავის თავს შემოუძახებს:

„ბეჟანი მაინც ვაჟია, არას ანაღვლებს ბეჟანი,
ერთგულს აუნთოს სანთელი, ორგულს შააბას ეჟვანი,
ახლოს რო არ მიეკაროს ავი სული და ეშმაკი.“

ბეჟანი ღმერთს ევედრება, შველას სთხოვს, რათა „მართალი გააბატონოს, მტყუანს კი მახე დაუგოს. ლექსებში მიმართავს მეგობრებს იასეს და სტეფანეს, განსაკუთრებით უქებს ვაჟკაცობას სტეფანეს. იგი აჩაბეთელი მჭედელი ყოფილა და ნადირს შებრძოლებია.“ როგორც ჩანს, იასე და სტეფანე მისი ხშირი სტუმრები იყვნენ:

„დილით მოგივა იასე, ამბავს მოგიტანს ათასსა,
ცეცხლს მოუკიდებს ყალიონს, ნელა ჩაარტყამს ნაფაზსა,
მერე ერთ ქეიფს გადაწყვეტთ, შეკრიბავთ თითო აბაზსა,
ღვინოში დაივიწყებენ თავის ტანჯვას და ჯაფასა.“

წუთისოფელზე ფიქრი ბეჟანს მოსვენებას არ აძლევს, ერთგან წერს:

„წუთია წუთისოფელი, ჩვენ ვდგავართ წუთის ფხაზედა,
მივალთ, ავხედავთ მზე-მთვარეს, ჩავივლით ათის თქმაზედა,
დავიღუპებით შავეთში, არ ვიცით დავჩნდით რაზედა.“

ფიდო თეგაშვილის მიერ ნათქვამი ლექსები სხვადასხვა თემას ეხება. ესაა ლამაზი, ადამიანური გრძნობები, ადამიანის დამოკიდებულება საქონელთან, მიწა-მარჩენალთან და ა.შ. აღსანიშნავია ლექსი ხარზე:

„ორშაბათობით აშენდა ციხე-ქალაქი კლდე ზედა,
ქალაქით მოდის მლოცველი, სანთელს ანთებენ ქვაზედა,
ადამიანის შენახვა, ვერავინ იდო თავზედა,
წამოდგა ხარი ნიკორა – მე დამაწერეთ რქაზედა.“

ამ დროს, „ანგელოზები მისცვივდებიან ნიკორას, ორივე თვალზე აკოცებენ, ორივე რქაზე მიაკრავენ სანთელს და ეტყვიან, რომ ექვს დღეს ებას უღელში, მეშვიდე დღეს კი დაისვენოს, ხოლო ვინც მას კვირა დღეს ამუშავებს, ჭირი მიადგეს კარზე, სახლი ვერ ააშენოს, შარიანი გზით იაროს. მაგრამ ნიკორას უდიერად ექცევა გუთნისდედა, რის გამოც ხარი ღმერთთან ჩივის. ღმერთი ჰპირდება, რომ იგი დასჯის გუთნისდედას - დავკრავ და გავაწევინებ ჩემს ანეულის მკაშია, ხვნაში საჭმელს არ მივუტანთ, წყალს არ ვაღირსებ მკაშია.“

გარდა ამისა, ფიდო თეგაშვილს შეუკრებია შელოცვები, ზღაპრები, თქმულებები და სხვა.

მათე წიკლაური შეხვედრია და ჩაუწერია თამარაშნელი ზაქრო მინდიაშვილის ნაამბობი ზღაპრებიც: „ბეჟანიანი," „უშვილო ცოლ-ქმარი," „ირმის შვილები." იგი ლიახვისპირელ გლეხკაცს ასე ახასიათებს: „დაბადებულია სოფელ თამარაშენში, 1906 წელს, გლეხის ოჯახში. მეტად საინტერესო მთქმელია. გაოცებული ვიყავი მისი თხრობის გემოვნებით და დახვეწილობით, იუმორის შესანიშნავი გრძნობით. იგი სკოლის დარაჯია და ბავშვების საყვარელი „ძია ზაქრო." ვიწერდი საღამოობით, შესვენების დროს. მიყვებოდა თავის თავგადასავალს, ყველაზე მეტად კი სასაცილო ეპიზოდებს."

მკვლევარის ჩანაწერებში გარკვეული ადგილი ეთმობა გოგი მაჩაბელს - „დაიბადა სოფელ თამარაშენში, 1880 წელს, თავადის ოჯახში. საბჭოთა ხელისუფლების დროს მეწისქვილედ მუშაობს. კაცის ბედი თურმე ჩიტის ბოლოსავით ტრიალებსო, - გულდაწყვეტით ამბობს გოგი. იგი ძალზე კეთილი კაცია, ის არის ვანო მაჩაბლის ნათესავი..." შემონახულია მისი ნათქვამი ლექსები, ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები. მკითხველი აღტაცებაში მოჰყავს სამშობლოს ხმლით დამცველი ვაჟკაცი წინაპრის ნათქვამს:

„მახვილი ლესვით გაცვდება, ნადირის მუხლი
შთობითა,
შენ შიშით დაიქანცები, ვაჟკაცი მამაცობითა,
ბან-კარი ძმობით შენდება, მაგარი ციხე მტრობითა,
შემენანება მახვილი დაჩლუნგებული ობითა."

„სანთელს მიდევნებული," - ამ სათაურით ქვეყნდება „ლიტერატურულ ცხინვალში" (2000, №12) ჟურნალისტისა და პუბლიცისტის ნელი ჩალაურის კორესპონდენცია, სადაც მკითხველი ეცნობა თანამედროვე ხალხურ მთქმელს ქემერტიდან, მიხეილ მინდიაშვილს. ლიახვისპირზე გაზრდილი, არც თუ იშვიათად, ქართულ სიტყვასთან ჭიდილშია:

„ლექსო ვერ შემომელევი,
თუნდაც დავბერდე განაო,
და მომაკვდავიც რომ ვიყო,
გულით გატარებ თანაო.“

იგი, რითმებთან ლაციცით ელოლიავება სამშობლოს, უზიარებს მოყვასს წინაპართა ღრმა პატივისცემას, ეტრფის ბუნება-მბრძანებელს, ყურადღების მიღმა არც ქვეყნის მძიმე დღევანდელობა რჩება. გაუსაძლისი ქარტეხილების გადატანის მიუხედავად, მის შემოქმედებაში გაუტეხელი სული იკვეთება.

მიხეილ მინდიაშვილის ოჯახს დიდი უბედურება ეწია. ავღანეთის ომს მათი ვაჟკაცი - ზაზა შეეწირა. შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხო დაღუპული შვილისადმი მიძღვნილი სტრიქონები, რომელიც მამამ ათქმევინა ზაზას:

„ხომ მიმუხთლე ბედო, მოლალატევ,
ერთ რამეში მაინც მადლსა გწირავ,
რახან ბოლოს ჩემი სახლი ვნახე
და რომ ჩემი მიწა მერგო წილად.“

გარითმული სიტყვებით, „დიდი სიყვარულით ხატავს თავის პაპა მიხას. ჭკვიან, შეუპოვარ წინაპარს, მტერს რომ მტრულად ხვდებოდა და მოყვარეს მოყვრულად. იხსენებს მინდიას, რომლისგანაც სათავე დაედო მის გვარს და ამაყობს, რომ მინდია ძლიერი პიროვნება იყო.

რთული დღევანდელობაა ასახული ლექსებში „თამარ მეფე“ და „სიზმარი,“ სადაც „მეფე ქალი და ერეკლე შეშფოთებული არიან ქართველი ხალხის მდგომარეობით, რა დაგმართნიათ, როგორ აწიოკებულხართო. ისინი გაერთიანებასა და ერთად დგომას ურჩევენ, ურთიერთსიყვარულისკენ მოუწოდებენ ქართველებს.“

ხალხურმა მთქმელმა რამდენიმე ლექსი უძღვნა გიორგი სააკაძეს. „ამ ტრაგიკული პიროვნების თავგადასავლის გალექსვით, ავტორი ჩვენი ტანჯული ქვეყნის ისტორიას მოგვითხრობს, ანდერძად ჟღერს პაატას სიტყვები:

„მშვიდობით ჩემო ღვიძლო და-ძმანო,
მშვიდობით ნოსტეს საბუდარაო,
იცოცხლეთ დიდხანს, იყავით მარად,
არვის ემონოთ, არვის, არაო.“

მ. მინდიაშვილს აწუხებს ოს-ქართველთა შორის ეთნიკური დაპირისპირება. „გულნატკენი მიმართავს მათ, ვისაც საქართველოს ბედი არ აწუხებს. მუდმივად ახსენებს იმ დაძაბულ დროს, ლიახვის ხეობაში დაღუპულ ვაჟკაცებს. ყველა მისი სტრიქონი გულიდან წამოსული ცრემლია. ხშირად დაღუპულ ბიჭებს ალაპარაკებს, რომლებიც აქეთ ამხნევებენ ცოცხლად დარჩენილებს.“ ისინი საიქიოდანაც სამშობლოს ბედზე დარდობენ:

„შეჰღალადებს ღმერთებს, ანგელოზებს ცაში,
სევდა გარევია დაფლეთილ გულს ხმაში,
ო, იხსენი, ღმერთო, საქართველო ჩემი,
მხოლოდ შენ ხარ ერთი, მისი გადამრჩენი.“

ქემერტელ ხალხურ მთქმელს ისიც ადარდებს, რომ საზოგადოების ნაწილმა ღმერთისადმი რწმენა დაკარგა. სწორედ ამიტომაც, ლექსში „ვადიდოთ ღმერთი,“ მრევლს სიმტკიცისაკენ მოუწოდებს:

„ვილოცოთ, ღმერთი ვადიდოთ,
ღმერთსაც აქვს თავის მიზანი,
მჯერა, კვლავ დაიზრდებიან,
ალგეთს ლეკვები მგლისანი.“

ასეც იქნება, „კიდევაც დაიზრდებიან, ალგეთს ლეკვები მგლისანი...“ და ივერიაც გაბრწყინდება!

ლიახვისპირელ ხალხურ მთქმელთა შესახებ, მათ მიერ ნაკარნახევ ჩანაწერებზე, რასაკვირველია, უფრო მეტის თქმა შეიძლებოდა. „ყოველივე ზემოდ თქმულიდან კი ნათლად ჩანს ქართველი კაცის მშვიდობიანი ბუნება. მისი ფიქრი დასტრიალებს მიწას, გუთანს, ხარს. ეთაყვანება სიმამაცეს, ვაჟკაცობას, სამშობლოსთვის თავდადებას, ებრძვის ბოროტე-

ბას. მუდმივი საფიქრალია მუხთალი წუთისოფელი. ამასთან ერთად, ხოტბას ასხამს სილამაზეს, სიყვარულს, ადიდებს ქალს. ამის შესახებ მოგვითხრობენ ზღაპრები და ლექსები, რომლებიც ამ წერილში არ დაგვისახელებია და არ გამოგვიყენებია.

ისტორიამ არგუნა დიდი ლიახვის ხეობას, რომ ტრაგიკული მოვლენების ასპარეზი გამხდარიყო. სურვილი მიჩნდება, ისევ ბეჟანის ერთი ლექსი გავიხსენო, სადაც იგი ღმერთს შველას სთხოვს და ამბობს: „დალევ და დაილოცები - უფალო შეგვიწყალეო, მართალი გაგვიბატონე, მტყუანს დაუგე მახეო...“

გივი თუხარელი - ეს გვარ-სახელი კარგადაა ცნობილი ცხინვალელებისთვის და არა მარტო მათთვის, არამედ იმ 13 ათასი მკითხველისთვის, ცხინვალში გამომავალ ქართულენოვან საოლქო გაზეთს რომ ღებულობდა. იგი რედაქციის ხშირი სტუმარი იყო და მის მიერ მაღალ დონეზე მომზადებული საგაზეთო პუბლიკაციები მკითხველის მოწონებას იმსახურებდა.

ერთხანს გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ საკუთარ კორესპონდენტადაც მუშაობდა ყორნისის (ზნაურის) რაიონში. შემდეგ, ცხინვალის რაიონის მშობლიური დისევის არასრულ საშუალო სკოლას ჩაუდგა სათავეში და წლების მანძილზე დირექტორის თანამდებობაზე იღვწოდა. იგი შემოქმედებითი ნიჭითაა დაჯილდოებული. „სულ ახლახან (1997 წ.), მკითხველმა მიიღო მისი ლექსების კრებული „ბერმუხა,“ რომელიც „ლიტერატურულმა ცხინვალმა“ გამოსცა.

შემოქმედის დიდი ნაწილი დაკავშირებული იყო ცხინვალთან და, ცხადია, იქ დატრიალებულმა უბედურებამ მასზეც იმოქმედა.“ თავის ლექსებში ქართველებისგან გამოხშირული ქალაქის ნოსტალგიაა ასახული:

„ცხინვალი ჩემი ოცნება არის,
ჩემი დედაა, ჩემი ღვთაება,

ცხინვალი ჩემი სიყვარულია,
ჩემი ბავშვობის გადამღერება.“


ავტორი კრებულის შესავალ ლექსში ღმერთს საქართველოს გადარჩენა-გაძლიერებას ევედრება:

„ღმერთო უშველე საქართველოს, მიეცი ძალა,
რომ დაიწყნაროს ბობოქარი სული ძლიერი,
მოათმენინე ჭირ-ვარამი, რაც გადიტანა,
და გამძლეობა შთაუნერგე ქრისტესმიერი.“

ლექსი „ბერმუხა“ მეგობარ, პედაგოგ ბაგრატ ბორცვაძეს ეძღვნება, რომელსაც იგი ბერმუხას ადარებს:

„...დროის მორევმა ბევრი ჩაძირა,
უსამართლობას ვინც ვერ ეურჩა,
უცვლელი დარჩი მარად და მარად
შენ, ჩემო ბაგრატ, ჩემო ბერმუხა.“

გ. თუხარელის პოეტურ კრებულში გულით ნათქვამი ლექსებია თავმოყრილი. ავტორი უმღერის საქართველოს, ტანჯულ სამაჩაბლოს, მშობლიურ სოფელს, ბუნებას, უძლეველ სიყვარულს და ა.შ.



თამაზ ხმალაძე



გენადი ბურჭულაძე

საქართველოს რადიოს გადაცემათა რედაქციის „ენაჲ შემკული და კურთხეულის“ რედაქტორმა, ცნობილმა მწერალმა და ჟურნალისტმა თამაზ ხმალაძემ (მარცხნივ) და ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (ქ. გორში) პრორექტორმა, პროფესორმა გენადი ბურჭულაძემ პატივი დაგვდეს და „ლიტერატურული ცხინვალის“ განვლილ გზას მოკლე, მაგრამ საკმაოდ ტევადი გადაცემა მიუძღვნეს. შესაძლოა, ეს გადაცემა დღევანდელ გაუსაძლის მდგომარეობაში მყოფმა ბევრმა ჩვენმა მკითხველმა ვერც მოისმინა, ამიტომ ვთხოვეთ გადაცემის ავტორებს, მოეწვდინათ ჩვენთვის გადაცემის ტექსტი. მათ ეს თხოვნა შეგვისრულეს და ამ მასალას უცვლელად ვბეჭდავთ (2000, №3).

ძვირფასო რადიომსმენელებო, ამას წინათ ცხინვალის რეგიონის მწერალთა ყოველთვიური ორგანოს „ლიტერატურული ცხინვალის“ სადეკემბრო ნომერი მივიღეთ. იქ, სხვა საინტერესო მასალებთან ერთად, დასტამბულია „რადიო-გადაცემა სტუმრად „ლიტერატურული ცხინვალის“ ფურცლებზე.“ წინ ამ ნარკვევს უძღვის გაზეთის მთავარი რედაქტორის წინათქმა:

„რადიო-გადაცემა... რამდენჯერ მოგვისმენია ის - მოგვწონებია, ზოგჯერ აღტაცებაშიც მოვსულვართ, ბევრი რამ ახალი გაგვიგონია... მაგრამ გადის დრო და, საერთოდ, იგი იკარგება, რადიო-ეთერი ამდენად წარმავალია. მართალია, არსებობს რადიოს ე.წ. „ოქროს ფონდი,“ სადაც ზოგ გადაცემას ინახავენ სამომავლოდ, მაგრამ ასეთი მცირეა.

ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (ქ. გორში) პრორექტორის, პროფესორ გენადი ბურჭულაძის რადიო-დიალოგი არაერთხელ მოგვისმენია, მწერალ თამაზ ხმალაძესთან (იგი გადაცემათა სერიის „ენაჲ შემკული და კურთხეულის“ რედაქციის რედაქტორიცაა). - ერთ-ერთი ასეთი გადაცემა მიეძღვნა ქართული ენის დიდ ქომაგსა და მსახურს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კო-

რესპონდენტს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს ივანე გიგინეიშვილს დაბადებიდან 90 წლისთავზე...“

რადიო-გადაცემა სტუმრად გაზეთის ფურცლებზე მართლაც გამართლებული ჩანს. ამ ორიოდე წლის წინ, 1997 წლის მაისის ერთ-ერთ ნომერში, მაგალითად, ჩვენს გადაცემას უმასპინძლა „საქართველოს რესპუბლიკამ.“ მან მთელი გვერდი დაუთმო 1950-იანი წლების საენათმეცნიერო დისკუსიასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელიც ჩვენმა რედაქციამ მოამზადა. მაშინ ბ-ნი გენადი იყო ამ გადაცემის სტუმარი და თანაავტორი.

ასე რომ, რადიოსა და გაზეთის ასეთი ურთიერთობა მისასალმებელია. ჩვენ დღეს ვთხოვეთ ბ-ნ გენადის, მას, როგორც ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პრორექტორს, ცხინვალელთა გულშემატკივარსა და ქომაგს, მოეთხრო ზოგი რამ ცხინვალელთა ამ სალიტერატურო გაზეთზე. მით უფრო ვიცით, რომ იგი ხშირი სტუმარია ამ გაზეთის ფურცლებისა.

იგი სიამოვნებით დაგვთანხმდა და დღეს ჩვენთან ერთად არის სტუდიაში.

თ.ხ. ბ-ნო გენადი, თუ არ ვცდები, 1997 წლის ოქტომბრის თვეში ჩვენ მივუძღვენით რადიო-გადაცემა ცნობილ ცხინვალელ ისტორიკოსს, თქვენი ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ მიხეილ ცოტნიაშვილს, მის ხსოვნას. მახსოვს, თქვენ ბრძანეთ მაშინ, ბ-ნი მიხეილის დიდი ძალისხმევით მოხდა ის, რომ დღეს სინათლე იხილა ცხინვალის რეგიონის მწერალთა ორგანომო.

გ.ბ. ძალიან კარგი, ბ-ნო თამაზ, ეს მომენტი რომ შემახსენეთ. მართლაც ასე იყო... 1995 წლის ბოლოს ჯერ ქ. გორში ჩამოყალიბდა საქართველოს მწერალთა კავშირის ცხინვალის რეგიონის განყოფილება, შემდეგ კი, საინიციატივო ჯგუფის გადაწყვეტილებით, სადაც გამოირჩეოდა ბ-ნი მიხეილის მიზანსწრაფული სურვილი, ჰქონოდათ სამაჩაბლოელ ქართველებს

თავისი ლიტერატურული ორგანოც, ყველაფერი კარგად გასრულდა. 1996 წლის ივნისში პირველი ნომერი გამოვიდა ამ გაზეთისა.

თ.ხ. ვიცი, როგორ არა. შემონახული მაქვს ეს ნომერი, თქვენ რომ ჩამოიტანეთ. აქ, ბ-ნო გენადი, რამდენიმე მილოცვაა, მათ შორის - სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესის ილია მეორის.

გ.ბ. ამას კი წინ უსწრებდა საქართველოს მწერალთა კავშირის მაშინდელი თავმჯდომარის გურამ ფანჯიკიძის 1996 წლის ბრძანება №8, რომ ცხინვალის რეგიონის მწერალთა გაზეთ „ლიტერატურული ცხინვალის" მთავარ რედაქტორად დაინიშნა საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, პროზაიკოსი რობერტ ოდიკაძე.

მოკიდებული ამ დროიდან ბ-ნი რობერტი წარმატებით უძღვება ამ საშვილიშვილო საქმეს.

თ.ხ. ისევ იმ პირველ ნომერს დავუბრუნდეთ. აქაა მილოცვები ბ-ნი გურამ ფანჯიკიძისა, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარის, ბ-ნი აკაკი სიხარულიძისა, „ლიტერატურული საქართველოს" მთავარი რედაქტორის, ბ-ნი თამაზ წივწივაძისა, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის, ბ-ნი ვალერი ვაშაკიძისა და სხვებისა. ყველანი ერთხმად ულოცავენ, გაზეთის დაარსებას მიიჩნევენ როგორც საერთო ქართულ მოვლენას... ბ-ნი გურამ ფანჯიკიძე თავის მილოცვაში „მომავლისათვის ვიბრძოლოთ" წერდა:

„...შევეშვათ მწარე მოგონებებს. ჩვენ მომავლისათვის უნდა ვიბრძოლოთ. „ლიტერატურულმა ცხინვალმა" მარტო ლიტერატურული მისია როდი უნდა იკისროს, იგი უნდა იყოს აგრეთვე ერთ-ერთი ინიციატორი სახალხო დიპლომატიისა, ქართველებსა და ოსებს შორის ჩატეხილი ხიდის გამთლიანებისა. დაბოლოს: მთელ საქართველოს ვულოცავ „ლიტერატურული ცხინვალის" გამოსვლას."

გ.ბ. რა თქმა უნდა, ბ-ნი გურამისა და სხვების მილოცვაში რეალიზმია. „ჩატეხილი ხიდი“ უნდა გამთელდეს, თუმც ძნელია დაივიწყო ოთხმოციანი წლების მიწურულის საქართველო. მძლავრმა ეროვნულმა მოძრაობამ ცხინვალის რეგიონსაც მიაღწია. აქაც თავისუფლების ის სიო დატრიალდა, რაც საზოგადოდ იყო საქართველოში, მაგრამ ქართულ-ოსურმა კონფლიქტმა, რომელმაც იჩინა თავი, დიდი და პატარა ლიახვის, ფრონეს ხეობების ძირძველი ქართველი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი საკუთარ სამშობლოში დევნილად აქცია. ამან ათქმევინა 1996 წელს გაზეთის ფურცლებზე მის მთავარ რედაქტორს ლექსში „მიტოვებული ცხინვალი:“

„იავარქმნილი „მუხნარი,“
ლიახვი ყალყზედ შემდგარი,
მიტოვებული ცხინვალი,
გაცივებული სახლ-კარი.
გადაკაფული „ჩიტოს ტყე,“
გულჩათხრობილი „ზღუდერი,“
მამა-პაპათა საფლავებს
შორიდან სევდით ვუცქერი...“

თ.ხ. აი, ეს სევდა, მშობლიური კუთხიდან მოწყვეტა, გაუსაძლისი ყოფა ძალუმად ჩანს მართლაც იმ პუბლიკაციებში, გაზეთი რომ ბეჭდავს. რუბრიკით „თქმა მართლისა სიმართლისა“ გაზეთი წლობით უთმობდა გვერდებს მიხეილ ცოტნიაშვილის „ცხინვალის ცრემლებს.“ ამ ციკლის პირველსავე წერილში ავტორი გულწრფელად წერს: „მართალია, ქართული ეროვნული ყოფისათვის დამახასიათებელ ტრადიციებს ცხინვალში მცხოვრები ქართველობა ყოველთვის ვაჟკაცურად ინარჩუნებდა, უფრო კარგადაც კი, ვიდრე საქართველოს ცალკეულ ადგილებში, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ მან გაითავისა ოსურიც, რომელთანაც მუდმივად იმყოფებოდა ეკონომიკურ, კულტურულ ურთიერთობებში, ე.ი. იმ პირობებში, რომელშიც ჩვენ ვიზრდებოდით.

ერთად იყო შერწყმული მშობლიური ქართული და ოსური კეთილშობილური ტრადიციები. ამიტომაც, ბუნებრივია, როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ჩვენი სულიერი სამყარო თხოულობს ამ სასიამოვნო შეგრძნებების დაბრუნებას.“

გ.ბ. კარგია, ბ-ნ თამაზ, ეს ადგილი რომ გაიხსენეთ. თქვენს წაკითხულს მოსდევს ჩამოთვლა ოსი მეგობრებისა: „ხშირად თვალწინ მიდგანან ჩემი ოსი მეგობრები: პავლე, ლუდვიგი, იური, რუთენი, ლეონიდი, ივანე, ბაგრატი... ოსი მეზობლები: ცაცო, გაბილა, ველიმირი, ვალერი, თემირა, სულიკო, ოლია... ოსი ნათესავები: მუხტარა, ნიკო, სოსო, გევრიკი, მარინე, ვანო, ნატაშა... რა დამავიწყებს თითოეულ დღეს, რომელიც მათთან ერთად მაქვს გატარებული. ზოგჯერ ჩემს წინ დგებიან მომღიმარი სახეებით, კეთილგონიერი ოსები. მათ მოფერებას ვნატრობ და რა არის ამაში უცნაური და უჩვეულო?! ჩვენ ხომ ერთმანეთს შევეზარდეთ.“

თ.ხ. მართლაც, რა მშვენივრადაა წარმოჩენილი ქართველი კაცის ბუნება... კაცს, რომელიც საკუთარი კუთხიდან აიძულეს დევნილად ქცეულიყო... მაინც მიუწევს გული შერიგებისაკენ... იმიტომ, რომ ოსი და ქართველი „ხომ ერთმანეთს შევეზარდეთ.“

გ.ბ. ბ-ნო თამაზ, მე ერთ-ერთ ადრეულ გადაცემაში მოვუთხრე რადიო მსმენელებს, თუ როგორ ვერ დაეხმარა (თუ არ დაეხმარა) ზოგი ოსი მეგობარი, როცა ბ-ნ მიხეილს ცხინვალში, თავის ოთახში გამოკეტილს თავის ძვირფას მეუღლესთან ერთად, გარედან ტყვიებს უშენდნენ.

ბ-ნი მიხეილი კი თავის ამ წერილში როგორ ეფერება მათ. ჩამოთვლილთაგან ზოგი ცოცხალიც არაა. პავლე - ეს ცხინვალის პედინსტიტუტის ყოფილი რექტორია, ახლა გარდაცვლილი; ლუდვიგი - დღევანდელი თვითმაქვია სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტია, ადრე ჩვენი ინსტიტუტის რექტორი; იური გაგლოითიც და რუთენ კაბისოვიც სხვადასხვა დროს რექტორები გახლდნენ და სხვები...

თ.ხ. დიახ, ასეა. ეს შინაგანად ყველა ჩვენთაგანს აქვს გაცნობიერებული. „ვეფხის და მოყმის“ ბალადის დამწერ უკვდავ ხალხს სხვანაირად არ შეუძლია.

ამიტომაც მიმართავდა, ალბათ, გაზეთის პირველი ნომრის გამოშვების დღეს ბ-ნი თამაზ წივწივაძე სამაჩაბლოელ კოლეგებსა და, საერთოდ, მკითხველებს:

„ძვირფასო კოლეგებო! კიდევ ერთხელ მიიღეთ ჩვენი სიყვარული და თანადგომა!

მზად ვართ, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში დახმარება აღმოგიჩინოთ!

და, არამარტო ლიტერატურულ საქმიანობაში, არამედ იმ დიდ ეროვნულ საქმეშიც, ცხინვალში ღირსეული შესვლისათვის რომაა საჭირო!“

სოხუმში ღირსეული შესვლისათვის რომაა საჭირო!“

გ.ბ. ბ-ნი თამაზის თანადგომა ყოველივე ქართულისადმი საყოველთაოდ ცნობილია და ჩვენს ინსტიტუტსაც უგრძვნია. იგი ყურადღებით ეკიდებოდა და ეკიდება ამ გაზეთის საქმიანობას... „ლიტერატურული საქართველო“ 1999 წლის 19-26 ნოემბრის ნომერში წერდა: „გავა დრო და მოგვარდება პრობლემები შიდა ქართლში. ქარველები და ოსები ძველებურად ერთად ააშენებენ თავისუფალ და დემოკრატიულ საქართველოს და მეისტორიეც აუცილებლად გაუსვამს ხაზს იმ წვლილს, რომელიც ამ დიდ საქმეში შეიტანა გაზეთმა „ლიტერატურულმა ცხინვალმა...“

თ.ხ. ბ-ნო გენადი, ჩვენ მიხეილ ცოტნიაშვილის პუბლიცისტურ წერილთა ციკლზე „ცხინვალის ცრემლების“ შესახებ გვქონდა საუბარი. მე, რამდენადაც ვიცი, ეს ციკლი წლების განმავლობაში იქმნებოდა და ისტამბებოდა.

გ.ბ. დიახ, ბ-ნო თამაზ, ამ ნარკვევს ყოველ ნომერში შეხვდებოდით. ბოლო მონაკვეთების თანაავტორი მისი ვაჟი, ამჟამად ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ჩვენი ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი მამუკა ცოტნიაშ-

ვილი გახლდათ. იგი, იმედია, მამის დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანს და ქართველი მკითხველი მიიღებს ქართულ-ოსური ტრაგედიის ამსახველი დოკუმენტური ნარკვევის კრებულს.

თ.ხ. ეს ის მამუკა ცოტნიაშვილი ხომ არაა, გაზეთის სარედაქციო საბჭოში რომ შედის?

გ.ბ. დიახ, ის გახლავთ. მამუკა ჩვენი ინსტიტუტის აღზრდილია. ასევე ჩვენი ინსტიტუტის აღზრდილები არიან სარედაქციო საბჭოს წევრები: დავით ახლოური, ილია ბუზალაძე, შოთა დარბუაშვილი, ცხინვალის მწერალთა მოთავე, ქ-ნი ნელი ჩალაური და თვით დევნილი გაზეთის მთავარი რედაქტორი, ბ-ნი რობერტ ოდიკაძე. ჩვენი ინსტიტუტის არაერთი უფროსი და საშუალო თაობის მუშაკი თანამშრომლობს გაზეთთან: პროფესორი შოთა ქურდაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ვიანორ ახალაია, დოცენტი ნოდარ მესხრიკაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ვენერა სომხიშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი თამილა გოგოლაძე, აკაკი ტოლიაშვილი, მანანა მიჩიტაშვილი, მზია ზანგალაძე, უფროსი მასწავლებელი ცისანა ასანიძე და ბევრი სხვა.

ასე რომ, აქ თანამშრომლობენ ყველანი, ვისაც ხელეწიფებათ ლიტერატურული საქმიანობა და სიყვარული აქვთ სამაჩაბლოსი.

თ.ხ. ბ-ნო გენადი, მე გადავხედე „ლიტერატურული ცხინვალის“ რანდენიმე ნომერს და უპირველესად თვალში მხვდებოდა სამაჩაბლოდან გამოსული ადგილობრივი პოეტების სევდა, არა ჩუმი, არამედ მებრძოლი. დიახ, მებრძოლი სევდა.

გ.ბ. კარგად ბრძანეთ თქვენ, მებრძოლი სევდა... დიახ, სევდა, რომელიც არ რჩება მხოლოდ შენთან. იგი იბრძვის, გადაედება სხვებს და ამით მებრძოლიც ხდება, ცოცხლდება წარსულის ზოგი სურათი. აი, ასეთია ჩინებული პოეტის, ქ-ნ ნელი ჩალაურის „გაზაფხული ცხინვალში“ (1997, №3):

„გაზაფხულმა ტრფობით,
ღელვით მიაშურა ქალაქს,

და გაქვავდა კარიბჭესთან -
ისევ ისე, როგორც შარშან -
დამწვარი და ნაღვლიანი დახვდა.
მიჰყვა ქუჩებს, ეძებს, ეძებს...
ის, „შავლეგოს“ რომ მღეროდა,
არ დაბრუნდა?
ხმა პასუხობს: არ დაბრუნდა...
ის... ავთანდილ მწიგნობარი?
ის... სიმონი მშენებელი?
ჟამთაღმწერი მიხეილი?
ცერაძეანთ ვეფხვი გივი?
ის... დგვრისელი ჯაფარიძე?
კვაღინიძე, კეკოშვილი?
საბანაძე, ხეთერლები?
მეშვილდიანთ ვაჟკაცები?
ხმა პასუხობს: არ დაბრუნდა...

.....

და ცხინვალში ობოლივით,
ცრემლით დადის გაზაფხული,
განდევნილთა კვალს დაეძებს,
მარტოსულზე მარტოსული.“

თ.ხ. აი, ეს ვრცელი ლექსი ხომ ცხინვალური ეპოპეაა, მისი პოეტური ისტორიაა, პოეტური ხედვაა. ამ თვალსაზრისით საინტერესოდ მეჩვენება შოთა დარბუაშვილის „შენდამი რწმენა“ (1996, №12), საიდანაც მხოლოდ რამდენიმე სტროფს წავუკითხავთ რადიო-მსმენელებს:

„წამოვიხურე მხრებზე წუხილი,
ისე მტკიოდა, როგორც აპრილი...
და ზარბაზნების ცბიერ ქუხილში
ვერ ვიზარბაზნე და გავნაპირდი.
ასე ცხოვრება არაფრად მიღირს,
სული მაქვს ცხელი ტყვიით დაჭრილი...

მე ვერ მივხედე შენს ხოდაბუნებს,
ვერ შეგაბნიე ლურჯი ყვავილი.
არ მემეტება და რომ დავკარგო,
სად მოვისმინო შენი ქართული?"

და მაინც, პოეტს მომავლისა სჯერა, რადგან:

„თამარაშენთან ქართლი გამოჩნდა,
ვაშლის ბაღებით მოდის თამარი!"

ბ-ნო გენადი, აი, იმ ნომერში, სადც ჩვენი რადიო-გადაცემაა დაბეჭდილი, გვერდია „პოეზია - უპირველეს ყოვლისა," სადაც დასტამბულია დავით ახლოურის „ახალი ლექსები..." იქაა ერთი მცირე მოცულობის ლექსი „წითელი თავშალი," რომელშიც პოეტურადაა ნაჩვენები გზა შერიგებისა:

„როდემდე ომი, როდემდე დავა,
იმ დღეს პატარა - ოსმა გოგონამ
ტირილით მითხრა: „მეც შენი და ვარ"
და გული დამწვა ცრემლმა ობოლმა.
ამ ცრემლმა მერე, გასული წლები,
გადამავიწყა ძმობის ნაშალთან
და მომეჩვენა დაყრილი ხმლები,
ოსი დობილის წითელ თავშალთან."

გ.ბ. ღმერთმა უსმინოს ახალგაზრდა პოეტს. ასეთი პოეტური რემინისცენციები ხშირია ამ გაზეთში და ამას თავისი გამართლებაც აქვს... ძიება მწარე წარსულთან შერიგებისა. სხვათა შორის, „ლიტერატურული ცხინვალის" პირველი ნომერი სულ ოთხ გვერდიანი იყო, იგი ახლა 10 -12 გვერდიანია.

თ.ხ. მე რომ გადავიკითხე, იმ ნომერში, ხელთ რომ მომხვდა, სასიამოვნოდ მრავალპროფილიანობა შეიმჩნევა, ალბათ, გაზეთის სპეციფიკურობის გამო. აქ, გარდა წმინდა ლიტერატურული მასალისა, არაერთია ისტორიული თუ სხვა თემატიკაზე წარმოდგენილი ნარკვევი. აქაა გამოცდილ მეცნიერთა ნაშრომები და დამწყებისაც. მაგ. რუბრიკით „ქვაში ჩაკირული მატიანე" დაბეჭდილია სტუდენტ მორის დანდურაშვილის

სტატია „ერედვის ისტორია“ და დოცენტ ნოდარ მესხრიკაძის არაერთი საინტერესო გამოკვლევა ივანე მაჩაბლის ღვაწლის შესახებ და ბევრი სხვაც. იბეჭდება ესეები ქართველ მწერალთა შესახებ, საკუთარი გამოხმაურებანი არა მარტო რეგიონში მომხდარ კულტურულ ცხოვრებაზე, არამედ საერთოდ. გაზეთი მარტო რეგიონით არ იფარგლება, იგი ერთიანი საქართველოს ინტერესებით ცხოვრობს. ამიტომაცაა „ლიტერატურული ცხინვალის“ ფურცლებზე ავტორთა ასეთი გრადაცია შესაძლებელი.

გ.ბ. მართლაც ასეა. ამიტომაც „ლიტერატურული ცხინვალი“ თანაბრად უთმობს გვერდებს ახალგაზრდა პოეტებსა და პროზაიკოსების გვერდით უფრო გამოცდილთ. მე სიამოვნებით წავიკითხე 1998 წ. დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული „ლექსები ძველი და ახალი რვეულიდან“ იტრიელისა. ეს პოეტური ფსევდონიმია ერთი ჩინებული მეცნიერისა და კარგი პროზაიკოსისა. იქ წავიკითხე:

ნ-ს

„არ არის მართალი!
დროაო მკურნალი – ყოველი
ტკივილის ჩამქრობი ნაღდი...
შენ ისევ მიყვარხარ...
შენ ისევ მახსოვხარ,
როგორც რო მიყვარდი მაშინ!“

თ.ხ. ასაკის ყივილი ხომ არაა, ბ-ნო გენადი?

გ.ბ. მართალია, მაგრამ ეს სტრიქონები მე მაინც უფრო სიყვარულის მარადიულობაზე მაფიქრებს. არა, ასაკი აქ მოსატანი არაა. აბა, ერთი, „ლიტერატურული ცხინვალის“ ერთერთ ხშირ ავტორსა და გაზეთის სარედაქციო საბჭოს წევრს, ახალგაზრდა დათო ახლოურს ვკითხოთ, როცა თავადის ასულს შესთხოვს:

„მინდოდა ვყოფილიყავი
შენი ოცნების წყარო,

ძვირფასი ხარო,
თუნდ ერთხელ
გეთქვა, თავადის ქალო!
თუმც რაც ვიყავი,
ვიყავი,
ქარშიც,
წვიმაშიც,
დარშიც,
შენთან ვიყავი, ძვირფასო,
და, ალბათ, შენთან დავრჩი.“

თ.ხ. ბ-ნო გენადი, გაზეთის ფურცლებზე საგანგებოდ შერჩეულ და დასტამბულ მასალაში იგრძნობა გამოცდილი რედაქტორის ხელი. იგი თითქოს თავს დასტრიალებს ყოველ სტრიქონს. მართალია, ზოგჯერ უმწიფარი ლექსი თუ პროზაული ნაწარმოებიც გვხვდება, სადაც იგრძნობა კაცი დაუდუღარია, დაწმენდა სჭირდება სათქმელს, მაგრამ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა... დრო და ნიჭი ამას გამოასწორებს-ხოლმე.

შეიძლებოდა ბევრი რამ კიდევ გვეთქვა, მაგრამ მთავარი თითქოს ითქვა. ცხინვალის რეგიონის მწერალთა ყოველთვიური გაზეთი „ლიტერატურული ცხინვალი“ მთელი საქართველოს ცხოვრების რიტმს მიჰყვება, მის სიხარულსა და საწუხარს ერთნაირად შეიცნობს. მათ თავიანთი საფიქრიც აქვთ, მაგრამ აქაც ჩანს, მათდა სასახელოდ რომ ცხინვალელ მწერალთა ეს ორგანო ამასაც ქვეყნის საფიქრალს უფარდებს.

გ.ბ. მართალს ბრძანებთ, ბ-ნო თამაზ! ჩვენს გადაცემაში მოვუხმეთ გაზეთის ფურცლებზე დასტამბულ ზოგ ნიმუშს, მაგრამ თემატიკითა და პოეტური ძალით გამორჩეული უფრო მეტი აღუნიშვნელი დაგვრჩა. ეგების თქვენ გადაცემას დაეთმო მათთვის საერთო დროის ნაწილი.

თ.ხ. სიამოვნებით, ბ-ნო გენადი. მათ რუბრიკასაც შევურჩევდი: „სამაჩაბლოელი პოეტები ჩვენთან სტუმრად.“

თავი IV

იშვიათი გაზეთი «ცხინვალის მაცნე»

ქართულ-ოსური ეთნიკური დაპირისპირებიდან სამ ათეულზე მეტი წელი გვაშორებს. დარღვეულია ტრადიციული სიახლოვე, ჩატეხილია ძმობისა და მეგობრობის ხიდი ქართველებსა და ოსებს შორის. ამ ორ მონათესავე ხალხის ნდობის აღდგენისა და სიტუაციის მშვიდობიანად დარეგულირების ერთ-ერთ ფაქტორს გაზეთის გამოცემაც წარმოადგენს. დღესდღეობით ცხინვალიდან დევნილები სრულ საინფორმაციო ვაკუუმში იმყოფებიან, მოშლილია რეალური ურთიერთობები ოს-ქართველთა შორის.



გაზეთის რედაქტორები





შალვა მაჭავარიანი


ვლადიმერ გელაშვილი


არჩილ მამისაშვილი


ვახტანგ მაისურაძე


შიო ღარცულიანი


ვასილ კასრაძე



გორში მცხოვრებ ცხინვალელ ჟურნალისტთა ძალისხმევით, ქართლის მეთაურ ქალაქში კვლავ ამოქმედდა (2021, IX) გაზეთი „შიდა ქართლი" მისი პერიოდული დამატების „ცხინვალის მაცნეს" სახელწოდებით. დევნილი გაზეთი უფასოდ მიეწოდება ოკუპირებული რეგიონის მიმდებარე სოფლების შეჭირვებულ მოსახლეობას, თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს. ასევე, „ცხინვალის მაცნეს" ელექტროვერსია ვრცელდება ცხინვალში,

საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებში მყოფ ცხინვალელ ემიგრანტთა შორის...

როგორც გაზეთის პირველი ნომრის პირველ გვერდზე, რედაქტორის სვეტში ვკითხულობთ: „ცხინვალის მაცნე“ ხელს შეუწყობს კონფლიქტის მონაწილეთა შორის ნდობის აღდგენა-განმტკიცებას, ერთურთთან დაკავშირებას. ამ მიმართულებით კი ქართველმა და ოსმა ჟურნალისტებმა სათანადო წვლილი უნდა შეიტანონ, აღადგინონ ის წლობით ნაწრთობი თანაცხოვრება, სამათეულზე მეტი წლის წინ იქ, ცხინვალის გაზეთების რედაქციების ერთ, განახლებულ შენობაში განთავსებულ ოს-ქართველ შემოქმედთა მუშაკებს წლების განმავლობაში რომ აერთიანებდათ. ეს იყო მათი საერთო სიხარულისა თუ ტკივილის საუკეთესო პერიოდი.

აქვე, სარედაქციო წერილში, - „გფარავდეთ გერისთობის ძალა და მადლი!“ - მოთხრობილია ოკუპირებული რეგიონის სოფელ გერში აღმართული წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის შესახებ, რომელიც შიდა ქართლისა და სრულიად საქართველოს ერთ-ერთ უდიდეს სალოცავად ითვლება. ტაძარი VI საუკუნეშია აშენებული.

ისტორიის მიხედვით, ქართლის მეფეს, ფარსმან V ცოლად შეურთავს აფხაზეთის მთავრის ასული, რომელსაც თან გერი მოჰყოლია. დედოფალს მზითვში გაატანეს წმინდა გიორგის წმინდა ნაწილები და ხატი. ფარსმან V უშვილო გახლდათ და ეს მზითვი თავისი გერისთვის უჩუქებია. ამ უკანასკნელმა კი ქართლის ჩრდილოეთით, გუდისის მთის წვერზე ააგო ეკლესია, სადაც ხატი და წმინდა ნაწილებიც იქ დაუსვენებია.

სალოცავი ქალაქ ცხინვალიდან 22 კილომეტრშია, ზღვის დონიდან 1400 მეტრის სიმაღლეზე. ის სასწაულმოქმედია და არაერთი ფაქტი დაფიქსირებულა, როდესაც სხვადასხვა დაავადებით შეპყრობილი ადამიანები იქ განკურნებულან.

გერის წმინდა გიორგის დღესასწაული სამჯერ აღინიშნება, მარიამობის მომდევნო კვირა დღიდან სამი კვირის განმავ-

ლობაში, შაბათ-კვირას - თავგერისთობა, შუა გერისთობა და ბოლო გერისთობა.

სალოცავი დღეისათვის რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარეობს და მას ოსური და რუსული მხარე „რესტავრაციას“ უტარებს (ხდება ქართული წარწერების წაშლა). მანამდე ხალხი იქ ღამის თევით მიდიოდა და ვისაც შეთქმული ჰქონდა, სწირავდა საქონელს, ჩოქვით შემოუვლიდა ეკლესიას, ან იქ არსებული „დადიანური ჯაჭვით“ კისერზე გადაკიდებული, სამჯერ შემოუვლიდა სალოცავს. ძველად, წმინდა გიორგის, ძირითადად საქონლის მგლისაგან დაცვას შესთხოვდნენ. აღსანიშნავია, რომ ქართველებთან ერთად ოსებიც ადიოდნენ სალოცავად.

გერის წმინდა გიორგის სალოცავის ბარის საბრძანისია გორის რაიონის სოფელ არბოში, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.

გერის სალოცავის ამსახველი კადრები არსებობს ქართულ მხატვრულ ფილმში „ქაჯანა.“

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ქართველ მოსახლეობას აღარ აქვს შესაძლებლობა ეკლესიაში მოილოცოს. სწორედ ამიტომაც, მათ არბოში უწევთ მისვლა-მოლოცვა. 2010 წელს კი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბერბუკის დევნილთა დასახლებაში მოსახლეობამ გერის წმინდა გიორგის ნიში ააგო.

ამავე ნომერში, არ შეიძლება აუღელვებლად წაიკითხო თ. დგვრისელის კორესპონდენცია „მონატრებული შეხვედრა:“ თამარაშენი - ერთ დროს მდიდარი სოფელი თავისი ულამაზესი ბუნებით, გამრჯე, წელში გამართული გლეხკაცის მარჯვენით წალკოტად ქცეული ბაღ-ვენახებით, „ამ მადლიან და დალოცვილ მიწაზე“ აღზრდილი საამაყო მამულიშვილებით...

საამისოდ ერთი სახელიც კმარა, - ივანე მაჩაბელი, - ცნობილი მწერალი, პუბლიცისტი და რედაქტორი. მისთვის სათაყვანებელი სამკვიდრო და სამოსახლო - თამარაშენი.

რთული იყო იქ ცხოვრების ბოლო ორი ათეული წელი სოფლის მოსახლეობისთვის. მუდმივი სტრესისა და არეუ-

ლობის ფონზე, ისინი ფარ-ხმალს მაინც არ ყრიდნენ, ფეხს არ იცვლიდნენ ადგილიდან, წინანდებურად ამუშავებდნენ მამულს, მოჰყავდათ მოსავალი, მისდევდნენ ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს...

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანმა ომმა ნაცარ-ტუტად აქცია სოფელი. მოსახლეობამ რისკის ფასად გამოაღწია სამშვიდობოს. დევნილის ბუნებაში კვლავ იმძლავრა მშრომელი კაცის გენმა. ისევ წელში გაიმართა გლეხკაცი. საცხოვრისი, სადაც დღეს მკვიდრობს, ბაღნარად აქცია და არც მამა-პაპათა დანაბარებს ივიწყებს.

გასულ (2020) წელს, დროებით ჩამქრალი პანდემიის პირობებში, მცხეთის რაიონის სოფელ წილკანში, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში, ერთმანეთით მონატრებულმა თამარაშნელებმა მოიყარეს თავი და დათქვეს, მომდევნო წელს ისევ შეკრებილიყვნენ და, საერთოდ, ტრადიციად ექციათ ეს შეხვედრა მომავალში...

იმ დღეს, დათქმულ დროს - წილკანმა, წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში, კვლავ უმასპინძლა სხვადასხვა ადგილებში საცხოვრებლად გაბნეულ თამარაშნელებს, დევნილობაში გაზრდილ-დავაჟკაცებულებს.

მწვანეში ჩაფლულ მრავალწლოვანი მუხების ჩრდილქვეშ გაშლილ გრძელ სუფრასთან, ცნობილი თამადის - ვასილ დათაშვილის თავკაცობით, ღმერთს მშვიდობას, პანდემიის დამარცხებას და მშობლიურ მამულეთში დაბრუნებას შესთხოვდნენ.

შეკრება გვიან საღამომდე გაგრძელდა. ეძნელებოდათ ერთმანეთთან დამშვიდობება თამარაშნელებს და მაინც... დაიშალნენ იმ იმედით, რომ აღნიშნული შეხვედრა კვლავ, მომდევნო წლის ზაფხულში შედგებოდა.

ცხინვალის მიმდებარე ე.წ. საზღვრისპირა სოფელი ერგნეთი!

ბოლო ხანებში უამრავი ტკივილის გადამტანი - ომს შეწირული მამულიშვილების: სიცოცხლით გაუმაძღარი ახალგაზრ-

დების, დევნილების და სოფლის მკვიდრთა მყუდრო სავანედ ქცეული ძვალთშესალაგი...

ერგნეთი - სულით გაუტეხავი ერგნელები...

მაშინ, გასული საუკუნის 90-იან წლებში, ერგნეთის მიმდებარედ, სოფელ მამისაანთუბნის ერთ კერძო ბინაში დაწყებითი კლასების ამოქმედება-კურთხევა მამა რომანოზ კასრაძის მიერ და ამ სკოლის ახალგაზრდა დირექტორის მედეა ტრამაკიძის ოპტიმისტური განწყობა - სკოლას მეტ სიცოცხლეს შევმატებთ, გავაფართოვებთ და მრავალრიცხოვანს გავხდითო...

„კაცი ბჭობდა..." - ნათქვამია! მალე, ოს-ქართველთა ეთნიკური დაპირისპირების ნიადაგზე, სხვებთან ერთად, დაწყებითი კლასების სასწავლებელიც დევნილად იქცა.

არ გაჩერებულა დირექტორი, დევნილ და ადგილობრივ პედაგოგებთან ერთად, ყველაფერი გააკეთა, რომ ცხინვალის სიახლოვეს, კონფლიქტის დარეგულირებამდე, სოფელ ერგნეთში ამოქმედებულიყო ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებელი. 1991 წლიდან, დევნილი და ადგილობრივი ბავშვებისთვის, ტრიალ მინდორზე განთავსებულ ცხრა ვაგონში აწკრიალდა სწავლის მაუწყებელი პირველი ზარი და მას ერგნეთ-მამისაანთუბნის საჯარო სკოლა ეწოდა.

მიუხედავად უმძიმესი პირობებისა: არა - შუქი, არა - გათბობა, არა - საცხოვრისი, არა - ტრანსპორტი, - ძირითადად ცხინვალიდან დევნილი მასწავლებლებისგან შემდგარი კოლექტივი მხნედ და შემართებით უმკლავდებოდა გასაჭირს.

წლების შემდეგ, სკოლამ სახე იცვალა, ვაგონებში მეცადინეობა წარსულს ჩაბარდა და მოსწავლეებმა ტიპიურ შენობაში გააგრძელეს სწავლა.

სოფელი გამოცოცხლდა, ერგნეთის ბაზრობამ დაპირისპირებული მხარეები ჩააცხრო-ჩააწყნარა და მოსწავლეების რიცხვმაც იმატა.

მერე, რუსეთ-საქართველოს ომი... 2008 წელმა აუნაზღაურებელი დარტყმა მიაყენა ერგნეთს, მთლიანად განადგურდა სკოლის შენობა თავისი დგამ-ავეჯით.

დადუმდა სოფელი, მოსწავლეები აქეთ-იქით გაიფანტნენ.

მიუხედავად ამისა, დროის მცირე მონაკვეთში, „საქართველოს ბანკის“ დახმარების ფონდმა სკოლას კვლავ დაუბრუნა სიცოცხლე, თუმცა, დაღდასმული ერგნეთი მოსახლეობისგან გამოიხშირა...

2021 წელს, 57 მოსწავლე მიუჯდა სასწავლო მერხს (დირექტორი ემზარ მამისაშვილი). კვალიფიციური პედაგოგები ცდილობენ, სწავლასთან ერთად, მოზარდები სრულყოფილ მოქალაქეებად აღზარდონ.

როგორც წამყვანმა პედაგოგმა, თამარ დარბუაშვილმა აღნიშნა, - მიმდინარე წელს ჩვიდმეტმა ახალგაზრდამ დაამთავრა სასწავლებელი, მათგან თხუთმეტმა სტუდენტობა იზეიმა.

გვჯერა მომავლის, სოფელი მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდება და სკოლა მრავალრიცხოვან აღსაზრდელთა ჟრიამულით აახმიანებს შემოგარენს, – დამაჯერებლად აცხადებს „წლის მასწავლებელი (2023),“ ერედვის მუნიციპალიტეტის ერგნეთ-მამისაანთუბნის საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი მედეა ტრამაკიძე.

განახლებული გაზეთის გამოსვლას გვილოცავენ:



ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტი ისაია: „ქვით ჩაქოლვისათვის მსჯავრდებულ დედაკაცს როცა მიიყვანენ ქრისტესთან და ჰკითხავენ, შენ რას იტყვი, როგორ განიკითხავო მას? თავდახრილმა მაცხოვარმა - დუმილის შემდეგ - უპასუხა, ვისაც თქვენ შორის ცოდვა არ ჰქონდეს, პირველი

ქვა მას ესროლოსო და როცა ამოიხედა, დაინახა მხოლოდ ცოდვილი დედაკაცი, დანარჩენები სათითაოდ გაკრეფილიყვნენ მაცხოვრისაგან მხილებულები, დედაკაცს კი უთხრა, არც მე განგიკითხავ, წადი ოღონდ ნუღარა სცოდავო!..

როგორ გვჭირდება დღევანდელ საზოგადოებას და ყოველ ადამიანს, ასეთი დანახვა მოყვასისა და მით უფრო საკუთარი თავის... როგორ გვჭირდება, რომ ყველგან მტერი არ მოგვევლანდოს!.. განვიმსჭვალოთ სიყვარულით, ვიყოთ - მკაცრებიც, მომთხოვნებიც!.. მაგრამ სადაც საჭიროა, ვიყოთ ლმობიერებიც!..

„ქმნა მართლისა სიმართლისა," მხოლოდ სიყვარულზე დაშენებული სიმართლით და სამართლით არის შესაძლებელი!..

„ცხინვალის მაცნეს," - განახლებული გაზეთის თანამშრომლებს გისურვებთ, რომ მიუხვდეთ დროის მაჯისცემას - თუ რა სჭირდება ქვეყანასა და ხალხს უკეთესი მომავლისათვის; გისურვებთ, თქვენი სიტყვა და საქმე მალამოდ ექცეს ჩვენს ჭრილობებს და თქვენც, თქვენი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოთ ქვეყნის, თანმიმდევრულ და ჰარმონიულ განვითარებასა და ფეხზე წამოდგომაში!.."



მარინა თექთუმანიძე



მარინე გიგინეიშვილი


საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თანათავმჯდომარეები მარინა თექთუმანიძე და მარინე გიგინეიშ-

ვილი: „საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი მიესალმება ცხინვალის რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ „ცხინვალის მაცნეს“ ამოქმედებას. აღსანიშნავია, რომ 13-წლიანი ლოდინის შემდეგ, დევნილი ჟურნალისტების დიდი ძალისხმევითა და თბილისში სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ფინანსური მხარდაჭერით, მკითხველმა მიიღო მისთვის სასურველი გაზეთ „შიდა ქართლის“ (თავიდან, - 1991 წლიდან, - გამოდიოდა როგორც საქართველოს უზენაესი საბჭოს ორგანო) განახლებული ვერსია, - „ცხინვალის მაცნე.“

გვჯერა, განახლებული გაზეთი „შიდა ქართლელთა“ იმ სახელოვანი ტრადიციების, - ოს-ქართველთა მეგობრობის, მშვიდობიანი თანაცხოვრების მებაირახტრე და იდეური სულისჩამდგმელი, - ღირსეული გამგრძელებელი იქნება საუკუნოვანი კეთილგანწყობილი ურთიერთობები რომ აკავშირებდათ ამ ორ მონათესავე ადამიანებს.

ნიშანდობლივია, რომ გაზეთის დიზაინი და გაფორმება სრულად შეესაბამება გამოცემის დანიშნულებასა და მიზანს. რედაქციას ხელმძღვანელობს და სარედაქციო კოლეგიას სათავეში უდგას რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრი, ივანე მაჩაბლისა და ჟურნალისტიკაში ყველაზე პრესტიჟული - ნიკო ნიკოლაძის პრემიების ლაურეატი, „ღირსების ორდენის“ კავალერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ჟურნალისტიკის სპეციალობით, ჩვენი კოლეგა რობერტ ოდიკაძე.

„სიმართლის გამარჯვებასა, მთაზე არწივი ჰყიოდეს...“ კვლავაც სიკეთისა და სიმართლის გზით, მშვიდობის მაცნედ იშრიალოს „ცხინვალის მაცნემ!“


ბალათერ არაბული

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თანათავმჯდომარე ბალათერ არაბული: „მივესალმებით ცხინვალიდან დევნილ პროფესიონალი ჟურნალისტების წლების მანძილზე მიზანმიმართულ ძალისხმევას.

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის სახელით, გილოცავთ ცხინვალის რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ „ცხინვალის მაცნეს“ ამოქმედებას!

საინტერესო გაზეთია - დიზაინით და შინაარსით, თემებით...

ლიტერატურული გვერდის ჩართვასაც თუ მოახერხებთ, კარგი იქნება, განსაკუთრებით ახალგაზრდა, დამწყები ავტორებისთვის.

წინ ფართო ასპარეზია!

წარმატებებს გისურვებთ!..“

იქ, ლიახვისპირა ქალაქში, ტრადიციულ ქართულ და სტუმართმოყვარე ოჯახის თავკაცად იცნობდნენ ჩვენს ღვაწლმოსილ კოლეგა-მეგობარს, ცხინვალის ქართული საოლქო გაზეთის კულტურის განყოფილების გამგეს, დამსახურებულ ჟურნალისტს ალექსანდრე (შაშო) თედიაშვილს. ამაგდარ პუბლიცისტს დიდად ეამაყებოდა მისი გვარ-ჯილაგის გამგრძელებელი ვაჟი...



ეთერ და ზაზა თედიაშვილები

აქ, დევნილობაში კი, ოჰ, ეს 21... „ცხინვალის მაცნე“ მწუხარებით იუწყებოდა: 21 სექტემბერს (2021 წ.), მაშინ, როცა მთელი ქრისტიანული სამყარო ღვთისმშობლის დღესასწაულს ზეიმობდა, ისედაც ბედკრული ცხინვალელები სიცოცხლის უკანასკნელ გზაზე აცილებდნენ მარად უკვდავი ხელოვნების დაუცხრომელ მსახურს, ივანე მაჩაბლის სახელობის ცხინვალის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორს ზაზა თედიაშვილს.

მართლაც რომ გულსაკლავად დასძენდა დიდი ვაჟა დედმამიშვილის სააქაოდან განშორებას:

„სიკვდილსა გლოვა უხდება,
მკვდარ ძმას ტირილი დისაო...“

და მწარედაც გოდებდა დაიკო ეთერი, მისთვის საფიცარი ძმის - ზაზას დაკარგვას:

„ხმა მესმის შენი მუდამ მზრუნველი,
თითქოს ნიავი არხევდეს ფარდებს,
უცხო, საამო, ნაზი სურნელი,
ამაოდ დამდევს, ვერ მიკლავს დარდებს.
უკან, გულ-ღვიძლში ვაბრუნებ კივილს,
უსასრულოს და გულის წამღებს,

რა გააყუჩებს უშენოდ ტკივილს,
მე - ანტიგონე ვიხოკავ ღაწვებს.
არა, არ მინდა რომ დავიჯერო,
ამხელა გული როგორ დაგკარგე,
შენ ხომ მაგ სინდის-ნამუსის ძარღვით,
ეს სიყვარული ძეგლად დაქარგე.“

მიუხედავად პანდემიის მძვინვარებისა, პატრიოტი ქართველის გამოსამშვიდობებლად და ახლობლების სანუგეშოდ, ქაშუეთის ეკლესიასთან მრავლად შეიკრიბნენ მისი ნაცნობ-მეგობრები.

იქ იმყოფებოდნენ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, თბილისში სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დიმიტრი სანაკოევი და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები.

ცხინვალელმა მამულიშვილმა თბილისში, მუხათგვერდის სასაფლაოზე ჰპოვა მარადიული სასუფეველი.

ამა ქვეყნიდან ადრე წასულ ახლობელს ლექსით დაემშვიდობა პოეტი და დრამატურგი მზია ხეთაგური:

„ისე წახვედი, არც არავინ არ შეაწუხე!
ბოლო სუნთქვამდე, სამაჩაბლო გტკიოდა მხოლოდ!
კითხვებს რომ სვამდი, ვერ იღებდი გულწრფელ პასუხებს,
სწორედ იმ ჩემმა სატკივარმა მოგიღო ბოლო.
ზოგ ზე ხომ უთქვამთ - კეთილი და სათნო იყოო?
თუმც ზოგჯერ ვეჭვობ, - არ ეკუთვნის ქება-დიდება!
რამდენი ცდილობს, რომ მუცელი ამოიყოროს
და უღვთოდ სჯერა, რომ სიხარბე ეპატიება!
შენ კი, გულიდან, ბერიკები გ ზამდე გაგყავდა,
მხრებზე შეიდგი ერთგულებით ნაგები ხიდი...
და როს ლიახვი ადიდებულ ძველმანს რიყავდა,
ცხინვალურ ფარდაგს ფარდასავით კემსავდი რიდით...
ღმერთმა იცოდა, თურმე, იმ წუთს, რომ მართლა კვდები,
შენი სისხლსავსე ბავშვობა კი ლიახვში ღელავს...

დაგემხობიან მკერდზე შენი ერთგული დები
და ცოლი შენი – სათნოებით უთქმელი ლელა!
ისე წახვედი, არც არავინ არ შეაწუხე!
ბოლო სუნთქვამდე სამაჩაბლო გტკიოდა მხოლოდ!
კითხვებს რომ სვამდი, ვერ იღებდი გულწრფელ პასუხებს
და უპასუხო სატკივარმა მოგიღო ბოლო!“

მარადისობას უდროოდ შეერთებულ მეგობარს გულჩათხრობილი ეხმიანება პოეტი, პუბლიცისტი და მუსიკოსი შოთა დარბუაშვილი:

- სიტყვა უძლურია...

ასე მოულოდნელად შეუერთდი მარადისობას, მართალთა პანთეონს.

ღრმად სევდიანი კაცი იყავი, სამშობლოს ბედზე ჩაფიქრებული. ტკივილიანი იყო შენი იუმორი, შენი მახვილი რგოლი...

არ მინდა თავი ვინუგეშო, ან ვინმე ვანუგეშო. საშინლად მტკივა, შენ ბრძოლის ველზე დაეცი.

შესანიშნავი ინტელიგენტი გარდაიცვალა, ჩემი მეგობარი - ზაზა თედიაშვილი!

და უკვე:

„ჩემო ტკბილო მეგობარო,
შენი ნახვა მენატრება...“

ვუსამძიმრებ ოჯახს, ახლობლებს, ჩვენი საძმო-სამეგობროს ბიჭებს, ყველა თვალცრემლიან ცხინვალელს!

დრო მიდის... ცხინვალის დევნილი სახელმწიფო დრამატული თეატრის სულმნათი დირექტორი მონატრებია მასთან შეზრდილ მეგობარსა და თანამშრომელ მსახიობს, დალილა დოიჯაშვილს (2023 წ., X) - ძალიან ძნელი ყოფილა მეგობრები რომ გვტოვებენ და მარადისობაში მიდიან. მიაქვთ გულის ნაწილი, ფერმკრთალდება ლამაზი მოგონებები, ძლიერდება მონატრება და უფრო ძლიერად გრძნობ, როგორ გყვარებია.

ჩემო ზაზა! შენ ჩემი ბავშვობაც ხარ, ჩემი ცხინვალიც, სიკეთის და ერთგულების საზომიც. არ მეგულება ჩვენს გარშემო ადამიანი, ვინც სიყვარულით არ გიხსენებს.

ნათელი შენს ლამაზ სულს. ბევრი სიკეთე, სიხარული და დღეგრძელობა შენს ოჯახს!

ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის რთული დღევანდელობითა და მძიმე წარსულით დაინტერესებულ მკითხველს, „ცხინვალის მაცნე“ (2022, №2) სთავაზობს ნაწყვეტს „რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტის ჯიმშერ რეხვიაშვილის წერილიდან „საბედისწერო 1922 წელი:“ 1922 წლის 20 აპრილს შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და მასში შევიდა 40 ქართული სოფელი და ერთი ქალაქი - ცხინვალი, სადაც 20 ათასი ქართველი და 1100 ოსი ცხოვრობდა.

ავტონომიური ოლქის შექმნის საბოლოო გადაწყვეტილებაც მოსკოვში იქნა მიღებული, რასაც წინააღმდეგობა ვერ გაუწია ადგილობრივმა ხელისუფლებამ, რომლის დასკვნა ერთმნიშვნელოვნად ნეგატიური იყო.

„ოსების მიერ დასახლებული რაიონები მოკლებული არიან გეოგრაფიულ მთლიანობას და შეადგენენ გეოგრაფიულად და ეკონომიურად სხვადასხვა პროვინციების ნაწილებს. ასეთი ჩამონაჭრებიდან ხელოვნურად შემდგარი ადმინისტრაციული ერთეულის შექმნა განუხორციელებლად უნდა ჩაითვალოს ტოპოგრაფიული პირობების გამო,“ - წერდა საქართველოს ცკ-ის მაშინდელი მდივანი ბესარიონ კვირკველია.

ისტორიკოს ლევან თოიძის მიხედვით, ამიერკავკასიის კომისარიატისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის მანძილზე შიდა ქართლში მცხოვრებმა ოსებმა სამჯერ მოაწყვეს აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მიზნით. სამივეჯერ აყენებდნენ საკითხს საქართველოსგან ე.წ. სამხრეთ ოსეთის ჩამოცილებისა და საბჭოთა


ბესარიონ კვირკველია

რუსეთთან შეერთების შესახებ. სამივე ეს აჯანყება საბჭოთა რუსეთისა და მისი ბოლშევიკური პარტიის მიერ იყო ინსპირირებული და დაფინანსებული.

თუმცა ერთია ავტონომიის მოთხოვნა და მეორე - ტერიტორიის გამოყოფის საკითხი. თვითონ ოსმა ბოლშევიკებმა საკითხი ასე გადაწყვიტეს:

„1921 წლის 6-8 სექტემბერს გამართულმა სამხრეთ ოსეთის რევკომისა და პარტიული კომიტეტის სხდომამ დაადგინა: სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის აუცილებლობა ცენტრით ცხინვალში და, რომ სამხრეთ ოსეთის საბჭოთა რესპუბლიკა ნებაყოფლობით შედის საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკასთან ფედერაციულ კავშირში.“

ამავე სხდომაზე შემუშავდა „ახალი რესპუბლიკის“ საზღვრების პროექტი, რომელმაც მოიცვა გორის, დუშეთის, რაჭისა და შორაპნის მაზრების რამდენიმე ათეული ქართული სოფელი. ცხადია, ამ საკითხშიც გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნოდა რუსეთის კომუნისტური პარტიის ცკ-ის კავბიუროს, რომელმაც შალვა ელიავას მოხსენების საფუძველზე დაადგინა: მიენიჭოს სამხრეთ ოსეთს ავტონომიური ოლქის სტატუსი და საქართველოს რევკომმა სამხრეთ ოსეთის აღმასკომთან ერთად დაადგინოს მისი საზღვრებიო.


გრიგოლ ლორთქიფანიძე

გრიგოლ ლორთქიფანიძემ, პირველი რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელის მოადგილემ, ოსურ ავტონომიას ხელოვნურად გამოჭრილი უწოდა: „ჩამოჭრილი ტერიტორიების გარეშე დარჩენილი საქართველო ფორმალურად გამოცხადებული იქნა საქართველოს საბჭოთა დამოუკიდებელ რესპუბლიკად, მაგრამ თვით ეს საქართველოც ძლიერ დასერა

და დასჭრა რუსეთმა პოლიტიკურად და ტერიტორიულად. ამ მიზნით მან გამოაცხადა აფხაზეთის ჯერ დამოუკიდებელი, შემდეგ ავტონომიური რესპუბლიკა. ასეთივე რესპუბლიკა აჭარაში და ავტონომიური ოლქი სამხრეთ ოსეთისა. ყველა ამ ე.წ. რესპუბლიკების შექმნა და მათი საქართველოსადმი დაპირისპირება და მისგან მაქსიმალურად გამოთიშვა ძველი რუსიფიკატორული პოლიტიკის ახალ ფორმაში გაგრძელებაა."

* * *

პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი საქართველოს შესახებ ევროპარლამენტის მომხსენებელს სვენ მიკსერს შეხვდა (2022, №2). მან სვენ მიკსერს მადლობა გადაუხადა საქართველოს ევროპული პერსპექტივის მხარდაჭერისა და საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების ანგარიშის შემუშავებაში გაწეული ძალისხმევისთვის.

სვენ მიკსერმა ევროპარლამენტის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და ევროპული მისწრაფებებისადმი მტკიცე მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დააფიქსირა.


საკანონმდებლო ორგანოში, ევროპასთან ინტეგრაციისა და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტების ერთობლივ სხდომაზე, სადაც საქართველოს საკითხზე ევროპარლამენტის მომხსენებელს სვენ მიქსერს უსმენდნენ, პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკოლოზ სამხარაძემ ევროკავშირს მიმართა, ტერმინი „სამხრეთ ოსეთი" ოფიციალური გამოყენებიდან ამოიღოს.

როგორც ნ. სამხარაძემ განმარტა, ტერმინი „სამხრეთ ოსეთი" სტალინის მიერ 1922 წელს შეიქმნა და მას საქართველოს კონსტიტუცია არ ცნობს.

„თქვენ და დასავლეთი ებრძვით სტალინისტურ გამოვლინებებს. ამის საწინააღმდეგოდ, თქვენ იყენებთ ტერმინს „სამხრეთ

ოსეთს“ ყველა თქვენს დოკუმენტში, რომელიც ასევე სტალინისტური ტერმინია და 1922 წელს შეიქმნა. მანამდე ის არ არსებობდა. „სამხრეთ ოსეთს,“ ასეთ წარმონაქმნს საქართველოს კონსტიტუცია არ იცნობს. ამიტომ, ჩემი თხოვნაა, მოწოდებაა, რომ ვიმსჯელოთ ერთად როგორ შეიძლება ამოვიღოთ ეს ტერმინი საერთოდ თქვენი ოფიციალური დოკუმენტებიდან. არ არის სასიამოვნო ევროკავშირი ან თუნდაც ნებისმიერი სხვა ჩვენი სახელმწიფო სტალინის დროინდელ დასახელებას იყენებდეს. თუ ჩვენგან ოფიციალური მომართვაა საჭირო, ამას გავაკეთებთ,“ - განაცხადა ნიკოლოზ სამხარაძემ.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სვენ მიქსერმა განაცხადა, რომ ამ საკითხს ჩაინიშნავენ. „ეს უნდა ჩავინიშნოთ და გავითვალისწინოთ მომავალში, როდესაც ევროპულ დოკუმენტებს შევიმუშავებთ,“ - განაცხადა სვენ მიქსერმა.



ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ვანო ჩხიკვაძე, თანამედროვე ქართულ მწერლობაში, კარგა ხანია რჩეულ შემოქმედთა რიგებს ამშვენებს. მისი ლექსების კითხვისას მყისვე შეიგრძნობ, რომ „სამყარო არასოდეს დაკარგავს პოეტურობას.“

„ძალი შეგწევთ ქადილისა!..“ - იუბილარ პოეტს ასე მიე-

სალმება „ცხინვალის მაცნე“ (2022, XII): წლევანდელ „ოქტომბერში თუ ჩვენს მხარეს ჩაგივლია...“ ჭეშმარიტად ჩაგვივლია, ქართლის მეთაური ქალაქის ქუჩები შემოგვივლია და მადლიანი გორელების ტკბილნაუბარიც გვსმენია - ქართული სიტყვის დიდოსტატი ვანო ჩხიკვაძე 75 წლისაა!..

გაზეთ „ცხინვალის მაცნეს“ რედაქცია მიესალმება იუბილარს - სახელოვან პოეტს (ამასთან, პატარების მესაიდუმლეს), პროზაიკოსს, ჟურნალისტსა და პუბლიცისტს.

ვიცით, კარგად ვიცით, საამაყო ერისკაცის ღვაწლი და „ფასი, როგორც დიდი ქართველი მწერლისა.“

კვლავაც აღმასვლით - სიტყვაკაზმული ქართული მწერლობის უკიდეგანო მწვერვალებისკენ, რამეთუ „ძალი შეგწევთ ქადილისა!“

მხნეობა და ჯანის სიმრთელე ნუ მოგაკლოთ მამაზეციერმა, ჩვენო სასიქადულო მამულიშვილო!

ქვეყნის დღევანდელობით აღშფოთებული პოეტი, გასული წლის 8 თებერვალს - ძლევამოსილი ქართველის, საქართველოს გამაერთიანებელი მეფის დავით IV აღმაშენებლის ხსენების დღეს ლექსით ეხმიანება:

„წამოგეწია ჟამი ფლიდი
და მოყაშყაშე,
ჭვარტლის ყორანი მზეს აბნელებს, ჰაერს აბრუებს.
თვითონ ეშმაკსაც დააბრმავებ მაგ ხმლის კაშკაშით -
თბილისისაკენ, დავით, ცხენი შემოაბრუნე!
პირუმტკიცარმა
შენ, პირნათელს, როგორ შეგბედა,
მკვდრეთით აღმდგარი ცრუ ილღაზი ძეგლებს ეკვეთა -
არ შელახულა გვირგვინი და სკიპტრა მეფეთა,
ვიდრე ეს ჭირი ქვეყანას არ შემოეფეთა.
როცა დაგტოვეს
ამ გუგუნში, სიცხის ღადარში,
ეგონათ, დიდი ისტორიის წიგნი დახურეს -
ქართლს შემოავლე ცისარტყელად მაგ ხმლის კაშკაში -

თბილისისაკენ, დავით, ცხენი შემოაბრუნე!“


მიდის, მიფრინავს წუთისოფელი და... დრომ რომ არ გაგვატიალოს, ახლო წარსულს მწარედ იხსენებს გულჩათხრობილი შემოქმედი:

„გახსოვს, აპრილის შემოთენება,
ამოხეთქილი -
„მამულს დიდება!“
რამპის ჩირაღდნით „ლურჯი ცხენების
„წითელ ბალახზე“ გაჯირითება?
გახსოვს, ტყვიების მრავალწერტილი -
მოზარე დღემდე მოთქვამს და გოდებს -
როგორც ფოთოლი,
გულგახეთქილი
ბელურები რომ სცვიოდათ ტოტებს?
დრომ ის ტკივილი ველარ წალამა,
ახლაც გიხსენებ, მწარე თარიღო,
მავანმა როცა დადო კალამი
და ძმათამკვლელის თოფი აიღო.
.....
საღამოს ლოცვა ღამის მთეველთა,
ზეცით წყალობა გვირგვინოსანის
და ანთებული საკურთხეველთან
მონანიების ცრემლი - შროშანი.“

დაბოლოს, მოგონებათა ტკივილით გულგაჯერებული მამულიშვილი მოძღვარს მიმართავს:

„ფრთხილად, ხელახლა რომ არ წაგლეკონ,
არ შეგაგუონ ჟამს უმოწყალოს,
აახმიანო უნდა სამრეკლო,
დარეკე ზარი:
- სად ხარ, მოძღვარო!“

და მრევლის გამოსაფხიზლებლად მოძღვრავს და ზარის შემოსაკრავად მოუწოდებს!



ჩვენებურებო, ცხინვალელებო!

მალე აგვხდენოდეს გულს მოძალებული სურვილი - მამა-პაპურ კერაზე დაბრუნება!

ჩემი ოცნებაა, გადავიღო, როგორ ბრუნდებიან ცხინვალში ქვეყნის ოთხივე კუთხით გაფანტული ქართველები! - ასე მიმართავს „ცხინვალის მაცნეს“ ფურცლებიდან (2023, №9) ცნობილი ხელოვანი, ღირსეული ცხინვალელი ჯემალ კასრაძე, რომელსაც ეპოქის მემატიანესაც უწოდებენ.

ვინ აღარ გადაუღია მის ფოტოობიექტივს, რა ქარიშხლები აღარ გამოუვლია, თითოეული ფოტო - ნოველაა, მატიანეა, რომელიც გვიამბობს გარდასულზე, შეჩერებულ დროზე, ტკივილსა თუ სიხარულზე.

მის ფოტოობიექტივშია ეროვნული მოძრაობა, ცხინვალი და აფხაზეთი. ამასთან, პოლიტიკოსები, ხელოვანები, სპორტსმენები, მოღვაწენი...

ჯემალ კასრაძე - მარაბდისა და შინდისის გმირთა ნაკვალევზე, ილიას ნაფეხურებს ამგზავრებული მერაბ კოსტავას ეზოში, სტეფანწმინდასა და მარაბდაში... იგი ყველგანაა, თავისი სამშობლოს ყველა კუთხე-კუნჭულში და, მაინც, მშობლიური ცხინვალისკენ სხვანაირად მიუწევს გული.

ცხინვალიდან დაწყებული, ბავშვობიდან, სრულიად საქართველოს მოგზაური და ცოცხალი თვალია, თვალი, რომელიც გაიძულებს, რომ ასევე მზერა მიაპყრო სინამდვილეს, ჩაფიქრდე და მომავალი აშენო.

სხვადასხვა გამოფენაზე წარმოდგენილმა მისმა ნამუშევრებმა, არაერთხელ დაიმსახურეს საპრიზო ადგილი და ფულადი ჯილდო. გამოსცა სამი წიგნი: „ჩიტებით სავსე ყუთი,“

„ვაჟა კაჭარავა“ და ფოტოგალერეა „ჩემი დროის ადამიანები.“

ყოვლადწმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის გადაღებისთვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დააჯილდოვა საპატრიარქოს სიგელით.

ქართული ფოტოხელოვნების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, საქართველოს დამსახურებულ ჟურნალისტს ჯემალ კასრაძეს, როგორც კულტურის სამინისტროს რჩეულს, მიენიჭა პირველი ქართველი ფოტოგრაფის - ალექსანდრე როინიშვილის პრემიის ლაურეატის წოდება და რაოდენ გასახარია, რომ ნიჭი და უნარი გრძელდება მის მონაგარში.


თინა კვალიძე მარინე გიგინეიშვილი

პროფესიონალი ჟურნალისტისა და პუბლიცისტის, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ყოფილი თანათავმჯდომარის, ნიკო ნიკოლაძის პრემიის ლაურეატის, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის - მარინე გიგინეიშვილის შემოქმედებითი შემართება (გაზ. „ახკომიდან“ დაწყებული), ახლო წარსულში, რთულ და გაუსაძლის ჟამს, მისი რედაქტორობით გამოცემულმა მრავალტირაჟიანმა გაზეთმა „დრომ“ წარმოაჩინა...

და ისევ გზა - აღმასვლისა, ცნობილმა ჟურნალისტმა, 2023 წლის გარიჟრაჟიდან, ტელეარხ „ქართული TV“-ის ეკრანზე, როგორც საავტორო გადაცემის წამყვანმა, კვლავაც გაიბრწყინა. „მოხიბლული ვარ... ძლივს ვნახე აზრიანად და კულტურული ენით მოსაუბრე ჟურნალისტი!“ - სწორად ბრძანებს პოლიტოლოგი და საზოგადო მოღვაწე თეიმურაზ შაშიაშვილი.

ჟურნალისტისა და პუბლიცისტის თამაზ ჭეიშვილის თქმით, - „მარინე გიგინეიშვილის საავტორო გადაცემით „დრო,“ ანუ, გაზეთი „დრო გაცოცხლდა ციფრულ ვარიანტში.“ ღმერთმა ინებოს, მალე გვენახოს სამზეოზე „დრო“ - ჟამის შესაფერად!

„ქართული TV“- ის წამყვანმა მორიგ საავტორო გადაცემაში მიიწვია ცხინვალელი თანამოკალმე თინა კვაღინიძე.

„ქართული TV“-ის მრავალრიცხოვანი მაყურებლისა და „ცხინვალის მაცნეს“ ფართო მკითხველის თხოვნით, გაზეთში გთავაზობთ აღნიშნული საავტორო გადაცემის (შემოკლებით) ვიდეოჩანაწერს:

XX საუკუნის მიწურული, - „სამაჩაბლოში ქართლის ცრემლია!..“ საკუთარ სამშობლოში დევნილობის გაუსაძლის ჟამს, რთული ბარიერების გადალახვითა და დიდი წინააღმდეგობის დაძლევით მოხერხდა ქ. გორში რესპუბლიკის სხვადასხვა მხარეში გაფანტულ ცხინვალელ ჟურნალისტთა შეკრება, ერთ ბირთვად გაერთიანება. ასე, აღზევებული ეროვნული მოძრაობის მღელვარე დღეებში, იშვა გაზეთი „შიდა ქართლი,“ რომელიც განსაცდელში მყოფმა, წინაპართა სამკვიდროდან იარაღის მუქარით აყრილმა ადამიანებმა სულიერ საზრდოდ გაითავისეს.

ცხინვალის დევნილი პრესა იუბილარია. მიმდინარე წლის 8 ივნისს მაჩაბლისეული წმინდა ქართულით მირონცხებულმა, ლიახვისპირულმა გაზეთმა დაარსებიდან 90 წელი მიითვალა.

ჩვენი გადაცემის სტუმარია, საუკუნეს მიღწეულ გაზეთ „ცხინ-

ვალის მაცნეს“ პასუხისმგებელი რედაქტორი, ნიკო ნიკოლაძისა და ივანე მაჩაბლის პრემიების ლაურეატი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი თინა კვალინიძე.

მ.გ: ქ-ნო თინა, საიდან იღებს სათავეს თამარის ჟამის მშვენიერი, ლიახვისპირა, ძირძველი ქართული ქალაქი?

თ.კ: მოგესალმებით ქალბატონო მარინე!

მოგესალმებით ძვირფასო ტელემაყურებლებო!

ჩემთვის დიდი პატივია თქვენს მართლაც საინტერესო და მიმზიდველ ტელეგადაცემაში სტუმრობა.

როგორც ისტორიული წყაროებიდანაა ცნობილი, ქალაქი ცხინვალი ქრისტეშობიდან 251 წელს ქართლის პირველი სამეფო დინასტიის ფარნავაზიანთა უკანასკნელ შთამომავალს, ასფაგურ მეფეს დაუარსებია.

ცხინვალის ისტორიის შესახებ ამომწურავ პასუხს იძლევა გასული საუკუნის მკვლევარ-ისტორიკოსი, პროფესორი მიხეილ ცოტნიაშვილი წიგნში „ცხინვალის ისტორია.“ საყურადღებოა, რომ წიგნის სპეც. რედაქტორია ოსი ეროვნების მკვლევარ-ისტორიკოსი, პროფესორი გიორგი თოგოშვილი.

ცხინვალის წარმომავლობით დაინტერესებულა სულმნათი მიხეილის თანაქალაქელი, მეგობარი და პოეტი ნუგზარ ცერაძე, რომელიც ლექსად გადმოსცემს:

„გავჩეხე რცხილნარი, დავარქვი ცხინვალი,“
ნეტავი პირველად ვინ თქვა,
ვინ სცადა შეექმნა ხრიოკზე ხილნარი,
ვინ დასვა ასეთი კითხვა?“

მ.გ: როგორია დევნილობამდე, ქ. ცხინვალში გამომავალი გაზეთის გზა-სავალი?

თ.კ: მოკლედ მოგახსენებთ, თუ საიდან იღებს სათავეს ჩვენი გაზეთი. 1933 წლის 8 ივნისს დღის სინათლე იხილა ქართულენოვანმა გაზეთმა. მიუხედავად იმისა, რომ „საბჭოთა ოსეთი“ კომპარტიის რუპორი იყო, ქართული პრესა ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იდგა ადგილობრივი საზოგადოე-

ბრივ-პოლიტიკური თუ ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების გამოსამზეურებლად.

დროის მოთხოვნათა შესაბამისად, გაზეთის ფურცლებზე, სამრეწველო თუ სასოფლო-სამეურნეო დარგებთან ერთად, ფართოდ შუქდებოდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცხინვალის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, სახელმწიფო პედინსტიტუტის, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლისა და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებათა საქმიანობა.

მ.გ: და მაინც, ცხინვალში გამომავალ ერთადერთ ქართულენოვან ბეჭდვურ მედიაში თავიანთი კალმოსნობით ვის მიუძღვით განსაკუთრებული წვლილი?

თ.კ: გაზეთს ფასდაუდებელი ამაგი დასდეს ყოფილმა რედაქტორებმა: ისაკ ჟვანიამ, ბესარიონ გვარამიამ, რამან ლაზარაშვილმა, მიხეილ გიორგაძემ, კონსტანტინე სურგულაძემ, მანუახ ბინიაშვილმა, კოტე ტრაპაიძემ, მამანტი კვირტიამ, შალვა მაჭავარიანმა, ვლადიმერ გელაშვილმა, არჩილ მამისაშვილმა.

მ.გ: გაზეთის საიუბილეო ნომრის მეორე გვერდზე გამოქვეყნებულ წერილში - „ლეგენდარული რედაქტორის პენსიაზე გაცილება," - ფართოდაა წარმოდგენილი რედაქციის თანამშრომელთა კოლექტიური ფოტო, სადაც თქვენც გიხილეთ, როგორც ახალგაზრდა ჟურნალისტი. გთხოვთ, გაიხსენოთ ის დრო.

თ.კ: იქ, ცხინვალში, ქართული ინტელიგენციის თავშეყრის ერთ-ერთ ფუძემდებლად არჩილ მამისაშვილი გვევლინება. იგი რედაქციას 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში უნარიანად ხელმძღვანელობდა. თუმც პროფესიული განათლება არ ჰქონდა მიღებული, მაგრამ, მაინც, გაზეთის ძლიერ, ერუდირებულ რედაქტორად ითვლებოდა. მან განუზომელი ამაგი დასდო საოლქო ფართოფორმატიან გაზეთს, როგორც ბრწყინვალე რედაქტორმა, ჩინებულმა მოქართულემ, ღირსეულმა მოქალაქემ და მამულიშვილმა. ამ სურათზე წარმოდგენილ-

ია რედაქციის თანამედროვე, კეთილმოწყობილი შენობის წინ, თანამშრომელთა მრავალრიცხოვანი ამქარი, რომელმაც პენსიაზე გააცილა ამაგდარი რედაქტორი - არჩილ მამისაშვილი. მაშინ, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, კულტურის განყოფილების კორესპონდენტად ვმუშაობდი. იყო ღამის მორიგეობები. იმ ხანებში, სიმშვიდე სუფევდა ქალაქში და ოსური გაზეთის თანამოკალმეებთან ერთად, ღამეებიც არაერთხელ გაგვითენებია და შინ მშვიდობითაც მივსულვართ.

გაზეთი ქართველთა სულიერ საზრდოს წარმოადგენდა. 54 კაციან კოლექტივში ქართველების გვერდით ოსები, ებრაელები და სომხებიც მუშაობდნენ. ასევე, თანამშრომლობდნენ ცნობილი ადამიანები: მერაბ ელიოზიშვილი, მზია ხეთაგური, გიორგი ბესთაუთი, მიხეილ ცოტნიაშვილი, ქრისტო გოგიჩაშვილი, ავთანდილ ცოტნიაშვილი, ვენერა სომხიშვილი, შოთა ქურდაძე, ნოდარ მესხრიკაძე, ვიანორ ახალაია, თამილა გოგოლაძე, ბაგრატ ტეხოვი, ნაფი ჯუსოითი, ლუდვიგ ჩიბიროვი, კოსტა მარღითი, ნუგზარ ბაკაევი...

მ.გ: უკანასკნელ წლებში ქ. ცხინვალში და, საერთოდ, ოლქში როგორ წყდებოდა ადგილობრივი, პროფესიონალი ქართველი კადრებით დასაქმების საკითხი?

თ.კ: პარტიის საოლქო კომიტეტიდან იშვიათად ხდებოდა ადგილობრივი ქართველი კადრების დაწინაურება. სწორედ ამიტომ იყო, რომ სწავლული ქართველობა ტოვებდა თავის საცხოვრისს და, ძირითადად, თბილისში სახლდებოდა. აღსანიშნავია, რომ ცხინვალში დაიბადნენ და გაიზარდნენ აკადემიკოსები ქრისტეფორე არეშიძე, შალვა ხიდაშელი, ტარიელ სართანია... კადრები ძირითადად რეგიონის ფარგლებს გარედან შემოჰყავდათ. ეს ერთგვარი ტრამპლინი იყო ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში მათ დასაწინაურებლად.

მ.გ: დევნილობისას როდის იხილა დღის სინათლე გაზეთმა „შიდა ქართლმა“ და ვინ ხელმძღვანელობდა მას?

თ.კ: რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ფონზე, დიდი და პატარა ლიახვის, ფრონეს, შემდეგ კი ქსნის ხეობებში კარაგახანია ჩანავლდა ქართული სალიტერატურო თუ სტუმარ-მასპინძლური ცხოვრება. სწორედ რომ ჩვენი რესპუბლიკისა და მის ფარგლებს გარეთ გაფანტული ცხინვალელი დევნილების შემაკავშირებლად, 1991 წლის 27 ივნისს მოგვევლინა გორში გამომავალი გაზეთი „შიდა ქართლი.“ მთავარ რედაქტორად კი პროფესიონალი ჟურნალისტი ვასილ საბანაძე დაინიშნა.

საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას უშუალო მითითებითა და გადაწყვეტილებით, „შიდა ქართლი“ თავიდანვე გამოსვლას იწყებს როგორც უზენაესი საბჭოს ორგანო. დევნილი გაზეთის ამოქმედებაში დიდი წვლილი შეიტანა სრულიად საქართველოს ივ. მაჩაბლის საზოგადოების თავმჯდომარემ, პროფესორმა გურამ შარაძემ, ცხინვალელმა მკვლევარ-ისტორიკოსმა, პროფესორმა მიხეილ ცოტნიაშვილმა, პროფესორებმა გენადი ბურჭულაძემ, ნოდარ მესხრიკაძემ...

ჩვენი რეგიონის თითქმის ყოველდღიური უტყუარი ფაქტები, 1991 წლიდან 2007 წლამდე, „შიდა ქართლის“ ფურცლებზე აისახებოდა. გაზეთში თანამშრომლობდნენ და ფსევდონიმით ბეჭდავდნენ ცხინვალში დარჩენილი შერეული ოჯახების წარმომადგენლებიც.

გაზეთი იყო ერთგვარი შემაკავშირებელი რგოლი, ოს-ქართველთა შორის, ჩატეხილი ხიდის აღსადგენად...

რაოდენ დამაფიქრებელია, რომ 2007 წლიდან, ტრანსფერით დაფინანსების შეწყვეტის გამო, „შიდა ქართლის“ გამოცემა შეჩერდა.

მ.გ: მძიმე დღევანდელობიდან გამომდინარე, როგორ მოხერხდა კვლავ დევნილი პრესის ამოქმედება და რა გადამწყვეტი მისია აკისრია 90 წლის ცხინვალის რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ „ცხინვალის მაცნეს?“

თ.კ: როგორც აღვნიშნეთ, წინა ხელისუფლების, „ნაცრე-ჟიმის“ დროს შეფერხდა ჩვენი გაზეთის გამოცემა. ცხინვა-ლიდან დევნილი ჟურნალისტების ძალისხმევით, 2021 წლის სექტემბერს, კვლავ ამოქმედდა გაზეთი „შიდა ქართლი“ მისი პერიოდული დამატების „ცხინვალის მაცნეს“ სახელწოდებით. თანამოკალმეებმა, რედაქციის საერთო კრებაზე, საუკუნეს მიღწეული გაზეთის მთავარ რედაქტორად საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრი, ჟურნალისტთა ცხინვალის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ჟურნალისტიკის სპეციალობით, „ღირსების ორდე-ნის“ კავალერი, ნიკო ნიკოლაძის, ივანე მაჩაბლისა და თამაზ წივწივაძის პრემიების ლაურეატი, რესპუბლიკის დამსახურე-ბული ჟურნალისტი რობერტ ოდიკაძე აირჩიეს.

დღეს, როგორც არასდროს, საქართველოში აზვირთებული მოვლენების ჟამს, ფინანსურად უჭირს დევნილ საზოგადოე-ბრივ-პოლიტიკურ გაზეთს, მაგრამ ჟურნალისტურ საქმია-ნობაში მოდუნება არ გვჩვევია და მომავლის იმედით, ვაგრ-ძელებთ გზას აღმავლობისაკენ.

მ.გ: როგორია ქედუხრელ ცხინვალელ ჟურნალისტთა სამო-მავლო მიზნები და ამოცანები?

თ.კ: ჩვენი მიზანი ერთია და უმთავრესი: არ უნდა შეჩერდეს საუკუნეს მიღწეული, დევნილი პრესის გამოცემა, რამეთუ სულ სხვა მისია - კერძოდ, ცხინვალელთა ჟამიანობის ამსახ-ველი ისტორია აკისრია. იგი ხომ ჩვენი მონატრებული მკითხ-ველის წინაშე მშვიდობის, სიკეთისა და სიმართლის მაცნედ გვევლინება!

„მამულს გული, უპირველეს ყოვლისა!“ - ესაა ფრონესპირე-ლი პოეტის, გერონტი მესხის ცხოვრების მთავარი კრედო, რო-მელიც გაზეთის წინასაახალწლო (2022, XII) ნომრის სტუმარია.

გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს, ზნაურის სა-შუალო სკოლაში ქუხდა ახალშნელი ჭაბუკის, გერონტი მესხის

სახელი. სკოლის „საპატიო დაფას," წლების მანძილზე, შეუცვლელად ამშვენებდა წარჩინებული მოსწავლის სურათი.

სკოლის დამთავრებისთანავე, სწავლას აგრძელებს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. უმაღლესი სასწავლებლის დასრულების შემდეგ, მუშაობას იწყებს თბილისის ელმავალმშენებელ ქარხანაში, სადაც, საწარმოს გაჩერებამდე(!), შავი და ფერადი ლითონებით მომარაგების უფროსად იღვწოდა.

იგი, სასკოლო ასაკიდანვე პოეზიის „ტყვეობაშია." მისი შემოქმედება პერიოდულად ქვეყნდება ადგილობრივ თუ რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში. გამოცემული აქვს ლექსების კრებული - „სამაჩაბლოს ბულბული." კრებულის გაცნობისთანავე, სახალხო პოეტმა, ჯანსუღ ჩარკვიანმა გაზეთ „ქართულ სიტყვაში" თვითონ ავტორს ხუმრობით უწოდა „სამაჩაბლოს ბულბული."

ლექსების კრებულის ძირითადი მოტივი, სრულიად გასაგებია და თავსმოხვეული მიზეზების გამო, სევდისმომგვრელია: 1991 წლის 11 ოქტომბერს ოსმა ექსტრემისტებმა, ოთხ სხვა თანასოფლელთან ერთად, ვერაგულად დახოცეს მისი მშობლები; მანამდე, სასტიკი წამებით გამოასალმეს სიცოცხლეს ფრონესპირელი შემოქმედის ბავშვობის მეგობარი, სოფელ ნულის მეურნეობის დირექტორი, ბეგლარ ჯასრაძე. განგებამ არც ეს აკმარა და პანდემიამ საყვარელი მეუღლის სიცოცხლეც შეიწირა...

ახლახანს, დაუდგრომელმა კალმოსანმა ლექსების ახალი კრებული - „ფრონეს ხეობის მონატრება" გამოსცა, რომლის ლაიტმოტივიც მშობლიური კუთხის დაბრუნებაზე გადის. იმედი დიდხანს ცოცხლობს ადამიანში, არც პატრიოტ მამულიშვილს, გერონტი მესხს აქვს იგი ბოლომდე გადაწურული.

დროსგასწრებული მამულიშვილის, ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან 180 წელი გავიდა. საიუბილეო თარიღი ფოთში საზეიმოდ (2023, IX) აღინიშნა.



ზღვისპირა ქალაქში მთელი დღის განმავლობაში სხვადასხვა კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები ჩატარდა, დღესასწაული კი გალა კონცერტით დასრულდა, სადაც მონაწილეობა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის კამერულმა ორკესტრმა და ქართველმა შემსრულებლებმა მიიღეს.

დღესასწაულს სტუმრობდა ცნობილი მომღერალი ნანი ბრეგვაძე.

დროსგასწრებული მოაზროვნის სახელობის კოშკში გაიმართა ქუთაისის ფოტო-კინო მუზეუმის ექსპონატების, ნიკოლაძისეული მემორიალური ნივთებისა და უცნობი ფოტოების გამოფენა.

ჩატარდა მარათონი გიორგი ნიკოლაძის თასზე, მოეწყო საჩვენებელი საიუბილეო მხატვრული გამოფენები, სპორტული გამოსვლები.

ღონისძიებაზე ნიკო ნიკოლაძის სტიპენდიანტები და ფოთის საპატიო მოქალაქეები გამოავლინეს.

XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე, საქართველოს საოცარი კუთხის - ცხინვალის რეგიონში დატრიალებული ტრაგიკული ეპოპეა, ერთობ სულისშემძვრელია როგორც ქართველ, ასევე ოს ხალხს შორის. სწორედ ამ შემაძრწუნებელ მოვლენათა რეალური ჟამთააღმწერის მოვალეობა აკისრიათ ორივე მხარის - ქართველ და ოს ჟურნალისტებს, რაშიც თავისი კალმით გამართლებული სიტყვა ცხინვალის დევნილი ბეჭდვური მედიის წარმომადგენლებსაც ეთქმით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზ. „დროება“, 1884, №167.
2. მიხ. ცოტნიაშვილი, ცხინვალის ისტორია, ცხინვალი, 1986.
3. ა. მამისაშვილი, ტყვეები აღმოსავლეთისაკენ მიდიან, ცხინვალი, 1974.
4. გ. ლიახვისპირელი (თედეევი), ერთია გალაკტიონი, თბილისი, 1998.
5. ა. ცოტნიაშვილი, XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული პერიოდიკა ქართულ-ოსური ურთიერთობის შესახებ, ცხინვალი, 1990.
6. ა. თოფურია, სინდისის ღმერთების ბარიკადებზე, თბილისი, 1996.
7. გაზ. „ნეზავისიმაია გაზეტა“, 1992, №13.
8. რ. ოდიკაძე, ცხინვალის მემატიანე, თბილისი, 2017.
9. ზ. ცოტნიაშვილი, წერილები, პორტრეტები, დიალოგები, გამოსვლები, თარგმანები, თბილისი, 2007.
10. ალ. მღებრიშვილი, XX საუკუნის ცხინვალის ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების ისტორიისათვის (ნაწილი I), თბილისი, 2003.
11. ი. ლისაშვილი, თხზულებათა ტ. III, თბილისი, 1974.
12. გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1956, 8/IX.
13. გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1982, 31/XII.
14. მ. ელიოზიშვილი, და ბოლოს, ისევ გაზაფხული, ცხინვალი, 1970.
15. ვ. ჭელიძე, ივანე მაჩაბელი (გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება) თბილისი, 1968.
16. პ. გუგუშვილი, სოფლის მეურნეობა და აგრარული ურთიერთობანი, თბილისი, 1955.
17. ი. გრიშაშვილი, ტ. V, მინიატურები, ლიტერატურული ნარკვევები, თბილისი, 1965.
18. ო. ესიაშვილი, „საბჭოთა ოსეთი“ – 50, ცხინვალი, 1983.
19. ვ. საბანაძე, ცხინვალი და ცხინვალელები, გორი, 1996.
20. შ. დარბუაშვილი, სამაჩაბლოში ქართლის ცრემლია.., თბილისი, 1992.
21. რ. ბაქრაძე, 30-40-იანი წლების ცხინვალი (მოგონებათა ქრონიკები –2 რაც ხსოვნას შემოუნახავს), თბილისი, 1996.
22. რ. ბაქრაძე, ცხინვალო, ჩემო ფიქრო და დარდო (წიგნი I, II), თბილისი, 2004.
23. ი. ვართაგავა, XIX საუკუნის ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოჩენილი რედაქტორები, თბილისი, 1957.
24. ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში (წიგნი I), თბილისი, 1984.

25. ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში (წიგნი II), თბილისი, 1997.
26. Л. А. Чибиров, Встречи с ВАСО АБАЕВЫМ, Владикавказ, 2000.
27. გაზ. „შიდა ქართლი," 1991, №1, 2, 5, 6, 25,28, 44.
28. გაზ. „შიდა ქართლი," 1992, №83, 88, 97, 98, 99, 100, 126.
29. გაზ. „შიდა ქართლი," 1993, №134, 148.
30. გაზ. „შიდა ქართლი," 1995, №194, 195, 202, 203, 207.
31. გაზ. „შიდა ქართლი," 1996, №209, 210, 211, 212, 216, 218, 229, 230.
32. გაზ. „შიდა ქართლი," 1997, №233, 234, 237, 238, 245, 248, 249, 250.
33. გაზ. „შიდა ქართლი," 1998, №267, 268, 280.
34. ჟურნ. „მოლოდაია გვარდია," 1966, №9.
35. ჟურნ. „ცისკარი," 1976, №8.
36. გაზ. „იუჟნაია ოსეტია," 1996, №51.
37. გაზ. „პრავდა," 1989, 11/XII.
38. გაზ. „სობესედნიკ," 1989, №45.
39. გაზ. „კომუნისტი," 1967, 13/X.
40. გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი," 1996, №1, 2, 3, 4, 5, 6, 7.
41. გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი," 1997, №8, 11.
42. გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი," 2002, №2, 9, 13.
43. გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი," 2004, №106.
44. გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი," 2005, №12.
45. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა," 1996, №144.
46. გაზ. „ბურჯი ეროვნებისა," 1997, №2.
47. გ. ბურჭულაძე, დიდ წინაპართა ნაკვალევზე, თბილისი, 2005.
48. გაზ. „ლიტერატურული საქართველო," 1998, 26/VI.
49. ვ. გვეტაძე, საგურამოში, ჟურნ. „დროშა," 1987.
50. გაზ. „ცხინვალის მაცნე," 2021, №1, 2, 3.
51. გაზ. „ცხინვალის მაცნე," 2022, №1, 2, 12.
52. გაზ. „ცხინვალის მაცნე," 2023, №5, 9, 10.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ცხინვალის გაზეთი 90 წლისაა! 3

ზღურბლზე სათქმელი 4

თავი I. ცხინვალის დევნილი პრესის წინამძღვრები - ქართული გაზეთი „საბჭოთა ოსეთი“ 17

ხელნაწერი ჟურნალები - „ლიახვი“ 86

„აისი“ 87

„რიჟრაჟი“ 90

თავი II. პირველი დევნილი გაზეთი „შიდა ქართლი“ 93

თავი III. მწერალთა გაზეთი „ლიტერატურული ცხინვალი“ ... 208

საგურამოში იბადებოდა და ღვივდებოდა მრავალი ცოცხალი აზრი, სათავე ედებოდა დიდ ეროვნულ საქმეებს 220

დიდი თანამემამულე 228

აჰა, აღსრულდა! 230

მთაწმინდა გულში იხუტებს საშვილიშვილო სამარეს 230

თავი IV. იუბილარი გაზეთი „ცხინვალის მაცნე“ 279

განახლებული გაზეთის გამოსვლას გვილოცავენ: 286

გამოყენებული ლიტერატურა 310